

თინათინ თუშაბრამიშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილის  
ფსიქობიოგრაფია ეპისტოლური  
მემკვიდრეობის მიხედვით



თბილისი

2020

თინათინ თუშაბრამიშვილი

**ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსიქოზოგრაფია  
ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით**

თბილისი

2020

რედაქტორი

მარიამ ნინიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი

რეცენზენტი

ესმა მანია

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

## რეცენზია

თინათინ თუშაბრამიშვილის ნაშრომზე „ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსიქობიოგრაფიაეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით“

თინათინ თუშაბრამიშვილის კვლევა ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომია. აქ, გარდა იმისა, რომ ავტორის კვლევის საგანია კომპლექსური ასპექტების მქონე ფსიქობიოგრაფია, საკვლევი წყარო – ეპისტოლური მემკვიდრეობა – შედარებით ახალი ობიექტია ამ მიმართულების კვლევებისათვის, რაც ნაშრომის აქტუალობის ერთ-ერთი ინდიკატორია.

ეპისტოლური მემკვიდრეობა, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ამსახველი ეს წყარო, მეტნაკლებად განტვირთულია სოციალური შაბლონებისა და კონიუნქტურული ხარკისგან. რაკი მასში ეს ელემენტები არ კონცენტრირდება, იზრდება მისი პერსონიფიცირებულობის წილი. სწორედ ამიტომ ფსიქობიოგრაფიის კვლევისთვის სავსებით ლოგიკურად აქვს ავტორს გამოყენებული საზოგადო მოღვაწის ინტელექტუალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე პერსონიფიცირებული სეგმენტი. ბიოგრაფიისგან განსხვავებით, რაც შეიძლება ეყრდნობოდეს ოფიციალურ-ფორმალურ დოკუმენტებს, მხატვრულ-დოკუმენტური და საზოგადოებრივი მემკვიდრეობის ანალიზს, სხვათა მოგონებებს, ფსიქობიოგრაფიისთვის საჭიროა უფრო ე. წ. არაპირდაპირი წყაროები (პირადი წერილები, დღიურები, ჩანაწერები, ამონაწერები...) საკუთარი კონტექსტური და მეტატექსტური მონაცემებით. ასეთი წყაროები ბევრად უფრო ობიექტურია და ცალმხრივობის რისკისგან იცავს დაკვირვებულ მკვლევარს. სწორედ ამის გათვალისწინებით, თინათინ თუშაბრამიშვილს პირადი წერილები გამოყენებული აქვს მოღვაწის ფსიქოლოგიური პორტრეტის რეკონსტრუქციის წყაროდ. ფსიქოლოგიურ პორტრეტებსა და ფსიქობიოგრაფიებს კი მიმართავენ საზოგადო მოღვაწისადმის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და მისი ენიგმური, ამოუცნობი ხასიათის შემთხვევაში. ეს მიდგომა კი მეტად საშურია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილ მოაზროვნეს, მისი მემკვიდრეობის ყოველი გვერდი გასათვალისწინელია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად.

ნაშრომს უძღვის მიმოხილვა ეპისტოლური მემკვიდრეობის, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის სპეციფიკური ფორმის, ისე ამ წყაროს შესწავლის ქართული და მსოფლიო გამოცდილების შესახებ, სადაც ავტორი ავლენს დარგის ღრმა ცოდნას.

მკვლევარი თინათინ თუშაბრამიშვილი საგულისხმო სტრუქტურით აგებს ნაშრომს: ის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით თავდაპირველად, ნიკოლოზ

ბარათაშვილის პიროვნების ჩამოყალიბების ასპექტების კვლევისას, ისეთ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, როგორებიცაა ოჯახისა და მეგობრების გავლენა, საერთო ატმოსფერო, ურთიერთობები სოლომონ დოდაშვილთან და გრიგოლ ორბელიანთან და სიყვარული. ავტორი აქ ეპისტოლური მემკვიდრეობის მონაცემებს ამყარებს პოეტის შემოქმედებით, სხვათა მიმოწერითა და მოგონებებით. მოჰყავს სხვადასხვა სახის სამეცნიერო აზრი, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც და საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებს მყარი არგუმენტაციის სისტემით. ამ გზით საკუთარი კორექტივები შეაქვს ან აზუსტებს პოეტის ფსიქობიოგრაფიულ დეტალებს.

ნაშრომის მომდევნო ეტაპზე ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილის მწირი და არასრული კომუნიკაციის ამსახველ ეპისტოლურ მონაცემებს არგებს პიროვნების ტემპერამენტის, ხასიათისა და ქცევის განპირობებულობის შემსწავლელ სამ ფსიქოლოგიურ თეორიას და ცდილობს პასუხის გაცემას დელიკატურ კითხვებზე: რამ განაპირობა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ადამიანი გამხდარიყო; საზოგადოების მხრიდან მის მიმართ ასეთი სტანდარტიზებული დამოკიდებულების მიუხედავად, იყო თუ არა ის მეღანქოლიკური ტემპერამენტის და საერთოდ, რამდენად ახლოსაა მოღვაწის ფსიქობიოგრაფიულ პორტრეტთან მის თანამედროვეთა და მკვლევართა იარლიყები.

თანამედროვე სამყაროში, ტანდენური და კომპლექსური მეცნიერებების პრიმატის პირობებში, ამ საერთაშორისო ფსიქოლოგიურ თეორიებთან ნაშრომის საკვლევი საგნის ადაპტაცია საკმაოდ რთული მეთოდოლოგიური პრობლემის წინაშე დააყენებდა მკვლევარს. მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ეს თეორიები, როგორც ერთგვარი სტანდარტული, მაღალფორმალიზებული ინდიკატორები, თინათინ თუშაბრამიშვილმა წარმატებით მოარგო ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეულ ეპისტოლურ მემკვიდრეობას და ზოგიერთი მკაფიოდ ფესვდაგდებული მოსაზრებაც უარყო ამ თეორიების შუქზე.

ავტორის დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ პოეტს ჰქონდა კომფორტის, თანაზიარობის, სიყვარულის, პატივისცემის, ინტელექტუალური და სხვა მოთხოვნილებები, ამ კვლევაში მან ვერ გადალახა აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული პირამიდის ვერც ერთი საფეხური (ბიოლოგიური, უსაფრთხოების, მიჯაჭვულობის ანუ თანაზიარობისა და სიყვარულის, პატივისცემის, შემეცნებითი, თვითაქტუალიზაციის, ესთეტიკური თუ ტრანსცედენტური მოთხოვნილებები...), რამაც წარმოშვა მის პიროვნებაში სულიერი დისკომფორტი. ეს კი საკამოდ საგულისხმო შტრიხია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისთვის.

ნაშრომის ავტორის დასკვნით, ეპისტოლურ მემკვიდრეობასა და თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, ჰიპოკრატეს ტემპერამენტის ტიპების სისტემაში ნიკოლოზ ბარათაშვილს აქვს არა ერთი კონკრეტული ტემპერამენტის, არამედ ერთდროულად

რამდენიმესადმი მიდრეკილება. თუმცა, ავტორის საგულისხმო დაკვირვებით, გავრცელებული ტენდენციისაგან განსხვავებით, ის სრულად მელანქოლიურ ტიპს კი არ მიეკუთვნება, არამედ ხალისიანობით, მიზანმიმართულობით, ინტელექტუალურობით და სხვა თვისებებით იხრება სანგვინიკური ტემპერამენტისაკენ. ამ ტენდენციასვე ადასტურებს პოეტის გ. ოლპორტისა და ჰ. ს. ოდბერტის „ხუთფაქტორიანი მოდელის“ მიხედვით განსაზღვრული თვისებები – ნიკოლოზ ბარათაშვილი აქაც მელანქოლიკის საპირისპირო პიროვნებად ხასიათდება.

ნაშრომის ერთ თავში, რომელშიც განხილულია პოეტის ტემპერამენტისა და ხასიათის შტრიხები, ავტორს საჭიროდ მიუჩნევია პოეტის სატირასა და იუმორზე მსჯელობა მდიდარი ფაქტობრივი მასალის განხილვის საფუძველზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფსიქოლოგიური თეორიების შეჯერებით მიღებულ შედეგებს. ფსიქობიოგრაფიის ასპექტებზე მუშაობისას მკვლევარი სოლიდურ ადგილს უთმობს დაკვირვებას ისეთ რთულ ბალანსზე, როგორც არის პოეტის პიროვნებისა და შემოქმედების შეფასება სხვათა მხრიდან და პოეტისეული თვითშეფასება.

ნაშრომში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების სტრუქტურის შესწავლის წარმატებული მცდელობა. ეს კვლევა ანგარიშგასაწევი ნაბიჯია არაერთი მიმართულებით:

1. ფსიქობიოგრაფიის, როგორც მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების კონტექსტური და მეტატექსტური კვლევის, თვალსაზრისით;
2. ეპისტოლური მემკვიდრეობის, როგორც გარემოს მახასიათებლებისა და ადრესანტადრესატის ფსიქოლოგიური თავისებურებების ინდიკატორის შემცველი წყაროს, აქტუალიზაციის თვალსაზრისით;
3. საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისთვის არამხოლოდ ფილოლოგიური, არამედ ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებების გამოცდილების გამოყენების თვალსაზრისით;

ნაშრომს ერთვის პირადი წერილების ეტიკეტური ასპექტების მიმოხილვა ტექსტოლოგიური კომპონენტების გათვალისწინებით.

კვლევა აღჭურვილია მდიდარი სამეცნიერო აპარატით, შესრულებულია მაღალი მეცნიერული კეთილსინდისიერებით, არგუმენტირებისა და ციტაციის საჭიროებისთვის ზღვრულად მისადაგებული სისტემით, აკადემიური ენით.

მისასალმებელია, რომ ნაშრომს ახლავს კვლევის ძირითადი და მომიჯნავე ხაზის განვითარების პერსპექტიული ხედვა.

*ესმა მანია*

## შესავალი

რაც უფრო შორსაა ჩვენგან წარსული ეპოქა, მით უფრო ფასობს დიდი ადამიანების დანატოვარი წერილები. ისინი მხატვრულ თხზულებებზე არანაკლები ინტერესით იკითხება. ამ ხასიათის ნაწარმოებებში ასახულია ავტორთა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი, მათი სიხარული და სევდა, მათი აზრები ცხოვრებასა და ხელოვნებაზე, მათი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პოზიცია, პირადული თუ საზოგადოებრივი საზრუნავი.

წერილი კომუნიკაციის განსაკუთრებული სახეა. ურთიერთობების გარეშე რთულია პიროვნების ფორმირება, მისი აღზრდა, ინტელექტის განვითარება. ამ პრობლემებით დაინტერესებულები არიან სხვადასხვა დარგის მეცნიერები (ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ფსიქოლოგები, ლინგვისტები, ლიტერატორები, სოციოლოგები...). ისინი ამ ურთიერთობებს განიხილავენ სხვადასხვა პოზიციიდან, გამოყოფენ სპეციფიკურ ასპექტებს და შესაბამისად განსაზღვრავენ მას.

ადამიანთა ურთიერთობა უმთავრესად ხორციელდება მეტყველების, ენის საშუალებით. „ადამიანი ერთდროულად ურთიერთობს საზოგადოების სხვა, მისთვის თანამედროვე წევრებთან, თავისი საზოგადოებისა და სამშობლოს წარსულთან და რამდენადმე მაინც მომავალთან, საკუთარ თავთან და თვით სამყაროსთან, ე. ი. კომუნიკაცია ყოველსმომცველი ადამიანური ფენომენია, ხოლო ენა წარმოადგენს ერთდროულად ამ ფენომენის საფუძველს“ (ხაჭალია, 2006, 4). წერილიც, როგორც სამეტყველო ტექსტი, კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა.

პირადი წერილები მრავალმხრივ საყურადღებოა. ისინი ერთ-ერთი წყაროა ადრესატის ცხოვრების, მისი პოლიტიკური მრწამსისა და მსოფლმხედველობის შესასწავლად. ბარათები დიდ დახმარებას უწევს ბიოგრაფოსებსა და მკვლევარებს. წერილები, როგორც სანდო დოკუმენტები, ღირებული მასალაა ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული ყოფის შესასწავლად. პირად ბარათებში ადრესატების მიერ გადმოცემულია თანადროული ისტორიული ფაქტები და მოვლენები.

გარდა იმისა, რომ პირადი წერილი რესურსია ეპოქის, ისტორიული რეალობის აღდგენისა, იგი შეუცვლელი, უპირველესი დასაყრდენია ფსიქობიოგრაფიული კვლევისა, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში პიროვნების ინდივიდუალურობის კომპლექსურ კვლევასა და ყოველმხრივ შესწავლას მისი მთელი ცხოვრების მანძილზე.



## I თავი

### ეპისტოლურ ჟანრთა სახეობები. პირადი წერილის თავისებურებანი

წერილი ყოფითი გაგებით – ესაა ქალაქში დაწერილი ტექსტი, რომელიც ეგზავნება ვინმეს რაიმეს შესატყობინებლად ან საურთიერთოდ. ის გვაძლევს საშუალებას გრაფიკული ელემენტების მეშვეობით დავამყაროთ ენობრივი კომუნიკაცია ჩვენგან დროსა და სივრცით დაშორებულ ადამიანებთან. ამას გარდა, მას ძალუძს საუკუნეების მანძილზე შემოინახოს ინფორმაცია და შეიძინოს ამის საფუძველზე მეორადი ფუნქცია – იქცეს შემდგომი თაობებისათვის ავტორის თანადროული ეპოქის ამსახველ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტურ წყაროდ. ფართო გაგებით კი წერილი ამა თუ იმ ენაზე ჩამოყალიბებული წერითი კულტურის ნაწილია და ამდენად მას ზოგადდროვრიული მნიშვნელობაც ენიჭება.

„epistole“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად წერილს, შეტყობინებას ნიშნავს. უცხო სიტყვათა ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „ეპისტოლე საეკლესიო წერილი, რომლითაც სასულიერო პირი მიმართავს თავის სამწყსოს სადღესასწაულო დღეებში“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 2007, 279). დღეს ეპისტოლეს გარდა ამ მნიშვნელობისა, აქვს საერო შინაარსიც.

ეპისტოლური კომუნიკაციის შედეგად წარმოქმნილი ტექსტები ტიპოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდება, რაც ხორციელდება საკმაოდ ვრცელი სფეროს ფარგლებში, რომელსაც „ეპისტოლური ლიტერატურა“ ეწოდება.

ეპისტოლური ჟანრის სტრუქტურულ-სტილისტური ნიშნებიდან მნიშვნელოვანია წერილების დაყოფა მათი ურთიერთობების სფეროების მიხედვით – ოფიციალურ და არაოფიციალურად. პირველს განეკუთვნება საქმიანი ქალაქდები, როგორცაა ოფიციალური მიმართვა, განცხადება, თხოვნა და სხვ. არაოფიციალურს კი – პირადი (კერძო) წერილები, რომელიც ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია.

პირადი წერილი უპირველესად გულისხმობს ავტორისა და ადრესატის აუცილებელ არსებობას – გამგზავნელის ხელის მოწერას (ხშირად წერილი ხელმოუწერელია) და მიმღებისადმი მიმართვას.

წერილი გულისხმობს ავტორის მიერ ეპისტოლური ტრადიციების გათვალისწინებას. ეს ნიშნავს – ზრდილობიანი სამეტყველო ეტიკეტის დაცვას, რაც უფრო მეტად რეალიზდება მიმართვის ფორმაში. ამით ვლინდება ავტორის კეთილი დამოკიდებულება ადრესატისადმი. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ავტორი არ არის კეთილგანწყობილი ადრესატის მიმართ და მიმართვის ფორმებიც შესაბამისია.

მართალია, საქმიან წერილთან შედარებით, პირადი ბარათები უფრო თავისუფალია, მაგრამ ის მაინც ხასიათდება ტექსტის მყარი კომპოზიციით.

პირადი წერილები დასაწყისში ნაკლებად შეიცავს სტანდარტულ ელემენტებს – თარიღს, წერილის დაწერის ადგილს, რომლებიც მოთავსებულია ქაღალდის მარჯვენა ზედა კუთხეში.

წერილი იწყება შესავლით (მისალმება, მიმართვა). მიმართვა (შესაძლებელია მისალმებასთან ერთად) იწერება ქაღალდის შუა ადგილზე.

მიმართვა ასახელებს მას, ვისაც ეძღვნება წერილი, ანუ ის განსაზღვრავს ადრესატს. იმის მიხედვით, თუ როგორ მიმართავს ავტორი ადრესატს, ჩანს დამოკიდებულება მისადმი. მიმართვის ამოცანაა, დაამყაროს ურთიერთობა ადრესატთან, მიიპყროს მისი ყურადღება და დააინტერესოს იგი წერილის თემით. ის შეიძლება იყოს წინადადების დასაწყისში, შუაში, ბოლოში და უნდა გამოიყოს მძიმეებით. მიმართვის სხვადასხვა ფორმები არსებობს. მას მიეკუთვნება ასეთი გამოთქმები: „ძვირფასო მეგობარო“, „კეთილო მეგობარო“, „ჩემო ძვირფასო“, „ჩემო საყვარელო“ და სხვა. ანუ ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოხატავს დიდ სიახლოვეს, სათნოებასა და სიყვარულს ადრესატის მიმართ. მიღებულია ასეთი მისასალმებელი სიტყვები: „გამარჯობა“, „სალამი“. თუმცა არსებობს სასაყვედურო შინაარსის წერილები და მიმართვის ფორმებიც შესაბამისია.

შესავლის შემდეგ განლაგებულია ძირითადი, საინფორმაციო ნაწილი, რომელშიც ხდება ცნობების შეტყობინება – აღწერილია სიტუაციები, რომლებიც საფუძვლად ედება

წერილის წერის მიზეზს; გამოითქმება შეხედულებები, მოიყვანება მტკიცებულებები, რომლებიც საჭიროა დასკვნითი ნაწილის ფორმულირებისათვის. ძირითად ნაწილში საჭიროებისამებრ სახელდება არგუმენტები, რომლებსაც ლოგიკურად მიყვავართ დასკვნამდე.

პირადი წერილის ძირითადი ნაწილი, ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით, მრავალფეროვანია. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ადრესატი ახლობელია (ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი...). მისი თავისებურება მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ავტორის ინტენციისა (საკომუნიკაციო მიზანი, ამოცანა) და თემის ურთიერთგანპირობებულობა განსაკუთრებით მკვეთრია. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ თემა კონკრეტულობით გამოირჩევა. ასე, მაგალითად, ინტენცია შეიძლება იყოს „თხოვნა“, ხოლო თემა – „კონკრეტული თხოვნა“, ავტორისა და ადრესატის ურთიერთობის გათვალისწინებით.

ტექსტში დამთავრებული აზრობლივი მონაკვეთები გამოიყოფა აბზაციით.

როგორც აღვნიშნეთ, პირადი წერილები ინარჩუნებს სტანდარტულ დასაწყისსა და დასასრულს, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი თავისუფალია, თუმცა ასეთ ტექსტშიც შეიძლება გამოიყოს „მუდმივი ფრაზები“, რომლებიც აბოლოებს მას. პირადი წერილის დაბოლოება შეიცავს დამშვიდობების სიტყვებს. ესენია: ბოდიშის მოხდა ნაწერის გამო, მაღლიერების გამოხატვა, პირობის მიცემა საპასუხო წერილის გაგზავნაზე, თხოვნა, რომ ადრესატმა არ დაივიწყოს პასუხის გაცემა, სურვილი, ბოდიშის მოხდა, მოკითხვის გადაცემა, დამშვიდობება, ზრდილობიანი სიტყვები და სხვ.

დასასრული წერილის დასკვნაა. ჩვეულებრივ გამოიყენება სიტყვები: „ნახვამდის“, „მშვიდობით“, „შეხვედრამდე“, „დაველოდები პასუხს“, „დროებით“ და სხვა.

ახლობელი ადამიანებისადმი მიწერილი წერილების ბოლოს ძველი რომაელები წერდნენ სიტყვას „vale“ – იყავი ჯანმრთელად, ნახვამდის. ზოგჯერ წერილის დასრულების შემდეგ გამოიყენება P. S. – პოსტსკრიპტუმი, სადაც შეიძლება ასახული იყოს ზოგიერთი შენიშვნა.

წერილის ბოლოს ხელის მოწერა შეესაბამება დასაწყისის მიმართვის ფორმას. ავტორი ადრესატს მიმართავს სახელით, მამის სახელით, მოფერებითი სახელით, რომლითაც ის ცნობილია ახლობლებში, ნათესაობის გამომხატველი სიტყვებით, ზოგჯერ ზედმეტი სახელით, გვარის ინიციალითა და სხვ. ამგვარად, ერთი ავტორის მიერ სხვადასხვა ადრესატისადმი მიწერილი წერილები განსხვავდება თემატიკის, სტილის მიხედვით, რადგანაც წერილის დამწერი ყოველთვის ითვალისწინებს ადრესატის პიროვნებას, მის ინტერესებსა და შეხედულებებს და შესაბამისად გამოხატავს მის მიმართ დამოკიდებულებას.

პირადი წერილისთვის ასევე დამახასიათებელია: უშუალობა, ბუნებრიობა, თავისუფალი თხრობა, ავტორის ინდივიდუალობა, სიცხადე და ლაკონურობა. ავტორის „მე“-ს გამოვლენა.

ამგვარად, წერილის ტექსტის კომპოზიცია ასეთია: ის შედგება ერთ თემაში თანმიმდევრულად გაერთიანებული ლოგიკურად ურთიერთდამოკიდებული აზრობლივი ნაწილებისაგან. ტექსტის შედგენის დაწყებამდე ავტორმა უნდა იფიქროს, რისი თქმა უნდა მას თავის წერილში, რა მიზნით ადგენს იგი მას. წერილი რომ გახდეს დამაჯერებელი, რა მტკიცებულებები უნდა მოიყვანოს.

წერილით ვეცნობით ავტორის პირად ცხოვრებასა და მის საზოგადოებრივ საქმიანობას; ისინი ძვირფასი წყაროა ადამიანის ბიოგრაფიისა და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად.

წერილებში მოთავსებული მასალები და მოსაზრებები, რომლებიც ლეგალური პრესისათვის შეუფერებელია, თავისუფალია ცენზურის კონტროლისაგან. ამიტომ მიაჩნიათ წერილი ადამიანის ნამდვილი სახის გამომხატველად;

ეპისტოლური ნაწერების კვლევა გვიადვილებს მწერლის შემოქმედების გააზრებას, რადგან, ხშირად, წერილების ენა მაქსიმალურად ახლოსაა ავტორის სამეტყველო ენასთან.

პირადი წერილებით ვეცნობით ავტორისდროინდელი საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურსა და კულტურულ მდგომარეობას; მათი ცხოვრების წესსა და

ინტერესებს, ჩაცმის სტილს, მათი მეტყველებისა და წერის კულტურას; ეპისტოლეები წარმოდგენას გვიქმნის ავტორის ეპოქის ისტორიულ მოვლენებზე, პიროვნებებზე, იმდროინდელი საზოგადოებრივ აზრსა და სხვა სახის მოვლენებზე;

კერძო წერილებში გამოხატულია ავტორის იდეოლოგიური თვალსაზრისი და შემოქმედებითი პრინციპები;

ავტორი გადმოგვცემს თავის შინაგან სამყაროს. წერილში გამოხატულია მისი გრძნობები, აზრები;

წერილებით ვეცნობით ავტორის ახლობელთა თუ ნაცნობთა წრეს. ვიგებთ ვისთან საუბრობდა იგი უფრო გულახდილად პირადულ თუ საზოგადოებრივი ყოფის აქტუალურ საკითხებზე.

წერილების ენაში გამოყენებულია ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები, სინონიმები. რა თქმა უნდა, ასეთი წერილი მკითხველისთვის უფრო საინტერესოა. პირადი წერილისთვის დამახასიათებელია ზრდილობიანი სიტყვები, მაგალითად: გეთაყვა, ძვირფასო მეგობარო, საყვარელო ადამიანო, პატივცემულო, ღრმადპატივცემულო, ბოდიშს ვიხდი, მადლობელი ვარ და ა. შ.

წერილი ხასიათდება დიალოგური და მონოლოგური მეტყველებით. მისი დისტანციურობა დროსა და სივრცეში იწვევს მონოლოგური მეტყველების დამახასიათებელ თავისებურებებს (მაგალითად: თხრობის თანმიმდევრობა, ნათქვამის გამეორება, თხრობის გაშლილობა და სხვ.).

საერთოდ, წერილი არ შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ მონოლოგად, რადგანაც კონკრეტული ადრესატის არსებობა და, რაც მთავარია, მისგან პასუხის მიღება იწვევს დიალოგურ ფორმებს (მისალმება, დამშვიდობება, მიმართვა და ა. შ.). ინფორმაციის გაცვლის გარეშე არ არსებობს სამეტყველო კომუნიკაცია. რადგანაც ეპისტოლური კომუნიკაცია ორმხრივია, ამდენად საკომუნიკაციო ერთეული არის არა მხოლოდ ავტორის წერილი, არამედ „წერილი + საპასუხო = წერილი“, რასაც თვით „მიმოწერა“ სიტყვის მნიშვნელობა ადასტურებს.

სივრცეში დისტანციურობამ შეიძლება გამოიწვიოს ქესტის გამოხატვის აუცილებლობა (მაგალითად: გეხვევი, გკოცნი, ხელს გართმევ და სხვ.). დისტანციურობა დროში კი იწვევს აუცილებლობას – გავახსენოთ ადრესატს მის მიერ წერილში დასმული კითხვები (მაგალითად, შენ გაინტერესებს, რას ვსაქმიანობ). ამგვარად, წერილი განსაკუთრებული ჟანრია დიალოგურ-მონოლოგური ტექსტისა. (Эпистолярный жанр как средство межличностного общения. otherreferats.allbest.ru/languages/00043954\_0.html, 2010).

მეგობრული მიმოწერის ფუნქციებია: კომუნიკაციური (საურთიერთო), საინფორმაციო (შეტყობინება), პრაგმატული (ზემოქმედება), ექსპრესიული (გამომსახველობა).

ამ ფუნქციებიდან უფრო მნიშვნელოვანია კომუნიკაციური, რადგან წერილის ეს ფუნქცია ორიენტირებულია პასუხის მიღებაზე.

ახლობლებისადმი მიწერილი წერილების ტიპური თემატიკაა: თხოვნა, ახალი ამბების შეტყობინება, მილოცვა, გრძნობათა გაზიარება (სულიერი განწყობილება), მხარდაჭერა, ბოდიშის მოხდა, შეჩვილება, საყვედური, თავის გამართლება, აღსარება, მადლობის გადახდა, სურვილის გამოთქმა, აზრის გამოთქმა ამა თუ იმ საკითხზე (მოვლენაზე), საქციელზე და ა.შ. ემოციები ამა თუ იმ მოვლენის (საქციელის) გამო, საქმის ვითარების აღწერა, ჩივილი (ცხოვრებაზე; ბედზე; კონკრეტულ სიტუაციაზე) და სხვა.

ჩვენ გავეცანით თემას, მიძღვნილს ეპისტოლური ჟანრისადმი; ვისაუბრეთ ლიტერატურის ამ სახეობის ისტორიაზე, განვსაზღვრეთ წერილის აზრობრივი ნაწილები. მნიშვნელოვანია ურთიერთობა წერილების საშუალებით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეპისტოლური ჟანრი განიცდის კვდომას ურთიერთობის თანამედროვე საშუალებების (ფიჭური კავშირისა და ინტერნეტის) გაჩენასთან ერთად. თუმცა ამ უკანასკნელმა ჩაანაცვლა და დღესდღეობით, დამკვიდრდა მძლავრი ინტერნეტკომუნიკაციები (რაც ცალკე შესწავლის საგანია). ტექნიკის განვითარებამ, ელექტრონულმა გზავნილებმა მოსპო წერილის საჭიროება, მაგრამ დროის წინსვლასთან ერთად, მეცნიერება უფრო დიდ ყურადღებას მიაპყრობს ცნობილი ადამიანების ეპისტოლურ მემკვიდრეობას, როგორც მათი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველ უტყუარ მასალას.

## II თავი

### მხატვრულ-ეპისტოლური ჟანრი

წერილი როგორც მხატვრული ღირებულების მქონე ტექსტი ჩაისახა ჯერ კიდევ ანტიკური საზოგადოების განვითარების ადრეულ პერიოდში. წერილი ეძღვნებოდა არა ერთ, არამედ რამდენიმე თემას. ამასთან იგი ავითარებდა ტენდენციას – ყოფილიყო არა მარტო პრაგმატული დოკუმენტი, არამედ გარკვეული სტილით გამორჩეული წარმონაქმნი და ამდენად ლიტერატურული ნაწარმოებიც. შესაბამისად წერილის ფორმით იქმნებოდა რომანები, ლექსები, ფილოსოფიური ტრაქტატები, პამფლეტები.

ეპისტოლური ლიტერატურის ძირითადი მხატვრული ჟანრებია გალექსილი და პროზაული გზავნილები. ლექსი-ეპისტოლე წარმოშობილია რომაელი პოეტების ჰორაციუსისა და ოვიდიუსის ეპისტოლეებისაგან. ჰორაციუსის ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაწილი მისი „ეპისტოლეებია“, რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი ამ ჟანრის დახვეწა-ჩამიყალიბებას. ოვიდიუსის ეპისტოლეები ცნობილია როგორც ჰეროიკული, საგმირო. მან შექმნა „ჰეროიდები“ ანუ „მითოლოგიური გმირი ქალების წერილები სატრფოებისა ან ქმრებისადმი“.

ჰორაციუსისა და ოვიდიუსისაგან მომდინარე ფორმები პოპულარული იყო ანტიკური ხანიდან მე-19 საუკუნემდე (ასეთი ხასიათის ლექსები აქვთ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას) და უფრო მოგვიანებითაც (გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ლადო ასათიანს, კოლაუ ნადირაძეს). აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პოეტები ხშირად მიმართავენ ლექსის ეპისტოლურ ფორმას.

XVIII საუკუნეში განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს წერილების ფორმით დაწერილი რომანი. ეპისტოლურ–რომანული თხზულებები პერსონაჟების მიერ ერთმანეთისადმი მიწერილ წერილებს შეიცავს. ეპისტოლური რომანის ფუძემდებელია ინგლისელი მწერალი სემიუელ რიჩარდსონი. მისი მნიშვნელოვანი რომანები „კამელა ანუ დაჯილდოებული სათნოება“ და „კლარისა ანუ ახალგაზრდა ქალბატონის ამბავი“ ეპისტოლური ფორმით დაწერილი დრამატული ნაწარმოებებია.

XVIII საუკუნის გერმანული ლიტერატურაც გამოირჩევა წერილის ჟანრით. მიმოწერის შესანიშნავი მაგალითებია ლესინგის, მერკის, შილერის, გოეთეს და სხვათა წერილები.

ეპისტოლური ფორმით დაწერილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ღირსეული ადგილი უკავია ფრანგულ მწერლობაშიც. მნიშვნელოვანია ჟან ჟაკ რუსოს რომანი „ჟიული ანუ ახალი ელოიზა“ – ალპების ძირში მდებარე ქალაქის მცხოვრები ორი შეყვარებულის წერილები. ფრანგული წერილების ცნობილი ავტორები არიან ასევე პასკალი, ვოლტერი, დიდრო, ნაპოლეონი, ჟოზეფინა და სხვები.

რუსული ლიტერატურიდან მნიშვნელოვანია ეპისტოლური ფორმით დაწერილი შემდეგი ნაწარმოებები: ნ. კარამზინის „რუსი მოგზაურის წერილები“, ფ. დოსტოევსკის „საბრალო ადამიანები“, ა.პუშკინის „რომანი წერილებში“, მისივე „კაპიტნის ქალიშვილი“, რომელიც მთლიანად აგებულია პეტრე გრინიოვის პირად ბარათებზე. ამ მოთხრობაში ა. პუშკინი შეეხო ისტორიულ, ფსიქოლოგიურ, ყოფით, საზოგადოებრივ მოვლენებს და ასევე თავისი გმირების პირად განცდებს. სწორედ წერილები დაეხმარა მას გადმოეცა ყოველივე ის, რისი თქმაც სურდა ავტორს.

ქართული ეპისტოლური ჟანრიც მომდინარეობს უძველესი დროიდან. ეპისტოლეს ნიმუშებია ჩართული ძველი ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებში, როგორცაა: „აბო თბილელის მარტვილობა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა. ეპისტოლის ქართული შესატყვისები ჩვენს ისტორიულ წყაროებში, ფოლკლორსა და მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში „წიგნის“ სახით მოიხსენიება. მაგალითად: „წიგნი



ქებისა და ნუგეშისცემისა”, „წიგნი სიყვარულისა”, „წიგნი ლოცვისა და კურთხევისა”, „წიგნი გლოვისა” და სხვ.

წერილის ფორმისთვის დოკუმენტურობის გარდა დამახასიათებელია გულწრფელობა, უშუალობა, მიმნდობი ტონი. მას ძალუმს სიყვარულისა და სიძულვილის აღწერა, მოვალეობისა და ღირსების განსჯა. ამიტომაც, რომ მწერლები ამ ჟანრს იყენებენ თავიანთ შემოქმედებაში.

ეპისტოლური ნაწერები შემოქმედთა ბიოგრაფიის შექმნის ერთ-ერთი წყაროა. ეპისტოლური მემკვიდრეობით ვეცნობით როგორც ავტორების, ასევე მათი თანამედროვე ადამიანების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს. ეს ჟანრი გვაცნობს ავტორის ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ-საზოგადოებრივ მდგომარეობას.

მხატვრულ ლიტერატურაში გმირების მიერ დაწერილი წერილები ხასიათდება უბრალო, სასაუბრო ენით და დატვირთულია ემოციურად.

### III თავი

#### **გამოჩენილ ადამიანთა წერილები, როგორც ზოგადსაკაცობრიო მემკვიდრეობა**

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შევჩერდებით ელიტარული ადრესანტის (გამოჩენილი მწერლის, მეცნიერის, კომპოზიტორის და ა.შ.) გამოქვეყნებულ წერილებზე. მათი ადრესატი შეიძლება იყოს ავტორის ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი, ნაცნობი, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ოფიციალური პირი. თვით გამოქვეყნების ფაქტი თავისთავად ადასტურებს ამ სახის წერილების მნიშვნელობას თანადროული საზოგადოების ისტორიისა და კულტურისათვის. ამ შემთხვევაში კომუნიკაციაში ერთვება კიდევ ერთი პიროვნება, რომელსაც შესაძლებელია პირობითად „გარეადრესატი“ ვუწოდოთ. ესაა მკითხველი. სწორედ ჩვენ, დღევანდელი მკითხველი,

გამოქვეყნებული წერილებით ვეცნობით განვლილ ეპოქას, რომლისგანაც წლები, ზოგჯერ კი საუკუნეებიც გვაშორებს. დიდია ამ წერილების მნიშვნელობა, რომლებიც დიდმა ადამიანებმა დაგვიტოვეს. მათში აისახება არა მხოლოდ ამ ადამიანთა ყოფისა და სულიერი ცხოვრების კატაკლიზმები, შემეცნება-შეცნობის ურთულესი გზა, წარმოდგენები აწმყოსა და მომავალზე, ზნეობრივი თუ საზოგადოებრივი პოზიცია, მათი ენა, არამედ მათში ცოცხლდება თვით ეპოქა. ეს წერილები გარდასულ დღეთა უშუალო მოწმენია, მათი მატიანეა. ეპოქის შეგრძნება გასდევს თითოეულ მათგანს მუდმივ ფონად, თვით ავტორის მცდელობისაგან დამოუკიდებლად.

რომაელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე პლინიუს უმცროსი ითვლება არამხატვრული ეპისტოლური ჟანრის ფუძემდებლად. 97-109 წლებში, სხვადასხვა პირებისადმი მის მიერ მიძღვნილი საკუთარი წერილების კრებული ცხრა წიგნს შეადგენდა. მნიშვნელოვანია ასევე ეპიკურეს, ციცერონის, ჰორაციუსის (ლექსად გზავნილი იქცა განსაკუთრებულ პოეტურ ჟანრად), სენეკას, პავლე მოციქულისა და სხვათა წერილები, რომლებიც ადრეული ეპისტოლური ლიტერატურის ნიმუშებია.

განმანათლებლობის ეპოქას, XVII-XVIII საუკუნეებს, ეპისტოლური პროზის „ოქროს საუკუნეებსაც“ კი უწოდებენ (Елистратова, 1973, 310). ამ საუკუნეებში, წერილების წერა ჩვეულ საქმიანობად იქცა. დაწესდა საფოსტო შეტყობინებები. განახლდა ძველად არსებული „საწერილები“ (წერილების საცავები), (liber epistolaris) – ერთგვარი „თვითმასწავლებლები“, რომლებიც შეიცავდა სხვადასხვა თემაზე დაწერილი წერილების ნიმუშებს, მაგრამ ეპისტოლური ჟანრის მთელი სილამაზე და თავისებურება მაინც გამომჟღავნდა მე-19 საუკუნეში. მსოფლიოში არ დაწერილა ისეთი ამაღლებული წერილები, როგორც ამ პერიოდში. „XIX საუკუნე ეს – საზოგადოდ მაღალი ეპისტოლური კულტურის და განსაკუთრებით მწერალთა წერილების საუკუნეა“ (Позанова, 1965, 5).

ამ ეპოქის დასავლეთ ევროპაში ეპისტოლური ჟანრის ოსტატთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გუსტავ ფლობერს. ფლობერისეული წერილების ნაკრები თითქმის ათასზე მეტია, რომლებიც, შეიძლება ითქვას, უფრო ცნობილია, ვიდრე მისი რომანები.

არ კარგავს მნიშვნელობას თომას მანის წერილები.

კლასიკურად ითვლება ასევე ბაირონის, სკოტის, ბრონტეს, ჟორჟ-სანდის, მერიმეს, კიტსის და სხვათა წერილები.

ეპისტოლური პროზის დამახასიათებელი ნაწარმოებებია „იენის რომანტიკოსების“ – ა. შლეგელის, ფ. ნოვალისის, ფ. შელინგის და სხვათა წერილები.

საინტერესოა ჩარლზ ჩაპლინის წერილი თავისი ქალიშვილის – ჯერალდინასადმი და ამერიკელი მწერლის სკოტ ფიცჯერალდის ბარათები პატარა სკოტისადმი.

როგორც მსოფლიო, ასევე ქართულმა ეპისტოლურმა ჟანრმა, განვითარების მაღალ საფეხურს XIX საუკუნეში მიაღწია.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ პრესაში იბეჭდება ჩვენი მწერლების პირადი ბარათები. 1873 წელს ილია ჭავჭავაძემ სათავე დაუდო პრესაში ეპისტოლური მწერლობის ნიმუშების გამოქვეყნების ტრადიციას, როცა მან ჟურნალ „კრებულში“ (№1, გვ. 99-113) დაბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის 4 წერილი მიძღვნილი მაიკო ორბელიანისადმი. 1872 წლის 9 დეკემბერს ილია ჭავჭავაძის მიერ კირილე ლორთქიფანიძესთან გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორ კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ, მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს“. ასეთია ილიას მოსაზრება პირადი წერილის პუბლიკაციის შესახებ. ამ წერილების გამოქვეყნებით მკითხველთა „ინტერესი გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ ჩვენში ეს ლიტერატურულ-ეპისტოლარული მასალის გამოქვეყნების პირველი შემთხვევა იყო, არამედ იმითაც, რომ წერილები შუქს ჰფენდა პოეტის რომანტიკულ სულიერ სამყაროს და, რაც მთავარია, მისი მხატვრული შემოქმედების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა“ (კალანდაძე, 1986, 248).

XX საუკუნე არანაკლებ მდიდარია ამ სახის ნიმუშებით, რომელთა გარემოც შეუძლებელია, მკვლევარმა სრულად წარმოაჩინოს ამ საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. დიდი ინტერესით იკითხება ალექსანდრე ყაზბეგის დედისადმი მიძღვნილი წერილები. მისივე ბარათები იონა

მეუნარგიასადმი, ილია ჭავჭავაძისადმი, ფასეულია აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, პავლე ინგოროყვას, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე მაჩაბლის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ტერენტი გრანელის, ვასილ ბარნოვის, გალაკტიონის, ალექსანდრე საჯაიას, გურამ რჩეულიშვილის და სხვათა და სხვათა ეპისტოლური ნაწერები ახლობლებისა და გამოჩენილი ადამიანებისადმი. ამ ეპისტოლეებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მწერლების შემოქმედების კვლევისა და თავად მკითხველის მათ პიროვნებებთან უფრო მეტი სიახლოვისათვის.

დღემდე შემონახულია ცნობილი ადამიანების – ივანე ჯავახიშვილისა და ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის, დიმიტრი ხოშტარიასა (დუტუ მეგრელის) და ანასტასია ხოშტარიას, კონსტანტინე გამსახურდიასა და რებეკა ვაშაძის, ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის, გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავასა და სხვა გამოჩენილი წყვილების სასიყვარულო ბარათები.

დიდი ადამიანები თავიანთ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ახლო ნათესავების, მეგობრების, სატრფოების თუ გამოჩენილი პიროვნებებისადმი უაღრესად გულახდილები არიან. ეს წერილები უმდიდრეს მასალას გვთავაზობს მათ ესთეტიკურ იდეალებზე, პიროვნულ თვისებებსა და სამყაროს მათეულ აღქმაზე.

გამოჩენილი ადამიანების წერილებს ახასიათებს ელიტარული სამეტყველო კულტურა, ენობრივი გემოვნება, ფრაზის წყობის უბრალოება, მეტყველების ქცევის თვითკონტროლი. ამიტომაც, რომ მეგობრული მიმოწერა ეპოქის თავისებური დოკუმენტია და აქვს ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა.

ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი პავლე ინგოროყვას, აკაკი გაწერელიას, სოლომონ ცაიშვილს, გიორგი ლეონიძეს, სოლომონ ხუციშვილს და სხვებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მიერ „ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსის“ სერიით 58-წიგნად დაიბეჭდა XV-XVIII საუკუნეების ეპისტოლური ნიმუშები.

სხვადასხვა წლებში გამოცემულია ქართველ მწერალთა თხზულებები, რომლებშიც შესულია მათი პირადი წერილებიც: ალექსანდრე ჭავჭავაძის (1986), სოლომონ დოდაშვილის (1961, 1989) და სხვ.

ცალკეა გამოცემული ქართველ მწერალთა წერილები: სოლომონ დოდაშვილის (1945), გრიგოლ ორბელიანის (ტომი I, 1936, ტომი II 1937) და სხვ.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის კრებულში „ლიტერატურული მატიანე“ და საქართველოს საარქივო სამმართველოს კრებულში „საისტორიო მოამბე“ ხშირად იბეჭდება ნიმუშები ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან.

მონოგრაფიის მომზადების დროს დიდი დახმარება გაგვიწია 1968 წელს პავლე ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებულმა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა კრებულმა, რომელშიც შესულია პოეტის 17 წერილი და ერთი წერილი – მიძღვნა (თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, სარედაქციო კოლეგია: გრიგოლ აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, დევი სტურუა, ვახტანგ ჭელიძე). წიგნს ერთვის გიორგი ლეონიძის კომენტარები.

წიგნზე მუშაობისას მოგვისწრო ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრის სამეცნიერო პროექტის – „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ – ფარგლებში ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურმა გამოცემამ – „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“. წიგნებს ერთვის სრულყოფილი სამეცნიერო აპარატი: პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები, საძიებლები, ლექსიკონი და ლინგვისტური გამოკვლევა.

რა თქმა უნდა, სხვისი წერილების კითხვა მიუღებელია, მაგრამ ისინი მაინც ქვეყნდება, რადგან დიდი ადამიანების წერილები განიხილება და შეისწავლება. კორესპონდენტები ამ წერილებზე მუშაობისას მათ უყენებენ იმავე მოთხოვნებს, რასაც მხატვრულ ნაწარმოებებს და ეს წერილები ხშირად იბეჭდება თხზულებთან ერთად.

## IV თავი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტი ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის და სხვათა მრავალრიცხოვანი წერილები. რა თქმა უნდა, რაც უფრო უხვია აღნიშნული მასალა, მით მეტი საშუალებაა ამ დოკუმენტური დანატოვარის ჭეშმარიტების დასადგენად.

მიუხედავად ნიკოლოზ ბარათაშვილის მცირე ეპისტოლური მემკვიდრეობისა, რაც განაპირობა სხვადასხვა გარემოებამ (მისი ხანმოკლე სიცოცხლე, პოეტის ნაწერების დაკარგვა...), მისი პირადი ბარათები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მგოსნის შემოქმედებაში. მეგობრული მიმოწერა – მეგობრული ურთიერთობის განუყოფელი ნაწილი – რომანტიკოსი პოეტისათვის იყო მუდმივი მოთხოვნილება. ეპისტოლური ნაწერები ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის იყო ურთიერთობის, პრობლემების გაზიარებისა და თავისი თავის შეცნობის საშუალება. სწორედ ამით არის განპირობებული პოეტის წერილების ხასიათი.

მართალია, წერილი არ იძლევა ადამიანის ცხოვრების ამომწურავ სურათს, მაგრამ იგი, როგორც დოკუმენტური მასალა, წარმოადგენს ერთ-ერთ ბიოგრაფიულ წყაროს. ამავე დროს, ის უძვირფასესი მასალაა ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად. „როდესაც განთქმული ან ისტორიული ფიგურა ფსიქობიოგრაფიის საგანი ხდება, მკვლევარმა შეიძლება გამოქვეყნებულ შრომებს, დღიურებს და წერილებს მიმართოს, როგორც სანდო მონაცემების წყაროებს“ (გერიგი, ზიმბარდო, 2009, 577). მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისეული ცნობების აღწერასა და ახსნას მისი თანამედროვეთა მოგონებანი გვაწვდიან, მაგრამ მწერლის კერძო წერილებს კიდევ

უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის. „ხანდახან ნ. ბარათაშვილის წერილები მისივე ლექსების ვრცელ პროზაულ კომენტარს წარმოადგენს“ (გაწერელია, 1978, 136). პოეტის ზოგი წერილი კი შეიცავს ცნობებს მისი ნაწარმოებების შექმნის გარემოებაზე. „ბარათაშვილის ყველა ლექსი პირადი აღსარებაა. ისინი პოეტურ დღიურის ხასიათს ატარებენ. გვაოცებს პოეტის კერძო წერილების მსგავსება მის ლექსებთან. ბარათაშვილის კერძო წერილებში თითქმის ყველა მისი ლექსის ძირითადი შინაარსი და მოტივები არის მოცემული“ (ქუთელია, 1945, 4).

საზოგადოდ, რომანტიკოსების შემოქმედებაში ავტორის პიროვნული განცდები მკვეთრად არის წარმოჩენილი. ამიტაც არის ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები ახლოს მის შემოქმედებასთან.

პოეტის სახე ეპისტოლურ ნაწერებში არაერთგვაროვანია: მათში წარმოჩენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების სხვადასხვა სიტუაცია. მგოსნის პირად წერილებში ცხადად იგრძნობა იმდროინდელი მოვლენების გავლენა და მწერლის მსოფლმხედველობა. პოეტი წერილებში ახდენს თავისი განცდების დემონსტრირებას. რომანტიკოსის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ვიგებთ, თუ როგორ რეაგირებდა პოეტი შინაგან თუ გარეგან ფაქტორებზე. თავის მხატვრულ შემოქმედებაშიც მგოსანი თანამედროვეებს ახსენებდა ძველი თაობის ღვაწლს ქვეყნის წინაშე.

პოეტის ბარათები უპირველესად პირადული ხასიათისაა; ამავე დროს მათში ასახულია ამ პერიოდის ინტელიგენციის განწყობილება. მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმოწერიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა, მაგრამ პოეტის პირადი ბარათები წარმოადგენს მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტს, იმდროინდელი ეპოქის მნიშვნელოვან დოკუმენტს.

პოეტი ადრესატებს უზიარებს თავის სანუკვარ ჩანაფიქრებს, პირადულ განცდებსა და სულიერ მღელვარებას, თავის დამოკიდებულებას ცხოვრებასა და მიმდინარე მოვლენებზე. ასევე გამოხატავს ნაციონალურ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. „ჩვენში ნიკ. ბარათაშვილმა, პირველმა და, მგონი, ერთადერთმა, აიყვანა

ეპისტოლური ჟანრი მხატვრული ლიტერატურის უმაღლეს რანგში, მისი პირადი წერილები არა მხოლოდ შუქს ფენს ავტორის რომანტიკულ სულიერ სამყაროს, არამედ გვაოცებს გრძნობისა და აზრის სიღრმით, პოეტური სრულყოფილებით, მოტივისა და განწყობილების თანხვედრით“ (კალანდაძე, 1986,265).

დღესდღეობით, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეპისტოლური ჟანრი აქტუალურია (რამდენიმე სადოქტორო ნაშრომი შეეხო ამ საკითხებს. ასევე, პროექტის „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის“ ფარგლებში, გამოიცა 10 ტომი და სხვ.). თუმცა, მიგვაჩნია, რომ პოეტის პირადი წერილების კვლევა აქტუალობას არ კარგავს და წარმოადგენს მწერლის შემოქმედების შესწავლის ერთ-ერთ გასაღებს.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ ეპისტოლური მემკვიდრეობის სახეები და მათი კვლევის ისტორია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური ნაწერების შესწავლა, გაანალიზება, სისტემაში მოყვანა, პოეტის პირადი ბარათების თავისებურებათა განსაზღვრა და მათი მიმართება სოცო-კულტურულ ვითარებასთან; ასევე, შევისწავლოთ და გამოვავლინოთ მგოსნის პიროვნების მთავარი, არსებითი მხარეები და პოეტის განცდების გამომწვევი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მისი სოციალური ქცევა. ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების ბუნების გასაგებად უნდა შევისწავლოთ მისი მოთხოვნილებებისა და მიზნებისათვის ბრძოლის ხასიათი.

წინამდებარე წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თემით დაინტერესებული პირების მიერ ისტორიული თუ ლიტერატურული პროცესების გასაანალიზებლად.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა მოიცავს 1831-1845 წლებს. პოეტის ბევრი წერილი არ შემონახულა. ამიტომ ძნელია ჩვენამდე მოუღწეველი მისი წერილების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, რადგანაც დაკარგულად ითვლება მის მიერ სხვადასხვა ადრესატისადმი გაგზავნილი წერილები.

პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობა თვრამეტი წერილისაგან შედგება. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ადრესატები სულ ექვსნი არიან. გრიგოლ ორბელიანი (8), მიხეილ თუმანიშვილი (1), ზაქარია ორბელიანი (3), მაიკო ორბელიანი (4), ბაბაღე



საგინაშვილი (1), ალექსანდრე საგინაშვილი (1). ყველა მათგანი პოეტის ახლო ნათესავი და მეგობარია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის ზოგი ბარათი დაწერილია მხოლოდ ქართულად, ორი – რუსულად. რამდენიმე ქართულ წერილში შერეულია რუსული წინადადებები და სიტყვები. იმ წერილებში კი, რომლებიც შესრულებულია რუსულად, ჩართულია ქართული წინადადებები. მაიკო ორბელიანისა და ბაბაღე საგინაშვილისადმი მიძღვნილ წერილებში არც ერთი რუსული წინადადება თუ სატყვა არ ურევია. რუსული ფრაზები უფრო ჩართულია გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში. მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილი ეპისტოლე რუსულადაა დაწერილი. ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები კი – რუსულ-ქართულად.

რუსულად დაწერილი წერილები შესრულებულია XIX საუკუნის რუსული სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, 2011, 339). ისინი წარმოადგენენ ეპოქის ერთ-ერთ ნიშანს.

წერილები დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურულ მუზეუმსა და ცენტრალურ არქივში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები გამოქვეყნებულია მის პოეტურ ნაწარმოებებთან ერთად. მათ, როგორც დოკუმენტურ მასალას, გააჩნია ბიოგრაფიული, ლიტერატურულ-ისტორიული ინტერესი. მკვლევრებმა, არა მარტო თავი მოუყარეს და გამოსცეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური ნაწერები, არამედ ისინი წარმოგვიდგინეს როგორც პოეტის შემოქმედების კვლევის ფასეული მასალა.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ამ მასალის შესწავლას მნიშვნელოვნად ართულებს ორი გარემოება:

1. ჩვენამდე მოღწეულ წერილებს შორის არ არის არც ერთი სრული საკომუნიკაციო ერთეული – ანუ „ავტორის წერილი + საპასუხო წერილი“. ამდენად საქმე გვაქვს ცალმხრივ კომუნიკაციასთან;

2. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა განისაზღვრება ავტორის წერილების რაოდენობითა და მათი თანამიმდევრობით. რაც შეეხება ამ კომუნიკაციური ოდენობის სისრულეს, აქაც გარკვეული ხარვეზებია. ძირითადი კი ისაა, რომ არ არსებობს პასუხი შეკითხვაზე: შემონახულ წერილებს შორის გასული დროის მონაკვეთში თუ არსებობდა სხვა, ამჟამად დაკარგული ეგზემპლარები.

მართალია, პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობა მეტად მწირია, მაგრამ, ვფიქრობთ, ამან ხელი არ შეგვიშალა, მოგვეხდინა მათი შინაარსობრივ-თემატიკური სისტემატიზაცია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად ბარათებს ახასიათებს თხრობის ბუნებრიობა და ისტორიულად განსაზღვრული სტრუქტურა, წერილების შეთხზვა ეპისტოლური ტრადიციების გათვალისწინებით.

როგორც აღნიშნული გვაქვს, კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ირგვლივ არ ყოფილა გაშლილი ყოველმხრივ სრული კვლევა-ძიებითი დაკვირვებანი, თუმცა მათ ნაშრომებში გარკვეული მოსაზრების შესამაგრებლად ხშირად ვხვდებით ამონარიდებს პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან.

მონოგრაფიაში დასმული საკითხების კვლევისას ვითვალისწინებდით ფილოლოგ-მეცნიერთა გამოთქმულ მოსაზრებებს.

## V თავი

### ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელობა ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების ჩამოყალიბების ასპექტების კვლევაში

#### §1. ოჯახის გავლენა

პიროვნება ყველაზე სრულქმნილი, მაგრამ ამავდროულად ყველაზე რთული ფენომენია სამყაროში. მართალია, მასში ბევრი რამ არის წინასწარ კოდირებული გენეტიკური მემკვიდრეობითა და ეროვნული ცნობიერებით, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ყოველივე ამასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გარემოც.

სიტყვა „გარემო“ ამოუწურავია თავისი რეალური, ანუ ხილული და ადვილად აღქმადი ასპექტებით. გასათვალისწინებელია, რეალობის კიდევ რამდენი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი შრე შედის მის შინაარსში.

ამჯერად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, გვინტერესებს ოჯახური გარემოს როლი გენიალური რომანტიკოსის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – პიროვნების ჩამოყალიბებაში.

პასუხია გასაცემი კითხვაზე: რამ განაპირობა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ადამიანი გამხდარიყო?

პოეტის განსაკუთრებული რთული პიროვნული პრობლემები ბავშობიდან იწყება. მისი პირადი ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი იყო ოჯახის მატერიალური სიდუხჭირე და ის თავისებური მოუწესრიგებელი გარემო, სადაც იზრდებოდა მომავალი მგოსანი.

ცნობილია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გარემოში იზრდება ბავშვი და როგორ ხალხთან აქვს მას ურთიერთობა; როგორია გარშემო მყოფი ადამიანების დამოკიდებულება მის მიმართ. ყოველივე ამას გადამწყვეტი როლი ენიჭება ადამიანის ცხოვრებაში და ხშირად – საბედისწეროც. ცხოვრებისეული

ბედნიერებისთვის უდიდესია მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების კეთილისმყოფელი გავლენა.

პიროვნების განვითარება მისი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება და დამოკიდებულია გარეგან და შინაგან დეტერმინანტებზე. ინდივიდის ზრდის პროცესში ოჯახური გარემოს განმსაზღვრელ როლზე მითითებას ხშირად ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე, მაგალითად: „ოჯახური გარემოს ზეგავლენაც ასევე საგრძნობლად აისახება ინდივიდის განვითარებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშობელთა მრწამსს, მიზნებსა და ქცევის ფორმებს. მშობლები მიბადვის მოდელის როლს ასრულებენ და საკუთარი ქცევების საშუალებით ზეგავლენას ახდენენ შვილებზე და ეს გავლენა მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვებათ მათ” (ხეჩუაშვილი, 2008, 22). ამავე აზრს ავითარებს ცნობილი თურქი მოაზროვნე, მწერალი ფეთჰულაჰ გიულენი: „ადამიანის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი მიუძღვის ოჯახს. ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის საჭიროა კარგი და მყარი ოჯახის არსებობა. როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს სკოლასა და გარემოში მიღებული ცოდნა და განათლება, ოჯახში მიღებულ აღზრდაზე უფრო მყარი და ეფექტური ვერასოდეს იქნება” (მაკარაძე, 2010, 1).

ოჯახის წევრებთან ცხოვრებით ბავშვი სწავლობს ადამიანებთან ურთიერთობას, ანუ ადამიანზე ოჯახი ახდენს მასოციალიზირებელ გავლენას. „სწორედ ოჯახში ხდება მისი პიროვნების ჩამოყალიბება, იმ ღირებულებათა და ნორმების ინტერიორიზაცია, რომლებითაც ის შესაძლოა მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელმძღვანელობდეს. ოჯახში ხდება მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ღირებულებების, ნორმებისა და მახასიათებლების შექმნა, რომლებიც მას ხშირ შემთხვევაში სიცოცხლის ბოლომდე თან სდევს. ბავშვის ადაპტაციას სოციალურ გარემოსთან და მის სოციალურ კომპეტენტურობას, ძირითადად, ოჯახი და ოჯახში ცხოვრება განაპირობებს” (ფირცხალავა, 2008, 4).

ოჯახი იგივე სოციალური ჯგუფია, რომლისთვისაც აუცილებელია ოჯახის წევრთა ურთიერთსიყვარული და პატივისცემა, საერთო ინტერესები და ღირებულებები, უკონფლიქტობა, საზოგადოებრივი ნორმებისა და წესების დაცვა. ოჯახური ურთი-

ერთობებისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთმზრუნველობა, ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერა, ემოციური სიახლოვე, ოჯახის ღირსების დაცვა, ერთმანეთის ნდობა და სხვა. მეგობრული, მშვიდი, კულტურული, მორალურად და ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული ოჯახი მისი ყველა წევრისთვის ბედნიერების საფუძველია. ოჯახის წევრები ერთმანეთს სიყვარულითა და პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ. მათი საქციელი განსაზღვრავს შვილების ურთიერთობის მაღალ დონეს და მომავალში ისინიც ეცდებიან საკუთარ ოჯახებში ჰქონდეთ სათნო და თავაზიანი დამოკიდებულება. ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მშობლების ურთიერთობას, არამედ დამოკიდებულებას დედასა და შვილებს, მამასა და შვილებს შორისაც. კეთილგანწყობილ ოჯახში ხდება პიროვნების ზნეობრივი ნორმებისა და მისი პიროვნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ჩამოყალიბება.

მაღალი არისტოკრატიული წარმომავლობის, ერეკლე მეორის შვილთაშვილისა და ზურაბ ორბელიანის ასულის, ეფემიასა, და ასევე მეფის შთამომავლის, თავად მელიტონ ბარათაშვილის შვილი, გრიგოლ ორბელიანის დისშვილი – ნიკოლოზ ბარათაშვილი – იზრდებოდა წარჩინებული საზოგადოების მაღალი ტრადიციებით. პოეტის ოჯახი იყო მრავალწევრიან-მრავალშვილიანი, ინტელექტუალური, მაგრამ, ამავე დროს, კონფლიქტური. გარეგნულად ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახს წუნს ვერ დავდებთ. პოეტის მამა მელიტონი, წარმომავლობით დიდი თავადი, ნიჭიერი და მცოდნე კაცი ყოფილა, „ზედმიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა“ (მამაცაშვილი). კარგი ქართულის გარდა, სცოდნია რუსული და სომხური ენები. რუსული ენის ცოდნის წყალობით მელიტონს რუსული ხელისუფლების მმართველობის აპარატში თარჯიმნის ადგილი ჰქონდა. როგორც „შემარიგებელ“ თავად-აზნაურთა აზრის წარმომადგენელსა და ხელისუფლების ერთგულს, მას მაღლიერების ნიშნად რუსეთის დიპლომატები მრავალჯერ აჯილდოებდნენ სიგელებითა და სამხედრო ჩინებით. 1832 წელს კი, როცა ხელისუფლება მკაცრად უსწორდებოდა შეთქმულების მონაწილეებს, მელიტონს ებოძა მაიორობა და თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის მარშლობა.

განათლებულ, სტუმართმოყვარე, კეთილ ადამიანს – მელიტონ ბარათაშვილს – ამავე დროს ჰქონია ბევრი მძიმე თვისებაც: ყოფილა ფიცხი, მრისხანე, მყვირალა. მელიტონის ამ თვისებებზე იონა მეუნარგია იმოწმებს ივანე კერესელიძის ნაამბობს: „მელიტონი თავის სადგომში რომ გააბამდა ყვირილს ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდა, კანტორის პირდაპირ. მის გულფიცხოვისაგან მთელს მის სახლობას არა ერთხელ ცხარე ცრემლი უღვრია და მწარე პური უჭამია” (მეუნარგია, 2004, 235). „...მის ჯალაბს არა ერთხელ ცრემლით უჭამია ლუკმა” (გაწერელია, 1978, 112).

მელიტონს, რომელიც ოჯახს ხშირად ურღვევდა მყუდროებას, ნიკოლოზი „... ვერ ეთვისებოდა და ამიტომ არც ენატრებოდა მასთან ცხოვრება” (ნადირაძე, 1961, 18).

შვილებზე ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს მშობლებს შორის არსებული გაუგებრობა. ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდად განიცდიდა თურმე დედისადმი მამის მიერ მიყენებულ უსიამოვნებებს და ყოველთვის მისი დამცველი ყოფილა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ დასაჯა ასეთმა მრისხანე მამამ ტატო გიმნაზიაში გამართული კონცერტის აბუჩად ამგდებლებისადმი მიმართული სატირული ეპიგრამების გამო, რომლებშიც საუბარი ყოფილა ასევე 1832 წლის შეთქმულების გამცემლობაზე.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ნათელია, თუ რა მძიმე ოჯახური პირობები ჰქონდა ბავშვობიდან ნიკოლოზ ბარათაშვილს.

მამის უხასიათობა და მისი სიმკაცრე ადამიანს ბავშვობაში აშინებს, ხოლო სიყმაწვილეში გადასვლისას მის არსებაში, სხვა ცვლილებებთან ერთად, ხდება ამ შიშის მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დათრგუნვა (ამისი მაგალითია ფრანც კაფკას „წერილი მამას”). „თანდათანობით გამჭოლად ვხედავთ ყველაფერს, რაც მანამდე შიშით გვაკვებდა. თანდათან ვრწმუნდებით, რომ წკეპლის ძალაუფლებისა და მამის მკაცრი სახის მიღმა რაღაც უფრო ძლიერი რამ დგას – კერძოდ, ჩვენი ატარაკსია, დაუმორჩილებლობა, გამბედაობა, წინააღმდეგობის გაწევის უნარი, ჩვენი უპირატესობა, დაუმარცხებლობა. ამიერიდან შიშით აღარ გავურბივართ იმას, რაც ბავშვობაში მორჩილებასა და მოწიწებას გვინერგავდა და სიმამაცით ვივსებით. ყოველივეს მიღმა

ჩვენს გამბედაობასა და უპირატესობას ვპოულობთ. უფროსებისა და მშობლების მკაცრი ბრძანებების მიღმა დგას ჩვენი თამამი ნება და მოხერხება. რაც უფრო მეტად ვაცნობიერებთ საკუთარ თავს, მით უფრო სუსტად წარმოგვიდგება ის, რაც ადრე გადაულახავი გვეგონა” (ვასაძე, 2008, 92.)

ადამიანის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს მემკვიდრეობითობა. რა თქმა უნდა, მშობლის აგრესიულობა, როგორც ბიოლოგიური თავისებურება, შვილზედაც გადადის და ხასიათის ეს თვისება უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. თანაც, „ალტერნატიული ვარიანტია იმის დაშვება, რომ ყველა ადამიანში აგრესიულობა თანაბრადაა წარმოდგენილი და მისი გამომჟღავნების ხარისხი დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც ეს ადამიანები აღიზარდნენ” (გერიგი, 2009, 59).

მიუხედავად მამის ასეთი უხასიათობისა და მისი განსაკუთრებული სიმკაცრისა, „ნიკოლოზის პიროვნებაში უწინარეს ყოვლისა დედის კეთილშობილი ხასიათი განსახიერდა” (გაწერელია, 1978, 112). ქმრისაგან სრულიად განსხვავდებოდა მშვიდი, სათნო, მიმზიდველი, ადამიანური ღირსებებით შემკული ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა – ზურაბ ორბელიანის ასული, გრიგოლ ორბელიანის და ეფემია, „სამგზის კურთხეული დედა” (მეუნარგია, 2004, 235). იმსახურებდა კიდევ ვაჟიშვილის სიყვარულს. აქვე გვსურს, გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „ჩემს დას ეფემიას“, რომელიც პოეტმა უძღვნა თავის ძვირფას დას -

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,  
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჭკნარისა,  
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,  
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!  
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვების ვარსკვლავი,  
შენის ღიმილით შეჭმუხვნილი სახე მინათლე,  
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით,  
და გულ დაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე“...

უკვე ვთქვით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი იზრდებოდა მკაცრი მამისა და სათნო დედის გარემოში. როგორც მიუთითებენ პოეტის თანამედროვენი, მშვიდი და ალერსიანი დედისგან მას მემკვიდრეობით ერგო სიკეთე, კეთილშობილება. ასეთი მდიდარი ბუნების დედა დადებით გავლენას ახდენდა ოჯახურ გარემოზე, ანეიტრალებდა მამის აგრესიულობას. დედასაც რომ მელიტონის მსგავსი ხასიათი ჰქონოდა, ალბათ, ეს პოეტში აგრესიულ ქცევას გამოიწვევდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილზე დადებითად მოქმედებდა ასევე მისი ოჯახის სიახლოვე მანანა ორბელიანთან, იოსებ და გრიგოლ ორბელიანებთან, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან და სხვა იმდროინდელ წარჩინებულ საზოგადოებასთან. თბილისის მოწინავე ადამიანები, პოეტის ოჯახის ხშირი სტუმრები: მეითარ თარხნიშვილი, ერეკლე მეორის კარის მწერლის, პლატონ იოსელიანის მამა, ეგნატე იოსელიანი და სხვანი, დიდება ხორეშანთან და ბატონიშვილ თეკლესთან ერთად პატარა ნიკოლოზს უყვებოდნენ უახლესი და მდიდარი მშობლიური წარსულის ამბებს, რომლის მომსწრე და მონაწილე თვითონაც ყოფილან.

თითოეული ოჯახისათვის დამახასიათებელია უნიკალურობა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახს განსაკუთრებულობას ანიჭებდა ასეთი წარჩინებული ადამიანების სტუმრობა. თუმცა მამის მძიმე ხასიათი, მისი უზრუნველობა შვილის მიმართ აუცილებლად იწვევდა პოეტში დაუცველობის განცდასა და მის სულიერ დისკომფორტს.

მელიტონის გადამეტებულმა გულუხვმა მასპინძლობამ გააღარიბა ოჯახი. ვალების გამო მამულები გაყიდა. ოჯახი მხოლოდ პენსიითღა არსებობდა. მელიტონი არც თავისი შვილის სწავლა-განათლებაზე ფიქრობდა. ცნობილია ლევან მელიქიშვილისაგან გაგონილი იონა მეუნარგიას მიერ გადმოცემული ამბავი – სოლომონ დოდაშვილის გრამატიკა, რომლის შემქნაც თვითონ მასწავლებელმა დაავალა მოწაფეებს, ყველას აღმოაჩნდა კლასში, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდა. იმის შიშით, რომ ტატოს უწიგნობის გამო მასწავლებელი გაკვეთილზე აღარ შეუშვებდა, მამამ ნიკოლოზს წიგნი უყიდა. რა თქმა უნდა, უწიგნობა ხელს უშლის ადამიანის გონებრივ განვითარებას.



გადარიბებულმა მელიტონმა მეტეოროლოგიური დაკვირვების დროს ტატოს მიერ შემთხვევით გატეხილი ბარომეტრის ანაზღაურებაც კი ვერ შეძლო. არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობით კი ადამიანები ვერ ახერხებენ თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებას, ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტას და სხვ. „ეკონომიკური გაჭირვების პირობებში მცხოვრები ადამიანები ექვემდებარებიან გარკვეული ტიპის სტრესებს” (გერიგი, 2009, 428). ნიკოლოზ ბარათაშვილიც მთელი სიცოცხლე „ნაკლულევანებაში” იყო მამის უდარდელი ცხოვრებით ოჯახის გადარიბების გამო.

როგორც აღვნიშნეთ, ბავშვისთვის უპირველესია მშობლების აზრი. მათთან ურთიერთობა, როგორც ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბების ერთ-ერთი სოციალური ფაქტორი, ძალიან დიდ როლს თამაშობს მოზარდის პიროვნების ფორმირებაში. „სკოლამდე მთელი პასუხისმგებლობა ოჯახს ეკისრება, თუმცა სკოლის პერიოდში და შემდგომაც ეს ფუნქცია სრულებით არ კნინდება, პირიქით, კიდევ უფრო იზრდება“ (მაკარაძე, 2010, 1).

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი ოცნებობდა სამხედრო სამსახურზე. ამ დროს კავკასია და რუსეთი ლეკებთან იბრძოდა. კოჭლობის გამო სამხედრო კარიერაზე ოცნებაც აღარ შეიძლებოდა. ვალებში ჩაფლულ და გადარიბებულ ოჯახს მისი უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნის საშუალება არ ჰქონდა. 17 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოუვალი მდგომარეობის გამო დაემორჩილა თავის ბედს და, თავისი სურვილის წინააღმდეგ, მუშაობა დაიწყო მოხელედ „საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის” სამსახურში. 1837 წელს პოეტი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნინდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის, რომ „круг чиновников не выгоден для образования нравственности, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული“.

ოჯახი რომ ერჩინა, პოეტი უბრალო კანცელარისტად მუშაობდა 10 წლის განმავლობაში, საპყრობილესა და ჩინოვნიკების გარემოში, როცა მისი თანატოლები,

რომლებიც წოდებრივად და ნიჭითაც ნიკოლოზ ბარათაშვილზე დაბლა იდგნენ, თავიდანვე ბრწყინვალე კარიერას იწყებდნენ. „იგი ყველაფერს კარგს იმსახურებდა ყველა თანამედროვეზე მეტად“ (ჭილაძე, 2003, 4).

პოეტი მწვავედ განიცდის თავისი სურვილების აუსრულებლობას. იგი ამავე წერილში სწერს ბიძას: „აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინუდ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვხტი და კიდევ ვტანცაობ“ (ბარათაშვილი, 1968,169).

წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი გულისტკივილს გამოხატავს იმაზეც, რომ სწავლა ვერ გააგრძელა უნივერსიტეტში: „მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით“ (ბარათაშვილი, 1968,169).

შინაგან შესაძლებლობათა არარეალიზებამ პოეტი იძულებული გახადა, დამორჩილებოდა თავის ბედს, თუმცა კი ზოგჯერ მასთან ბრძოლას აპირებდა. ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს ადრესატს: „დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით

დავაპირებ ხვალმე მასთან შეხებას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება”(იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს არ ჰქონდა გრანდიოზული ოცნებები, რომლებიც შეიძლება არც ყოფილიყო დაკავშირებული რეალობასთან და გააჩნდა მეტად მოკრძალებული გატაცებები – უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, ან სამხედრო სამსახურში შესვლა, მისთვის ეს ოცნებებიც აღმოჩნდა უნაყოფო და მიუწვდომელი. პოეტის გატაცებების არარეალიზაცია გამოწვეული იყო არა მისი ინდივიდუალური თვისებების გამო, ვთქვათ პასიურობით, სიზარმაცით, არასაკმარისი ცოდნის გამო და სხვა ამდაგვარი ქცევით, არამედ ხელმოკლეობით და მამის უპასუხისმგებლობით. გაღარიბებული ოჯახი კი შვილის სწავლას ვერ უზრუნველყოფდა. მან დაიწყო ისეთი „პროფესიის“ ათვისება, რომელიც თავის ოცნებებთან შედარებით მეტად მწირი იყო და, პოეტის თვალსაზრისით, მეტად უინტერესო.

ოჯახი წარმოადგენს სისტემას, რომელშიც მის თითოეულ წევრს აქვს თავისი სოციალური როლი – მეუღლის, შვილის, მშობლის, შემომტანის და ა.შ. „ზოგიერთ ოჯახში ოჯახის ერთი წევრი იძულებულია, შეასრულოს ისეთი სოციალური როლი, რომელიც მისთვის ტრავმატულია, მაგრამ ფსიქოლოგიურად მომგებიანი (ღირებული) მისი ნათესავებისთვის“ (ფირცხალავა, 2008, 31).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახური როლი, როცა ის იძულებული იყო, მუშაობა დაეწყო კანცელარიის მოხელედ, რათა ოჯახი ერჩინა, მასზე ახდენდა ფსიქოტრავმულ გავლენას. „ბევრი, ძალიან ბევრი ახალგაზრდა იმ აზრით ოცნებობს, როდის დავეხმარები ჩემს ოჯახსო და, როცა ეს აზრი განუხორციელდება, სრულს კმაცოფილებას გრძნობს, მეტს აღარ ეძებს. ვინ ამბობს, ოჯახის დახმარება ფრიად კარგი საქმეა, მაგრამ ბარათაშვილი არ იყო იმგვარი მიმართულებისა და ბუნების კაცი, რომ მას თავისი ცხოვრების მიზანი ოჯახის საზღვრებით შემოეფარგლა“ (გომართელი, 1905, 8).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეულ პირად წერილებში, რომლებშიც პოეტი ხშირად ლაპარაკობს თავის გულისტკივილზე, არასოდეს ახსენებს მამის

აგრესიულ, დაუდევარ და უდარდელ ბუნებას. ადამიანები ერიდებიან ხოლმე თავისიანების ნაკლის გამოაშკარავებას და, ამდენად, ბოლომდე არც გულწრფელები არიან, – წერილებშიც კი. ამითაა გამოწვეული ამ საკითხში ნიკოლოზ ბარათაშვილის არაგულწრფელობაც. ადამიანები სრულ გულახდილობას დღიურებშიც კი არ იჩენენ, მითუმეტეს, რომ ესენი (დღიურები) ორიენტირებული არ არიან პასუხზე ადრესატისაგან და, რა თქმა უნდა, მათში უფრო დაცულია ავტორთა საიდუმლოება. თუმცა, ადამიანები „სირცხვილის“, „შიშის“ (ვინმეს არ ჩაუვარდეს მათი ნაწერები) და, შესაბამისად, გულწრფელობის ხარისხის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

„არც ეს შემისრულესო“, – სწერს პოეტი მშობლების შესახებ გრიგოლ ორბელიანს, მაგრამ იმას კი არ სწერს, რატომ ვერ, თუ არ შეუსრულეს მათ ნიკოლოზს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების წადილი, რა იყო უარის თქმის მიზეზი. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ნიკოლოზ ბარათაშვილი არ არის გულწრფელი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ პოეტი არ თვლის საჭიროდ გულახდილად ისაუბროს მამის უდარდელ, ზედმეტად ხელგაშლილ ცხოვრებაზე, რამაც ოჯახი უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა. ნიკოლოზ ბარათაშვილის არაგულწრფელობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ იგი უფროთხილდებოდა მამის ავტორიტეტს და ცდილობდა, იგი იმაზე უკეთესად გამოეჩინა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ყოველივე ამის მიუხედავად, ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც ფიქრობს მამის ჯანმრთელობაზე, აღარც უხსენებს მას თავის სურვილებს. იგი იძულებული გახდა, დაეთმო თავისი პიროვნული პრიორიტეტი და საკუთარ თავზე აელო ოჯახის რჩენის პასუხისმგებლობა. ხსენებული წერილიდან დავინახეთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი მსჯელობს თავის ბედზე, თავის მოწოდებაზე – სწავლის გაგრძელებასა და სამხედრო კარიერაზე, რომლებზედაც ამყარებდა იგი თავის იმედებს. მას ორივე აუხდენელი დარჩა, რამაც გამოიწვია პოეტის სულიერი დისკომფორტი. „იგი ესწრაფოდა განათლების მისაღებად ევროპაში გამგზავრებას, მაგრამ მის ნაცვლად კანცელარიაში წვრილ მოხელედ მუშაობა მიუსაჯეს. ეს მისთვის ნამდვილი საპყრობილე იყო, გადასახლება, საკუთარ ქვეყანაში და საკუთარ

ოჯახში ცხოვრების მიუხედავად. ეს იყო დასჯა იმ თავისუფალი აზროვნებისა და სიმართლის სიყვარულისათვის, რომელიც მან, ასე ახალგაზრდამ, გამოავლინა გიმნაზიაში სწავლის წლებშივე და რომელიც ასე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მის თანამედროვე ახალგაზრდებზე”(კაკაბაძე, 2004, 45).

როგორც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილს ცხოვრების ადრეული წლების სურვილები, ოცნებები განუხორციელებელი დარჩა. ასეთ დროს „... ინდივიდს სასოწარკვეთილება, განვლილი ცხოვრების ამოებისა და საკუთარი გამოუსადეგრობის შეგრძნება ეუფლება” (გერიგი, ზიმზარდო, 2009, 431). წარუმატებელი ადამიანები კი გარკვეულ დაღს ატარებენ საზოგადოებაში. ამ მძიმე დაღს ატარებდა დიდი საქმეებისთვის მოწოდებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც სულს უხუთავდა ჩინოვნიკური წრე. „ამაზე უარესს პირობებში არ ჩავარდნილა არასოდეს არავითარი ახალგაზრდა პოეტური ტალანტი... ბედმა-კი ამ ნიჭიერ ბავშვს ცხვირი კანცელარიაში შეაყოფინა, ტალანტი ხაფანგში მოუმწყვდია” (მეუნარგია, 2004, 243).

ოჯახისთვის მნიშვნელოვანია მისი წევრების როლები და ფუნქციები. „პარსონსის მიხედვით, ოჯახს აქვს ორი ფუნქცია: ინსტრუმენტული, რომელიც დაკავშირებულია გადარჩენასთან და ექსპრესიული, დაკავშირებული მორალური მდგომარეობის შენარჩუნებასთან“ (ფირცხალავა, 2008, 15). მამაკაცს მატერიალური უზრუნველყოფის, ხოლო ქალს მორალური, ემოციური მხარდაჭერისა და შვილების გაზრდის ფუნქცია ეკისრებათ. ადამიანის სოციალურ, პროფესიულ, ზოგიერთი სულიერი ფუნქციის (ბავშვის აღზრდა, განათლება) განხორციელების საფუძველია ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა. მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი მამა გონებაში დარჩა, როგორც უპასუხისმგებლო ადამიანი, რომელმაც უდარდელი ცხოვრებით გააღატაკა ოჯახი, რაც ჰქონდა, ისიც დაკარგა, სიღარიბე კი განათლების მიუღებლობის ერთ-ერთი პირობაა, მაგრამ პოეტის დედას ოჯახის, შვილის მიმართ ჰქონდა ემოციური მხარდაჭერა. კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებით, „ეფემია მეტად მოსიყვარულე ქალი იყო და ოჯახს მუდამ თავს დასტრიალებდა” (ინგოროყვა, 1968 22). დედის, ბებულის, ოჯახის სტუმრების მაღალმა ზნეობრივმა დონემ სასიკეთო გავლენა იქონია პოეტის

პიროვნების ჩამოყალიბებაში. ასეთმა ოჯახურმა გარემომ გაუჩინა მას სწავლის სურვილი, განათლების მიღების ინტერესი; ხასიათის ისეთი თვისებები, როგორცაა სიკეთე, ცნობისმოყვარეობა, შთაბეჭდილებიანობა, მეგობრებისადმი ერთგულება და სხვა სასიკეთო თვისებები. ბავშვის მიერ ოჯახში დანახული და აღქმული მოვლენები დიდ როლს ასრულებს მის ჩამოყალიბებაში. „შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ცხოვრებაში მის ქცევაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენის მომხდენი სწორედ მის ქვეცნობიერში დაღეჭილი მარაგია” (გიულენი, ციტირებულია მაკარადის სტატიაში, 1).

იმის შესახებ, რომ მშობლების ოჯახმა უარყოფითთან ერთად უდიდესი სასიკეთო ზნეობრივი გავლენა იქონია ბარათაშვილზე, ცნობებს გვაწვდიან პოეტის ბიოგრაფები, მეგობრები. მათ მიერ პოეტის პიროვნულ შეფასებას შევხებით ცალკე.

ჩვენი ინტერესის სფეროს ამჯერად შეადგენს აგრეთვე ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით განვიხილავთ პოეტის განწყობას მათდამი, ხოლო ოჯახის წევრთა მიერ მის შეფასებას განვიხილავთ ქვემოთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეული პირადი წერილების ადრესატი მისი ოჯახის არც ერთი წევრი არ არის. მაგრამ პოეტის ნაწერებიდან ჩანს, თუ როგორი გულითადი დამოკიდებულება ჰქონდა მას თითოეულის მიმართ. 1843 წლის 21 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრესატს მოკითხვას უთვლის თავისი ოჯახის წევრებისგან და მათ მოიხსენიებს საალერსო სახელებით: „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს”-ო (ბარათაშვილი, 1968, 184). იგულისხმებიან პოეტის დედა – ეფემია ორბელიანი, დები – ეკატერინე, ბაბალე (ბარბარე), ნინო და ორი წლის სოფიო, რომელსაც საალერსოდ აპლიპუტილას ეძახდნენ. 1844 წლის 10 მაისს კი ასევე ოჯახის წევრების საალერსო სახელებით მოიკითხავს პოეტი ზაქარია ორბელიანს: „მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს. – კატომ მოგიკითხა”(იქვე, 189).

პირადი წერილებიდან ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიხარული თავისი დის – კატოს – რევაზ ერისთავზე დანიშვნის გამო. 1844 წლის 23 მაისით დათარიღებულ

გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში იგი სწერს ადრესატს: „ვიცი გიამება, კ[ატო] დავნიშნეთ რ[ევაზ] ე[რისთავ]ზედ” (იქვე, 90). ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი მაღლიერებას გამოხატავს ზაქარია ორბელიანისა და გიორგი საგინაშვილის მიერ პატარძლისადმი მირთმეული საქორწილო საჩუქრების გამოც: „ზ[აქარ]იას და გ[იორგ]ის კარგი საქორწილო გამოუგზავნიათო“, – სწერს პოეტი გრ. ორბელიანს.

ხოლო კატოს ქორწილიდან ერთი თვის შემდეგ, 1844 წლის აგვისტოს, ზაქარია ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი დაწვრილებით აღწერს კატოს ქორწილს და კმაყოფილებას გამოთქვამს მისი არჩევანის გამო. იგი სწერს: „ზაქარია, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია. – ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა. – ამასთან რევაზ ზედ აკვდება, ლევანისა ხომ სულია კატო, და დავით ხომ იმის ნებივრობაშია. – მე ეს მეამა, რომ მტერი ვერ გაიხარე[ბ]ს” (იქვე, 192).

ამ წერილში საყურადღებოა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: „სანატრელი ოჯახი”, „სიმდიდრე სახლისა და უვალობა”. რაც თვითონ აკლდა პოეტს, იმას უსვამს ხაზს.

ზემოთ მოტანილი წერილებიდან ამონარიდები დედაშვილობის, დედმამიშვილობის უფაქიზეს გრძნობათა გამომხატველია.

ჩვენ გავეცანით იმ გარემო (ოჯახურ) პირობებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოეტზე ბავშვობის ასაკში და, რა თქმა უნდა, მისი ცხოვრების ჩამოყალიბებაზე. ხოლო იმის განსაზღვრა, თუ, კერძოდ, რა სახის გარემო პირობამ (მამის უხასიათობამ, მისმა უზრუნველობამ, ოჯახის სიღარიბემ, პოეტის ფიზიკურმა ნაკლმა – კოჭლობამ) მოახდინა უფრო დიდი გავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილზე, საკმაოდ რთულია.

ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი შეხედულება პოეტის ოჯახური გარემოს შესახებ, რომელიც წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემო ფაქტორს. ვნახეთ, თუ როგორ იმოქმედა ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახურმა გარემომ მისი ცხოვრების გარკვეულ ასპექტებზე. პოეტს რომ ჰქონოდა მშვიდი და ეკონომიკურად ძლიერი მდგომარეობა, თავისი ცხოვრების ზოგ

პრობლემას მაინც წარმატებით გაუმკლავდებოდა. „წარუმატებლობა კი, შესაბამისად, საკუთარ თავზე, როგორც არამყარი ბირთვის მქონე პიროვნების შესახებ, წარმოდგენის მიზეზი ხდება” (გერიგი, ზიმზარდო, 2009, 431). პოეტის ბიოგრაფიიდან და ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ნათელია, თუ როგორ დაუკარგა წარუმატებლობამ მას წარმატებების მიღწევის ხალისი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეძლო, ამაღლებულიყო ბედის გაუმართლებლობაზე, ექადაგა ზოგადსაკაცობრიო იდეალები და თავისი გენიალური შემოქმედებით ზეადამიანური სამყაროს მარადიული ფასეულებების სადარაჯოზე დამდგარიყო. „გენიოსი იმიტომ არის გენიოსი, რომ შეიწოვს ყველა იმ ფიქრებსა და გრძნობებს, რომლებიც აწუხებს კაცობრიობას, და მათ საკუთარ გადაწყვეტას, მიმართულებას აძლევს“ (ქუთელია, 1945, 14). თავისი შემოქმედებით, რომლებიც გამომსახველია პოეტის განცდებისა და ფიქრებისა, თავისი ხალხის სულისა და საერთო საკაცობრიო პრობლემებისა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა უკვდავება მოიპოვა.

## §2. საერთო ატმოსფერო

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. ამ ისტორიული აქტით საქართველოში დამყარდა რუსული რეჟიმი. რუსეთის თვითმპყრობელობამ დაიწყო ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა.

ბატონიშვილთა ხელმძღვანელობით 1825 წლიდან დაიწყო შეთქმულთა ორგანიზაციის გაფორმება. შეთქმულების მონაწილენი იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ზაალ ავთანდილაშვილი და სხვანი. მათი საპროგრამო მოთხოვნა იყო ქართველების გათავისუფლება რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმისაგან.



შეიარაღებული გამოსვლა დანიშნული იყო 20 დეკემბერს, მაგრამ 9 დეკემბერს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ, შეთქმულების მონაწილემ, იასე ფალავანდიშვილმა კავკასიის ჯარების სარდლის, კორპუსის უფროსის მოადგილესთან, გენერალ ვოლხოვსკისთან გასცა შეთქმულება.

ხელისუფლებამ „მამულის გამოხსნის შეთქმის“ მონაწილენი ჩამოაშორა საზოგადოებრივ მოძრაობას, გაასამართლა ისინი და ბევრი მათგანი გადაასახლა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიაში. გადასახლებულთა შორის იყვნენ: ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, რომელიც ხელისუფლებამ თავისი ცოლ-შვილით ვიატკაში გადაასახლა და, როგორც დაბალი ფენიდან გამოსულს, უმძიმესი პირობები შეუქმნა. „ადამიანი, რომელმაც დაწერა „ლოგიკა“ და რომელიც ოცნებობდა კაცობრიობის ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე დაეწერა წიგნი, დანიშნეს „კოპისტად“ (გადამწერად) რომელიღაც გონებაჩლუნგი მაგიდის უფროსის განკარგულებაში. ეს იყო ბედის სასტიკი დაცინვა“ (აბზიანიძე, 1961, 20). დოდაშვილი დაავადდა ჭლექით და გარდაიცვალა 1836 წლის 20 აგვისტოს.

მართალია, 1832 წლის შეთქმულება მარცხით დამთავრდა, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში, როგორც დამპყრობლების მიმართ შეურიგებელი ბრძოლის მაგალითს.

შეთქმულთა რეპრესიებმა მრავალი წლის განმავლობაში შეაფერხა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა და ქართული კულტურისათვის გამოეცალა ეროვნული ნიადაგი, ქართველი ხალხის შემოქმედების ყველა მხარეში გაეტარებინა რუსიფიკატორული პოლიტიკა. ამ მიზნით, ერთგული მოხელეების აღსაზრდელად, 1802 წელს თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო სასწავლებელი. ამ სკოლის დახურვის შემდეგ, 1804 წელს, თბილისშივე გაიხსნა კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. 1817

წელს თბილისში გაიხსნა რუსული სასულიერო სემინარია, შემდგომ კი საქართველოს სხვადასხვა დასახლებაში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები.

1819 წელს გამოვიდა „საქართველოს გაზეთი“ (1820 წლიდან მისი სახელწოდება იყო „ქართული გაზეთი“). გაზეთი მზადდებოდა რუსულად. ქართულად ითარგმნებოდა მას შემდეგ, როცა მთავარმმართველი ერმოლოვი წაიკითხავდა. რა თქმა უნდა, გაზეთში არც ქვეყნის სიყვარულის გამომხატველი მასალა თავსდებოდა.

სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით 1828 წელს დაარსდა გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, რომელიც იყო რუსული „ტიფლისსკოე ვედომოსტის“ ქართული თარგმანი. მართალია, გაზეთში იბეჭდებოდა საქართველოს ისტორიული მტრების წინააღმდეგ ქართველთა გმირული ბრძოლების ამსახველი მასალა, ცნობები მაშინდელი საქართველოს ცხოვრების შესახებ, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის მიერ გამოცემული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათაგანი“, რომელიც იყო „ტფილისის უწყებანის“ დამატება. ჟურნალის დანიშნულება იყო, გაეღვიძებინა ქართველ ხალხში ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარული.

მიუხედავად იმისა, რომ „ტფილისის უწყებანი“ შეზღუდული იყო კოლონიური რეჟიმის გამო და მასში უფრო ოფიციალური მასალა ქვეყნდებოდა და ჟურნალსაც დიდხანს არ უარსებნია (1832 წელს გამოვიდა სულ ხუთი ნომერი), ის მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რადგანაც ამ ჟურნალის დანიშნულება იყო ქართული კულტურის სამსახური.

1832 წლის შეთქმულებას მოჰყვა საქართველოს „საუკეთესო კაცების“ რუსეთში გადასახლება. „...რა იყო იმ დროს თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრება? რის მიცემა შეეძლო იმას ჭაბუკ პოეტის მწყურვალე გულისათვის? საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რამე ბარათაშვილისათვის, რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი,

ელ. ერისთავი ამ დროს რუსეთში ნანობდნენ იმ ფარულ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც დაწესდა თბილისში 1829 წელს. ეს კაცები წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენი ერისათვის“ (მეუნარგია, 2004, 244).

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ არსებობდა კულტურული დაწესებულებები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თავი მოეყარა კულტურითა და მწერლობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს და გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებები ცხოვრებაზე, აზრები ერთმანეთის შემოქმედების შესახებ და სხვ. იონა მეუნარგია გადმოგვცემს კონსტანტინე მამაცაშვილის მონათხრობს იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე: „იმ დროს ტფილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა, არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები, – ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში“.

„ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწვლაზე, სხვა და სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა, ქაღალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს, ქაღალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღებშიც“ (იქვე, 244).

ამგვარად, ბარათაშვილისდროინდელ თბილისში არ არსებობდა ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება „რომელმაც ცხოვრებაში გამოსულ კაცს ისეთივე სამსახური უნდა გაუწიოს, რა სამსახურსაც უწევს ყმაწვილს სკოლა“ (იქვე,244). „კაცად - კაცადი ფიქრობდა მხოლოდ სმა-ჭამაზედ“ (იქვე,246). ასეთი საზოგადოება პოეტს მიაჩნდა „უსარგებლო გულისა და გონებისათვის“. მცირე გამონაკლისის გარდა, საზოგადოება ქეიფსა და დროსტარებას მისდევდა და არავითარი გონებრივი ინტერესები მათ არ გააჩნდათ. „ადამიანი – და, მით უმეტეს, ენერგიითა და საზოგადოებრივის ინსტიქტით

მლიერი ადამიანი, – დასთმობს ოჯახსაც, მეგობარსაც, ნათესავსაც, თუ თვით საზოგადოებრივი ცხოვრება აკმაყოფილებს მას, გზას აძლევს მასში დაგროვილ ენერჯიას და მოქმედების, მოღვაწეობის წყურვილს“ (გომართელი, 190,9).

ამგვარ „უსარგებლო“ ცხოვრებას, საზოგადოებას, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბუნების, მისი ნიჭისა და მისწრაფებებისათვის შეუთავსებელი იყო, პოეტი აღწერს 1841 წლის 28 მაისით დათარიღებულ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, – დიდი დამგერებაებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი; დიდი ტირილი; დიდი ღამის თევები; დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით“ (ბარათაშვილი, 1968, 174).

ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისის ცხოვრებით უკმაყოფილებას გამოხატავს 1841 წლის 18 ოქტომბერს კვლავ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ეპისტოლეში: „...ტფილისის ამბავი მაგთენი არაფერია“ ასევე: „...ტფილისი ისევ ის ქალაქია უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ის არის, რომ მშვენიერი დარებია? (იქვე, 175). უფრო ადრე, 1838 წლის 6 აგვისტოს პოეტი თავის ახლო მეგობარს, მიხეილ თუმანიშვილს დედოფლისწყაროში სწერს ქალაქის უინტერესო ცხოვრებაზე; „...ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის. მართალი გითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყენი გამხდარა, ხოლო მტვრისაგან – სულის შემხუთველი, საყურადღებო არაფერია“ (იქვე, 172). გრიგოლ ორბელიანს კი უბოდიშებს წერილის მიუწერლობის გამო, მაგრამ თავსაც იმართლებს. პოეტი სწერს ბიძას: „ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო?“.

ასეთი იყო ზოგადად ბარათაშვილისდროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ატმოსფერო და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობის ის შემაფერხებელი მოვლენები, რომლებიც მოჰყვა 1832 წლის შეთქმულების დამარცხებას. სწორედ ამით დაიწყო ახალი ეტაპი ქართული ლიტერატურის ისტორიაში: მრავალი წლის განმავლობაში მუსულმანურ ქვეყნებთან ბრძოლამ, XIX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და რუსეთის კოლონიად გადაქცევამ განაპირობა

ქართულ ლიტერატურაში წარსულის იდეალიზაცია და რომანტიზმის აღმოცენება. ეროვნული ტრაგედიის შეგნება და ამით გამოწვეული სევდა ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი თვისება გახდა. „ეს იყო თავისებური „გარდამავალი“ ეპოქა – ეჭვის, პესიმიზმის, უდროობის მტკივნეული განცდის, მძაფრი უკმაყოფილებისა და უსასოო ამბოხის დრო. ასეთი სულიერი ვითარება ლიტერატურაში ჩვეულებრივ რომანტიკულ მიმართულებას აღმოაცენებს ხოლმე“ (ასათიანი, 1982, 164). ასეთ უიმედო ატმოსფეროში რომანტიკოსების იდეალი და ოცნება იყო მტერთან გამარჯვება და თავისუფლების მოპოვება.

სწორედ ასეთმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა გარემომ განსაზღვრა ნ. ბარათაშვილის მკვეთრად გამოხატული რომანტიზმი.

სამართლიანად მიუთითებენ, რომ „თითოეული დიდი ადამიანის შესწავლისას ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ მის პიროვნებას, ნიადაგს, სადაც ის აღიზარდა, დროს, რომელშიც ის მოქმედებდა“ (გრანოვსკი, 2009, 113).

მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული მძიმე და უპერსპექტივო ყოფნის პირობებში დამთრგუნველი პესიმიზმის გვერდის ავლით ზეადამიანური გენიალობის შრეებიდან ამოხეთქავს პოეტის სამარადისო საკაცობრიო შეგონება:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

### §3. მეგობრების გავლენა

ინდივიდის სოციალიზაციის ფაქტორად ოჯახური გარემოს გარდა გვევლინება აგრეთვე ოჯახის გარეთ მიღებული გამოცდილებები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს მისი, როგორც პიროვნების, განვითარებაზე. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ოჯახს გარე გარემო არის თანატოლთა, მეგობართა წრე. მართალია, ბავშვი ბევრ რამეს სწავლობს ოჯახში, მაგრამ მეგობართა, თანატოლთა წრე აძლევს ახალ გამოცდილებებს, რომლებიც მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზეც მიჰყვეს. ამიტომ მშობლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია განვითარების ადრეულ სტადიაზე, მაგრამ შემდგომ, პიროვნების განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანატოლთა ჯგუფის როლი.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰქონდა ფართო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ინტერესები, მაგრამ მათი რეალიზება არ დააცალა იმდროინდელმა ვითარებამ. 1837 წლის თებერვალში გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი გულისტკივილს გამოთქვამს თავის გარშემო მყოფ, ზნეობრივი განვითარებისათვის შეუფერებელ მოხელეთა წრეზე. ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს ბიძას: „...რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნინდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის რომ круг чиновников не выгоден для образования нравственности, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული“-ო (ბარათაშვილი, 1968, 169). ამ სიტყვებით იგი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თავის თავს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გრძნობდა, რომ სხვა მდგომარეობისა და უკეთესი საზოგადოების ღირსი იყო. ამიტომ, მან შემოიკრიბა თავისი ზნეობრივ-სულიერი მოთხოვნების თანაზიარი, ლიტერატურითა და ისტორიით დაინტერესებული მოწინავე ადამიანები: პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი – მიხეილ თუმანიშვილი; ცნობილი საზოგადო მოღვაწე, შემდგომი წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართული გიმნაზიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი,

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფი – კონსტანტინე მამაცაშვილი; პოეტი და მკვლევარი – დავით მაჩაბელი და სხვანი.

საერთო ინტერესები ადამიანთა გამაერთიანებელი მყარი საფუძველია, რადგან „ინტერესი არის პიროვნების შემეცნებითი მოთხოვნილების ემოციური გამოვლენა ანუ ობიექტისადმი პიროვნების შერჩევითი დამოკიდებულება, რაც განპირობებულია ამ ობიექტის სასიცოცხლო მნიშვნელობითა და ემოციური მიმზიდველობით“ (გოგიჩაიშვილი, 2006, 45). ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი მეგობრებისთვის სწორედ ლიტერატურა იყო სასიცოცხლო საგანი, საგანი, რომელიც მოიცავდა საქართველოს, როგორც უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყნის, ბედის საკითხს. რა გზით ევლოთ, როგორ მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა ამ მრავალტანჯული ქვეყნისათვის – აი, რა იყო ძირითადი საზრუნავი მამულიშვილთა ამ წრისათვის. პოეტის მისწრაფებები და ახლო მეგობართა გარემო ამ საფუძველზე საქმიანად შეეხამა ერთმანეთს. „მიუხედავად იმისა, რომ გარემო და მემკვიდრეობითობა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს, ადამიანები თავად ირჩევენ, რანი იყვნენ, ამისათვის ქმნიან ფასეულობათა სისტემებს და საკუთარ გადაწყვეტილებებში ახორციელებენ მათ“ (გერიგი, ზიმბარდო, 2009, 679).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის არჩევანს თავისუფლება მისცა იმით, რომ შემოიკრიბა თავისი თანამოაზრე მეგობარები. გამორჩეული თანატოლები უადვილებდნენ პოეტს საკუთარ ყოველდღიურ პრობლემებსა და არახელსაყრელ სამსახურებრივ გარემოსთან გამკლავებას. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი მაძიებელი ბუნება, მოქმედი ხასიათი მალევე გამოამჟღავნა გიმნაზიაში სწავლისას. მას თავისმა გენეტიკურმა ნიშან-თვისებებმა – ნიჭმა, ინტელექტმა – აპოვნინა შესაფერისი გარემო. ასე რომ, ერთი ინტერესებისა და მისწრაფებების მოზარდები, როგორც უმეტესად ხდება, დაუახლოვდნენ ერთმანეთს და შექმნეს თანატოლთა საქმიანი ჯგუფი.

ადამიანის თავისებურებათა განსაზღვრა გულისხმობს მისი ინტერესებისა და მიდრეკილებების დახასიათებასაც, რადგანაც ისინი დაკავშირებულია პიროვნების ხასიათთან, ტემპერამენტთან და მის სხვა თვისებებთან ( ნათაძე, 1977, 641).

პიროვნების ინტერესების სფერო განსაზღვრავს მისი ცხოვრების შინაარსს. ინტერესთან დაკავშირებულია პიროვნების მიდრეკილებანი, რომლებიც ხშირად განსაზღვრავენ მისი ცხოვრების მიმართულებას. „ინტერესის სპეციფიკურობა იმაშია, რომ იგი გამოიხატება სწრაფვაში, მიდრეკილებაში მისი საგნის უფრო ახლო გაცნობისაკენ, მასზე ფიქრისაკენ, მის მოგონებისაკენ, მასზე ყურადღების კონცენტრაციისაკენ... ინტერესი შედარებით უფრო შემეცნებითი ხასიათის სწრაფვას წარმოადგენს, იგი გულისხმობს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი ბუნების დაინტერესებას, სურვილს ინტერესის ობიექტის გაცნობისა, მისი შემეცნებისა, მისი ჭვრეტისა..... და ა.შ.“(ნათამე, 1977, 642). ინტერესი იწვევს ადამიანის სწრაფვას გარკვეული მოქმედებისადმი, ანუ მის მიდრეკილებას. ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის მეგობრებს ჰქონდათ ლიტერატურისადმი მიდრეკილება, ანუ მათ არა მარტო აინტერესებდათ ლიტერატურა, არამედ თვითონაც ჩართულნი იყვნენ შემოქმედებით საქმიანობაში. ნიკოლოზ ბარათაშვილს ადრიდანვე ჰქონდა სწრაფვა ლექსების წერისადმი.

1833 წელს გიმნაზიელებმა გამოსცეს ლიტერატურული ხელნაწერი კრებული, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ყრმობის პერიოდის“ ლექსებთან ერთად შეიტანეს მისი მეგობრების – დავით მაჩაბლისა და მიხეილ თუმანიშვილის პოეტური ნაწარმოებები... ახალგაზრდა ლიტერატორებმა კრებულში მოათავსეს ასევე იმ დროს საპატიმროში მყოფი – ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანის პატრიოტული ხასიათის თხზულებები. „ხელნაწერი კრებულის გამოცემა იმ დროს, როცა აღმოჩენილი შეთქმულების ორგანიზატორები ციხეში იხდნენ და განაჩენს ელოდნენ, ახალგაზრდების მხრივ ნამდვილ პოლიტიკურ გამოსვლად უნდა ჩაითვალოს. ნიკ. ბარათაშვილი ამ პოლიტიკური დემონსტრაციის ერთ-ერთ მონაწილედ გვევლინება“ (გაწერელია, 1978 125). გარდა ამისა, 1835 წელს სასწავლებლის ლიტერატურული წრის წევრებმა რუსულ ენაზე გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „Цветок Тифлисской гимназии“, რომლის მხოლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა. „ჟურნალის № 4-ში (რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია) ნ. ბარათაშვილს მოუთავსებია შემდეგი მასალა:



1.Отрывок из грузинского романа Вис-Рамиани (თარგმანი)

2.Письмо из деревни (კორესპონდენცია)

3.О папской власти

ა. О возвышении папизма

ბ. О падении его (ისტორიული ნარკვევი)“ (გაწერელია, 1978, 125)).

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ჯერ კიდევ გიმნაზიაში მისი სწავლის პერიოდში „ვისრამიანის“ ნაწყვეტის რუსულად თარგმნა და კათოლიციზმის ისტორიით დაინტერესება მაჩვენებელია მისი ფართო გონებრივი განვითარებისა. პოეტს კარგად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ და თავის ლირიკულ შედეგებში და პირად წერილშიც იყენებს კიდევ სათანადო ფრაზებსა და აფორისტულ თქმებს პოემიდან. მაგალითად, 1845 წლის 9 თებერვალს ნახჩევანიდან მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში მოყავს სტრიქონი „ვეფხისტყაოსნიდან“: „რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!“ (ბარათაშვილი, 1968, 193). გიმნაზიელებს ჟურნალში მოუთავსებიათ ასევე თავიანთი მასწავლებლის – სოლომონ დოდაშვილის წერილების – „განხილვა ქართული ლიტერატურისა“ და ისტორიული მიმოხილვის – „მეფობა ირაკლი მეორისა“ თარგმანები.

ეს ნიჭიერი, მოწინავე ახალგაზრდების წრე წარმოადგენდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ინდივიდუალურ გარემოს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მისი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში. პოეტის მეგობრებსაც ლიტერატურული ინტერესები ამოძრავებდათ, კითხულობდნენ როგორც ქართველ, ისე რუს და ევროპელ მწერალთა შემოქმედებას. ეცნობოდნენ ეპოქის მოწინავე იდეებს. კარგად გამოჩნდა, რომ ამ ასაკში მოზარდის ხასიათზე ძირითადად თანატოლები ახდენენ გავლენას. ეს გონიერი და ინტერესიანი ახალგაზრდები ერთმანეთისაგან ბევრ რამეს სწავლობდნენ და ერთმანეთზე დადებითად მოქმედდნენ. გენებში „ბედის კოდი არაა ჩადებული . . . გენოტიპის ექსპრესია მხოლოდ გარკვეულ კონტექსტშია შესაძლებელი . . . ინტელექტუალური განვითარება განპირობებულია როგორც გენეტიკური პოტენციალით, ისე აღზრდის პირობებით. ვერც მარტო გენები და

ვერც მარტო გარემო ვერ განსაზღვრავს, ვინ ხართ თქვენ და რა პიროვნებად ჩამოყალიბდებით“ (გერიგი, ზიმბარდო, 2009, 25).

ასეთმა კულტურულმა მეგობრულმა გარემომ განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი მეგობრების ურთიერთობის ფორმა და მათი ლიტერატურული მოთხოვნების შემდგომი დაგვარად დაკმაყოფილება.

უკვე გიმნაზიადამთავრებული ნიკოლოზ ბარათაშვილი 1836 წელს დაწერილ ლექსში „ხმა იდუმალი“ ასეთი სიტყვებით იხსენებს გიმნაზიის მეგობრების წრეს:

„დავმთე ადგილი, სადაცა წრფელი

რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის

სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის...“

ნიკოლოზ ბარათაშვილის „თანზრდილი“ „ყმაწვილობის“ მეგობრები გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც, პოეტის სიცოცხლის ბოლომდე, მის გვერდით იყვნენ. ყველა მათგანი ღირსეული და გამოჩენილი ადამიანი დადგა, თუმცა მათ შორის ნიჭიერებით ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც გამოირჩეოდა. ისინი პოეტისაგან, როგორც პოეტი მათგან, იღებდნენ დადებით განწყობას. მათ ჰქონდათ საერთო მიზნები და, მიუხედავად მათი მოზარდობისა, – მყარი ინტერესები, რომლებიც ამოქმედებდა მათ გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც. მიუხედავად ზემოთქმულისა, წელთა სვლაში, გიმნაზიის შემდეგ, ბარათაშვილს დეპრესიული გრძნობები განუვითარდა, რადგან მან ახალი გარემოდან სასურველი სტიმული ვერ მიიღო. პოეტის ირგვლივ უმიზნობისა და მოწყენილობის გარემომ დაისადგურა. ახალგაზრდები ერთმანეთს მხოლოდ ოჯახურ სალონებშია ხვდებოდნენ, ხან კი ქალაქგარეთ – ბაღებში. თუმცა ამ შეკრებების დროს ისინი გართობასთან ერთად ლიტერატურაზეც საუბრობდნენ, მაგრამ უინტერესო საზოგადოებრივი ცხოვრება უარყოფითად აისახებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგან სამყაროზე. მას გაუჩნდა სულიერი დისკომფორტი და უკმარისობის შეგრძნება. პოეტი თავისი ბიძისა და უფროსი მეგობრის გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წლის 18 ოქტომბერს მიწერილ ბარათში აღწერს საზოგადოების ამგვარ უაზრო ცხოვრებას: „ტფილისი ისევ ის ქალაქია,

უსარგებლო გონებისა და გულისათვის“ (ბარათაშვილი, 1968,175). მართალია, დეპრესიულ ადამიანთან დამღლელია ურთიერთობა და ხშირ შემთხვევაში მას გაურბიან კიდეც, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუდამ მის გვერდით იყვნენ, რამაც გადაარჩინა იგი, უფრო მეტად ჩაძირულიყო სულიერ დაძაბულობაში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც პოეტი ტრიალებდა ძველი და ახალი თაობის გონიერ, განათლებულ, ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანთა წრეში. ამ წრის წევრები იყვნენ მწერლობის მოყვარე საზოგადოების წარმომადგენლები: დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ მაღალაშვილი, სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი და სხვანი. მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრების წრე მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ ისინი წარმოადგენდნენ მე-19 საუკუნის 30-40-იან წლების ნიჭიერ და საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ქართული ლიტერატურის ბედით. „ბარათაშვილი მოთავე იყო ამ საზოგადოებისა. ყოველთვის, როდესაც ან შემთხვევა მოიტანდა და ზემოთნახსენები პირნი ერთად სადმე შეიყრებოდნენ, ან საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ, საზოგადო მსჯელობა ამ ქართველ ყმაწვილ-კაცებისა იყო ქართულ მწერლობაზე და ისტორიაზე“ (მეუნარგია, 2004, 261).

მეგობრებს ერთმანეთთან აკავშირებდა ფართო კულტურული ინტერესები. სწორედ ასეთმა ინტელექტუალურმა გარემომ განაპირობა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ნიჭის განვითარება. ამ ლიტერატურულ წრეში კითხულობდა იგი თავის ლექსებს. თუ როგორ ახარებდა პოეტს ქართულ ლიტერატურაში შექმნილი ახალი ნაწარმოებები, ჩანს მის მიერ 1841 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებულ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა

ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩინეს, რომ ქართველთ არ სძინავთ გონებით” (ბარათაშვილი, 1968, 175). ამ პერიოდში მართლაც გამოცოცხლდა ლიტერატურული ცხოვრება.

ლიტერატურული წრის წევრები ასევე გატაცებით თარგმნიდნენ ევროპელი მწერლების ნაწარმოებებს. 1841 წლის 28 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта* შექსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский*, ტრადედია ლეიზევიცისა...” (იქვე, 174).

ჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგად იცნობდა რუსულ ლიტერატურას და თავის ეპისტოლურ ნაწერებში ზოგჯერ იყენებს კიდევ მას. 1843 წლის 21 აგვისტოს პოეტი ბარათით ატყობინებს გრიგოლ ორბელიანს ეგნატე იოსელიანის გარდაცვალებას და მოყავს ალექსანდრე პუშკინის „ბორის გოდუნოვიდან“ პიმენის მონოლოგის პერიფრაზა: „Вот человек, который, по своему положению в свете, более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось, как море-океан» (იქვე, 183). ამავე წერილში მოყვანილია ლერმონტოვის ლექსის სათაური და ციტატა: „სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები, и вообще здесь И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды“(იქვე, 183). ლერმონტოვის ამავე სიტყვებს იგი იმეორებს 1845 წლის 23 აგვისტოს მურუტიდან ალექსანდრე საგინაშვილისადმი მიძღვნილ პირად წერილში: „მაგრამ ტყუილად ვხუმრობ; Скучно, грустно» (ბარათაშვილი, 1968, 198). ამონარიდი მ. ლერმონტოვის 1840 წელს დაწერილი ლექსიდან „И скучно и грустно...“, – „ლაპარაკია იმაზე, რომ ჭრელი საზოგადოებით გარშემორტყმული ადამიანი ზოგჯერ თითქოს მათი ნიღბების მიღმა ხედავს სულიერ სიცარიელეს“(XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2011, 277 ).

ამ „ყმაწვილი კაცების“ ძირითადი და მყარი ინტერესი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩათ, ლიტერატურა იყო, მაგრამ მათ ასევე დიდი გეგმები ჰქონდათ, რომლებიც განუხორციელებელი დარჩათ: აღმანახის „ცდა“ გამოცემა, მუდმივი ქართული თეატრის გახსნა, თბილისში დიდი ბიბლიოთეკის დაარსება... ისინი

საქართველოს წარსულისადმიც დიდ ინტერესს იჩენდნენ. მათი საუბრის მუდმივი საგანი ქართული მწერლობა და ისტორია იყო. თურმე აპირებდნენ კიდეც საქართველოს ისტორიის საკითხავი წიგნის შედგენას. იონა მეუნარგია გადმოგვცემს კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებას: „... ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მეხუთე საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველის საუკუნის ისტორიისა, ქრისტეს წინად და შემდეგ მე-5-ე საუკუნემდის“.

„მახსოვს, ერთს ივლისის ღამეს 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანს. ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა, მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზეც და ტრაგიულს დასასრულზედ მე-18 საუკუნისა. მეფის ირაკლის მოხუცებულობისა გამო უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზე 1795 წელს, 14 სექტემბ. და სხვ...“

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოციტ ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა: „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! – და ოხვრით დაუმატა: ვაი, ჩვენო ქართლის ბედო“ (მეუნარგია, 2004, 262).

ცხადია, ნიკოლოზ ბარათაშვილს იმდენად ღრმად ექნებოდა შესწავლილი საქართველოს ისტორია, რომ მეცნიერი მიხეილ ბარათაევი, ადრესატი პოეტის ლექსისა „საფლავი მეფის ირაკლისა“, აპირებდა, რომ პოეტი ჩაება სამეცნიერო მუშაობაში, როდესაც იგი წერდა „Нумизматические факты Грузинского Царства“. მაგრამ ეს ხდებოდა 1846 წელს. მიხეილ ბარათაევს არ სცოდნია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე გარდაცვლილი იყო.

აღსანიშნავია ასევე, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართული ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლის მიზნით ურთიერთობა ჰქონია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრებთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილებიდან ჩანს, რომ პოეტი კარგად იცნობდა მსოფლიო ისტორიასაც. ამის დასტურია მის პოეზიაში გამოყენებული ალუზიები, პირად წერილებში მოხსენიებული ისტორიული ფაქტები და პირები.

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილებში ეხუმრება მეგობრებს და ამით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მათ მიმართ. პოეტის თბილი და უშუალო დამოკიდებულება მეგობრების მიმართ ჩანს ეპისტოლურ ნაწერებში მათდამი მიმართვის ფორმებიდანაც. გრიგოლ ორბელიანს მიმართავს: „საყვარელო ძიავ“, „საყვარელო ძმაო გრიგოლ“; მიხეილ თუმანიშვილს - „საყვარელო მეგობარო“ და ა.შ.

გრიგოლ ორბელიანი პოეტის მეგობარიც იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის წერილებში მისადმი გამოხატავს პატივისცემას, სიყვარულს, მოკრძალებას, გულითად დამოკიდებულებას. 1837 წლის თებერვალში გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში იგი სწერს ადრესატს: „კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე გავიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, და კიდევ აღვასრულე“ (იქვე, 170). წერილში ჩართულია ბიძისადმი მიძღვნილი ლექსი „ღამე ყაბახზედ“. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის კეთილ განწყობას გამოხატავს ილიკო ორბელიანის მიმართაც 1842 წლის 2 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. პოეტი ბიძას და მეგობარს ახასიათებს როგორც ვაჟკაცს, თვითონ ილიკო ორბელიანის სიტყვებით, რომელიც მას უთქვამს ტყვეობისას შამილისთვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მიჩვევია შენს ხელში ყოფნას“ (იქვე, 176). წერილში ჩართულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“, რომელიც პოეტმა უძღვნა ილიკო ორბელიანის ტყვეობას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგჯერ ნიკოლოზ ბარათაშვილი წყენასაც გამოხატავს მეგობრების მიმართ და არ იშურებს მწარე ირონიასაც. ერთ-ერთ ადრესატს საყვედურობს კიდევ, რომ ის თითქოს ყველამ დაივიწყა.

როგორც ვთქვით, ნიკოლოზ ბარათაშვილს ლიტერატურის გარდა, ჰქონდა ფართო ინტერესები, რომლებმაც შეუწყო ხელი მისი ცოდნისა და თვალსაწიერის გამდიდრებას.

როგორც ადამიანი არ იბადება პიროვნებად, ისე არც ინტერესებია თანდაყოლილი. „ინტერესები ყალიბდებიან ცხოვრების პირობებში ადამიანის მოქმედების პროცესში; მათი აღზრდა შეიძლება, მათი შინაარსი დიდად არის გაპირობებული იმ სოციალური წრის ინტერესებით, რომელშიც იზრდება და ცხოვრობს ადამიანი“ (ნათაძე, 1977, 644). ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი მეგობრები ერთმანეთს უვსებდნენ კულტურული ცენტრების უქონლობას. პოეტის ინტელექტუალურ მეგობართა გარემოში ყალიბდებოდა მისი სულიერი სამყარო, მისი პოეტური ნიჭი. მეგობრები იყვნენ მისი ლექსების შემფასებლები და ინტელექტუალური თანამოაზრენი.

როგორც ვხედავთ, პიროვნება გარკვეულწილად დეტერმინირებულია ინდივიდუალური გარემოს ისეთი თავისებურებით, როგორცაა მეგობართა წრე. რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველა მეგობარს არ ჰქონდა ერთი და იგივე მისწრაფებები, ვთქვათ, პროფესიული, მაგრამ მათ იდენტობას ამტკიცებდა როგორც მშობლიური, ასევე უცხო ქვეყნების ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის დიდი ინტერესი, რითაც საბოლოოდ უნდა გამოკვეთილიყო საქართველოს შემდგომი გზა-სავალი.

#### **§4. სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი**

ცნობილია, რომ პიროვნების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასწავლებელი, განსაკუთრებით კი ისეთი, რომელიც აღჭურვილია პადაგოგიური, თეორიული და ღრმა მეცნიერული ცოდნით, იდეალური პიროვნული თვისებებით, რომელშიც ახალგაზრდა ხედავს თავისი იდეალების განხორციელებას, ასეთი

მასწავლებლის აზრი მისთვის ღირებულია და იგი გახდება ერთ-ერთი დეტერმინატორი მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელთა შორის გამოირჩეოდა რამდენიმე, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს პოეტის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ესენი იყვნენ რუსული სიტყვიერების მასწავლებლები დემენტიევი და მანასიევი. მათ აზიარეს პოეტი პუშკინის, მიცკევიჩის, ლერმონტოვის შემოქმედებას. ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობას ეტყობა, თუ როგორ კარგად შეუთვისებია პოეტს მათგან რუსული ენა და ლიტერატურა. მშობლიური ენის სიყვარული მგოსანს ჩაუნერგა ეფრემ ალექსი-მესხიშვილმა. „მოწაფეები ხშირად დასცილებიან მოძღვართა შეგონებებს.....მაგრამ ხომ არსებობს იმგვარი შემთხვევებიც, როდესაც პოეტის ფილოსოფიურ-პოლიტიკური მსოფლალქმისა თუ ცალკეული თვალსაზრისების მიღმა მკაფიოდ ილანდება მისი მასწავლებლის მონუმენტური ფიგურა“ (ჩხეიძე, 2011, 29).

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკურ-ლიტერატურულ-საზოგადოებრივ იდეებზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია ქართული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელმა – სოლომონ დოდაშვილმა. „...იმთავითვეც ცნობილი გახლდათ და არც მოგვიანებით განუცდია ამ თვალსაზრისს რაიმე ცვლილება, და ვახტანგ ორბელიანის სიტყვები დღესაც უდავოდაა გაზიარებული: – ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწვრთნა სოლომონ დოდაშვილთან...თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყო“ (ჩხეიძე, 2011, 29). სოლომონ დოდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი იყო 1830 წლიდან. „იმიტომ, რომ ნიკ. ბარათაშვილი სწორედ ამ დროს ხდება უფროსი კლასის მოწაფე, დოდაშვილი კი უფროსი კლასების მასწავლებელი იყო“ (გოცაძე, 1955, 136). „ლოგიკისა“ და „რიტორიკის“ ავტორი, ამავე დროს, თავისი შედგენილი გრამატიკით (1830წ.) მოწაფეებს ასწავლიდა ქართულ ენას. აკაკი გაწერელია წერს: „ნიკ. ბარათაშვილი საუკეთესო მსმენელი იყო ს. დოდაშვილისა. ამას ადასტურებს დოდაშვილის გრამატიკული სისტემის დიდი ზეგავლენა ბარათაშვილის ენასა და ორთოგრაფიაზე“ (გაწერელია, 1968, 118). მკვლევარს სამართლიანად მიაჩნია, რომ „სალიტერატურონი



ნაწილნი ტფილისის უწყებათაში“ დაბეჭდილ სოლომონ დოდაშვილის წერილს „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, რომელშიაც ავტორი აქებს შავთელისა და ჩახრუხადის ოდებს, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის კლასიკური მწერლობით დაინტერესებაში. ცნობილია, რომ პოეტს გიმნაზიაში სწავლის პერიოდში რუსულად უთარგმნია ნაწყვეტი „ვისრამიანიდან“. მას კარგად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ და თავის ლირიკულ შედეგებში ზოგჯერ იყენებს ფრაზებსა და სიტყვებს მათი შემოქმედებიდან.

მრავალმხრივ განათლებულმა მასწავლებელმა – სოლომონ დოდაშვილმა, შემოიკრიბა საუკეთესო ახალგაზრდობა, შეუქმნა მათ შესანიშნავი გარემო გიმნაზიასა და თავის ბინაში. უტარებდა მათ საუბრებს „ერის მოყვარეობაზე, მამულისა სამსახურის მოსურნეობაზე“, ხოლო ქვეყნის წინსვლისათვის მას უპირველესად მიაჩნდა ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარება. 1826 წლის 27 მარტით დათარიღებულ იონა ხელაშვილისადმი მიწერილ ბარათში იგი წერდა: „წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა“ (დოდაშვილი, 1961, 238).

სოლომონ დოდაშვილი თავის მოწაფეებს უქადაგებდა საგანმანათლებლო და ეროვნულ იდეებს. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია მისი სტატია „ტფილისიდან პეტერბურგს ძმისადმი“, რომელიც გამოქვეყნდა 1832 წელს „სალიტერატურონი ნაწილნის“ მეორე ნომერში. ს. დოდაშვილს, როგორც განმანათლებელს, სწამდა, რომ ქვეყანა გონებაზე, განათლებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. იგი წერს: „...განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“ (დოდაშვილი, 1961, 217) და გამოთქვამს კმაყოფილებას, რომ საზოგადოება დარწმუნდა განათლების მიღების აუცილებლობაში: „აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა; მაშასადამე, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცთმოყვარენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანმეშრომენი, შემწენი და მფარველნი“ (დოდაშვილი, 1961, 218). ასეთი ოპტიმისტური რწმენით განაწყობდა მასწავლებელი თავის მოწაფეებს. მართალია, სტატიაში მეტი

ყურადღებაა გადატანილი განათლებაზე, მაგრამ ეს სოლომონ დოდაშვილს „აუცილებლად მიაჩნია, იმისათვის, რომ დროთა ვითარებაში მომზადდეს ნიადაგი საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის და მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის“ (ებანოიძე, 1969, 241). იქვე ეროვნულ გამათავისუფლებელი იდეები გაკვრითაა ნათქვამი და მათი ამოკითხვა სტატიაში შესაძლებელია „სტრიქონებს შორის“ (ებანოიძე). მაგალითად, „აქამდე არ იწარმოებოდა თავისუფლებითი სული საქართველოში“ და ყრუდ გახსენება 1832 წ. შეთქმულებისა: „აწინდელსა შემთხვეულებასა შინა გული ყოვლისა კაცისა განიხსნა და სახესა ზედა მათსა გამოიხატა მიუწვდომელი სიხარული და შვება. ბედნიერება ესე ჩვენი ჯერერთ არ ძალმიძს სახელდობრ გამოგიცხადო და არცა საჭირო არს, ამისათვის რომელ მაინდამ მივიღეთ, მაშასადამე, შენ იცი-ო“ (დოდაშვილი, 1961, 380).

მართალია, სოლომონ დოდაშვილი დიდი დამფასებელი იყო ერეკლე მეორისა და უძღვნა კიდევ მას წერილი – „მეფობა ირაკლი მეორისა“, მაგრამ, ამავე დროს, იგი მოწაფეებს უზიარებდა თავის რესპუბლიკურ მისწრაფებებს. 6 ივნისს კეთილშობილთა სასწავლებლის საჯარო გამოცდაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი აკრიტიკებდა ერეკლე მეორის პოლიტიკას, ერთმეფობასა და მონარქიულ წყობას. ს. დოდაშვილს თავის სიტყვაში უთქვამს: „უკანასკნელ ერთკერძო განუჭვრეტელობამან რომელთამე განმგებელთამან და ერთკერძო შეიწრებამან ძლიერთა ერთამან მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესევითარ ხარისხადმდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქეებისა თავისუფლებისა და თანად წარმწყმედელი მალლისა მის წინადანიშნულებისა კაცთა და მეფობისა“ (დოდაშვილი, 1961, 227). სწორედ რესპუბლიკანელობისათვის ამოხადეს სული სოლომონ დოდაშვილს უცხოობაში.

ამგვარად, სოლომონ დოდაშვილი დასახელებულ სტატიაში საგანმანათლებლო მოსაზრებებთან ერთად გამოთქვამს ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეებს. „მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ დოდაშვილის სტატია და გრიგოლ ორბელიანის „მოგზაურობა“ სხვადასხვა პირობებში შექმნილი დოკუმენტებია, თავიანთი ძირითადი შინაარსით ისინი ძლიერ უახლოვდება ერთმანეთს. ეს გარემოება ერთხელ კიდევ

ადასტურებს მოსაზრებას, რომ „დღიურში და სტატიაში გამოთქმული მოსაზრებანი წარმოადგენენ 1832 წლის შეთქმულთა პროგრესული ნაკადის კოლექტიურად შემუშავებულ შეხედულებებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე“ (ებანოიძე, 1969, 239). გასაზიარებელია ლევან ებანოიძის გამოთქმული აზრი იმის შესახებაც, რომ სტატიაში სოლომონ დოდაშვილის მიერ აჯანყებისკენ მოუწოდებლობა გამოწვეული იყო იმდროინდელი მკაცრი პირობებით.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია აზრი, რომ მელიტონ ბარათაშვილს არ აინტერესებდა პოლიტიკური საქმიანობა. თურმე არც შეთქმულების შესახებ სცოდნია რამე. ამავე დროს, იგი კეთილგანწყობილი ყოფილა მთავრობის მიმართ და თანაუგრძნობდა მათ. „გიმნაზიელი, 15 წლის ნიკო ბარათაშვილი, რომლის თანამშრომლობითაც 1833 წელს გამოვიდა ხელნაწერი ალმანახი, სადაც შეთქმულთა ლექსებიც არის შეტანილი, ჩანს, უფრო კარგად ერკვეოდა პოლიტიკურ საკითხებში, ვიდრე მისი მამა, მაიორი მელიტონ ბარათაშვილი“ (ინგოროყვა, 1968,1).

რა თქმა უნდა, 15 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი ვერ იქნებოდა შეთქმულების მონაწილე, მაგრამ, როგორც ჩანს, ს. დოდაშვილის მიერ იგი მოხვედრილიყო 1832 წლის შეთქმულების საიდუმლო გარემოში.

პოეტის პირველი დაპირისპირებაც ხელისუფლებასთან გიმნაზიის პერიოდიდან იწყება, როცა მას დაუწერია სატირა იმ სომხებზე, რომელთაც სასაცილოდ აუგდიათ კეთილშობილთა სასწავლებელში გამართული კონცერტის ქართველი მონაწილენი. პამფლეტში „ზოგიერთი ქართველიც შეუმკია“ (მეუნარგია). ნ. ბარათაშვილსა და მის მეგობრებს (ლევან მელიქიშვილი – ტექსტის გადამწერი; პეტრე ბაგრატიონი – პაკეტზე მისამართის დამწერი) ეს სატირა გაუგზავნიათ თავად-აზნაურების წინამძღოლის თ. ფალავანდიშვილისათვის (ცხვილოელის ცნობით, სატირის ადრესატია მთავარმმართველი – როზენი). „ალბათ, დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულებიყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურადღება მიაქცია ამასო“, – წერს მეუნარგია (2004, 240). ნიკო ბარათაშვილი გადარჩენილა სასწავლებლიდან გარიცხვას, მამისგან გაროზგვას კი – ვერა.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ, ნ. ბარათაშვილს დაუხატავს როზენის შარჟი და შეუგდია იგი მთავარმმართველის აივანზე. ამ შემთხვევის გამო პოეტი გაურიცხავთ სასწავლებლიდან და ორი კვირით კარცერში ჩაუსვამთ (ცხვილოელი, 1893). პეტერბურგში აკაკი წერეთელთან პეტრე ბაგრატიონის საუბრიდან (1859) ჩანს, რომ მოწაფეობის დროს ნ. ბარათაშვილს რამდენჯერმე დაუწერია სატირა ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ (წერეთელი, 1925, 68).

ამ შემთხვევის შესახებ პეტრე ბაგრატიონის ნაამბობს გადმოგვცემს აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“: „ტფილისში, სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან,... გაგიგონია შაირით დიდი კაცების ლანძღვა? „გვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით, როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ...უცბად ავუწევდით ჩანთის თავს...და ჩავუგდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს... ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს!“ (წერეთელი, 1989, 83).

იმდენად მნიშვნელოვანი ის არ არის, თუ ვინაა სტატიის ადრესატი (ფალავანდიშვილი, როზენი, თუნდაც სხვა), ვიდრე ის, რომ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი გიმნაზიელი ნიკო ბარათაშვილი და მისი თანატოლი მეგობრები, გამსჭვალულნი ეპოქის ტკივილებით, თავისებურ პროტესტს გამოხატავდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. გიმნაზიაში სწავლის დროს მათი უარყოფითი დამოკიდებულება იმდროინდელი მთავრობის მამართ გამოვლინდა ასევე მათ მიერ 1833 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ ანთოლოგიასა და 1835 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ხელნაწერ ჟურნალ - „ტფილისის გიმნაზიის ყვავილში“ პატიმრობასა და გადასახლებაში მყოფ შეთქმულების მონაწილეთა (ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვ.) რევოლუციური ხასიათის ნაწერების მოთავსებით (დაიბეჭდა გიორგი ერისთავის - „ოსური მოთხრობა“; გრიგოლ ორბელიანის - „იარალისადმი“...). „იმ მდეღვარე ხანაში ჯერ მარტო მოხსენება ამ პირებისა სახიფათო იყო პოლიტიკურად, არათუ მათი ლიტერატურული პოპულარიზაცია“ (ინგოროყვა, 1968, 36). ახალგაზრდა

ლიტერატორები ასეთი გაბედული ქმედებით გამოხატავდნენ მხარდაჭერას როგორც კრებულისა და ჟურნალის იდეოლოგიური მხარის მიმართ, ასევე დიდ თანადგომას უცხადებდნენ 1832 წლის შეთქმულებისათვის შეწირულთ.

გარდა იმისა, შთამბეჭდავი იდეური გარემო არსებობდა სასწავლებელში. ახალგაზრდებს ჰქონდათ მრავალმხრივი ინტერესი. თავიანთ გამოცემულ ჟურნალში ისინი ბეჭდავდნენ ისტორიული შინაარსის წერილებსაც, მაგალითად, მათ გამოაქვეყნეს ს. დოდაშვილის „ირაკლი მეორის მეფობა“, იასე ანდრონიკაშვილის „წერილები კახეთზე“ და სხვ. ახალგაზრდები ამუშავებდნენ ასევე ევროპისა და ანტიკური ქვეყნების ისტორიის შემცველ თემებსაც. ასე რომ, მათ ამოდრავებდათ მრავალი ინტერესი, რაც გამოხატავდა თანატოლების კულტურულ დონეს.

სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობამ გიმნაზიაში დიდად განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურულ-პატრიოტული, ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები, რაც იმ დროს დიდ პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა. მკვლევარი მანანა კაკაბაძე წერს: „იქნებ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი პოეტისთვის სახელმწიფო ხარჯზე უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნაზე უარის სათქმელად. სხვა შემთხვევაში მელიტონ ბარათაშვილს, რომელსაც საკმაოდ დამსახურება ჰქონდა მთავრობის წინაშე, არ ეტყოდნენ უარს შვილის უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით გაგზავნაზე“ (კაკაბაძე, 2009,5).

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს შეთქმულების გაცემამდეც ჰქონია დაწერილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი სულისკვეთების გამომხატველი ლექსები, რომლებითაც იგი უპირისპირდებოდა იმდროინდელ ხელისუფლებას. შეთქმულების გაცემის შემდეგ, რასაც მოჰყვა რეპრესიები, ნიკოლოზ ბარათაშვილს ეს ლექსები დაუწვავს. ამ საკითხთან დაკავშირებით შემონახულია პოეტის მეგობრის – გრიგოლ გურულის მოგონება: „მას ბევრი ლექსები აქვდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი, იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერი ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო დაიწყო და გამჩხრეკავნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყველაფერი...“

ჩხრეკა გათავდა და ნიკ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლ. დოდაშვილის მეგობარიო. . . . ორი კვირის შემდეგ ნიკ. ბარათაშვილი გაანთავისუფლეს“ (ციტირებულია ებანოიძის წიგნში, 1969, 17).

უფრო გვიან, 1836 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილი შეთქმულების ჩავარდნას გამოეხმაურა ლექსით – „ძია გ . . . ს-თან“, რომელიც მიძღვნილია გრიგოლ ორბელიანისადმი. ამ ლექსს პოეტი წერილთან ერთად უგზავნის პოლონეთში, ვილნოს გუბერნიაში გადასახლებულ ბიძას 1837 წლის თებერვალში. წერილი და ლექსი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან. ბარათაშვილი წერს:

„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,  
წაგართო ავის ენისა გესლმან;  
სატრფონი მისნი შემოგარენი  
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!“

ცნობილია ქართველი ლიტერატურათმცოდნეების აზრი, რომ სიტყვებში „...ავის ენისა გესლმან“, ნიკოლოზ ბარათაშვილი გულისხმობს იასე ფალავანდიშვილის გამცემლობას, რასაც მოჰყვა 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნა. ამიტომ სიტყვებში: „ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი“ – „ნაკლებ საფიქრებელია, ბარათაშვილს ყაბახისთვის გრიგოლის სამშობლო ეწოდებინა, ყაბახის სახეში აქ, ზოგადად, სამშობლოს რომ არ გულისხმობდეს. ამას მოწმობს სიტყვებიც „წაგართო ავის ენისა გესლმან“. გრიგოლისთვის ყაბახი არავის წაურთმევია, 1832 წლის შეთქმულების გამო მას დროებით „წაართვეს“ სამშობლო – მისგან შორს გადაასახლეს“ ( XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2011, 242). მისმა „ეტლმან“ ანუ ბედმა „გარდახვეწა“ ის უცხოობაში.

შორს ყოფნით გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებით, „მრავალი კარგი ამბავი“ ნახა – შესაძლოა, პოეტი აქ პოლონეთის ამბოხებას გულისხმობდეს:

„მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;  
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,  
თუმც უცხო და შორს თემად იარე,

მრავალი კარგი ჰნახე ამბავი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ძიას უწოდა „კრული“, „ჩრდილოში“- კი, ცხადია, იგულისხმება რუსეთი, დაწყველილი იმპერია და საყვედურობს ბიძას:

„მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?

აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი

ალამაზებდენ შ ე ს ყაბახს ამოს,

შენის სიყრმისა თან ზრდილნი სწორნი!“

ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა. მაგრამ ფოტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება დაკარგულიყო...“ პოეტი აქ 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ სასტიკ ცენზურულ რეჟიმზე ლაპარაკობს. ამიტომ ის წერილს ფოსტას „ვერ ანდობს“ და, ეტყობა, კერძო კაცის ხელით გზავნის. ამით იგი წერილის საიდუმლოების დაცვაზეც ზრუნავს, როგორც ეს ძველად ხდებოდა საბერძნეთსა და რომში \_ კერძო პირი წერილს აგზავნიდა სანდო ადამიანის ხელით (Кнабе, Античное письмо, [es-dejavu. ru /1/ Letter. Html](http://es-dejavu.ru /1/ Letter. Html), 2006).

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილში წერს საიათნოვას სიტყვებს ლექსიდან „შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ“ – „არვინ იცის, რა გამოვა რისაგან“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ პოეტს მხოლოდ წერილის დაკარგვის არ ეშინოდა, აქ ცენზურის საფრთხეც იგულისხმება.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული სულისკვეთების ატმოსფეროში გაზრდამ განაპირობა მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გარემო ყოველთვის ვერ ახდენს გავლენას ადამიანზე. ისე როგორც, ვერ მოახდინა გავლენა კანცელარიის უგუნურმა მოხელეთა წრემ ნიკოლოზ ბარათაშვილზე. მართალია, ბედმა იგი კანცელარიაში მოახვედრა და „ტალანტი ხაფანგში მოუშფყვდია“ (მეუნარგია), მაგრამ ჩინოვნიკების წრე „მხოლოდ მისი ცხოვრების გარეგან მხარეზე მოქმედებდა - პალატის ნაცრისფერი კედლები ერთგვარ ზნეობრივ საპყრობილედ იქცა მისთვის“ (გაწერელია, 1978, 130).

როგორც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი მოწაფეობის პერიოდშივე თანაუგრძნობდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს, მითუმეტეს, რომ მათი

უმრავლესობა პოეტის ნათესავები, ახლობლები, სკოლის მასწავლებლები იყვნენ. ასეთ გარემოში, მართლაც, მოსალოდნელი იყო, რომ ეს უნიჭიერესი ახალგაზრდა გაიზიარებდა მათ პოლიტიკურ შეხედულებებს. გურამ ასათიანი წერს: „ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულია სამართლიანი აზრი, რომ ბარათაშვილის პოემა დაიწერა 1832 წლის შეთქმულების უშუალო შთაბეჭდილებით. ეროვნული პრობლემატიკა „ბედი ქართლისაში“ საგრძნობლად მოდერნიზებულია. ერეკლეს და სოლომონ ლიონიძის კამათი (კრწანისის ბრძოლის შემდეგ) თავისი შინაარსით უკვე ახალ საუკუნეში მომხდარ ამბებს ითვალისწინებს. მეფე და მსაჯული პოემაში არსებითად საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ყოფნა-არყოფნაზე მსჯელობენ და არა რუსეთის მფარველობის ქვეშ მისი შესვლის მიზანშეწონილობაზე“ (ასათიანი, 1982, 220).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის შემუშავებაში განსაკუთრებით დიდი როლი მიუძღვის მის მასწავლებელს – სოლომონ დოდაშვილს. მისმა პატრიოტულმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა და რესპუბლიკურმა იდეებმა აშკარა გამოხატულება პოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“. „სოლომონ ლიონიძის მსჯელობაში შეინიშნება 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა, კერძოდ, ს. დოდაშვილის რესპუბლიკურ იდეათა ზემოქმედება“ (ასათიანი, 1982, 221). პოეტი კარგად იცნობდა სოლომონ დოდაშვილის კონსტიტუციურ-რესპუბლიკურ იდეებს. მართალია, მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიული მდგომარეობის გამო, ნ. ბარათაშვილს ერთადერთ სწორ პოლიტიკურ თვალსაზრისად ერეკლე მეორის ორიენტაცია მიაჩნდა, მაგრამ კონსტიტუციურ-რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი ფორმისადმიც გამოხატავდა ის თავის სიმპათიას. „...ერეკლესადმი დიდი სიყვარული ხელს არ უშლის მას ს. ლეონიძის პირით წარმოსთქვას მონოლოგი, რომელიც რესპუბლიკური იდეების ქადაგებას წარმოადგენს“ (გაწერელია, 1978, 119) და რომელიც მიმართულია მონარქიისა და თვით ხელმწიფისადმი:

„მადლობ, ღმერთო, შენსა განგებას!



ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას,  
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,  
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,  
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,  
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!  
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება –  
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულისკვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

(ბარათაშვილი, 1968, 148).

ამგვარად, რა აზრიც ჰქონდა ბრძენ მასწავლებელს ქართული მონარქიის შესახებ, იმასვე იმეორებდა მისი ღირსეული მოწაფე ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ს. დოდაშვილს სწამდა, რომ საქვეყნო საქმეებისთვის აუცილებელი იყო მეცნიერული, ფილოსოფიური განათლება. ამიტომ, გიმნაზიაში ის თავის მოწაფეებს უტარებდა ფილოსოფიური ხასიათის გაკვეთილებს. „სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენ ფართო მსოფლმხედველობრივ საკითხებისადმი იმ ცხოველ ინტერესს, რომელმაც ასე ადრე იფეთქა ჭაბუკი პოეტის შეგნებაში“, წერს გურამ ასათიანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე (ასათიანი, 1982, 161). მგოსნის შემოქმედებასა და მის პირად წერილებში ფილოსოფიური ფორმითაა გამოხატული როგორც პირადული, ასევე თავისი ხალხის მეზრძოლი, ოპტიმისტური სული და განწყობა, იმდროინდელი ეპოქის მთელი სიმძიმე. მისი შეხედულებები ადამიანის დანიშნულებაზე, ბედისწერაზე, სიყვარულსა და მეგობრობაზე, ფილოსოფიურად გადმოცემული, საერთო საკაცობრიო პრობლემებია. ამიტომაც ნიკოლოზ ბარათაშვილი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ხიბლავდა როგორც სულიერი სიმაღლე პიროვნებისა, ასევე სხეულებრივი სიმშვენიერე. მათი ერთიანობა მიაჩნდა მას ჭეშმარიტი სიყვარულის საფუძვლად; პოეტი არ ურიგდება ბედისწერას, პირიქით ის იხმობს მას საბრძოლველად. „ბარათაშვილმა თავის ხალხს, მთელ კაცობრიობას ანდერძად დაუტოვა არა მორჩილება

ბრმა და შავი ბედის წინაშე, არამედ მისი დაძლევა და მასზე გამარჯვება დაუღალავი მოქმედებით. შავი ბედის დაძლევაში ხედავდა ის თავის დანიშნულებას და დამსახურებას მომავალი თაობის წინაშე. „მერანში“ ნაჩვენები გამარჯვება უღმობელ და შავ ბედისწერაზე მოქმედების საშუალებით წარმოადგენს ერთ-ერთ უღრმეს გადაწყვეტას უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური საკითხისას“ (ქუთელია, 1945, 64,65;) ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ მოქალაქეობრიობის, ადამიანის დანიშნულების შესანიშნავი დადასტურებაა; „ბედი ქართლისა“ კი „ჩვენი ისტორიის ფილოსოფიაა“ (იქვე, 20).

ამგვარად, სოლომონ დოდაშვილმა, როგორც ღვთიური მადლით შთაგონებულმა მასწავლებელმა, ნიკოლოზ ბარათაშვილს ჩაუწერა ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიური და მოწინავე გამათავისუფლებელი იდეები.

## §5. ბიძა-დისშვილი

დიდი ადამიანების პირადულ თუ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ხშირად აღმოჩნდება ხოლმე სადავო საკითხები. ამ რიგისაა სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი ბიძის, გრიგოლ ორბელიანის, ურთიერთობის თემა. უპირველესად მოგვყვავს ზ. ჭიჭინაძის სიტყვები: „გრიგოლ ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდამ თითქმის ყოველდღე გრიგოლ ორბელიანთან დადიოდა, სადილად მასთან რჩებოდა, სადილის შემდეგ საღამოზედ მიდიოდა თავის სახლში, ანჩისხატის უბანში... ნიკოლოზ ბარათაშვილიც ხშირად მიჰყავდა თურმე, როცა კი წავიდოდა სადმე სასეირნოდ“ (მთაწმინდელი, 1895, 6), თუმცა ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევართა ნაშრომებში არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება.

ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა ნაწილი (მეუნარგია, 2004, 255-256; აბაშიძე, 1970, 142-143 და სხვ.) ნიკოლოზ ბარათაშვილის წარუმატებლობას განათლებისა და სამსახურებრივ საკითხში ბრალად სდებს გრიგოლ ორბელიანს. ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგი მკვლევარი (გამსახურდია, 1963, 439, 602; კიკნაძე, 1972, 247; გაწერელია, 1978; მახარაძე, 1982 და სხვ.) კი უარყოფს პოეტის ბიძაზე ასეთ ბრალდებას.

პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია წერს: „სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანმა ვერ მოუხერხა რა თავის დისწულს. დაუდევნელობით მოუვიდა, უეჭველია, ეს საქმე, თორემ ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა, რომ ადვილად შეიძლებდა იმის შემწეობას. ტყუილად არ წერს პოეტი, „ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო“ (მეუნარგია, 2004, 255-256).

კიტა აბაშიძის შეხედულებით: „ასეთი დიდებული ადამიანი ისე განშორდა წუთისოფელს, რომ ვერა ჰპოვა ხვედრი მისი და ვერ მოიშორა მით კაემანი. არა თუ თავის ხვედრს, თანაგრძნობასაც ვერ პოულობდა იმ ადამიანშიც კი, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გაეგო. ეს კაცი, მისი სისხლი და ხორცი, მისი ბიძა – გრ. ორბელიანი მყავს სახეში. ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი თავის დღეში არ აპატიებს გრიგოლ ორბელიანს, რომ მუდმივ მუდარას და ვედრებას ნიკოლოზ ბარათაშვილისას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ერთხელაც არ გაუწვდინა მეგობრულად და ნათესაურად ხელი, თორემ, ვინ იცის, კიდევ უკეთეს პირობებში რომ ყოფილიყო, კიდევ რამდენი მეტი ღირსება შეეძინებოდა ამ მშვენიერ მგოსანს... მაგრამ რას ვამბობ... აქ მხოლოდ გრიგოლ ორბელიანს ეცხება ჩირქი, რადგან ადამიანური მოვალეობა ვერ შეასრულა, თორემ განა ბარათაშვილს ეჭირვებოდა კიდევ პოეტური ღირსება“ (აბაშიძე, 1970, 142-143).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი კრიტიკოსების ნაწილის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენიანმა ბიძამ – გრიგოლ ორბელიანმა არ გამოიჩინა გულისხმიერება, არ დაეხმარა თავის დისწვილს, რომ მას სწავლა გაეგრძელებინა უნივერსიტეტში, ან შესულიყო სამხედრო სამსახურში. აღნიშნულთან

დაკავშირებით, ვითვალისწინებთ გრ. ორბელიანის ადგილ-სამყოფელს, საქმიანობასა და ადგილს საზოგადოებაში ნიკოლოზ ბართაშვილის გარდაცვალებამდე.

გამოთქმულია მოსაზრება, „რომ მაშინ, როდესაც ნიკოლოზ ბართაშვილი დახმარებას საჭიროებდა, ე. ი. 1831-1845 წლებში, ორბელიანი არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფიგურას. იგი ამ დროს ყოველგვარ სახსარს მოკლებული, უბრალო ოფიცერია და, ცხადია, მას არ შეეძლო, ნივთიერად თუ თავისი ავტორიტეტით სამსახური გაეწია საყვარელი დის, ეფემიას, ოჯახისათვის, თუმცა მისი ოჯახის მიმართ იგი ყოველთვის კეთილგანწყობილია... და შესაძლებლობის ფარგლებში მორალური თუ მატერიალური დახმარების გაწევაზე არასოდეს ამბობს უარს. მისი მხრიდან ეფემიას ოჯახს, განსაკუთრებით კი ტატოს, ყურადღება არ აკლია“ (ღარიბაშვილი, 2008, 116-117).

ვიზიარებთ აპოლონ მახარაძის აზრს, რომ: „თანამდებობრივად გრიგოლ ორბელიანმა მიაღწია იმას, რასაც მასზე ადრე არც ერთი ქარველი მოხელე არ ღირსებია“ (მახარაძე, 1982, 144). გრიგოლ ორბელიანს დისშვილის სიცოცხლეშივე, სრულიად ახალგაზრდას, უკვე მოპოვებული ჰქონდა მთავრობისგან ავტორიტეტი შემდეგი დამსახურებებისათვის: 1822 წელს იბრძოდა თავად ერისთავის რაზმში ჭარის ლეკების წინააღმდეგ; 1826 წელს, სპარსეთის ომის დროს, იბრძოდა გრაფ სიმონიჩთან, თავად მადათოვთან, პასკევიჩთან სპარსელების წინააღმდეგ; 1827 წელს რუსის ჯარმა გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობით დაამარცხა სპარსეთის არმია. ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის გრიგოლ ორბელიანმა მიიღო უმაღლესი მადალობა; 1828 წელს იგი ყარსის აღებისთვის იბრძოდა პასკევიჩთან ერთად. ამის შემდეგ გაჰყვა მურავიოვის ჯარს ახალქალაქის, ხერთვისისა და ახალციხის ასაღებად. 1829 წელს იგი, როგორც საგანგებო მინდობილობის კაცი, გაგზავნეს კახეთის სამხედრო საზღვრების უფროსთან – ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. 1830 წელს გრიგოლ ორბელიანი გაჰყვა პასკევიჩის ექსპედიციას ჭარ-ბელაქნის ლეკების დასაპყრობად და რუსეთისათვის შესაერთებლად. იონა მეუნარგია სწორად შენიშნავს გრიგოლ ორბელიანის მოღვაწეობის ამ პერიოდზე: „რაც შეეხებოდა იმის მცირე

თანამდებობას, პოეტმა ყველა ამ საქმეში იჩინა თავი და მთავრობამაც განასხვავა იგი“ (მეუნარგია, 2004, 39).

1831 წელს გრიგოლ ორბელიანი საგანგებო დავალებით გაიგზავნა პეტერბურგში.

ამგვარად, 1831 წლამდე გრიგოლ ორბელიანს მოპოვებული ჰქონდა საკმაოდ აღიარებული გავლენა, თუმცა რუსეთის მთავრობისაგან მისი დაფასება მხოლოდ 1843 წელს გამოჩნდა.

1833 წელს გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგიდან გადმოიყვანეს თბილისში 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, ანუ პოლიტიკური ორგულობისთვის დაიჭირეს და მოათავსეს ავლაბრის ციხეში. სამი თვის მძიმე პატიმრობის შემდეგ გაგზავნეს „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში, საიდანაც გადაიყვანეს თავისი გადასახლების ადგილას, ვილნოს გუბერნიაში. 1837 წელს გრიგოლ ორბელიანი საქართველოში გამოემგზავრა. „ამიერიდან მთელი მისი სიცოცხლე რუსეთის ტახტის ერთგულ ნებაყოფლობით სამსახურს ეძღვნება“ (მალრაძე, 1967, 84).

1838 წელს გრიგოლ ორბელიანი სამსახურს იწყებს გორში საქართველოს გრენადერთა პოლკში. ამ პოლკის რაზმში მან იბრძოლა ხუთი წელი. 1839 წელს პოეტი უკვე დაღესტანშია. 1841 წელს მონაწილეობს გურიის აჯანყების ჩაქრობაში. 1843 წელს იბრძვის შამილის წინააღმდეგ. „ამ დაუცხრომელს მოქმედებაში და ბრძოლაში მისი სამხედრო და საერო ნიჭი ძალზე გაილესა. მთავრობამაც შენიშნა მისი პიროვნება და განუმზადა მას ფართო მოედანი, რომელშიაც მან გამოიჩინა სრული თავისი ნიჭი. 1843 წელს ორბელიანი დანიშნულ იქნა ავარიის მმართველად, ანუ, როგორც იმას ეძახდნენ თვისნი, ავარიის ხანად“ (მეუნარგია, 2004, 55).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ კი გრიგოლ ორბელიანმა რუსეთის ტახტის ერთგულებით გენერლობასაც მიაღწია.

ამგვარად, თუ დავაკვირდებით გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების განვლილ გზას ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებამდე, ვერ ვიტყვით, რომ მას არ ჰქონდა საკმაოდ ავტორიტეტი, რომ გაეწია დახმარება დისშვილისათვის. პოეტი, როგორც „შესანიშნავი სამხედრო პირი“, მუდამ დაფასებული იყო მეფის ხელისუფ-

ლებისაგან. მას უნდა გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი საყვარელი დის, ეფემიას, ნიჭიერი შვილის საკეთილდღეოდაც.

ამ ყველაფრის მიუხედავად, გადასახლების დროსაც და კავკასიის მთიანეთიდანაც ახლობლებისადმი გაგზავნილ წერილებში გრიგოლ ორბელიანი გამოხატავს საუკეთესო სურვილებს ეფემიასა და მელიტონის ოჯახის, განსაკუთრებით, ტატოს მიმართ.

1834 წლის 2 აპრილს გრიგოლ ორბელიანი ზაქარია ორბელიანს სწერს: „მელიტონ და ეფემია თავის შვილებით დამიკოცნე“ (ორბელიანი, 1936, 11).

ამავე წლის 16 მაისს პოეტი ვალკიდან ილია ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ადრესატს ავალებს: „ტატიკოს ჩემმაგიერ აკოცე, უთხარ, რომ წერილი მოიწეროს და თავისი ანბავი შემატყობინოს... ჩემი საყუარელი და ეფემია და მელიტონ სიყუარულით მომიკითხე, და იმათი შვილები დამიკოცნე. – ვერ მოვასწარ ეხლა მათთან მოწერა ცალკე“ (იქვე, 15).

ვილნოდან კი, კვლავ ამავე წელს, 20 ივლისს, ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი სიყვარულით კითხულობს თავისი დის ოჯახს: „ჩემს საყუარელს დას ეფემიას და მელიტონს სიყუარულით მოვიკითხავ, იმათ შვილებს დავკოცნი“ (იქვე, 19).

1843 წლის 22 აპრილს გრიგოლ ორბელიანი ყუბიდან სწერს ილია ორბელიანს: „...მერე ტატო ჩამიპროშტე... ეგრეთვე ეფემია და მელიტონ“ (იქვე, 64).

1843 წლის 18 ივნისს ხუნძახიდან ილია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი მოკითხვას უთვლის ტატოს: „ტატო და ლევან მომიკითხე...“ (იქვე, 75).

გრიგოლ ორბელიანმა როცა შეიტყო მელიტონის ხანგრძლივი ავადმყოფობის ამბავი, 1835 წლის 11 აპრილს ვილენსკის გუბერნიიდან, ბირჟიდან, მისწერა თავის ძმას – ზაქარიას: „მელიტონის უიმედოდ ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა. – მთელი ღამე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს. – რა უნდა ჰქმნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლად ეს უბედურება მიადგა! რით უნდა შეინახოს თავისი წვრილი შვილები და ანუ რით გადიხადოს ვალები, რომელიცა უეჭველად ბევრი

დარჩება. – ღთმან დაიფაროს ამა უბედურებისაგან; მაგრამ შენ ასეთ რიგათა მწერ, რომ მგონია საწყალი მელიტონი კიდეც მომკუდარა. – ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში. – საწყალს მელიტონს უყუარდით ჩუენ ძალიან და იყო ჩუენი კეთილის მსურველიცა. – იმედი მაქუს, რომ, თუ ბარონ როზენი მანდ არის, ნიკოლაი იოსებიჩისა და მუხრან ბატონის შემწეობით პენციაზე წარადგინოს ეფემია. – ეს ერთი ღონისძიება არის საბრალო ეფემიასათვის სანუგეშოდ...” (იქვე, 28).

გრიგოლ ორბელიანმა, როცა შეიტყო მელიტონის ჯანმრთელობის გამოსწორება, ამავე წლის 4 ივნისს რიგიდან ზაქარია ორბელიანს მისწერა: „მელიტონის კარგათ ყოფობამ მეც კარგათ გამხადა. – ღმა ნუ გამაგონოს მაგის უბედურება. ჩემს საყუარელს ეფემიას თავის შვილებით დავჰკოცნი“ (იქვე, 31).

ტატოს მდგომარეობით შეწუხებული მელიტონი კვლავ შეეცადა, დახმარებოდა თავის შვილს. მან თხოვნით მიმართა კავკასიის მთავარმართებელს ნეიდგარდტს, რომ დაენიშნათ იგი რაიმე თანამდებობაზე. თხოვნაზე მელიტონს უარი უთხრეს, რის გამოც მას დამბლა დაეცა. ამ ამბავმა დაამწუხრა გრიგოლ ორბელიანი და დაღესტნიდან 1845 წლის 19 იანვარს ზაქარიას მისწერა: „ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე, ამ ამბითა, რა უნდა ჰქმნას სიყმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ღატაკად დაშთომილნი, ტატოც ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად. – ამდენს ჩვენის თავის ვაი ვაგლახს ესღა გვაკლდა; რა უყოთ რითა ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიჟებს სრულიად, ნეტავი მოვკუდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე“ (იქვე, 106).

1836 წლის 28 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა გაუგზავნა თავის ძმა ილიას ვილნოს გუბერნიიდან, ბირჟიდან, გამოხატულია თავისი და ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრობა. პოეტს სურს, რომ ისეთივე გულითადი დამოკიდებულება იყოს ილიასა და მიხაკოს შორის, როგორი ურთიერთობაც მას ჰქონდა ტატოსთან. იგი სწერს ადრესატს: „მიხაკოს

სიყუარულით მოვიკითხავ! – ვინძლო, რომ ერთმანეთი გიყუარდესთ გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს გვიყუარდა ურთიერთი. – მშვიდობით ძმებო! ღვი იყოს მფარველი თქუენდა“ (იქვე, 43).

გრიგოლ ორბელიანი თავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას ტატოს მიმართ წერილების მიუწერლობის გამო. ხუნძახიდან სწერს ილია ორბელიანს: „ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო, თორემ აღარ გაათავებენ, მაგისი იმედი მაქუს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოიწერება ჩემთან მალმალ“ (იქვე, 68). აქედანვე კვლავ ილიას სწერს: „... ტატოს რა დაემართა, რომ ერთხელ არც ის მოიწერა ჩემთან“ (იქვე, 75); „უნდა ჰსცხვენოდეს ტატოს რომ ერთხელ არ მომწერა“ (იქვე, 84).

პოეტი თემირხანშურიდან ზაქარიას მეუღლისადმი, ქეთავანისადმი, მიძღვნილ წერილშიც საყვედურს გამოთქვამს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ: „მელიტონ, ევემია როგორ არიან, ტატო რატომ წიგნსა არა მწერს?“ (იქვე, 100). გრიგოლ ორბელიანი კვლავ სამდურავს გამოთქვამს ქეთევანისადმი გაგზავნილ წერილში: „ჩემი დისწული ტატო მომიკითხე დიდის ყვედრებითა და სამდურავითა მოუწერლობისათვის, ეგრეთვე ფეფო და მელიტონ“ (იქვე, 97).

1845 წელს კი ჯუნგუთიდან ილიასადმი მიწერილ ბარათში პოეტი წერს: „ჩემი დისწული ნიკოლაი, ანუ ტატო, ხომ არ მოსულა?“ (იქვე, 109).

ამავე წლის 12 ნოემბერს თემირხანშურაში მყოფი პოეტი შემფოთებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედით და სწერს ილია ორბელიანს: „... ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? – უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავათმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირათ მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. – ახ, ეს დამალვა რა არის? – თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? – აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავათ გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ გარიაჩვითა მიხაკოსთან. – თუ ხატი გრწამს მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით...“ (იქვე, 118).



როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანი თავის პირად წერილებში ხშირად გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი გულთბილ განწყობილებას და ინტერესს მისი ცხოვრებისადმი. პოეტის ერთ-ერთ წერილში გამოთქმულია ტატოსთვის განათლების მიცემის სურვილი. 1835 წლის 27 ივლისს გრიგოლ ორბელიანი რიგიდან სწერს თავის ძმას – ზაქარიას: „...ჩემს საყვარელ დას ეფემიას თავის შვილებით დავკოცნი! აჰა, ანგელოზო ჩემო! რად დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღარ მახსენეს! რასა იქმს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ არა? ან და რას სწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს სახაზინო ანგარიშზე იმისი გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. სამწუხარო, მეტად სამწუხარო იქნება, თუ იმის ნიჭს განვითარების საშუალება არ მიეცა. ნეტავი გამოგზავნოს დერპტის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში. ძალიან ადვილია ამის ასრულება, თუ კი მელიტონ სთხოვს ბარონს“ (ინგოროყვა, 1968, 39).

ცნობილია, რომ მელიტონ ბარათაშვილის სტუმართმოყვარეობამ, ხელგამლილმა და უდარდელმა ცხოვრებამ ოჯახი დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. მას, თბილისის მაზრის მარშალს, აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშლის პირველ მოადგილეს, რომელიც დაახლოებული ყოფილა მთავრობასთან, არ უზრუნვია შვილის განათლებაზეც კი. მელიტონის ქეიფებს დასჭირდა მისი ქონებაც – სოფლის მამულები, ქალაქის სახლი. ეკონომიურად ხელმოცარულმა მელიტონმა შვილს სწავლის გაგრძელებაზეც უარი განუცხადა. ამის გამო ნიკოლოზ ბარათაშვილი საყვედურს გამოთქვამს 1837 წლის თებერვალში გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თუ ვინმეს შეეძლო დიდი მონაცემების მქონე ნიკოლოზ ბარათაშვილის გზაზე დაყენება, ეს პირველ ყოვლისა, მამამისს შეეძლო და არა რიგით ოფიცერს გრიგოლ ორბელიანს“ (ევეგენიძე, 1995, 65). „ნიკოლოზ ბარათაშვილის საყვედურიც სწორედ მამის, მელიტონისადმი მიმართული და არა გრიგოლ ორბელიანისადმი, როგორც ამას ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა ზოგიერთი წარმომადგენელი აღნიშნავს“ (ღარიბაშვილი, 2008, 120).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წერილით პოეტი მხოლოდ მამისადმი არ გამოხატავს სამდურავს. მას ისედაც შეგნებული ჰქონდა მამის გულგრილი დამოკიდებულება მისი სამსახურებრივი კარიერისა და განათლების მიმართ, თუმცა პოეტი „ყველა ღონეს ხმარობდა სამზეოზე ამოსასვლელად“ (ჭილაძე, 2003, 3).

ზემოდასახელებულ წერილში გამოხატული სამდურავი რომ გრიგოლ ორბელიანსაც ეხება, ამ აზრს ამტკიცებს 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებული ბიძისადმი გაგზავნილი ეპისტოლე: „ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ ფარატინა გამოგეგზავნა, ისიც დაპირებების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველს კაცს რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოქრის. ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება..... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ“ (ბარათაშვილი, 1968, 182). ამ წერილში საყვედური ეხება მხოლოდ გრიგოლ ორბელიანს და არა სხვას. „იმ კაცში“, რომელიც „ღრე-კლდიდან“

გამოიყვანს, პოეტი მხოლოდ ბიძას გულისხმობს, მითუმეტეს, რომ ის შეპირებია სამსახურს.

მართალია, გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში წუხს დისშვილის მდგომარეობაზე, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის გულისწყრომა ბიძის მიმართ მაინც სამართლიანია. გრიგოლ ორბელიანი მხოლოდ სიტყვით გამოხატავდა თანაგრძნობას პოეტის მიმართ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ წერილს მუდარის ტონი აქვს. მან იცის, რომ მოხელედ არ დაბადებულა. გრიგოლ ორბელიანის პირობის „დავიწყებამ“, მისმა გულგრილობამ იძულებული გახადა პოეტი, ასე მკაცრად შეეფასებინა მისი საქციელი: „ეს იმ სნეულების ბრალია, რომლის გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ასეთი შეფასებები განზოგადებულია მთელ ქართველ ხალხზე. თამაზ ვასაძე წერს: „ახალდროში ბარათაშვილმა პირველმა აქცია კრიტიკული ფიქრის საგნად ეროვნული ფსიქოლოგიის ნაკლოვანი მხარეები. ერთ წერილში იგი გულისტკივილით მიაწინებს იმ „სნეულობაზე“, „რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“... სხვაგან მწარედ კითხულობს: „განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრივი გრძობა?“ (ვასაძე, 1988, № 10). ან კიდევ, – „დაუდევრობა ქართველთა თანდაყოლილი სისუსტეაო“ – წერს ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს, როგორი სითბოთი და სიყვარულით იხსენიებს პოეტი დისშვილს და დაინტერესებულია მისი მომავლითაც. იმის მიუხედავად, რომ თავად მისი ოჯახიც განიცდიდა სიდუხჭირეს, რაც კარგად ჩანს პოეტის პირად წერილებში, მაინც ახერხებს იგი იშვიათად მაინც დაეხმაროს თავისი დის გაჭირვებულ ოჯახს. ამას აგრძელებს იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგაც. 1848 წლის 15 მარტს გრიგოლ ორბელიანი ზაქარიას მეუღლეს, ქეთევანს, სწერს: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ჩემის დის ეფემიასათვის გამომიგზავნია ხუთი თუმანი, გთხოვთ

გაუგზავნოთ ამავე წერილითა; სააღდგომოდ მოუნდება. ეგ საბრალო სრულებით არასა მწერს, თქვენ მაინც შემატყობინეთ მაგის ამბავი“ (ორბელიანი, 1936, 170).

გრიგოლ ორბელიანი გულისხმიერებას გამოხატავს ასევე ტატოს დის, ბაბაღეს, მიმართაც. 1849 წლის 3 ივნისს სწერს ქეთევან ორბელიანს: „ძალუაჯან! გეთაყვანე, ერთი იფიქრეთ კარგად და უმოვნეთ შესაფერი ქმარი ჩემს დისწულს ბაბაღეს, ესე იგი ეფემიას ქალსა. ჩემის მხრით შემძლიან მივსცე ასი თუმანი თეთრი სიქა მანათი მზითვად...“ (იქვე, 194). პოეტის დედამამიშვილები კი – ზაქარია და ილია – ყოველთვის გრძნობენ მისგან მუდმივ თანადგომას.

ამგვარად, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის გაცნობისას ნათელი ხდება ახლობლებისადმი მისი ადამიანური, მეგობრული, მზრუნველი დამოკიდებულება.

იბადება კითხვა – ასეთი გულისხმიერი, ჰუმანური, დიდსულოვანი გრიგოლ ორბელიანი თავისი საყვარელი დის – ეფემიას – შვილის ტატოს მიმართ რატომ იყო გულგრილი?

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე, თავისი პატრიოტული და თავისუფლებისმოყვარე იდეებით დაუპირისპირდა ხელისუფლებას. ეს უკანასკნელიც ყველა ხერხს მიმართავდა ასეთი ადამიანებისა და მათი ახლობლების ჩამოსაშორებლად და მათი მისწრაფებების ჩასახშობად. ვაჟიშვილის გამო მელიტონი ჩამოაშორეს გავლენიან თანამდებობებს, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილს უარი უთხრეს სახელმწიფო ხარჯზე უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნაზე და დიდი საქმეებისთვის მოწოდებული მოხელის სამსახურს მიაჯაჭვეს.

გრიგოლ ორბელიანი, რომელიც გამსჭვალული იყო რუსეთის ტახტის ერთგულებით, მისწრაფვოდა სამხედრო დიდებისაკენ. ამ ერთგულებისა და დიდების მოპოვების სურვილის გამო, მან, გადასახლებიდან დაბრუნებულმა, მალევე აღიდგინა ხელისუფლების ავტორიტეტი და მისი ნდობა. თავისი პრესტიჟის მოპოვებისთვის გრიგოლ ორბელიანი თავის ხალხსაც კი უშენდა ტყვიას. „გურიის აფეთქებას გრიგოლი კაპიტნის წოდებით ებრძოდა. აქვე დააწინაურა არღუთინსკიმ

მომავალი ინფანტერიის გენერალი. თუ ლეკებთან ბრძოლაში თავს მამა-პაპათა სისხლის აღებით იმართლებდა, აქ თავის მართლებაზე ლაპარაკი ზედმეტია და გენიალური დისშვილი სრულიად სამართლიანად საყვედურობს ბიძას უდანაშაულო გურული გლეხების სისხლის დაქცევას“ (მაღრაძე, 1967, 102). იგულისხმება 1841 წლის 18 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ბიძისადმი გაგზავნილი ბარათი. პოეტი ეროვნულ და პიროვნულ ნაკლოვანებათა მხილებას გვერდს არ უვლის. მისთვის დასაგმობია ყოველგვარი ნაკლი, რომლის აღმოფხვრის ერთადერთ გზად პოეტს მიაჩნია ამ ნაკლის გაცნობიერება, გაანალიზება და მხილება. ამიტომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ირონიულად სწერს ბიძას: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ. დიდად მამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებას. – მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დააგდო მრთელს მხედრობაში; თვარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით. – მითამ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი...

მჯერა სარდლობა არლუთინსკისა, საგინოვისა და გურამოვისა, რადგანც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას. შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენდა“ (ბარათაშვილი, 1968, 175).

აღნიშნული აჯანყება, რომელიც გლეხებმა მოაწყეს მემამულეთა და მთავრობის წინააღმდეგ, ჩახშობილ იქნა. აჯანყების ჩაქრობაში მთავრობას დახმარება გაუწია თავად-აზნაურთა მილიციამ, ამ წერილში დასახელებულმა პირებმა და გრიგოლ ორბელიანმა. „ბარათაშვილის ეს წერილიც ეკუთვნის იმ დროს, როცა მისი ბიძა ბოლოს უღებდა ამბოხებას გურიაში „მკლავთა და განკარგულებითა“... პოეტი მოხარულია, რომ ეგზეკუციაში მონაწილე გრიგოლმა თითქოს ჩვეული დიპლომატობით შეაგონა გურულებს ყოველივე ის შედეგი, რაც მოჰყვებოდა გლეხობისთვის აჯანყებას. („ხუმრობა ხომ არ არის, რომ ქართველმა კაცმა

გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას“) და იწონებს რა არღუთინსკი – ორბელიანის სამხედრო და დიპლომატიურს ღონისძიებებს, დასძენს: „შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!.. „ნ. ბარათაშვილის ამ გაკვრით გამოთქმულ აზრში მჟღავნდება მაშინდელი ქართველი თავად-აზნაურობის საერთო განწყობილება“ (ლეონიძე, 1935, 626). გრიგოლ ორბელიანიც მათ რიცხვს ეკუთვნის, რომელიც რუსეთის იმპერატორის ტახტის ერთგულების დასამტკიცებლად იბრძოდა არა მარტო მთიელების, არამედ თავისი ქვეყნის მოსახლეობის – ქართველი გლეხების – წინააღმდეგაც. „... გურული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ქრონიკის ყველაზე უფრო საჩოთირო ფურცელია“ (მაღრაძე, 1967, 103).

ასეთი უხერხული გზით დიდების მწვერვალისაკენ მავალ გრიგოლ ორბელიანს საყვარელი დის ეფემიას (რომელსაც პოეტმა გადასახლებაში ყოფნის დროს უძღვნა თავისი შემოქმედების შედეგრი – „ჩემს დას ეფემიას“) უნიჭიერესი შვილისთვისაც კი ერთხელაც არ დაუხევია უკან. იგი ძალაუფლების ყოველ ბრძანებას ერთგულებით ასრულებდა. რა თქმა უნდა, წარჩინებულ სამხედრო პირს ხელისუფლებაში თავისი ავტორიტეტის წყალობით შეეძლო ტატოს დახმარებოდა სამსახურებრივ და განათლების საქმეში, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ, თუ იზრუნებდა თავისი პატრიოტი და თავისუფლებისმოყვარე დისშვილისთვის, დაკარგავდა სამხედრო დიდებას, რაზეც მუდმივად ოცნებობდა.

აღნიშნული ფაქტები ნათელყოფს გრიგოლ ორბელიანის გაორებულ პიროვნებას. მწერალი და ჟურნალისტი იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს: „საკვირველი იყო ამ კაცის ორპიროვნება: 1832 წელს მონაწილეობას იღებდა დოდაშვილთან და სხვებთან ერთად იმ შეთქმულებაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი რუსეთისაგან განთავისუფლება, რისთვისაც იგი დასჯილი იყო და რუსეთში გადასახლებული. საქართველოში უკანვე დაბრუნებული, იგი რუსეთის ერთგული ხდება და თვალსაჩინო ადგილსაც იჭერს ადმინისტრაციაში, მუშა ბოქულაძის ბედს დასტირის და, როდესაც ამ ბოქულაძემ ხმა ამოიღო და

თავისი მწვავე ბედის გაუმჯობესება მოითხოვა, ხიშტებითა და ტყვიით გადაეღობა წინ” (მანსვეტაშვილი: [www.nplg.gov.ge/dlibrary/.../manswetashwili%20Sesworebuli.doc](http://www.nplg.gov.ge/dlibrary/.../manswetashwili%20Sesworebuli.doc)).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ გრიგოლ ორბელიანი ტატოს შემოქმედებითაც არ არის დაინტერესებული. „...ბიძამისი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში მისთანა მეორე აღარავინ იყო, თავისი თავით სტკბებოდა და არა თუ პოეტს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მისი მდგომარეობისათვის არა ზრუნავდა, არამედ მის ნიჭსაც ვერ აფასებდა, ის თავისი ნიჭით იყო გატაცებული და სრულებით ვერ ამჩნევდა თავის დისწულში დიად ტალანტს“ (გომართელი, 1905, 9). საპირისპირო მოსაზრებით კი, „თანამედროვეთაგან თუ ვინმეს ესმოდა, აფასებდა და შემოქმედებითაც ერთგვარად ენათესავებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას, ეს გრიგოლ ორბელიანი იყო“ (ჭილაია, 1946, 3-27).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისადმი დამოკიდებულების საკითხში გრიგოლ ორბელიანი გულგრილია. სოსო სიგუა წერს: „ეტყობა, გენერალს არ მოსწონდა დისშვილის ლექსები და „მერანზეც“ კი არ დასცდენია კეთილი სიტყვა“ (სიგუა, 2007, 100).

მართლაც, გრიგოლ ორბელიანის მდიდარ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში არსად ჩანს ბიძის დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისადმი, თუმცა პოეტი ყოველთვის მას უგზავნის თავის ლექსებს პირველი შეფასებისათვის. „შენი აზრი ჩემთვის მარად სასიამოვნოა“, – სწერს ერთ-ერთ წერილში. „ლიტერატურის ისტორიისთვის უცნობია პოეტის ბიძის, თავადვე პოეტის, აზრი არა მხოლოდ ამ ლექსზე, არამედ მის პოეზიაზე, საზოგადოდ. „პოეტი ბიძა დუმდა თავისი უდროოდ დაღუპული დისწულის პოეზიაზე“ (კიკნაძე, 2: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d>).

რა თქმა უნდა, აქაც უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე დადებითი აზრის გამოხატვა იმ გარკვეული მიზეზების გამო, რომლებიც აღნიშნული გვაქვს, გრიგოლ ორბელიანის კარიერას საფრთხეს შეუქმნიდა.

ჩვენამდე არ მოუღწევია გრიგოლ ორბელიანის პასუხებს. ვინ იცის, იქნებ პასუხობდა კიდეც, იქნებ ითხოვა კიდეც ტატოსთვის სამსახური და იწონებდა მის ლექსებსაც, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის ჩვენამდე მოღწეულ მდიდარ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მისი პასუხი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებზე არსად არ გვხვდება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თანამედროვენი ბარათაშვილს პოეტად ვერ აღიქვამდნენ, თუმცა ხედავდნენ მასში დიდ ნიჭს. მე-19 საუკუნისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური თემები არცთუ ორგანული იყო. იმ დრომ ვერ შეითვისა ის პრობლემები, რომლებიც მსჭვალავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებასა და შემოქმედებას.

რომ არა ილია ჭავჭავაძე, მისი უანგარიშო თაყვანისცემა ეროვნული გენიისადმი, ვინ იცის, კიდეც რამდენი ხანი დაგვჭირდებოდა ჩრდილში მდგარი ტალანტის აღმოსაჩენად.

კანცელარიის უმიზნო ადამიანების გარემოცვაში მოხვედრილ ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც გრძნობდა თავის განსაკუთრებულობას, ჩასჩურჩულებდა შინაგანი „ხმა იდუმალი“. მასში პოეტი გამოხატავს სულიერ ტკივილს სურვილების აუსრულებლობის გამო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბარათაშვილს „საკვირველი“ ხმა მუდამ თან სდევს. ეს მაცდური ხმა ამპარტავნებას აძლიერებს მასში და არწმუნებს, რომ მას ეკუთვნის გამორჩეული დიდება (დევდარიანი, 2002, 13).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ამპარტავნება გამოწვეულია იმით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს სწამს თავისი გენიისა და ამიტომაც მიისწრაფვის დიდებისაკენ. დრომ არ მისცა პოეტს თავისი პოეტური შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაშლის საშუალება, პოეტს, რომელსაც სულ სხვა შინაგანი ხმა და სურვილი ჰქონდა.



## §6. სიყვარული

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა – როგორც ლექსები, ასევე პირადი წერილები, გვაწვდის ცნობებს იმ ქალთა შესახებ, რომლებიც წარმოადგენდნენ პოეტის მუზას. მისი პირველი სიყვარული ყოფილა ნინო ორბელიანი, რომელიც ადრესატია ლექსისა „მიყვარს თვალები მიბნედილები“ (მეუნარგია, 2004, 249). 1837 წლის თებერვალში ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს გრიგოლ ორბელიანს პოლონეთში, მისი გადასახლების ადგილას, ვილნოს გუბერნიაში. „ამ წარსულს ზაფხულში, ერთს მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შვენებამ, ს ა ტ რ ფ ო თ მარაქამ, მათმან უწინდელეზრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება!.....ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაემანი“ (ბარათაშვილი, 1968, 170).

ლევან მელიქიშვილის მიერ 1846 წლის 19 იანვარს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში გამჟღავნებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი სიყვარული. იგი სწერს ადრესატს: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო? (ჟურნალი „მნათობი“, 1938 წ. №12).

მკვლევარი პავლე ინგოროყვა წერს : „ნ. ბარათაშვილის ამ პირველ სიყვარულს ეხება ლექსი „ღამე ყაბახზედ“(1836 წ.) და აგრეთვე წერილი გრ. ორბელიანთან 1837 წლის თებერვლის თარიღით“ (ჟურნალი „მნათობი“ , 1938 წ. № 9).

დასახელებული წერილის შინაარსი ადასტურებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ყაბახზე ნანახი ქალი იყო პოეტის პირველი სიყვარული. აკაკი გაწერელია წერს: „რადგან პოეტი ყაბახზე ნახული ქალის შესახებ ამბობს – „პირველ დამასო გულს კაემანიო“, – ხოლო მელიქიშვილის ცნობის მიედევით პოეტის „პირველი სიყვარული იყო ნინო“, – ერთგვარი საფუძველი ეძლევა მათ იდენტიფიკაციას“ (გაწერელია, 1978, 149).

პოეტის სიყვარული რომ ცალმხრივი იყო იმ „თვალის ნათელისა“ და „გონების გამგანტველი ერთის“ მიმართ, რომელიც „ქალთა კრებაში“, „ვეფხვთა შორის“,

ქურციკივით იდგა, ნათლად ჩანს მგოსნის მიერ მისდამი მიძღვნილი ლექსის სტრიქონებიდან:

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები  
ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“, ..... ქალს  
„ვარდი ღაწვზედ მყის აეფურცლა,.....  
ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა,  
რომელმან ჩემს გულს სანდომობით შვება მოჰფინა,  
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა თვალსა,  
რომელი მყისვე მიეფარა, ნ ა თ ე ლ ი – თვალსა! “ („ღამე ყაბახზედ“).

უიმედო სიყვარულზე ლაპარაკობს ნიკოლოზ ბარათაშვილი ასევე 1842 წელს დაწერილ ლექსში „მიყვარს თვალები მიზნედილები“. პოეტი წერს:

„მაგრამ როს ვუჭვრეტ, ზამბახ-ვარდთ ველად  
განეწონვიან მათი ისრები.  
მივხვდი, თვალეზო, ჩემო მკვლელეზო, მაგ თქვენსა ქცევას,  
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის თქვენგან გაქცევას?  
ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგრძნობელსა,  
უწყალოდ სტანჯვენ უნო მსხვერპლსა.....“

ნიკოლოზ ბარათაშვილი გატაცებული ყოფილა ფრანგი დელფინა ლაბიელით, რომელიც დედასთან და დასთან ერთად მე-19 საუკუნის 30-იან წლებში თბილისში გადმოსახლდა. 1837 წელს პოეტს მისთვის უძღვნია ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“. (მეუნარგია, 2004, 250). 1838 წლის 6 აგვისტოს თბილისიდან კახეთში, დედოფლის წყაროში მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილში ვკითხულობთ: „...შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოა. იგი არც შენთვის წერდა და არც ქვეყნისათვის, წერდა მხოლოდ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, ერთადერთისათვის. მას ესმის დამწერისა და დამწერი ამით კმაყოფილია. სხვა რაღა უნდა? შენ გაუგებ თუ არა მას, ეს არც არის საჭირო. ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსს ამშვენებს. ხოლო თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა თვით

სიტყვისა – „ასტრა“ ამის გაგება სულ ადვილია – იგი აღებულია ფრანგულიდან „astre“, რაც ჩვენებურად , ძმაო, თავყანა, ნიშნავს: მთიები. – ასე, ჩემო ბატონო!“

ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. დღეს საღამოს წყნეთში მივემგზავრები. – რატომ? იმიტომ, რომ ის იქ გახლავთ. დედამისმა მთხოვა რამდენიმე დღე მათთან გავატარო....“ (ბარათაშვილი, 1968, 172).

პოეტმა დელფინას სახელი დაუკავშირა „ასტრას“. სახელი „დელფინაც“ სათავეს იღებს ბერძნული მითოლოგიიდან და ჩრდილოეთის ერთ-ერთ თანავარსკვლავედს ეწოდება.

მიხეილ თუმანიშვილს პოეტისთვის უპასუხნია წერილითა და იუმორისტული ლექსით, რომელშიც ავტორი კითხულობს ნ. ბარათაშვილის ლექსის ადრესატის უცნობ ვინაობას. იგი წერს:

ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის“

სადაურო, სად მოსულხარ, ან რისთვის?

უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის?

ეს სახელი არ ჰსმენია არავის?“ ( „ასტრაზედ“).

მადამ ლაბიელს თავისი ქალიშვილი გაუთხოვებია ბრწყინვალე სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეზე (ბალახაშვილი, 1967, 202). ასე დამთავრდა პოეტის ეს სიყვარულიც დელფინა ლაბიელისადმი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი პირად წერილებში ადრესატებს არ უმხელს თავისი ტრფობის ობიექტების ვინაობას და, საერთოდ, იგი საკუთარი ლექსებისაგან განსხვავებით, ეპისტოლეებში ყველაზე ნაკლებად სიყვარულზე საუბრობს, ისიც შეფარვით. ამის ნიმუშია დასახელებული წერილი. „ეს აიხსნება იმ ლამაზი, ვაჟკაცური თავდაჭერილობითა და შინაგანი სიამაყით, იმ კდემით და სულიერი სიფაქიზით, რომელიც ნებას არ ძლევს ადამიანს, თვით უახლოეს მეგობარსაც კი, გაუმხილოს ყველა საიდუმლო თავისი სიყვარულისა“ (ნატროშვილი, 1968, 38,39).

რომ არა მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილი „ასტრას“ ავტორის ეპისტოლე, ალბათ, ჩვენთვის ცნობილი არ იქნებოდა დელფინა ლაბიელთან დაკავშირებული ნიკოლოზ ბარათაშვილის სასიყვარულო ისტორიის ეს საყურადღებო ფაქტი.

პოეტის ადრეული გატაცება ყოფილა ქეთევან შალვას ასული ერისთავი, რომელსაც ეკუთვნის ლექსი „ქეთევან“ (1835). 16 წლის ლექსის ადრესატს მგოსანი უწოდებს „გულის-სწორს“, „ჰაეროვანს“, „ნაქებს გულით და მშვენიერებით“. ლექსში ნიკოლოზ ბარათაშვილი საყვედურობს ქეთევანს:

„თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი:

„მე შენი ვარ საუკუნოდ!“

სიყმაწვილეს რად მილხენდი,

თუ მოჰკლავდი ასე უდროდ?“

ნიკოლოზ ბარათაშვილს ქეთევანისთვის უჩუქებია თავისი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ და თავისი ლექსთა კრებული, რომლებიც დამწვარა 1876 წელს ქეთევანის მეუღლის, ელიზბარ ერისთავის სახლში. მათი შვილის, ნინო ქობულაშვილის, გადმოცემით, ქეთევანი მშობლებს ძალით გაუთხოვებიათ მდიდარ ელიზბარ ერისთავზე. ი. ლოლაშვილი წერს: „ფიქრობენ, რომ ნიკოლოზსა და ქეთევანს უყვარდათ ერთმანეთი. ეს დაუჯერებელია, რადგანაც ისინი ნათესავები იყვნენ (ქეთევანი არის ყაფლან ორბელიანის დისწული). ის კი ფაქტია, რომ მათ ძლიერ ახლო მეგობრობა ჰქონდათ“ (ლოლაშვილი, 1968, 84). ვფიქრობთ, რომ ლექსის შინაარსი მხოლოდ მეგობრულ სიყვარულს არ გამოხატავს.

ერთხანს ნ. ბარათაშვილმა „თავისი სიყვარული აადევნა“ „ქალაქის ჩინოვნიკის ცოლს (მეუნარგია, 2004, 250) – მარიამ ფალავანდიშვილს. ცნობილია მისი და პოეტის „სახუმარო გაკამათება ლექსებით“.

ამბობენ, რომ განსაკუთრებული ადგილი პოეტის გულში უმშვენიერესმა ეკატერინე ჭავჭავაძემ დაიკავა, რომელიც იყო შთამაგონებელი და ადრესატი ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე საუკეთესო ლექსისა. დედოფლის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1881 წელს, მას ესტუმრა იონა მეუნარგია (მეუნარგია, 1957, 192), რომელსაც

ეკატერინე ჭავჭავაძემ გადასცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხუთი უცნობი ლექსი. ასენია: ა). „ღამე ყაბახუდ“ და „ძია გ – სთან“, რომლებშიც პოეტის მიერ აღწერილია 1836 წლის ზაფხულის ღამე ყაბახუდ და მიძღვნილია გრიგოლ ორბელიანისადმი. ორივე ლექსი ჩართულია 1837 წლის თებერვალში ბიძისადმი გაგზავნილ წერილში. ბ). „ცისა ფერს“ და „როს ბედნიერ ვარ“. ეს ლექსები „შეთხზულია ეკატერინე ჭავჭავაძისათვის რუსული სასიმღერო ლექსების მიზამვით“ (ლოლაშვილი, 1968, 90). ორივე ლექსის ტექსტი, თავისი ხელით გადაწერილი, ნ. ბარათაშვილს მიუერთმევია ეკატერინე ჭავჭავაძისათვის და მხოლოდ დედოფლისთვის გადაწერილ ლექსთა კრებულშია შეტანილი ისევე, როგორც მხოლოდ ეკატერინესთვის გადაწერილ ლექსთა კრებულშია შეტანილი პოეტის ლექსი „(ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“. ეკატერინესადმი მიძღვნილი ასევე ლექსები: „სატრფოვ, მახსოვს“, „სული ობოლი“, „აღმოხდა მნათი“, „არ უკიჟინო, სატრფოო“ (ინგოროყვა, 1968, 51-52). ეკატერინე ჭავჭავაძე სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში არ მოიძებნება მასალა ქეთევან ერისთავის, მარიამ ფალავანდიშვილისა და თვით ეკატერინე ჭავჭავაძის სიყვარულის შესახებაც კი, რომელიც, ვფიქრობთ, პოეტს ყველაზე მეტად ეძვირფასებოდა და ამიტომ მასზე მხოლოდ პოეზიის ენით საუბრობდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოლო გატაცება ყოფილა ნახჭევანში ხანის ქალი, – გონჩა-ბეგუმი. პოეტი მოხიბლული ყოფილა მისი მშვენიერებით. 1845 წლის 9 თებერვალს მგოსანი სწერს მაიკო ორბელიანს ამ ლამაზი ქალის სულიერი ტკივილების შესახებ: „ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია;..... საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუმოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. – ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, – ამ ლექსში თავის თავს სტირის; ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. – ამ ლექსს

დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით“ (ბარათაშვილი, 1968, 194). პოეტმა მას უძღვნა ლექსი „მადლი შენს გამჩენს“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილიდან ეს ამონარიდი ააშკარავებს მის სათუთ ბუნებას და გვამცნობს გონჩა-ბეგუმისადმი პოეტის გატაცების საინტერესო ეპიზოდს. ამ ეპისტილეს არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მგოსნის ცხოვრების ეს საინტერესო ფაქტი არც ყოფილიყო ცნობილი.

ჩვენ დავასახელებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შთაგონების რეალური ობიექტები, რომლებიც წარმოადგენდნენ პოეტისათვის ლექსის შექმნის წყაროს. „ერთი მესამედი ბარათაშვილის ლექსებისა არის ნაყოფი სიყვარულისა და მშვენიერების ეკატერინე ჭავჭავაძისა, ნინო ორბელიანისა, ნინო გრიბოედოვისა, მისი დელფინა და სხვანი ერთი ერთმანეთზე უკეთესნი შეადგენდნენ მისთვის დაუღვეველ წყაროს პოეზიისას“ (მეუნარგია, 2004, 265).

როგორც აღნიშნული გვაქვს, ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი დროის ბევრ ქალთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა, მაგრამ ზემოდასახელებულ მანდილოსნების მიმართ მისი გრძნობა გასცდა მეგობრობის საზღვრებს და რომანტიკულ სიყვარულში გადაეზარდა. ასე რომ, პოეტის ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მის ბედთან რამდენიმე ქალი დაკავშირდა. გურამ ასათიანის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ქრესტომათიული სიყვარული“ იცოდა. რატომ? ვფიქრობთ, ესეც მისი ხასიათიდან მომდინარეობს. მისი მოძრავი ბუნება მრავალფეროვნებისკენ მიისწრაფოდა და ერთფეროვნებას ისევ სიყვარულის გამო ტანჯვას ამჯობინებდა. რა თქმა უნდა, ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ პოეტის შთაგონების ობიექტები თავიანთ ბედს სხვებს უკავშირებდნენ. რატომ? ნიკოლოზ ბარათაშვილის გარეგნობაზე, როგორც გვაქვს აღნიშნული, სხვადასხვა აზრი არსებობს. პოეტის თანამედროვეთაგან გაგონილით, იგი კარგი გარეგნობის იყო. ზოგის აზრით კი, მგოსანი შესახედაობით არ იყო მიმზიდველი. ამას მისი კოჭლობა ემატებოდა და ეკონომიური სიდუხჭირეც.

მართალია, მგოსნის აზრით, მხოლოდ ხორციელი სიყვარული „ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცეები“ („რად ჰყვედრი კაცსა“), მაგრამ მისი „სატრფიალო ლექსების

თვით სახელდახელო გარჩევაც კი გვიჩვენებს, თუ რა ძალითა და ძლიერებით უყვარდა პოეტს მიწიერი, სხეულებრივი მშვენიერება და როგორ იხიბლებოდა იგი მით“ (ქუთელია, 1945, 44). „ბარათაშვილი იყო უაღრესად ადამიანური, სიცოცხლის მშვენიერების ყოველგვარი გამოვლინებისადმი საოცრად მგრძნობიარე ადამიანი. მას არ დაუხუჭავს თვალი იმ სილამაზეზე, რომელსაც თავის ლექსში „ხორციელების ნიჭს“ უწოდებს“ (ასათიანი, 1982, 246). ნ. ბარათაშვილის სიყვარულის ობიექტებიც ხომ უმშვენიერესი ქალბატონები იყვნენ, რაც კარგად ჩანს თავად პოეტის ლექსებიდან და მისი ეპისტოლური მემკვიდრეობიდან. ვფიქრობთ, გარეგნობით ასეთი წარმტაცი ბანოვანებისთვის მგოსანი მთლად მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო, მიუხედავად თავისი ინტელექტის, კარგი სოციალური ჩვევებისა და დადებითი პიროვნული თვისებებისა. ფიზიკურ მიმზიდველობას უდიდესი როლი აქვს მოწონებაში, რომელსაც ადამიანი სიყვარულამდეც მიჰყავს. ვფიქრობთ, ამიტომაც ახერხებდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და იმდროინდელი ლამაზმანები მხოლოდ მეგობრულ ურთიერთობას, რაც პოეტისთვის ალბათ დიდი ტკივილი იქნებოდა და მუდმივად ეძებდა იმ ქალს, რომელშიც სიყვარულის გრძნობას აღძრავდა. ჩვენი აზრით, მგოსნის ტრფობის ობიექტები მხოლოდ მისი პოეტური ნიჭით იყვნენ მოხიბლულნი. ამასთან ერთად, ნიკოლოზ ბარათაშვილს რომ მოენადირებინა თუნდაც ერთი ქალის გული და დაკმაყოფილებულიყო მისი გრძნობები, შეიქმნებოდა კი ასეთი დიდებული ლექსები? ალბათ, არა.

## §7. „მოთხოვნილებათა იერარქია“ – სულიერი დისკომფორტი

ადამიანი ერთადერთი გონიერი არსებაა უსასრულო სამყაროში. მასში ერთდროულად თანაარსებობს ვიტალური და სულიერი მოთხოვნილებები. როდესაც ის ისრულებს ვიტალურ მოთხოვნილებებს, მერე უკვე საკუთარ თავში უფრო

მაღალი გრძნობებისა და სურვილების აღმოჩენას იწყებს. ეს ე. წ. მაღალი მოთხოვნილებები ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ თითოეული მათგანი სხვადასხვა სიძლიერით მიიწევს დასახული მიზნისაკენ. რუბენშტეინი მიუთითებს: „ადამიანისათვის მოთხოვნილების ქონა მეტყველებს იმაზე, რომ იგი განიცდის საჭიროებას იმისას, რაც მასში არ არის და არსებობს გარე საგნებში ან სხვა ადამიანებში“ (რუბენშტეინი, 2002, 522). „მოთხოვნილება არის ადამიანის მიერ რაიმეს საჭიროების განცდა, რომლის დაკმაყოფილების სურვილსაც იგი აცნობიერებს როგორც აუცილებლობას. მას საფუძვლად უდევს შესაბამისი საჭიროების განცდა, რომელიც არის ადამიანის მიერ რაღაცის უკმარისობის შეგრძნება. შესაბამისად, ადამიანს უყალიბდება მოთხოვნილება, რომელიც აიძულებს იზრუნოს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, მოთხოვნილება არის ადამიანის მიერ რაიმე საჭიროების გაცნობიერება, რომლის დაკმაყოფილება მისთვის გადაუდებელი აუცილებლობაა“ (ერქომაიშვილი, 185).

ადამიანის მოქმედებები მოტივირებულია სხვადასხვა მოთხოვნილებით. ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ (Abraham Maslov, 1970) შექმნა მოთხოვნილებათა იერარქია, რომელსაც აქვს პირამიდის სახე და ისინი დალაგებულია მარტივიდან უმაღლესისკენ. მისი აზრით, ადამიანს უფრო მაღალი მოთხოვნილება მაშინ უჩნდება, როცა მასზე დაბალი საფეხურის მოთხოვნილება მეტნაკლებად მაინცაა დაკმაყოფილებული. მასლოუს აზრით, იერარქიაში მოთხოვნილებათა თანმიმდევრობა შეუცვლელი არ არის, ანუ შეიძლება დაირღვეს. მაგალითად, ზოგი ადამიანი ყურადღებას არ აქცევს უსაფრთხოების მოთხოვნილებას მაშინ, როდესაც უფრო მაღალი დონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებით არის მოტივირებული.

შევეცდებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებები განვიხილოთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მიხედვით.

ჩვენ არ შევხებით პროტის **ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს**, რომლებიც იერარქიის საფუძველში მდებარეობს, რადგანაც ასეთი მოთხოვნილებები ასე თუ ისე, მეტნაკლებად, ყველას მიერაა გადალახული.



იერარქიაში, ამის შემდეგ ადამიანის მოტივაციას ქმნის **უსაფრთხოების მოთხოვნილება**, რომელიც ითვალისწინებს უშფოთველ, კომფორტულ ცხოვრებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ამ მოთხოვნილების გამომხატველია 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი პირადი ბარათი. იგი სწერს ადრესატს: „მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით, და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში“ (ბარათაშვილი, 1968, 186-187).

აბრაჰამ მასლოუს თეორიაში იერარქიულად მომდევნოა **მიჯაჭვულობის ანუ თანაზიარობისა და სიყვარულის მოთხოვნილება**. პოეტის პირად ბარათებში ნათლად ჩანს სიყვარულის მოთხოვნილების გამომხატველი ნიმუშები. 1842 წლის 31 ოქტომბერს იგი სწერს მაიკო ორბელიანს: „ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. – არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეობია ამდენის მარტოობით“ (იქვე, 179).

თანაზიარობის სურვილის გამომხატველია ნახჩევანიდან მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან პოეტის სიტყვები: „სამი თვეა აქა ვარ და ძალდად არავინ მახსენა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის უსიყვარულობა იგივეა, რაც „ობლობა“. ამიტომ იგი ეძებდა სულიერ და ინტელექტუალურ მეგობრებს, რომლებსაც გაუზიარებდა თავის ტკივილსა თუ სიხარულს. ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებიდან, მისი ბიოგრაფებიდან და პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს, რომ მას ჰყოლია ბევრი მეგობარი, რომლებთანაც მხიარულობაში ატარებდა დროს. ვინ იმოქმედა პოეტის სულიერ მოთხოვნილებებზე ყველაზე მეტად, ვინ აირჩია მწერალმა თავისი ტკივილების არა მარტო გამზიარებლად, არამედ თანამგრძნობლადაც?

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილებიდან და ბიოგრაფთა მოგონებებიდან ჩანს, რომ პოეტის გარემოს წარმოადგენდა იმდროინდელი

ქართული გონებრივი ელიტა. ნათესავ-მეგობრები და მისი პოეტური შთაგონების ობიექტები იყვნენ ძირითადად მგოსნის თანამოაზრენი, მაგრამ ბარათაშვილისთვის მარტო ეს არ იყო საკმარისი: მისთვის აუცილებელი იყო ადამიანი, ვისთანაც მოახდენდა თავისი განწყობის სრულ რეალიზაციას. მაშინდელი რჩეული წრე განათლებული მამაკაცებისა და ქალებისა, რომლებთანაც ჰქონდა ახლო ურთიერთობა ნიკოლოზ ბარათაშვილს, ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

როგორც ვთქვით, პოეტს სჭირდებოდა ადამიანი, რომელსაც თავის სულიერ განცდებს გაუზიარებდა. სწორედ ასეთი გულითადი მეგობარი და მესაიდუმლე იყო მისთვის მაიკო ორბელიანი. ნ. ბარათაშვილს გულწრფელი, მეგობრული გრძნობით უყვარს იგი. პოეტისთვის ეს მშვენიერი ქალბატონი აზრისა და გრძნობის თანაზიარია. „ პოეტის ცხოვრების გზაზე გვეგებება მისი გულთამხილავი მეგობრის, მაიკო ორბელიანის, სხივმოსილი სახე. იგი კეთილი სულია პოეტის მშფოთვარე ცხოვრებისა. პოეტის გრძნობათა მესაიდუმლეა, რომელიც ესალბუნება მისი სახელოვანი მეგობრის სულის იარებს“ (აბზიანიძე, 1969, 147).

ნიკოლოზ ბარათაშვილს იგი გამორჩეულად უყვარდა. მაიკო ორბელიანის ცხოვრებაც ტრაგიკულია. ცნობილია ამ ტრაგედიის მიზეზი. მაიკოც დიდ სევდას ატარებდა გულით. ექსპერტი ალბერტ როტენბერგი წერს: „მცდარი და რომანტიულია შეხედულება, რომლის მიხედვიდაც, თითქოს, ადამიანები თვითონ უნდა დაიტანჯნონ, რომ შეძლონ სხვების მწუხარებისა და ტანჯვის გაგება“ (Rothenberg, 1990, 164). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მსგავსი ტკივილის ადამიანები უფრო მეტ სულიერ სიახლოვეს განიცდიან.

ნახჭევანიდან 1845 წლის 9 თებერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს მაიკოს: „საყვარელო დაო, მაიკო! შენი წიგნი მამივიდა; დიდად მაძლობელი ვარ; ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ შენმა გაზდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს)“ (ბარათაშვილი, 1968, 193) ნ. ბარათაშვილი და მაიკო ერთმანეთის სულიერი მეგობრები იყვნენ. ერთ წერილში პოეტი სწერს მას: „მაიკო, რაც გაქვს სათქმელი, რატომ არ მწერ? სულ ერთია, თუ პირადად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია;

თუ შენი ამბავია, ხომ იცი, შევინახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?“ (იქვე, 195). პოეტმა მეგობრობისა და ერთგულების ნიშნად აჩუქა მას ლექსთა კრებული. მიძღვნა ასეთია: „დაო მაიკო, ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა“ (იქვე, 173). ამრიგად, მაიკო ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ სულიერიც, ანუ ინტელექტუალურ-სულიერი მეგობარი იყო, რომელსაც პოეტი ყველაზე მეტად უხსნიდა გულს, მაგრამ ვერც მასთან ახდენდა თავისი განწყობის სრულ რეალიზაციას. ერთგან ხუმრობის კილოთი, მაგრამ, მაინც უჩივის კიდევ მაიკოსგან მივიწყებას. 1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც თავისთავად მეგობრობის მოთხოვნილებაა, პოეტი სწერს ადრესატს: „აი სამი თვეა, აქა ვარ და ძალდად არავინ მახსენა...ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში“ (ბარათაშვილი, 1968, 193). ამასვე ჩივის 1845 წლის 25 აგვისტოს ბაბაღე საგინაშვილისადმი მიწერილ ბარათში „თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხრთ, განა არა, მოვაგონდებით“ (იქვე, 197).

ადამიანი, რომელიც ვერა კაცთან ვერ ჰპოვებს ნუგეშს, სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში ეძებს. ის თავისი სურვილების შესაბამისად ამყარებს ურთიერთობას გარემოსთან, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება. „...ყველაფერი კი არ მოქმედებს გარესინამდვილეში ცოცხალ არსებაზე, არამედ მხოლოდ ის, რაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს...“ (უზნაძე, 1940, 66). ნიკოლოზ ბარათაშვილმა ბუნება აირჩია თავისი ადამიანური ვნებებისა და განწყობილების გამზიარებლად. ბუნების გრძნობა ხომ რომანტიკოსებში განსაკუთრებული სიღრმით გამოირჩევა. ნ. ბარათაშვილსაც, როგორც რომანტიკოსს პოეტს, ჰქონდა საოცარი უნარი ბუნების მშვენიერების შეგრძნებისა და განცდისა.

რა თქმა უნდა, მოთხოვნილების დაკმაყოფილება გარემო პირობებში ხდება, მაგრამ თუ ადამიანს საერთოდ არა აქვს მოთხოვნილება, მარტო გარემო ვერ იქცევა

მისი მოქმედების სიტუაციად (უზნაძე). ადამიანის ქცევის განწყობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი მოთხოვნილების რაგვარობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იდეალურ სამყაროს ბუნების წიაღში პოულობდა. სულის სიმშვიდისა და გულის მყუდროებისათვის რომანტიკულად განწყობილ პოეტს თავისი სევდიანი ფიქრების თანაზიარად მთვარიანი ღამე ჰყავდა, ხან თბილისის არე-მარე, ზოგჯერ თავისი საყვარელი მთაწმინდა და მტკვრის ნაპირი. ამგვარად, პოეტს ჰქონდა სულიერი ტკივილის გაზიარების მოთხოვნილება. ბუნების სახით მწერალს თავისი განწყობის შესაფერისი გარემო ხვდებოდა ანუ სულიერი და ინტელექტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია. სევდა ეფინებოდა როგორც პოეტის გულს, ისე ბუნებას. განწყობას ხომ „...არც მარტო მოთხოვნილების მდგომარეობა ქმნის თავისთავად და არც მარტო ობიექტური სიტუაცია. იმისათვის რომ განწობა გაჩნდეს, მოთხოვნილება თავისი დაკმაყოფილების პირობების შემცვლელს ობიექტურ სიტუაციას უნდა შეხვდეს“ (უზნაძე, 1940, 75).

„ლანდშაფტს უნდა განიცდიდე როგორც საკუთარ სხეულს, ლანდშაფტი იდეალური სხეულია განსაკუთრებული სულისთვის“ (ნოვალისი, ციტირებულია ნადირაძის წიგნში-ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, 1961, 100). ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც განსაკუთრებული სულის ადამიანს, მთელი ბუნება უთანაგრძნობდა მის „სევდისა გულისა სენს“, ლამაზ პეიზაჟებს განსაკუთრებული ზეგავლენა ჰქონდა მის „შავბედისაგან დაღამებულ გლახ გულზე“. ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც ყველა რომანტიკოსს, ბუნება წარმოდგენილი ჰქონდა ცოცხალ არსებად, რომელსაც აქვს ადამიანური გრძნობები. „ბუნება ბარათაშვილისათვის ცოცხლი არსებაა: მკაცრი და ულმობელი ადამიანისაგან გარიყული, მიუღებელი პოეტი, აქ ბუნებაში პოულობს თანაზიარს, თანამგრძნობს, აშლილ გრძნობათა დაყუჩებას (ზანდუკელი, 1956, 201).

ამგვარად, პოეტი თავის გრძნობებსა და ბუნების სურათებს შორის მსგავსებას ხედავდა. მაგრამ იგი მოაზროვნე პიროვნებაა. მან იცის, რომ ადამიანი თვითონ ანიჭებს ბუნებას ადამიანურ გრძნობებს, რაც მხოლოდ მხატვრულ სიტყვასა და

ხელოვნებაში გვხვდება. ამდენად, მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის ბუნება თავისი სულიერი განწყობის შესაფერისი სიტუაციაა, მაგრამ მწერალი ვერც ბუნებაში პოულობს საბოლოო თავშესაფარს. პოეტი, როგორც ცნობიერი არსება, ბუნებისაგან ვერ იღებს გონებრივ საზრდოს. ამიტომაც, რომ იგი მას უწინდელივით ვეღარ აკმაყოფილებს. „...მკაცრი და მწარე სინამდვილე თვალნათლივ დაანახვებს პოეტს, რომ ქვეყნად არავითარი ისეთი სული არაა, რომელიც მას დახმარებას გაუწევდა, უსიამოვნებას აარიდებდა. პირიქით, თუმც ცხოვრებამ მას ბევრი ნაღველი აწვინა, ბევრი ტანჯვა და უსიამოვნება განაცდევინა, მაგრამ მას არავითარი შველა არ მიუღია არავისაგან“ (ბალანჩივაძე, 1977, 25). ამიტომაც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს მუდმივად თან სდევდა მარტოობის გრძნობა.

იერარქიაში შემდეგი დონეა **პატივისცემის მოთხოვნილება** – მოთხოვნილება საკუთარ თავში ისეთი ადამიანის დანახვისა, რომელიც სხვათა მხრიდან იმსახურებს პატივისცემას. პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ვხვდებით ამ მოთხოვნილების გამომხატველ ნიმუშებს: იგი ხაზს უსვამს თავის ბეჯით ბუნებას, თავის უპირატესობას... ხოლო ერთ წერილში ორიგინალურადაა გამოხატული საკუთარი თავისა და მეგობრების ფასეულობაში დარწმუნება. იგი კატოს ქორწილის შემდეგ სწერს ზაქარია ორბელიანს: „თუ ღმერთი გვადირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ“ (ბარათაშვილი, 1968, 192).

მასლოუს თეორიის შემდეგ საფეხურზეა მოთავსებული **შემეცნებითი – ცოდნის მოთხოვნილება**. პოეტის ინტელექტუალური მოთხოვნილების შესანიშნავი ნიმუშია მის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათები. ერთში პოეტი საყვედურს გამოთქვამს მშობლებისადმი: „...რადგან შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა...“ (ბარათაშვილი, 1868, 169). მეორე წერილში კი ჩივის თბილისის უინტერესო ცხოვრებაზე: „ტფილისის ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“ (ბარათაშვილი, 1968, 175).

შემდეგ დონეზე თავსდება **ესთეტიკური მოთხოვნილება**. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს პოეტის ესთეტიკური სამყარო. მისთვის

მომხიბვლელია „კოჯრის ნიავის ქროლა“, „მშვენიერი მთვარიანი ღამეები“. პოეტი სწერს მიხეილ თუმანიშვილს: „...მხოლოდ თბილისის მშვენიერი მთვარიანი საღამოები გამომაცოცხლებს ხოლმე!“. მგოსნისთვის ესთეტიკური აღტაცების გამომწვევია ქალის „შვენება“, რომელიც „განატკბობს სახედველს“, და „ლექსს ამშვენებს“. ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მშვენიერება გამოხატავს სულის მომხიბვლელობას და ნამდვილ ბედნიერებას. პოეტი სწერს მაიკო ორბელიანს: „შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. – დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან“ (ბარათაშვილი, 1968, 180). მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილი წერილიდან ეს ამონარიდი მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამ სიტყვებით ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის სურვილსაც გამოხატავს, რომელშიაც კარგად ჩანს მისი ბუნება – მისწრაფება არა იმდენად სახელის მოხვეჭისა და ნივთიერი კეთილდღეობისადმი, არამედ უფრო ადამიანური ბედნიერებისადმი.

ზემოდასახელებულ ელემენტარულ ადამიანურ მოთხოვნილებებს მოჰყვება საკუთარი პოტენციალის სრული განვითარებისა და გამოყენების სწრაფვის, ანუ **თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება**. ნიკოლოზ ბარათაშვილის სრული შესაძლებლობისა და უნარის გამოვლენის მოთხოვნილების ნიმუშია მისი პირადი ბარათები. პოეტი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო!“ (ბარათაშვილი, 1968, 182). ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი სურვილების აღსასრულებლად ბედთან შებრძოლებასაც კი აპირებს, იგი სწერს ბიძას: „...დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“ (იქვე, 169). პოეტი

დარწმუნებულია თავის გონებრივ შესაძლებლობებში, იბრძვის მისი განხორციელებისათვის, რათა „ხელმწიფურად გადახედოს თავის ასპარეზს“ (იქვე, 182).

მიუხედავად ზემოთქმულისა, მართალია, ნ. ბარათაშვილს არ ჰქონდა მისთვის შესაფერისი ზნეობრივი სამსახურებრივი გარემო, მის წერილებში ზოგჯერ მაინც გამოკრთის პოეტის კმაყოფილება მცირე წარმატების გამო. ერთ წერილში იგი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „...ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი“ (იქვე, 169). მაიკო ორბელიანს კი სწერს: „...ადარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოობას შევსძლევნ; სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა“ (იქვე, 193).

აბრაჰამ მასლოუს სქემაში იერარქიის მწვერვალზე იმყოფება **ტრანსცედენტური მოთხოვნილება**, რომელმაც ადამიანი შეიძლება ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობამდე და სამყაროში საკუთარი დანიშნულების კოსმიურ ხედვამდე მიიყვანოს (გერიგი, ზიმბარდო, 2009, 499).

ადამიანისათვის მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ რა განსაზღვრული ადგილი აქვს მას სამყაროში და მის არსებობას რა მიზანი გააჩნია. ამიტომ მას უჩნდება მოთხოვნილება გაიგოს, თუ ვინ არის და რატომ გაჩნდა იგი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არ იყო იმგვარი ადამიანი, რომ იგი საკუთარ მე-ს საზღვარს არ გასცდებოდა. პოეტმა, როგორც მაღალი ხედვის ადამიანმა, იცოდა თავისი არსებობის დანიშნულება. მისი ფართო გონება სივრცეს ეძებდა „ცის იქით“. იგი ეუბნებოდა ცას: „გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს“ („შემოლამება მთაწმიდაზედ“).

პოეტი მუდამ აკვირდებოდა ცხოვრების მიზანს, ადამიანის ბუნებასა და მის დანიშნულებას, მაგრამ ყველაფერში ამაოებას ხედავდა. იგი მიხვდა, რომ ცხოვრება რაც არ უნდა ამაოებად მიგვაჩნდეს, ადამიანი მაინც უნდა ემსახუროს ხალხს, საზოგადოებას და ქვეყანას. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“ („ფიქრნი მტკვრის პირზედ“). ამას მოითხოვს პოეტი საკუთარი თავისგანაც, მაგრამ მას არ აქვს

მოღვაწეობის სარბიელი, თუმცა გააჩნია საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძლიერი მოთხოვნილებები. იგი წერს:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაგლო,

სადამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;

მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი განთიადისა მორბედი,

რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი“ („არ უკიჟინო“).

საზოგადოებისა და ქვეყნისთვის მოღვაწეობის სურვილს გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც. 1842 წლის 2 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში პოეტი აღფრთოვანებას გამოხატავს ტყვეობაში მყოფ ილიკო ორბელიანის პატრიოტული და გმირული ქცევის გამო. ვფიქრობთ, ნ. ბარათაშვილი ნატრობდა კიდევ ილიკოს მდგომარეობაში ყოფნას, როცა წერდა: „ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეშიო“ . ამასვე გამოხატავს პოეტი ამავე წერილის შემდეგ სიტყვებში, როცა წერს: „ილიას დაჭერა რომ შევიტყე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით...“ (ბარათაშვილი, 1968, 176-177).

ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც იმდროინდელ ახალგაზრდებს, სამხედრო საქმის სიყვარულისა და პირადი დაწინაურების გარდა, ჰქონდა სწრაფვა ბრძოლის ველისკენ. მისი საოცნებო მიზანი სამხედრო კარიერა იყო. მითუმეტეს, რომ 1843 წლისათვის ახალგაზრდობის უმრავლესობა დალესტნის ომში იბრძოდა. „ახალგაზრდა თავადებიდან ქალაქში ვგონებ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო დარჩენილი“ (გრიგალაშვილი, 2011, 46). აკი სწერდა კიდევ თავის უკვე ავარიის მმართველ ბიძას: „ჩემი ფიქრი მანდედ მოჰქერის, ეცადე, რომა რენემკაფთან დამანიშვინოო“.

პოეტისთვის სანატრელი იყო ასევე ადამიანებზე მზრუნველობა, რაც გამოხატა ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში. იგი სწერს ადრესატს: „ღრმად ჩაიხედე შენს გულში და მაშინ, როცა დარწმუნდები, რომ დიდების ქუხილსა და იარაღის ჟღარუნს შენი სმენისთვის აღარა აქვს მაგიური მნიშვნელობა, – დაანებე სამსახურს თავი, ხელი მოჰკიდე მეურნეობას. ეს იქნება მეორე სასახელო საქმე – გააბედნიერო შენი



გლები, რომლებიც ამდენი ხანია მიტოვებულნი არიან უპატრონოდ – უმზრუნველოდ“ (იქვე, 187). ნაცვლად ამისა, ცხოვრებამ არ გაუმართლა პოეტს ზრახვანი და იგი მოიცვა სევდამ და მწუხარებამ.

ჩვენ განვიხილეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებები აბრაჰამ მასლოუს იერარქიის მიხედვით. აუსრულდა თუ არა პოეტს თითოეული მათგანი? ვფიქრობთ, რომ არა!

როცა ადამიანი რაიმე სიკეთეზე ფიქრობს და მას დაკარგავს ან ვერ მიიღებს, მის სულში წარმოიშობა მწუხარების გრძნობა. გაბრიელ ეპისკოპოსი გვახსენებს: „ფსიქოლოგს, რომელიც სწავლობს ადამიანის სულს, კარგად ესმის – რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს მოთხოვნილებები და ჩვევები, მით უფრო უბედურია ის“ (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1993, 119). ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ირკვევა, რომ პოეტსაც ჰქონდა სხვადასხვა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება და შესაბამისად, თავისი სულის ტრაგედიის არაერთი წყარო. პოეტი 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანისადმი მიძღვნილ ბარათში ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებმაც „საშინელი სიცარიელით აღავსეს“ პოეტის სული. ესენია: „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომელობა“, „ადამიანთა სურვილთა უსაზღვროება, „და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოება“. ამავე წერილში პოეტი ცდილობს ახსნას ზაქარია ორბელიანის სევდის მიზეზი. ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს ადრესატს: „სამურის ოლქის განმგებლობა შენტვის ჩვეულებრივ საქმედ და ერთხელ მომართულ მექანიზმად იქცა. სული შენი ეძიებს ახალ საზრდოს, შენი არსება უფრო დიდ სამოღვაწეო ასპარეზისკენ მიისწრაფის, უფრო ძლიერ, უფრო პათეტიკურ სცენებისაკენ. და ვიდრე იგი თავის დანიშნულებამდე მიაღწევდეს, მოწყენილი და ნაღვლიანია.....იქნებ ვცდები და ვერ ჩავწვდი შენი სევდის მიზეზს, მაგრამ მე შენგან მაინც მოველი დიდთა საქმეთა აღსრულებას!“ (იქვე, 186-187). წერილი საინტერესოა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის საკუთარ სევდასა და წუხილსაც გამოხატავს.

ნ. ბარათაშვილს მიაჩნია, რომ ადამიანი სანამ მიაღწევს თავის მიზნების ასრულებამდე, მოწყენილი და ნაღვლიანია, მაგრამ ამასთან ერთად პოეტის აზრით, ადამიანს იგივე გრძნობები ეუფლება, როდესაც იგი სრულად დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. ამავე წერილში იგი სწერს ზაქარია ორბელიანს: „ადამიანის სული, რომელმაც სრულ განვითარებას მიაღწია და აღასრულა საქმენი ზეგარდმო მისთვის განკუთვნილი, ბოლოს დაქანცული ეძიებს წყნარ სადგურს მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში. მე რომ ვიცოდე, რომ შენ უკვე განვლე ასპარეზი, შენი მოწყენილობის მიზეზს ამ ჰიპოთეზით ავხსნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ეს პერიოდი“ (იქვე,187).

როგორც ვიცით, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბავშვობაში ცელქი და მოუსვენარი იყო, ხოლო დიდობისას საზოგადოებაში მხიარული, ენამახვილი და ოხუნჯი. მხიარულობა მისთვის ბუნებრივი იყო, თუმცა განმარტობისას მას სევდა ეუფლებოდა. რატომ? პოეტს უამრავი მოთხოვნილება ჰქონდა თავისი მოქმედებისა და უნარის გამოსავლენად. ამის საშუალება არ მისცა იმდროინდელმა ცხოვრებამ. „აღუვსებელმა საწყაულმა“ – დაუკმაყოფილებელმა მოთხოვნილებებმა, აუხდენელმა სურვილებმა – „სულის ახალი საზრდოს ძებნამ“ და ვერპოვნამ, „დიდ სამოდვაწეო ასპარეზისკენ სწრაფვამ“ და ვერმიღწევამ, „დიდთა საქმეთა აღსრულებაზე“ ოცნებამ და ვერაღსრულებამ, ეკონომიურმა სიდუხჭირემ, სიყვარულში წარუმატებლობამ – „სულით ობლობამ“, თვალსაჩინო ფიზიკურმა ნაკლმა გამოიწვია მგოსნის სულიერი დისკომფორტი, რამაც შესაძლოა, ადამიანი თვითმკვლევლობამდეც მიიყვანოს. ნიკოლოზ ბარათაშვილზე გურამ ასათიანი წერს: „ვინ დაამტკიცა, რომ განჯის ღამეებთან მარტოდ დარჩენილ პოეტს თვითმკვლევლობით არ დაუსრულებია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე?!“ (ასათიანი, 1983, 6). თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს „სიცოცხლე მოსძულეობია“, სიკვდილი მისთვის „ნუგეშისცემაა“, ამ ვერსიასაც ვერ უარვყოფთ. პოეტი მიხეილ თუმანიშვილს სწერს: „...მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდისხან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგეშისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული!“ (ბარათაშვილი, 1968,

## თავი III

### ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნული თვისებები მისი ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით

#### §1. ტემპერამენტი და ხასიათი

უძველესი დროიდან პიროვნების აღწერისთვის ორი მეთოდი არსებობდა: ა). ადამიანების კლასიფიცირება ცალკეული ტიპების შეზღუდულ რაოდენობად და ბ). იმ ხარისხის გაზომვა, რა ხარისხითაც ისინი შეიძლება აღიწეროს განსხვავებული ნიშნებით. ადამიანების ქცევა სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება, ამიტომ დამკვიდრდა თეორიები, რომლებიც ფსიქოლოგებმა ტიპებსა და ნიშნებს შორის არსებულ ამ განსხვავებათა ასახვისათვის შექმნეს (გერიგი, ზიმბარდო, 2009, 556).

წარმოვადგენთ პიროვნების „ტიპისა“ და „ნიშნის“ თეორიების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას.

ადამიანის ორგანიზმში არსებული ოთხი სითხიდან (სისხლი, ნაღველი, შავი ნაღველი და ლორწო) ერთ-ერთის მოჭარბების გათვალისწინებით ძველი საბერძნეთის მოაზროვნემ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნე) საფუძველი ჩაუყარა ტემპერამენტის ტიპოლოგიას, როგორც ადამიანის ემოციური სფეროს ფსიქოლოგიურ დახასიათებას. მან გამოყო ადამიანთა ოთხი ტიპი. ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი ტემპერამენტის ტიპებია: სანგვინიკური (ლათ. „სანგუის“ – სისხლი), ქოლერიკული ( ბერძნ. „ქოლე“ – ყვითელი ნაღველი), ფლეგმატური (ბერძნ. „ფლეგმა“ – ლორწო), მელანქოლიური (ბერძნ. „მელან ქოლე“ – შავი ნაღველი). ჩვეულებრივ, ყველა ადამიანს აქვს ოთხივე ტიპის თვისებები. მთავარია, განისაზღვროს, რომელი მათგანი დომინირებს პიროვნებაში. „რადგან ფსიქიკის, კერძოდ, ხასიათის ყველა ნიშანი, ჩანასახის ან განვითარებული სახით, ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, სწორედ ამიტომ ინდივიდუალური განსხვავებულობის მიხედვით, ადამიანთა დაჯგუფება, ტიპოლოგია ხელოვნებასა და

ფსიქოლოგიაში შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ჭარბი და არა ურთიერთგამომრიცხველი ნიშნების მიხედვით“ (ნორაკიძე, 1972, 71). ჰიპოკრატეს თეორიის – ტემპერამენტის „ოთხი ძირითადი ტიპის გამოყოფის სისწორის სასარგებლოდ ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე ორნახევარი ათასი წლის განმავლობაში ადამიანთა დაკვირვება ტემპერამენტთა ძირითად ტიპებად ამ ოთხს აღიარებს“ (ნათაძე, 1977, 631).

მიუხედავად ამისა, ჰიპოკრატეს თეორიამ ვერ გაუძლო თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს. ჩვენს დროში უილიამ შელდონმა (William Sheldon, 1942) შექმნა ისეთი ტიპის თეორია, რომელიც ტემპერამენტს სხეულის აგებულებას უკავშირებდა. მან ადამიანი სამ კატეგორიად დაყო. ეს კატეგორიებია: ა). ენდომორფული (მსუქანი, რბილი, მრგვალი), რომლებიც არიან რელაქსირებული, სოციალურნი და უყვართ ჭამა; ბ). მეზომორფული (კუნთიანი, ოთხკუთხედი, ძლიერი), რომლებიც სხეულებრივად განვითარებული ადამიანები არიან, ენერგიულობით, გამბედაობით გამოირჩევიან და ახასიათებთ ასერტიული ანუ დადებითი, თავდაჯერებული ტენდენციები; გ). ექტომორფული (გამხდარი, გრძელი, სუსტი), ადამიანები, რომლებიც განვითარებულნი არიან გონებრივად და არიან არტისტულები. გარკვეული დროის მანძილზე შელდონის თეორია გავლენიანი იყო, მაგრამ ეს თეორიაც დაბალი ღირებულების აღმოჩნდა ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველების თვალსაზრისით (გერიგი, ზიმბარდო, 557).

მოგვიანებით, გორდონ ოლპორტმა (Gordon Allport, 1937, 1961, 1966) გამოყო სამი სახის ნიშნები: კარდინალური ( რომელთა გარშემოც აგებს ადამიანი თავის ცხოვრებას); ცენტრალური (ადამიანის მთავარი მახასიათებლები, მაგალითად, პატიოსნება, ოპტიმიზმი და ა.შ.) და მეორადი ნიშნები (ის, თუ როგორ საკვებსა და ტანსაცმელს ანიჭებს ადამიანი უპირატესობას). ოლპორტს ინდივიდის ქცევის მთავარ განმსაზღვრელად პიროვნების სტრუქტურა უფრო ესახებოდა, ვიდრე გარემო პირობები. მრავალი თანამედროვე ნიშნის თეორია ოლპორტისეულ ტრადიციას მიჰყვება, მაგრამ უკანასკნელ წლებში მეცნიერებმა აღიარეს, რომ პიროვნების სტრუქტურას ყველაზე კარგად ხუთი ფაქტორი ახასიათებს. პიროვნების ამ ხუთ განზომილებას ხუთფაქტორიანი

მოდელს ან უბრალოდ, დიდ ხუთეულს (the Big Five) (McCrae & Costa, 1999), და პიროვნების გლობალურ ფაქტორებსაც (Russell & Karol, 1994) უწოდებენ (იქვე, 561).

თუ ადამიანის გრძნობების თავისებურებებს განსაზღვრავს მისი ტემპერამენტი, ხასიათი მისი ქცევის წარმართველია. ადამიანის ტემპერამენტის ცოდნით წინასწარ ცნობილია მისი მოსალოდნელი გრძნობები გარკვეულ სიტუაციებში, ხოლო პიროვნების ხასიათის ცოდნით წინასწარ ვიცით, როგორ მოიქცევა ის გარკვეულ პირობებში. ტემპერამენტი ადამიანის სისხლის განსაკუთრებული თვისებაა, ანუ წინააღმდეგ ხასიათისა, ის არ არის ადამიანის გონებრივი მოქმედების შენაძენი. ხასიათი „არა მარტო სუბიექტის წარსულ ქცევას ეხება, არამედ მომავალსაც ითვალისწინებს, აქადას ნათელია, რომ ხასიათი ნებელობის დისპოზიციად იგულისხმება, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს წინასწარ ვიცოდეთ, თუ როგორ მოიქცევა გარკვეული სუბიექტი გარკვეულ პირობებში“ (უზნაძე, 1940, 192). ხასიათი არის მყარი ინდივიდუალურ თავისებურებათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება პიროვნების მოქმედებისა და ადამიანებთან ურთიერთობების პროცესში და განსაზღვრავს მის ქცევას. მისი ჩამოყალიბების დეტერმინანტებს წარმოადგენს ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივი გარემო – ადამიანის აღზრდა. ხასიათის თვისებებს დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ადამიანის ხასიათის აღწერისათვის, მისი დახასიათებისათვის. „იცოდეთ ადამიანის ხასიათი – ამბობს რუბინშტეინი – ნიშნავს იცოდეთ ადამიანის ის არსებითი თვისებები (ЧЕРТЫ), რომლიდანაც გამომდინარეობს და რომლითაც განისაზღვრება მის მოქმედებათა სახე“ (ციტირებულია რ. ნათაძის „ზოგად ფსიქოლოგიაში“, 1977, 635).

ხასიათით ფასდება ინდივიდი და მის მიერ განხორციელებული აქტები. გორდონ ოლპორტი წერს, რომ ხასიათი – ეს შეფასებული პიროვნებაა, ხოლო პიროვნება – შეუფასებელი ხასიათი (Allport, 1961, გვ. 32, ციტირებულია წყაროში Холл, Кю С. , Линдсей Г. , 1997).

ადამიანი შეიძლება დახასიათებულ იქნეს კონკრეტული ნიშნით, რაც საშუალებას მოგვცემს ვიწინასწარმეტყველოთ მისი ქცევა განსხვავებულ სიტუაციებში, რასაც კონსისტენტობის პარადოქსს უწოდებენ. თუმცა კვლევებმა საპირისპირო აჩვენა –

ადამიანის ქცევა იცვლება სხვადასხვა სიტუაციებში. მაგალითად, არ შეიძლება შევაფასოთ ადამიანის ქცევა მხოლოდ ერთი სიტუაციიდან, რადგან შესაძლოა მისი ქცევა მნიშვნელოვნად ცვალებადობდეს, თუ ჩვენი ანალიზის დონე მხოლოდ ერთი სიტუაციაა. „ამდენად, კონსისტენტობა გამოიხატება იმით, თუ რა გზით გამოიწვევენ სიტუაციის მახასიათებლები ადამიანების განსხვავებულ რეაქციას“. ამგვარად, ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს აღწერს, როგორც ძალიან მხიარულ პიროვნებას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისგან მხიარულ ქცევას უნდა ველოდოთ მისი ცხოვრების ყველა მომენტში (გერიგი, ზიმბარდო, 2009, 563-566).

ამიტომ ნიშნები უნდა განვიხილოთ, როგორც დროში განფენილად, ისე სხვადასხვა სიტუაციაში. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ნიშნის მოქმედების შესახებ დასკვნის გაკეთება, როდესაც ემოციები, დამოკიდებულებები მყარად ნარჩუნდება გარემო პირობების ნებისმიერი ცვლილებების მიუხედავად (ხეჩუაშვილი, დისპოზიციური მიმართულება პიროვნების ფსიქოლოგიაში, 12).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და მისი თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, შევეცდებით, განვსაზღვროთ პოეტის თვისებები უპირველესად ჰიპოკრატეს მიერ შემუშავებული ტემპერამენტის ტიპების მიხედვით. მართალია, ეს თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიაში გაკრიტიკებულ იქნა, მაგრამ იგი უფრო ტრადიციულია. ხოლო შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებას განვიხილავთ ხუთფაქტორიანი მოდელის მიხედვით. ჩვენ უნდა ვეძიოთ პოეტის ხასიათის ნიშნები.

ჩვენი მიზანი არ არის არც ამ თეორიებს შორის არსებული განსხვავებებში ჩაღრმავება და არც ერთი რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება. ეს ფსიქოლოგიური მიდგომები გვჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის წარმოსაჩენად გავაკეთოთ სწორი აქცენტები და ზოგ შემთხვევაში ახსნა მოვუძებნოთ მის ამა თუ იმ ქცევასა და გადაწყვეტილებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილს აქვს **სანგვინიკური ტემპერამენტის** ადამიანისთვის დამახასიათებელი შემდეგი თვისებები: ა). პოეტში ერთი განწყობილება სწრაფად ცვლის

მეორეს – მომლხენია და ამავე დროს წრეს გადასული მოწყენილიც. 1842 წლის 31 ოქტომბერს მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ნ. ბარათაშვილი ადრესატს უყვება ლუარსაბ ორბელიანის ასულის ელენეს სახლში გადახდილ მანანა ორბელიანის ქალიშვილის ტასოს დღეობის ამბებს. დღეობა ძალიან მხიარული ყოფილა. მოუღხენია ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, მაგრამ მალე იგი მოწყენილობას დაუპყრია. პოეტი სწერს მაიკო ორბელიანს: „მე, სწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, ისე, მეც არ მოველოდი. – ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ...“

მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ“ (ბარათაშვილი, 1968, 179).

1845 წლის 10 აგვისტოს მურუტიდან მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის მეგობარს საყვედურობს: „.....აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი თუ წამომესარჩლო?“ ამ საყვედურს თუმცა ხუმრობის ტონი აქვს, მაგრამ პოეტი მალევე შერიგებას სთხოვს მაიკოს. იგი სწერს: „კარგი, შევრიგდეთ! ხელთ-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა“ (ბარათაშვილი, 1968, 196).

პოეტის ასეთ ცვალებად ბუნებაზე იონა მეუნარგია წერს: „....ბარათაშვილი ერთობ დაუდგრომელი ხასიათისა იყო: ხან მეტის მეტად მხიარული და იქვე, იმავე წამს, წრეს გადასულად მოწყენილი, ლმობიერი და იმავე დროს მრისხანე“ (ბარათაშვილი, 1968, 274);

ბ). პოეტი მოძრავია, სწრაფია, სიცოცხლით სავსე, – რაც კარგად ჩანს მის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში თავისივე სიტყვებიდან. სამხედრო სამსახურში შეუსვლელიობის გამო ნ. ბარათაშვილი სწერს ბიძას: „....ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვხტი და კიდევ ვტანცაობ“ (ბარათაშვილი, 1968, 169). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ პოეტისთვის ასეთი აქტიური ცხოვრების წესი ბუნებრივი ყოფილა. ეს არაერთ მეცნიერსაც აქვს შენიშნული. ნიკოლოზ ბარათაშვილის მოძრავ, სიცოცხლით სავსე ბუნებაზე იონა მეუნარგია წერს „....ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე მოსწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მოლექურე, მეჩონგურე,

მეთარე, ქალაქის გატაცებით მოთამაშე, ყოველგან მიმსწრობი, ყოველგან შინაური კაცი. ბარათაშვილი შეიქნა საზოგადოების საყვარელ კაცად. სადამო ისე როგორ გაივლიდა, სამოთხ ოჯახს არ სწევოდა ის. ამბები და ჭორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა... დროჟის ფულები არ ჰქონდა (ფაეტონები მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოჭლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზეპირად იცოდა“ (მეუნარგია, 2004, 248).

გ). პოეტი კოლექტივში მხიარულია – 1844 წლის აგვისტოში ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ ეპისტოლეში ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრესატს უყვება თავისი დის – კატოს ქორწილში გატარებული დროის შესახებ. იგი სწერს ზაქარიას: „...ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მთელი ორი კვირა“. ამავე წერილში პოეტი სიამოვნებით იხსენებს ქსნის საერისთავოს სოფელ ალევში მდებარე VIII-IX საუკუნეების სამების ტაძრის დღესასწაულს, სადაც ის იმყოფებოდა მამასთან ერთად. პოეტი სწერს ადრესატს: „ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი. – ძალიან მხიარულება იყო“ (ბარათაშვილი, 1968, 192).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფი იონა მეუნარგია გადმოგვცემს პოეტის თანამედროვეთა მოგონებას მგოსნის მხიარული ბუნების შესახებ. იგი წერს: „არც ერთი ქორწილი, ღამისთევა, ყრილობა არ იყო თბილისის ქართველ საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ-მომღებნად და შემაქცევრად“..... „ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათაშვილში, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში ბარათაშვილი მუდამ სტუმარი იყო, შემტანი მოძრავი გონებისა და მხიარულების. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა, ოხუნჯობდა, არშიყობდა“ (მეუნარგია 2004, 248).

ნიკოლოზ ბარათაშვილის მარდ, მოძრავ, მხიარულ ბუნებას აღნიშნავენ ასევე პოეტის და ბარბაღე ვეზირიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, დიმიტრი ყიფიანი...

დ). პრობლემურ სიტუაციაში პოეტი მიდრეკილია ოპტიმიზმისაკენ. მას ზოგჯერ აქვს იმედიანი ემოციები. ნიკოლოზ ბარათაშვილს ეტყობა, სწამდა შამილის ტყვეობიდან ილია ორბელიანის გათავისუფლებისა, თუ იგი და მისი მეგობრები ჩაერეოდნენ მისი გამოხსნის საქმეში. 1842 წლის 2 მაისს სწერს გრიგოლ ორბელიანს: „... ჩვენი საფიქრებელი ეს არის,



რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის“ (ბარათაშვილი, 1968, 178). ასევე პოეტს სჯერა, რომ მისი „მერანი“ შვებას მოჰგვრის ტყვეობაში მყოფ ილიკოს.

პოეტი თავის ოპტიმისტურ განწყობას ორიგინალურად გამოხატავს 1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში. იგი სწერს ადრესატს:

„... მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით, და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევეს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის (ბარათაშვილი, 1968,193). გამოთქმულია ასეთი მოსაზრება: „...დროა აღდგეს ბარათაშვილის ნამდვილი, ტრადიციული დაბადების თარიღი, გარკვეული ტენდენციების გამო შეცვლილი“ (პოეტი დაიბადა 1816 წელს) (კაკაბაძე, 2009, 41).

წერილი დაწერილია თებერვალში. ნიკოლოზ ბარათაშვილი დეკემბერშია დაბადებული და, შესაბამისად, როცა წერს „შევსრულდითო“, იგულისხმება 1844 წელი. 1845 წელს მისი დაბადების დღე ჯერ არ იყო დამდგარი. 1844 წელს ნიკოლოზი შესრულებულა 26 წლის. პოეტი გააღიზიანა ვიღაც 28 წლის ქალის ნათქვამმა, ქალაქიდან გავყარეთო და იმაზე ამბობს, ის 28 წლისაა და მომავალი არა აქვსო. თავის თავზე და მაიკოზე კი ამბობს, ჩვენ 26-ისა გავხდით და ყველაფერი წინა გვაქვსო. მაიკო მართლაც 1818 წელს დაიბადა.  $1818 + 26 = 1844$ . ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვები საყურადღებოა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღის დასადგენად. ამ წერილის მიხედვით ის 1818 წელს დაბადებულა და სწორედ ეპისტოლე გვამღევეს ასეთ საინტერესო ინფორმაციას.

**ქოლერიკული ტემპერამენტის** ადამიანის თვისებებიდან პოეტს ახასიათებს: ა). ემოციურად ადვილად აღზუნებადობა, ის დიდხანს იმყოფება მძლავრი ემოციების ქვეშ, ამავე დროს, ზოგჯერ, ერთბაშად თავისუფლდება მათგან – 1842 წლის 2 მაისს ილია ორბელიანის დაჭერით გულდამძიმებული ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს: „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები

დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“. ამავე წერლში სწერს ბიძას: „მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს“(ბარათაშვილი, 1968, 177).

ბ). პოეტი ხშირად გაღიზიანებულია, უკმაყოფილო და გაჯავრებული – 1845 წლის 9 თებერვალს ნ. ბარათაშვილი ნახეჩევანიდან სწერს წერილს მაიკო ორბელიანს და გამოხატავს უკმაყოფილებას მისი ძმის გამო: „ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს“. ამავე წერილში პოეტი სამდურავს გამოთქვამს მანანა ორბელიანის მიმართაც. იგი სწერს მეგობარს: „მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს?“ (ბარათაშვილი, 1968, 194).

1845 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში უკმაყოფილებას გამოხატავს ნახეჩევანში ცხოვრების გამო. იგი სწერს მაიკოს: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა!“ (ბარათაშვილი, 1968, 195).

1845 წლის 10 აგვისტოს მურუტიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილს უგზავნის მაიკო ორბელიანს და ხუმრობის კილოთი საყვედურობს მას. პოეტი სწერს მეგობარს: „მართლა, თუ შენ თვითონ ავი ენა არა გაქვს, აბა რა მოგაგონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდივარ. ზედ გეტყობა, რომ სტყუი, თვარემ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომები“(ბარათაშვილი, 1968, 196).

ნიკოლოზ ბარათაშვილი საყვედურს გამოთქვამს თავისი ნათესავი ბაბალესადმიც (ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისა იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის – ეფემიას ბიძაშვილი). 1845 წლის 23 აგვისტოს პოეტი სწერს ადრესატს: „თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხართ, განა არა მოგაგონდებით“(ბარათაშვილი, 1968, 197).

**მელანქოლიური ტემპერამენტის** ადამიანის თვისებათაგან ნიკოლოზ ბარათაშვილს ახასიათებს შემდეგი: მიდრეკილება უარყოფითი ემოციებისადმი; ის ხშირად პესიმისტურადაა განწყობილი – თავისთვის ცუდს მოელის. ხშირად იპყრობს უიმედობა და ცხოვრებაში ზოგჯერ ცუდ მხარეებს ამჩნევს, ვიდრე კარგს. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ 1842 წლის 31 ოქტომბერს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილი თითქმის სულ მელანქოლიური განწყობისაა. პოეტი სწერს მეგობარს: „კიდევ მამნახა ჩემმა

ჩვეულებრივმა მოწყინებამ... შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მამძულეობა ამდენის მართობით... ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?.. მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. (ბარათაშვილი, 1968, 179-180).

მელანქოლიური განწყობა ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. ის სწერს ბიძას: „შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობით ცხოვრების ბოხოქარი დინების გამო, ღრმა გამოძახილი ჰპოვა ჩემს სულში“... ამავე წერილში პოეტი გამოხატავს თავის „ნაღვლიან ფიქრებს“ ის სწერს ბიძას: „ ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომელობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული...“ (ბარათაშვილი, 1968, 186).

ნიკოლოზ ბარათაშვილს არ ახასიათებს **ფლეგმატიკური ტემპერამენტის** ადამიანის თვისებები, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ მას უყვარს საქმეში წესრიგი. მაგალითად, ცნობილია პოეტის პუნქტუალურობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და მისი თანამედროვეთა მოგონებების გათვალისწინებით, მგოსნის ტემპერამენტი განვსაზღვრეთ შემდეგნაირად: პოეტი გრძნობის შინაარსის – ემოციის თვალსაზრისით – მიეკუთვნება ქოლერიკულ და მელანქოლიკურ ტიპებს – მისთვის დამახასიათებელია უარყოფითი გრძნობებისადმი მიდრეკილება. ხოლო გრძნობის აგზნებადობის მხრივ ნ. ბარათაშვილი მიეკუთვნება სანგვინიკურ და ქოლერიკულ ტიპებს – ადვილი აგზნებადობის ტიპებს.

ადამიანთა უმრავლესობა „ატარებს სხვადასხვა ტემპერამენტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ ჩვეულებრივ მაინც რომელიმე ტემპერამენტისაკენ მეტ-ნაკლები გადახრით ხასიათდება“ (ნათაძე, 1977, 631).

როგორც, ადამიანთა უმრავლესობას, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, გააჩნია სხვადასხვა ტემპერამენტისათვის დამახასიათებელი თვისებები, ანუ ისიც „ნარევ“ ტიპს წარმოადგენს, თუმცა იგი გადახრილია უფრო მეტად ერთი ტემპერამენტისაკენ და ამას განვიხილავთ ქვემოთ. თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკოსთა უმრავლესობა ნ. ბარათაშვილს მიაკუთვნებს მელანქოლიურ ტიპს.

ადამიანი იბადება ნერვული სისტემის ჩამოყალიბებული თვისებებით, რომელიც განსაზღვრავს მის ფსიქიკურ განვითარებას. „ნერვული სისტემის ტიპიც კი გარკვეულ ფარგლებში ცხოვრების პირობებში იცვლება; ცხადია, ტემპერამენტიც იცვლება“ (ნათაძე, 1977, 633), ანუ ტემპერამენტი იცვლება და ყალიბდება ასაკის, ადამიანის ცხოვრების შინაარსის, მისი პირადი ცხოვრების მიხედვით და სხვ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იმდენად ახალგაზრდა გარდაიცვალა, რომ რთულია განვსაზღვროთ მისი ტემპერამენტის ცვალებადობა ასაკის მიხედვით. როგორც ი. მეუნარგია აღნიშნავს პოეტს ბევრი თვისება სკოლიდან ცხოვრებაშიც გაჰყვა (მეუნარგია, 2004, 274); თუმცა, პასუხია გასაცემი კითხვაზე: იყო კი ნიკოლოზ ბარათაშვილი მელანქოლიკი? უპირველესად, გავიხსენოთ მელანქოლიკის განმარტება: გამოირჩევა ძლიერი მგრძნობიარობით, საკუთარ თავში მუდმივი დაურწმუნებლობით, სამყაროსგან გამიჯვნისკენ მიდრეკილებით, გრძნობების უმნიშვნელო გამოხატვით, მოძრაობის შენელებულობით, დაბალი ქმედითუნარიანობით, სევდიანი განწყობილებით (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 2007, 491).

მამის სტუმართმოყვარეობამ, მართალია, უარყოფიდად იმოქმედა ნ. ბარათაშვილის მომავალზე, მაგრამ იმავდროულად პოეტს გაუჩნდა ადამიანებთან ურთიეთობის გამოცდილება. ეს ნათლად ჩანს მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე. ამდენად, მას არა აქვს მიდრეკილება სამყაროსგან გამიჯვნისაკენ, რაც მელანქოლიკისთვის არის დამახასიათებელი.

ნ. ბარათაშვილისთვის დამახასიათებელი აქტიური, ჩქარი, მარდი, მოუსვენარი, მკვირცხლი, ცელქი ბუნება, ამავე დროს ცეკვაშიც წარმატებები, არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ პროექტი მიდრეკილი იყო მოქმედების შენელებულობისაკენ, რაც წარმოადგენს მელანქოლიკის ერთ-ერთ თვისებას.

პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ვიგებთ, რომ იგი მელანქოლიკისაგან განსხვავებით, მუდამ თავდაჯერებული და დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გიმნაზიაში სწავლის დროიდანვე გამოირჩეოდა თავისი მაღალი ქმედითუნარიანობით. იგი აქტიურად ეწეოდა ლიტერატურულ ცხოვრებას, სრულიად ბავშვი, თავისებურ პროტესტს გამოხატავდა ხელისუფლების მიმართ და სხვა. მელანქოლიკი კი ხასიათდება დაბალქმედითუნარიანობით.

მართალია, ნ. ბარათაშვილი ხშირად კონცენტრირებული იყო საკუთარ შინაგან სამყაროზე, საკუთარ ფიქრებსა და გრძნობებზე, რაც დამახასიათებელია მელანქოლიური – ინტროვერტული ადამიანის ფსიქოლოგიური ტიპისთვის, მაგრამ პროექტი ამავე დროს გამოხატავს ექსტრავერტულ ტიპისთვის დამახასიათებელ ნიშნებსაც, როგორცაა ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი, მათთან თავისი განცდების, ემოციების გამოხატვის მოთხოვნილება და ასევე, სხვების სიხარულისა თუ მწუხარების გაზიარების უნარი და სხვ. ეს თვისებებიც ეწინააღმდეგება პროეტის მელანქოლიურ ტემპერამენტს.

ნიკოლოზ ბარათაშვილს, რა თქმა უნდა, ახასიათებს მელანქოლიკისათვის დამახასიათებელი დეპრესიულობა, დათრგუნული განწყობილება, ნაღვლიანობა, მაგრამ ეს ნიშნები განსაზღვრულია მისი ცხოვრების შინაარსით, მისი მოთხოვნილებების აუსრულებლობით.

მაშ რომელი ტემპერამენტისკენ არის უფრო გადახრილი პროექტი? იგი, როგორც აღვნიშნეთ, ხალისიანია, სიცოცხლით სავსე ადამიანია, გამოხატავს თავის ემოციებს, ინტელექტუალურია, მიზანმიმართულია, ყველა ამ თვისებით, ვფიქრობთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი იხრება სანგვინიკური ტემპერამენტისაკენ, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ტემპერამენტი იცვლება ასაკთან ერთად და გარემო პირობებით. ეკონომიური

სიდუხჭირის, ფიზიკური ნაკლის, იმდროინდელი რთული ცხოვრების მიუხედავად, ნიკოლოზ ბარათაშვილს შენარჩუნებული ჰქონდა მხიარულობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, აქტიური ცხოვრების სურვილი. მაგრამ არახელშემწყობმა გარემოებებმა მას თითქმის ყველა მოთხოვნილება აუსრულებელი დაუტოვა. ხალისიან ნიკოლოზ ბარათაშვილს შეეპარა მელანქოლიური ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა დეპრესიამ მისი პიროვნება მთლიანად ვერ მოიცვა.

ამჯერად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნულ ნიშნებს განვიხილავთ ხუთფაქტორიანი მოდელის მიხედვით.

უპირველესად მოკლედ მიმოვიხილავთ ხუთფაქტორიანი მოდელის ოსტორიას. 1996 წელს გორდონ ოლპორტმა და ჰ. ს. ოდბერტმა ჩაატარეს ლექსიკონის კვლევა და ინგლისურ ენაში ინდივიდუალური განსხვავებების აღმწერი 18 000-ზე მეტი ზეთსართავი სახელი აღმოაჩინეს. ნიშნები დაიყვანეს დაახლოებით 200 კლასტერამდე, დაჯგუფებამდე. რომლებიც გამოიყენებოდა ნიშნების ბიპოლარული (ორპოლუსიანი) განზომილებების ანუ მაღალი და დაბალი პოლუსების შესაქმნელად, როგორცაა, მაგალითად კეთილი და ბოროტი. ჩატარდა კვლევები – ადამიანებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ საკუთარი თავი და სხვა ადამიანები ბიპოლარულ განზომილებებზე და ეს შეფასებები სტატისტიკური დამუშავების პროცედურებს ექვემდებარებოდა იმის განსასაზღვრად, თუ როგორ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული სინონიმური კლასტერები. მკვლევართა ჯგუფი ერთ დასკვნამდე მივიდა - იმ ნიშნების საფუძვლად, რომლებსაც ადამიანები გამოიყენებენ საკუთარი თავის და სხვების აღსაწერად, არსებობს მხოლოდ ხუთი ბაზისური განზომილება. ეს განზომილება ძალიან ფართოა – თითოეული ერთ დიდ კატეგორიაში ათავსებს ბევრ ნიშანს. მათ უნიკალური ერთმნიშვნელოვანი კონოტაცია, მაგრამ საერთო თემა აქვთ.

დიდი ხუთეული გამოკვეთს კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა, აღვწეროთ ადამიანი ისე, რომ გამოვხატოთ ის მნიშვნელოვანი განზომილებები, რომლებითაც ისინი განსხვავდებიან (გერიგი, ზიმბარდო, 2009, 560-561). ხუთფაქტორიანი მოდელი პიროვნების წმინდად აღწერითი მოდელია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ინდივიდუალურობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი მისი **ნეიროტიციზმია**. იგი მიდრეკილია მძაფრი ემოციებისკენ, ხშირად განიცდის ფსიქოლოგიურ დისკომფორტს. პოეტს „ანჩხლი, ნერვებიანი“ (მეუნარგია) ბუნება მუდამ თან სდევდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი მგრძნობიარეა და თავისი ცხოვრების მრავალი ასპექტით იმედგაცრუებული. გარკვეული პირობების გამო, მისი იდეალები განუხორციელებელი დარჩა, რამაც გამოიწვია მისი ხასიათის დისჰარმონიულობა. ეს კი იწვევს შინაგან ბრძოლას, რის შედეგადაც მას უსუსტდება ნებისყოფა, აღარ შესწევს უნარი სძლიოს წინააღმდეგობას. ამის გამომხატველია ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც პოეტი გამოხატავს უკმაყოფილებას თავისი დასახული მიზნების მიუღწევლობის გამო. პოეტი სწერს ბიძამისს: „ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა“ (ბარათაშვილი, 1968, 169).

პიროვნების ამ ნიშნისთვის დამახასიათებელია ასევე გამოუსადეგარი გარემოს განცდა. ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის მტკივნეულია როგორც თავისი უბედობა, ასევე იმდროინდელი უაზრო ცხოვრება. უკვე აღნიშნული გვაქვს, თუ როგორ ახასიათებს ნ. ბარათაშვილი მის თანადროულ თბილისს.

ამ ნიშნის მატარებელი ადამიანი მუდამ ნერვიულობს საკუთარ თავსა და გეგმებზე. ამიტომაც გარშემომყოფები მას ნერვიულ ადამიანად თვლიან.

ნიკოლოზ ბარათაშვილს მაღალი მაჩვენებელი აქვს **პატიოსნების** ფაქტორზე. პოეტი მოწესრიგებული, პუნქტუალურია და კეთილსინდისიერად ასრულებს ყველა ვალდებულებას. იგი სერიოზულად უდგება თავის მოვალეობას. მისი ეპისტოლური მემკვიდრეობიდან და თანამედროვეთა მოგონებებიდან ხასიათდება, როგორც გულმოდგინე, კეთილსინდისიერი, სანდო და საქმიანი. თავდადებული ყოფილა იგი მეგობრების მიმართაც. ქვემოთ ვნახავთ ამ მხრივ როგორ აფასებენ მას თავისი გულითადი ამხანაგები. პოეტის პირად წერილებშიც იგრძნობა მისი ერთგული ბუნება. მგოსანი ნახეჩევანიდან სწერს მაიკო ორბელიანს: „მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ?

სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი შევინახავ საიდუმლოდ...“(ბარათაშვილი, 1968, 195).

ასევე, მაღალი მაჩვენებელი აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილს **გამოცდილებისადმი ღიაობის** ფაქტორზე. იგი ინტერესიანია როგორც საკუთარი თავის, ისე გარშემომყოფების მიმართ. რა თქმა უნდა, პოეტს პირადი სურვილები და მოთხოვნილებები აქვს, მაგრამ მის ქმედებას მხოლოდ პირადი მოტივი არ განაპირობებს. მისი დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი მხოლოდ ვიწრო, პირადი ინტერესებით კი არ განისაზღვრება, არამედ მახლობლების, სხვა ადამიანების კეთილდღეობისა და წარმატებების მოტივებითაც. ნ. ბარათაშვილის, როგორც ალტრუისტის, ქცევის მაგალითებს მოვიშველიებთ მისი ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, პოეტის მეგობრებისა და ბიოგრაფების მოგონებებიდან: შამილის მეომრების მიერ ილია ორბელიანის დატყვევებასთან დაკავშირებით, ნიკოლოზ ბარათაშვილი 1842 წლის 2 მაისს სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“. ამავე წერილში ჩართულია ილიას ტყვეობისადმი მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის ლექსი „მერანი“, რომელზედაც წერს პოეტი: „ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“(ბარათაშვილი, 1868, 177-178). მგოსანი ეძებს გზებს ილიკოს გათავისუფლებისათვის: „ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის“ (იქვე, 178). ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი წუხს ელიზბარ ერისთავის წარუმატებლობაზე: „ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნავსი სდევს; ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა“ (იქვე, 178); ნიკოლოზ ბარათაშვილის სურვილი იყო, მეგობრებთან ერთად სწვეოდა თავის ახლადგათხოვილ დას – კატოს და თავიანთი სტუმრობით ლაზათი შეემატათ ოჯახისთვის. 1844 წლის აგვისტოში პოეტი სწერს ზაქარია ორბელიანს: „თუ ღმერთი გვადირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ“ (იქვე, 192). ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ულოცავს ზაქარია ორბელიანს პოლკოვნიკობას და იმედს გამოთქვამს მისი შემდგომი წარმატებებისადმი. პოეტი სწერს მას: „...მომილოცავს



პოლკოვნიკობა“! შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორეს დღეს ინვალიდებში ეწერა. – მე ახლა ჩქარად ღენარლობის იმედიცა მაქვს. – მაგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დადესტანში იმსახურო, თუნდ მაგ ადგილშიაც არა; და მერმე იცი, რა ვიფიქრე შენთვის, კასპიის ობლასტის ნაჩალნიკობა. ვინ იცის! მე კი კარგადა მაქვს დაცდილი წინასწარ თქმა. – Это будет гораздо существеннее“.

აღნიშნული თვალსაზრისით ნიკოლოზ ბარათაშვილი მიეკუთვნება საზოგადოებრივი ხასიათის ადამიანსაც. მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი – ქვეყნის, თავისი ჯგუფის ინტერესები. მას ახარებს თავისი სამშობლოს, ქართველების ყოველგვარი წარმატება და მათი სასახელო საქმეები. ტყვეობის დროს, შამილის ვერაგული საქციელის მიუხედავად, ილია ორბელიანის გაბედულ სიტყვებზე – „...სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასო“, ნიკოლოზ ბარათაშვილი სიამაყით მოიხსენიებს 1838-1842 წლებში კავკასიის მთავარმართებლის ევგენი გოლოვინის მეუღლის, მწერალ ფონ-ვიზინის ასულის სიტყვებს 1842 წლის 2 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში: „...მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდა“- ო.

ამ ნიშნის მატარებელი პიროვნება ისწრაფვის სიახლისა და მრავალფეროვნებისაკენ, ახალი იდეებისკენ, იგი შემოქმედებითია, ცნობისმოყვარეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილს გააჩნია ფართო ინტერესები. ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობრები და პოეტის ბიოგრაფები აღნიშნავენ მისი ხასიათის ცნობისმოყვარე ბუნებას. მას ყველაფრის შეტყობის სურვილი ჰქონდა. მგოსნის ცნობისწადილი კარგად ჩანს მისი ეპისტოლური მემკვიდრეობიდანაც, რაზედაც ვისაუბრებთ ქვემოთ.

ასევე, მაღალი მაჩვენებელი აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილს **ექსტრავერსიის** ფაქტორზე. არ გაურბის დიდ და ხმაურიან თავშეყრის ადგილებს. სიამოვნებას განიცდის ადამიანებთან ნაცნობობით, სიახლოვით. საზოგადოებაში აქტიური და შესამჩნევია. დადებით ემოციებს – ტკბობას, სიხარულს – ადვილად განიცდის. პოეტი თამამი, ხალხის მოყვარულია და პიროვნებათმორის ურთიერთობებში დიდ სითბოს ამჟღავნებს. ნიკოლოზ ბარათაშვილი იოლად იმკვიდრებს თავს საზოგადოებაში და ჩრდილში ყოფნა არ არის მისთვის დამახასიათებელი. იგი ხან ყაბახზე მოსიარულეა, ზოგჯერ კი

დღეობების, ქორწილების, დღესასწაულების მონაწილე. ხშირად ქალთა საზოგადოების მომღებნია და თბილისის წარჩინებული ოჯახების ხშირი სტუმარი, რაც კარგად აისახება მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში და თანამედროვეთა მოგონებებში. ამ თვისებების გამო იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საინტერესო მოსაუბრე, ენაწყლიანი, ხალხზე ორიენტირებული, მხიარულების მოყვარული.

და ბოლოს, **თანხმობისათვის მზაობის** შეფასება ნიკოლოზ ბარათაშვილს საშუალო აქვს. მას უნარი აქვს თანაგრძნობის, გულკეთილობის, მაგრამ შეუძლია იყოს უხეშიც, ცინიკურიც, მკაცრიც. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ – პოეტი ადამიანების მიმართ გამოხატავს სიყვარულს, სითბოს, ენდობა მათ, მაგრამ არა გულუბრყვილოდ, იგი წყენას და ბრახს თამამად ამჟღავნებს. ქვემოთ ვნახავთ, როგორ აფასებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის კეთილ ბუნებას თავისი მეგობრები. მისი ეს თვისება ჩანს პოეტის პირადი წერილებიდანაც. 1844 წლის 10 მაისს ის სწერს ზაქარია ორბელიანს: „ეს შენი ლეკი სადილათ დავპატიჟე კარგად; და ერთი ოქროც ვაჩუქე დუშალიკში“ (იქვე, 188). ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური ნაწერები გვიდასტურებენ ადამიანებისადმი პოეტის ჰუმანურ დამოკიდებულებას. 1844 წლის 23 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ პირად წერილში ის თანაგრძნობას გამოთქვამს დიმიტრი ყიფიანის ძმის – პრაპორშჩიკ ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანის მეუღლის – ეფემიას ავადმყოფობის გამო. ნ. ბარათაშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „ვიცი გეწყინება, ქ[ეთევან] ყ-ის ცოლი ჭკუაზე შესცდა, საწყალი! ტირილი მოგივიდოდა ამის ნახვაზედ. მგონია დიდხანს ვერ იცოცხლოს“ (იქვე, 190). 1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში კი პოეტი გამოხატავს თავის ადამიანურ, შემბრალებელ თვისებას ნახჭევანის ხანის ასულის, პოეტ გონჩა ბეგუმის ოჯახური მდგომარეობის გამო.

ადამიანებისადმი პოეტი ყურადღებიანია, რაც ნათლად ჩანს პირად წერილებში. 1838 წლის 6 აგვისტოს მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში ნიკოლოზ ბარათაშვილი ყურადღებას გამოხატავს თავის თანაგრძნობილ და შემდგომ თანამშრომლის „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“, გარსევან ვარლამოვის მიმართ. პოეტი სწერს მეგობარს: „ვერ მოვასწარი

საგანგებოდ მიმეწერა ვარლამოვისათვის. თუ შეხვდები, უთხარი, რომ მისი საქმე ისე მოგვარდა, როგორც თავად სურდა და წარდგენილია ჩინზე“ (იქვე, 172). ნ. ბარათაშვილი გულისხმიერებას ამჟღავნებს გრიგოლ ორბელიანისადმი. 1841 წლის 28 მაისს იგი სწერს ბიძას: „... დიმიტრიევსკის (პოეტი მიხეილ ვასილის ძე დიმიტრიევსკი) ლექსები გეთხოვნა, – მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა.....რაზლოვორს და ღრამმატიკას დამპირდა ერთი ჩემი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია; ამას უცდი, თვარემ აქამდისინ გამოგიგზავნიდი“ (ბარათაშვილი, 1968, 174). ნიკოლოზ ბარათაშვილი ყურადღებას გამოხატავს მანანა ორბელიანისადმი, რომელსაც, როგორც ჩანს, პოეტი დაჰპირებია თავის ლექსთა ხელნაწერ კრებულს, რომელიც ჰქონია ბარათაშვილის პოეზიაზე შეყვარებულ, მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილს, იასონ ციციშვილის მეუღლეს, პოეტ რახაელ (ხახე) ციციშვილს. 1842 წლის 31 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს მაიკო ორბელიანს: „საყვარელო დაო მაიკო, მაღლობელი ვარ, რომ რახაელს წიგნი დასტყუე, გუშინ იასემ მამიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ წინა დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანანასათვის. ასე ეგონა, რომ მე მაქვს“ (ბარათაშვილი, 1968, 179). პოეტი ნახეჩევანიდან ყურადღებას იჩენს თავისი მეგობარი ქალების მიმართ, რომელთაც, როგორც ეტყობა, ნ. ბარათაშვილისთვის უთხოვნიათ კრიალოსნები. იგი სწერს მაიკო ორბელიანს: „კრიანოსნები ჯერ არ მამსვლია, და, როცა მამივა, უთუოდ გამოგიგზავნი, თქმა აღარ მინდა“ (ბარათაშვილი, 1968, 195). განსაკუთრებულ მზრუნველობას კი ხუმრობის ტონით გამოხატავს მანანა ორბელიანის ქალიშვილის – ანასტასიასადმი, რომელსაც უკვე პოეტისაგან მიღებული ჰქონდა საჩუქარი. 1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ის მეგობარ ქალს სწერს: „კრიანოსნები გეთხოვნათ; მე დიდიხანია თავრიზიდგან ხუთი კრიანოსანი დავიბარე; აქამდისინ კიდევ უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოც და ათი ვერსია აქედგან); მაგრამ ჯერ კი არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ, ამიტომ, რომ მაგისტანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა, ხომ გაგიგონიათ:

„რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!“

და რადგანაც პირველად ტასოს გამოუგზავნე, ამისათვის, რომ არ ეწყინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგისთანა კრიანოსანი...“(იქვე, 193).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში პოეტი ზოგჯერ მათდამი ხასიათის ერთ-ერთ თვისებას – წყენას გამოხატავს. 1843 წლის 21 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი ბიძას საყვედურობს 1842 წელს დაღესტანში მოქმედი დივიზიის უფროს რენენკამფთან სამსახურში დანიშვნის დაპირების შეუსრულებლობის გამო. ნ. ბარათაშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვნიწო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის.....მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ“(იქვე, 182). პოეტი წყენას გამოხატავს მეგობრების მიმართ, რადგან იგი ყველამ დაივიწყა. 1845 წლის 9 თებერვალს ნახჩევანიდან სწერს მაიკო ორბელიანს: „აი სამი თვეა აქა ვარ და ძალღად არავინ მახსენა“, ბაბაღე საგინაშვილს კი საყვედურობს: „თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხართ, განა არა მოგაგონდებით“ (იქვე, 197).

პოეტის დამცინავ ბუნებას შევეხებით ქვემოთ.

დიდი ხუთეულის შემადგენელ ფაქტორებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ ადამიანების პიროვნული ნიშნების მოდელს და ამის საფუძველზე ნიკოლოზ ბარათაშვილისასაც. მოდელში მუქი ფერით გამოვყოფთ პოეტის პიროვნულ ნიშნებს (Costa & McCrae, 1985, p, 2):

მოცემული ფაქტორების მიხედვით მაღალი ქულის მქონეთა დახასიათება	ფაქტორში შემავალი ნიშნების აღწერა	მოცემული ფაქტორების მიხედვით დაბალი ქულის მქონეთა დახასიათება
<b>მშფოთვარე, ნევროტული, ემოციური, მოუსვენარი, მგრძნობიარე;</b>	ნეიროტიციზმი(Neuroticism) ზომავს ემოციურ სტაბილურობას, ანდა ადაპტირებადობას; ახდენს იმ პიროვნებების იდენტიფიცირებას, რომლებიც მიდრეკილნი არიან უსიამოვნო	მშვიდი, მოშვებული, გამძლე, არაემოციური, თვითკმაყოფილი.

	განცდებისაკენ;	
--	----------------	--

<p>ლაპარაკის მოყვარული, აქტიური, ენაწყლიანი, ადამიანებზე ორიენტირებული, ოპტიმისტური, მხიარულობის მოყვარული, ალერსიანი.</p>	<p>ექსტრავერსია (Extraversion) ზომავს პიროვნებათშორისი ურთიერთობების ინტენსივობას, აქტივობის დონეს, გარეგანი სტიმულაციის მოთხოვნილებას, სიცოცხლით ტკბობის უნარს.</p>	<p>თავშეკავებული, გარიყული, საღად მოაზროვნე, ჩუმი, არაცხოვრების მოყვარული, შეუმჩნეველი კომპანიაში.</p>
<p>ცნობისმოყვარე, ფართო ინტერესების მქონე, შემოქმედებითი, მდიდარი ფანტაზიის მქონე.</p>	<p>გამოცდილებისადმი ღიაობა (Openness) ზომავს ახალი გამოცდილების მიებასა და მის დამოუკიდებელ ღირებულებად აღიარებას; უცხო სადმი, უცნაურისადმი კვლევით ინტერესს;</p>	<p>მყარად დგას მიწაზე, შეზღუდული ინტერესების მქონე, არ აქვს არც მხატვრული და არც ანალიტიკური გონება.</p>

<p>ორგანიზებული, სანდო, თვითდისციპლინირებული, პუნქტუალური, მოწესრიგებული.</p>	<p>პატიოსნება (Conscientiousness) ზომავს მიზანმიმართული ქცევის განხორციელებისას ინდივიდის ორგანიზებულობის, დაბეჯითებულობისა და</p>	<p>არამიზანდასახული, არასანდო, უდარდელი, ზარმაცი, მოუწესრიგებელი, სუსტი ნებისყოფის მქონე.</p>
---	--	---

	<p>მოტივირებულობის ხარისხს;  ერთმანეთს უპირისპირებს,  ერთი მხრივ, სანდო და მომთხოვნ  და, მეორე მხრივ, აპათიურ და  საქმისადმი დაუდევარი  დამოკიდებულების ადამიანებს;</p>	
<p><b>გულკეთილი, დამთმობი,  სულგრძელი, პირდაპირი,  კეთილგანწყობილი,</b></p>	<p>თანხმობისადმი მზაობა  (Agreeableness)  ზომავს ადამიანის სხვა  ადამიანებთან  დამოკიდებულების მთელი  კონტინუუმის  ხარისხს, თანაგრძნობიდან  დაწყებული  აზრებში, გრძნობებსა და  ქმედებებში  მტრული დამოკიდებულებით  დამთავრებული.</p>	<p><b>ცინიკური, უხეში,</b>  არათანამშრომლობითი,  სამაგიეროს გადამხდელი,  <b>გაღიზიანებადი.</b></p>

ამგვარად, „დიდი ხუთეულის“ მიხედვით აღვწერეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნული ნიშნები და გამოვხატეთ ის მნიშვნელოვანი განზომილებები, რომლითაც იგი გამოირჩევა. მოცემული მოდელის მიხედვით პოეტის პიროვნული ნიშნები მიეკუთვნება მაღალ პოლუსს დაბალი პოლუსისთვის დამახასიათებელი ნიშნების საპირისპიროდ. გამონაკლისს წარმოადგენს **თანხმობისათვის მზაობის** ფაქტორი, რომლის მიხედვითაც პოეტის პიროვნულ ნიშნებს უკავია შუალედური პოზიცია.

ვფიქრობთ, რომ თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნული ნიშნები დაიკავებდა ადგილს დაბალ პოლუსში, მაშინ პოეტი გამოკვეთილი მელანქოლიკი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს ახასიათებს ნეოროტიციზმის ნიშნებიც, ანუ

დეპრესიულობა, ემოციურობა, შფოთიანობა, მთლიანობაში ნიკოლოზ ბარათაშვილი ხუთფაქტორიანი მოდელის მიხედვით ხასიათდება მელანქოლიკის საპირისპირო პიროვნებად. და თუ შეეპარა მას ამ უკანასკნელისთვის ნიშანდობლივი თვისებები, ამის საფუძველია --გაუმართლებლობა ყველაფერში.

## §2. სატირა და იუმორი

სატირა და იუმორი მხატვრული ასახვის ერთ-ერთი ფორმაა, რომლებშიც მჟღავნდება ავტორის შეფასებითი დამოკიდებულება განსახილველად აღებული ობიექტისადმი. „...როგორც სატირა, ისე იუმორი, – გავრცელებული აზრის მიხედვით, – გამოხატავს დაცინვას“ (კიკნაძე, 1972, 14). მათ შორის განსხვავებას ქმნის ობიექტისადმი დაცინვის ხარისხი. „მწვავე დაცინვა სატირას წარმოადგენს, ხოლო მისი შენელებული გამოსახულება იუმორის სახით გვეძლევა“ (იქვე, 14). სატირაში გაბატონებულია აბუჩადამგდები ტენდენცია, ხოლო იუმორი „დაცინვის უფრო რბილ ფორმას წარმოადგენს“ (იქვე, 20), ის „...კომიკური ჩვენების ხერხი, უწყინარი დაცინვაა“ (ჭილაია, 1971, 183). იუმორის ერთ-ერთი სახეა ირონია. მისი გამოვლენის ფორმაა ასევე ხუმრობა.

ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მისი სატირულ-იუმორისტული ნიმუშების განხილვა.

პოეტის თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ ნ. ბარათაშვილის ოხუნჯ, ენამოსწრებულ, ენაკვიმატ ბუნების შესახებ. იგი თურმე ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას ამჟღავნებდა თავის ირონიანარევ ხასიათს და ყველანი ვერც „ურჩებოდნენ მის დაცინვას“ (მეუნარგია, 2004, 239). ცნობილია, რომ „ემმაკი პოეტი“ ცემას გადაურჩა, როცა მან გასცა ვარლამოვის საიდუმლო – მეგობრის მიერ ქართულ ენაზე პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე კარის თარგმნის გამო (იქვე, 239-240). გიმნაზიის პერიოდს ეკუთვნის ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე ხუმრობა, როცა მან ჯავრის ამოსაყრელად დაწერა სატირა სომხებზე, რომლებსაც სასაცილოდ აუგდიათ კეთილშობილთა სასწავლებელში გამართული კონცერტის ქართველი მონაწილენი (იქვე, 240).

პოეტს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა თავისი იუმორით აღსავსე ბუნება. ნ. ბარათაშვილი კარგად გრძნობდა თავს ქალთა გარემოში. პოეტს უყვარდა მათთან ხუმრობა, ცელქობა. ზოგჯერ მათ ხუმრობით წაჰკიდებდა კიდეც ერთმანეთს. თავისი ოხუნჯობით დაახლოების მაგიერ კაცი და ქალიც დაუმორებია ურთიერთისთვის (მხედველობაში გვაქვს ერთი ქართველი თავადიშვილის „ცეცხლის მოკიდება ივ-ის ცოლის სიყვარულისაგან“) (იქვე, 250). ამიტომ, „...ყველა ერიდებოდა მის მახვილ ენას, მის ეპიგრამებს“ (იქვე, 239), თუმცა ვერ ასცდებოდნენ ხოლმე ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან მწარედ დაცინვას. ამისი მაგალითია პოეტის სახუმარო ეპიგრამა-ექსპრომტი, რომელიც მიძღვნილია ლუარსაბ ორბელიანის შვილების, ელენესა და მარიამისადმი. სახუმარო ლექსი ეხება ადრესატების ხნოვანების მხილება-დაცინვას. დების მიერ ტატოსადმი მიმართულ ხუმრობას – „პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია“, მოსანი დებს ასე ეპასუხება:

„თვარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ,

გაგთეთრებით თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალეობთ“ და სხვ. (ბარათაშვილი, 1968, 165).

იუმორის გამო ნიკოლოზ ბარათაშვილს დუელში იწვევს თავისი ბიძა და მეგობარი, ილია ორბელიანი. თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ როგორც რუსეთშია პუშკინისა და ლერმონტოვის სიკვდილი დაკავშირებული სამეფო ადმინისტრაციასთან, ასევეა საქართველოში ხელმწიფის საიდუმლო სამსახურის მოხელეთა მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვლელობის მიზნით ბიძა-დისშვილის დუელის დაგეგმვა. ბარათაშვილსა და ილია ორბელიანს აქეზებდა ერთმანეთის წინააღმდეგ პოეტთან საგანგებოდ დამეგობრებული, დროებით, სპეციალური დავალებით მოვლენილი საქართველოში ამ გეგმის განსახორციელებლად რუსი ოფიცერი მატინოვი (კაკაბაძე, 2009, 50,51,52). ამ ფაქტის შესახებ სოლ. ცაიშვილი წერს: „სამწუხარო დუელს ხელს უწყობდა ერთი საპიორის ოფიცერი, ვინმე მატინოვი, რომელიც იონა მეუნარგიას პოეტის მეგობართა შორის ჰყავს დასახელებული. ერთს უთარილო ბარათში რომელიღაც მეგობარი ცარსკოე სელოდან სწერს ილია ორბელიანს, რომ მასთან თვითონ მატინოვს უამბნია, თუ როგორ გახდა ის ამ განხეთქილების მიზეზი. . . . ასე რომ, ამგვარ საბედისწერო „განხეთქილებათა“ გაჩაღებაში



როგორც თვითონვე უთქვამს, მატინოვი იმდენად დახელოვნებული ყოფილა, რომ ლამის ბიძა-დისწულიც კი ემსხვერპლა მისგან დაგებულ მახეს“ ( ცაიშვილი, 1954, 470).

პოეტის მკვლელობის მცდელობამ წარუმატებლად ჩაიარა. ლევან მელიქიშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილთან შეთანხმებით ყალბი ტყვიებით დატენა დამბაჩები. მანანა კაკაბაძე წერს: „...ლერმონტოვს არ ჰყავდა გვერდით ასეთი ერთგული მეგობარი, რომელიც მას აშკარა მკვლელობისაგან იხსნიდა“; „როგორც ბარათაშვილის, ისე ლერმონტოვის შემთხვევაში მოქმედებდა ერთი გეგმით „ამუშავებული“ ჯოჯოხეთური მანქანა, რომელსაც რუსეთის იმპერიაში მყოფი გენიოსებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა“ (კაკაბაძე, 2009, 50, 52).

სრულიად ვეთანხმებით ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ორბელიანის დუელის შესახებ მკვლევარ მანანა კაკაბაძის საინტერესო მოსაზრებას, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ „გულუბრყვილო“, „უეცარი ფეთქებადი“ ილია ორბელიანისადმი საგანგებოდ შეჩენილ მაღალაშვილს, რომელიც თავადაც „ენამწარე და დამცინავი“ ყოფილა (მეუნარგია), ნიკოლოზ ბარათაშვილიც აჰყვა თავისი ბიძისა და მეგობრის გაჯავრებაში. ი. მეუნარგია წერს ლევან მელიქიშვილისა და ნიკო ერისთავისაგან გაგონილს: „ეს მაღალაშვილი ენამახვილი კაცი თურმე იყო და ხშირად დასცინოდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს. დაცინვაში ხანდახან ბარათაშვილიც წაეხმარებოდა მაღალაშვილს“ (მეუნარგია, 2004, 252). ამ შემთხვევის შესახებ მეუნარგია წერს: „სრული მისი ხასიათი იხატება იმ ბუზის ბუზილში, რომელიც მოჰყავს პოეტს თუმანიშვილთან მიწერილ წიგნში. მხოლოდ ხშირად ეს ბუზილი ფუტკრის ბუზილს ემსგავსებოდა და ერთჯერ მისმა შხამიანმა სიტყვამ კინაღამ არ შეამთხვია მას უბედურება“ (იქვე, 251). ვფიქრობთ, იქნებ არც შემდგარიყო დუელი, რომ პოეტის მხრიდან დაცინვას არ ჰქონოდა ადგილი და ხელისუფლებას სხვა ხერხისთვის მიემართა ნ. ბარათაშვილის სასიკვდილოდ. ეს კონკრეტული შემთხვევა გვაქვს მხედველობაში, თორემ ნიჭიერისა და თავისუფლებისმოყვარე პოეტის სიკვდილი ბოლოს მაინც მეფის რეჟიმსა და მის მკაცრ პოლიტიკას შეეწირა. ბარათაშვილის სკვდილი „წარმოადგენდა კანონზომიერ შედეგს იმ მეთოდური დევნისას, რომელიც პოეტის მიმართ მუდმივად ხორციელდებოდა“ (კაკაბაძე, 2009, 50).

ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხუმრობა ისტორიკოს პლატონ იოსელიანზე. პოეტმა გახუმრებით პლატონ იოსელიანს რუსული ზმით – ბოდასლოვით, რაც ქართულად ღვთისმეტყველს ნიშნავს, მეგობარს უწოდა „ვირების ღმერთი“. როცა ვიღაცას უკითხავს: ბერძენ-რომაელებს ნეტა ვირების ღმერთიცა ჰყავთო? პოეტს უთქვამს: ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოდ-ასლოვით (იქვე, 253).

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ეპისტოლური მემკვიდრეობის გამონათქვამებშიც ხშირად მიმართავს სატირულ-იუმორისტულ ტონს. უფრო ხშირად კი უკანასკნელს, რასაც გამოხატავს უფრო ხუმრობით. ეხუმრება როგორც წერილების ადრესატებს, ასევე ხუმრობს ბარათებში მოხსენებულ პირებზე. როგორც აღვნიშნეთ, პოეტი „დიდად მოყვარე იყო ქალების საზოგადოებისა“, ხშირად მათთან ატარებდა დროს. მგოსნის სიახლოვე თავისი წრის უმშვენიერეს ბანოვანებთან ჩანს მათდამი იმ ხუმრობებიდანაც, რომლებიც შემოგვინახა ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ. 1838 წლის 6 აგვისტოს თბილისიდან დედოფლისწყაროში მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილ წერილში ეხუმრება მეგობარსაც და ხუმრობს ეკატერინე ჭავჭავაძეზეც. იგი სწერს ადრესატს: „მშვიდობით, ალაზნის ველის მეუღაბნოევ! მაუწყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულისა“ (ბარათაშვილი, 1968, 172). „ველის ქალწულში“ კახეთის მკვიდრი ეკატერინე ჭავჭავაძე უნდა იგულისხმებოდეს. 1842 წლის 2 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ნ. ბარათაშვილი ასევე ეხუმრება ბიძას და თან ხუმრობს იმ ქალებზე, რომლებიც მოკითხვას უთვლიან მას. პოეტი სწერს ადრესატს: „...მაგ გაჯავრებულს გულზე გთხოვ მიიღო მოკითხვა შენი მტერ-მოყვარე ქალებისაგან“ (ბარათაშვილი, 1968, 178). მტერ-მოყვარე ქალებში უნდა იგულისხმებოდნენ: ნინო ჭავჭავაძე, მანანა ორბელიანი და სხვ. (ლეონიძე, 1968, 210). 1842 წლის 31 ოქტომბერს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში ნ. ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის ანა ივანეს ასულ ბაგრატიონ-მუხრანელს და თან ხუმრობს მასზე. პოეტი სწერს მეგობარს: „თუ ნინუცას, ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო“ (ბარათაშვილი, 1968, 180). 1841 წლის 28 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნ. ბარათაშვილი დასცინის ქალებს

სამხედრო მინისტრის ადიუტანტის, ივანე ბალაშოვის სიკვდილთან დაკავშირებით. იგი სწერს ადრესატს: „მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი, რა მოგიწერია. \_ ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა“ (იქვე, 174). ზოგჯერ ბარათაშვილი ქალებზე ხუმრობით უფრო შორს მიდის. 1844 წლის 15 აპრილს პოეტი სწერს გრიგოლ ორბელიანს ირანის შაჰის ელჩის სტუმრობასთან დაკავშირებულ ბალის შესახებ. თან ხუმრობს ქალებზე: „მაგრამ ვინც შენ გეგულემა, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. \_ Но и тут оне выигривают; будь вместо Мирза-Сали граф Чичероне, оне тотчас бы приехали на бал“ (ბარათაშვილი, 1968, 182-183). 1837 წელს ყირიმში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სტუმრობისას გრაფი ვორონცოვი, როგორც ამ მხარის უფროსი და მასპინძელი, ყველგან დაჰყვებოდა სამეფო ოჯახს და, როგორც ჩიჩერონე, მიუძღოდა წინ. „ჩიჩერონე“ იტალიურად ნიშნავს მეგზურს და შესაძლებელია, რომ გარკვეულ წრეებში ვორონცოვის მეტსახელად ქცეულიყო. ვორონცოვი მართლა მოსწონდათ, განსაკუთრებით კი ქალებს (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, 261). ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს ბიძას: „კნიაზი ჭავჭავაძე თავისის კნენათი მარტყობს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ სავარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ?“ წერილიდან ამ ამონარიდებით ნ. ბარათაშვილი ბიძასაც ეხუმრება. პოეტი თავისი რძლის, ზაქარიას მეუღლის, ქეთევანის ხელმომჭირნეობაზეც ხუმრობს. 1844 წლის 10 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს: „შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. – ამისთანა წუწკმა ხანდისხან ასეც იცის“ (ბარათაშვილი, 1968, 189). პოეტი არც მანანა ორბელიანს ინდობს. 1845 წლის 9 თებერვალს ნახჩევანიდან მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში იგი ხუმრობით დასცინის ახლობელ ქალბატონს. ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს მეგობარს: „მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ, ერთის მხრით, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით, ვილაც

ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში. – ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!“ ( ბარათაშვილი, 1968, 194). „გადმოცემით, მანანა ორბელიანი მოსწონდა კავკასიის მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვს, რომელიც ამ დროს 63 წლის იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილში, სავარაუდოდ, ამ ფაქტზე მიანიშნებს“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, 271). ამავე წერილში პოეტი მოკითხვას უთვლის თავის ნათესავს, იაკობ ორბელიანის ქალიშვილს – ეკატერინეს, და თან ხუმრობს მასზე. ნ. ბარათაშვილი სწერს მაიკოს: „კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მამწერს და: ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?“ ეკატერინე ცოლად გაჰყოლია გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვს და ამიტომ არის მინიშნება რუსულის სწავლაზე და ქართულის დავიწყებაზე (იქვე, 271 ). 1845 წლის 10 აგვისტოს ნ. ბარათაშვილის მიერ მურუტიდან მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილი წერილი თითქმის სულ ხუმრობის კილოთია დაწერილი. ბარათში პოეტი ადრესატს ხუმრობით „ავ ენიანსაც“ უწოდებს. ხუმრობით არჩევანსაც ეკითხება მეგობარს, თუ რა გაუგზავნოს. იგი სწერს მაიკოს: „აბა რა გამოგიგზავნო? ბროწეული, ყურძენი, ატამი, ხოხობი, დურეჯი, ჯეირანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ფაბრიკებში და მაღაზიებში ამის მეტი არა არის რა“ (ბარათაშვილი, 1968, 196). მაიკოსთან ერთად იგი მანანა ორბელიანსაც ეხუმრება. ბარათაშვილი წერს: „ხელთ-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს მრავლობითად რომ გეუბნები). – რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. – მე კი არა გთხოვთ, და თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა, და თუ არა და ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ“ (იქვე, 196). შესაძლოა, ნ. ბარათაშვილი პაპუა ორჯონიკიძის ხსენებით ხუმრობით მიანიშნებდეს მეგობრებს, თქვენც მასავით სამართლიანები და ობიექტურები ხართო. პ. ორჯონიკიძე არის იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, აბაშიძეების ვასალი, რომელიც მათ მიერ ქართველი გლეხების ტყვეებად გაყიდვის გასამართლებლად აბსურდულ აზრებს გამოთქვამს (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, 274). ამავე წერილში ნიკოლოზ

ბარათაშვილი ეხუმრება ასევე ყაფლან ნიკოლოზის ძე ორბელიანის ასულს, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის, ნიკოლოზ ბეზაკის მეუღლეს სოფიოსა და მეორე სოფიოს – შალვა ერისთავის ასულს. პოეტი სწერს მაიკოს: „ახალ დანიშნულს, თუ პატარმალს, სოფიოს მოახსენე, თუ შეგხვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზონარს მამიქსოვს, აგრე ჩქარა გათხოვდება“. იაკობ ორბელიანის ასული თამარი და თავისი მეუღლე ანდრია სენკოვსკი დილიჯანში ცხოვრობდნენ. წერილიდან ჩანს, რომ ნ. ბარათაშვილი მათთან სტუმრობას აპირებდა. თამარი ძალიან მხიარული ადამიანი ყოფილა და ამავე წერილში პოეტი მის „სევდაზე“ ხუმრობით სწერს მაიკოს: „კარგად არ ვიცი, რომ დასევდიანებული იქნება“, ხოლო ასევე მურუტიდან, 23 აგვისტოს ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაბაღე საგინაშვილს თამარზე სწერს: „გასულელებულა, სულ იცინის! მართლად ორი დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო“ (ბარათაშვილი, 1968, 197). ხოლო, თავად ბაბაღეზე პოეტი ხუმრობს ალექსანდრე საგინაშვილისადმი მურუტიდან მიძღვნილ ეპისტოლეში. ნ. ბარათაშვილი სწერს ადრესატს: „რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდენ! – მე რომ ბაბაღესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დაღისტანში! საწყალს მაიორობა არ ეღირსა, არ იქნა. – ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გაჯავრდეთ, რას შეგეპუებით“ (იქვე, 198).

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მოხერხებული და მიგნებული დაცინვა თავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მოხსენებულ მამაკაცებზედაც ხუმრობით „თავდასხმის“ საშუალებაა.

პოეტის პირად წერილებში ვხვდებით უფრო ხუმრობის კილოთი გამოხატულ დაცინვის ოლი ფორმის ნიმუშებს. 1842 წელს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი ეხუმრება ბიძას. იგი სწერს ადრესატს: „გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდე დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური“ (იქვე, 181). 1844 წლის 23 მაისით დათარიღებულ წერილში პოეტი კვლავ გრიგოლ ორბელიანს ეხუმრება თავისი დის, კატოს ქორწილთან დაკავშირებით: „ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე. – ექვს კვირას უკან, то-есть: 29 июня.

ზ[აქარ]იას და გ[იორ]გის კარგი საქორწილო გამოუგზავნიათ. ზ[აქარ]ია იწერება, რომ გ[რიგო]ლმა სულ ბლუჯეულად იცისო. – კ[ატო]მ შემოგითვისალა, ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია, თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო. – მე კი ეს ვიცი, რომ ე[რისთვი]ანთ რძალთან არა დაგვეკარგება-რა, კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. – მაინც საჭიროა. – ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა“ (იქვე, 190).

ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ხუმრობით აბრაზებს ნინო ჭავჭავაძეზე შეყვარებულ გრიგოლ ორბელიანს. პოეტი სწერს ბიძას: „ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ[ინა] ალ[ექსანდროვ]ნა ოდესაში მიდის 9 ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი“ (იქვე, 190). ამ წერილს ხუმრობითვე აბოლოვებს 1844 წელს გრიგოლ ორბელიანის დაღესტნის ყოფილი მეხთულის სახანოს მმართველად დანიშვნასთან დაკავშირებით. იგი სწერს ადრესატს: „ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავენათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკითხავენ. – შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაი შენს მტერს-მეთქი“ (იქვე, 190). ნიკოლოზ ბარათაშვილი ილიას ტყვეობასაც კი ირონიული ხუმრობით ხატავს 1842 წლის 2 მაისს გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. პოეტი სწერს ბიძას: „მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом разных анекдотов.....ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“ (იქვე, 176-177), თუმცა ამ წერილში, სადაც ილიას ტყვეობაზეა ლაპარაკი, პოეტი აღწერს ილიას განსაცდელს და ამავე დროს იგი ხატავს მის გმირობას შამილისადმი ილიას მიმართვაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად ბარათებში ვხვდებით მსუბუქი ხუმრობების სხვა ნიმუშებსაც. მისი დაცინვის ობიექტები ასევე არიან: პოეტის თანაგომნაზიელი და შემდეგ მისი თანამშრომელი „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“ – გარსევან ვარლამოვი; პლატონ იოსელიანი; პოეტი, დრამატურგი, ბარათაშვილის ახლო მეგობარი – გიორგი ერისთავი (გლუხარიჩი); ზაქარია ორბელიანი; მაიკო ორბელიანის ძმა – მიხაკო ორბელიანი და მანანა ორბელიანის ვაჟი – ივანე; პოეტის მეგობარი – ლავან მელიქიშვილი.

1838 წლის 6 აგვისტოს პოეტი სწერს თავის მეგობარს მიხეილ თუმანიშვილს დედოფლის წყაროში: „ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმეწერა ვარლამოვისათვის. თუ შეხვდები, უთხარი, რომ მისი საქმე ისე მოგვარდა, როგორც თავად სურდა და წარდგენილია ჩინზე. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას“ (იქვე, 172). 1841 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებულ ნ. ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი ხუმრობს პლატონ იოსელიანის ძალიან დიდ ბაკენბარდებზე, რომლებიც მას იმ დროს მართლა ჰქონდა. იგი სწერს ადრესატს: „ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დასწოლია ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ვედარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს“ (იქვე, 175). 1842 წლის 31 ოქტომბეს ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში მოკითხვას უთვლის გიორგი ერისთავს და ამავე დროს ხუმრობს მასზე. პოეტი სწერს მეგობარს: „შენ გაზდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, რა ღმერთი გაგიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენა თქო. როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულსა თქო“ (იქვე, 180). 1844 წლის 10 მაისით დათარიღებულ ზაქარია ორბელიანისადმი მიძღვნილ კერძო წერილში ეხუმრება ადრესატს. იგი სწერს: „მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს. – კატომ მოგიკითხა. ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები (არაფრის მაქნისი, მოუხერხებელი, უვიცი - თ.თ.) არიანო“ (იქვე, 189). ამავე წლის აგვისტოში ზაქარიასადმი გაგზავნილ წერილში კვლავ ეხუმრება ბიძას: „ზაქარიავ! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილია და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს“ (იქვე, 192). 1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ხუმრობს ადრესატის ძმასა და ივანე ორბელიანზე. პოეტი სწერს მეგობარს: „ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს, ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!“ (იქვე, 194). ამავე წელს კვლავ მაიკოსადმი გაგზავნილ ბარათში სწერს ლევან მელიქიშვილზე: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა! ლევანიც ავად

გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს სწყევლის, აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს“ (იქვე,195).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში გვხვდება ზემომოყვანილ ნიმუშებთან შედარებით უფრო მძაფრი იუმორი: პოეტს იმედი დაეკარგა, რომ ბიძამისი გრიგოლ ორბელიანი დაპირების თანახმად მის სამსახურზე დახმარებას სთხოვდა 1842 წელს დალესტანში მოქმედი დივიზიის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტს პავლე რენენკამფს. იმედგადაწურული პოეტი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე, და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ?“ (ბარათაშვილი, 1968, 182). ამ იუმორის მიღმა იგრძნობა ღრმა სატირული ქვეტექსტი. ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის სატირის თავისებურება. პოეტისთვის იუმორი სატირის ატრიბუტია. ამიტომაც, რომ მისი სატირა უფრო რბილია, ვიდრე სალანძღავი და მრისხანე.

ამ წერილს ნ. ბარათაშვილი იწყებს ასე: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!“. რომ არა გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის გაცნობა, პოეტის ამ სიტყვებს მივიჩნევდით ნ. ბარათაშვილის მიერ ბიძამისის უკიდურესად ურყოფით დაცინვად. გრ. ორბელიანი როცა დანიშნეს ავარიის მმართველად, თავის თავს ხუმრობით უწოდებდა ემირ-ავარს. 1843 წელს ილია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში იგი ხუმრობით ითხოვდა, რომ მისდამი მიმართვაში ყველას მოეხსენებინა იგი ავარიის მმართველად. გრიგოლ ორბელიანი სწერს თავის ძმას: „მე ჰაქიმხან ემირ ავარ – სხუა რიგად აღარ შემიძლიან წიგნის დაწყობა....“ (ორბელიანი, 1936, 79).

გრიგოლ ორბელიანი თავის „კრესლას“ ხუმრობით ადარებს ჰუნების მეფის (V ს.) ტახტს. 1843 წლის 18 ივნისს იგი ხუნძახიდან სწერს ილია ორბელიანს: „აქური ანბავი აი ეს არის. ატილლას კრესლაზე ვზივარ ძალიან მაგრად, ძალიან“ (ორბელიანი, 1936, 74).

დასახელებულ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ხუმრობს ილია ორბელიანზე. იგი სწერს ადრესატს: „ილია კარგად არის, პარუჭიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი



გამოუვიდა და წარდგენილია არმიაში. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს“ .

ილია ორბელიანს მართლაც 40-იან წლებში ბორჩალოში ჰქონდა ბოსტანი. ამაზე თურმე ახლობლები ხშირად ხუმრობდნენ. 1843 წლის 3 ივნისს გრიგოლ ორბელიანი სწერდა თავის ძმას ზაქარიას: „რა გამოველ შინიდან, წიგნი არავისგან მომსვლია. ჩვენი ბატონი ძმა ილია არ მოიწერება, ბოსტნებში კიტრები და ხახვი აჰყვავებია, არა სცალიან...“ (იქვე, 73). ილიას კი სწერს „ეს მაინც შემატყობინე სადახარ? ქალაქში თუ შენს ბოსტანში“ (იქვე,73). გრ. ორბელიანი სხვა წერილებშიც ხუმრობს ილიას ბოსტანთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ილიას „სიყვარულს“, იგი იმხანად მამუკა ორბელიანის ქალის ალექსანდრას შერთვას აპირებდა“ ( გ.ლეონიძის კომენტარი წიგნში ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1968, 211).

დასახელებული წერილის დასასრულს კი ნიკოლოზ ბარათაშვილი ასე ეხუმრება ბიძას – გრიგოლ ორბელიანს: „სირცხვილია რომ მაგ საშინელებაებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა არ აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბძანე, რომ დაწერონ“ (ბარათაშვილი, 1968, 184).

ნიკოლოზ ბარათაშვილის იუმორში სადღაც მაინც გამოკრთის საკუთარი ღირსების დაცვა. ამისი მაგალითია 1844 წლის 10 მაისს ზაქარია ორბელიანისადმი მიძღვნილი წერილი, რომელშიც იგი ხუმრობს ილია ორბელიანზე, ლევან მელიქიშვილზე, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე, ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანზე – მეტსახელად ბაკლანაზე, სამხედრო ოფიცრებზე, სენატორ გიორგი იესეს ძე ერისთავის შვილებზე – ზაქარიასა და ალექსანდრეზე. თავისი სურვილის აუსრულებლობამ – თვითონაც წასულიყო ბრძოლის ველზე – პოეტი ირონიულად განაწყობ ზემოთჩამოთვლილი ადამიანების მიმართ. 1844 წლის 10 მაისს ნ. ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს: „ჩვენი ყმაწვილი კაცები ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმაწვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად; ესენი სულ სარდლები არიან ქართველთ ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამამავლობით გიჟები არიანო“ (იქვე, 188).

ასეთივე განწყობას გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილი 1844 წლის 23 მაისით დათარიღებულ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში. პოეტი სწერს ადრესატს:

„ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობძანდენ, ყაფლან მაგათზედ იცინის; ასე ამბობს, სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო“ (იქვე, 190). ხოლო 1845 წლის 10 აგვისტოს მურუტიდან მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში პოეტი უფრო მეტი ირონიითაა განწყობილი ილიას, ალექსანდრე ერისთავისა და ლევან მელიქიშვილის მიმართ, რომლებმაც მიიღეს ჯვრები. იგი სწერს მეგობარს: „აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვსთქვა – და შენ კი მაშინვე გაჯავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ, ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?.....მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ... რამ დამავიწყა?.. ოჰ, მამაგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა“ (იქვე, 196).

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1844 წლის 10 მაისს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ადრესატს მადლობას მოახსენებს საჩუქრისთვის და თან ეხუმრება ახალგაზრდა ბიძას მისი სამურის ოლქის უფროსად დანიშვნასთან დაკავშირებით. პოეტი სწერს ზაქარიას: „გმადლობ თოფისათვის. მას შემვენის სახელი სამურის ოლქის მმართველის საჩუქრისა“ (იქვე, 188). ეს ნიმუშიც იმის მაჩვენებელია, რომ პოეტის ეპისტოლურ მიმკვიდრეობაში ხანდახან გაიელვებს ხოლმე სატირული სტრიქონები. ამავე წერილში ნ. ბარათაშვილი ხუმრობს მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვზე. პოეტი სწერს ზაქარია ორბელიანს: „არლუთინსკის ღენერალ-ადუტანტობას ამბობენ; თუმცა გამოცხადებით არ არის, მაგრამ წიგნი მოსულა პეტერბურლიდგან, – საკვირველიც არ არის. ვინც რა უნდა ილაპარაკოს და აცა თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტას ხანში“ (იქვე, 188). ნიკოლოზ ბარათაშვილი აქ სატირულ ეფექტს ქმნის შედარების ხერხით. იგი არლუთინსკის ადარებს XVII საუკუნის ავსტრიელ მხედართმთავარს რაიმუნდ მონტეკუკულს. თუმცა ეს ხმა არ გამართლდა და მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვმა (არლუთინსკი-მხარგრძელი) 1845 წელს მიიღო გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი და მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1848 წელს, აულ გერგებილის აღებისთვის მიანიჭეს გენერალ-ადიუტანტის წოდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი შედარების ხერხს მიმართავს ასევე 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში, როცა იგი ხუმრობს გრიგოლ ორბელიანის დაღესტნის მეხთულის სახანოს მმართველად დანიშვნასთან დაკავშირებით. პოეტი სწერს

ადრესატს: „შენი წერილის შემდეგ გრიგოლის წერილი მივიღე. რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუნდაც ავგუსტოსის ტახტი, იგი მთელ რომის იმპერიას კომიკურ ხუმრობად აქცევდა“ (იქვე, 187). აქ კი გრიგოლ ორბელიანის ქცევა შედარებულია რომის პირველ იმპერატორ – ოქტავიანე ავგუსტუსთან.

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში სატირულ-იუმორისტულ განწყობილების წყაროდ წარმოდგენილი შედარებები ქმნის კომიკურ შთაბეჭდილებას, რადგანაც აქ შედარებული ობიექტები სრულიად სხვადასხვა და შეუსაბამოა. ასეთი სტრიქონები არ გვხვდება ხშირად და ვფიქრობთ, რომ პოეტი მათ იყენებს ადამიანებისადმი თავისი მკვეთრი იუმორისტული დამოკიდებულების გამოსახატავად, თუმცა მათ, ზოგჯერ, სატირული ელფერიც გადაჰკრავს.

პოეტს ზოგჯერ ერთგვარი დამცინავი ტონი აქვს თავისი საქციელის შეფასების დროსაც. იგი 1844 წლის 23 მაისით დათარიღებულ წერილში, რომელიც მიძღვნილია გრიგოლ ორბელიანისადმი, ხუმრობს საკუთარ თავზე. ნ. ბარათაშვილი სწერს ადრესატს: „დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია“ (იქვე, 190). ხოლო 1845 წლის 23 აგვისტოს მურუტიდან სწერს ბაბალე საგინაშვილს: „ახლა შენ იცი, როგორც წიგნებს და ამბებს არ დამაკლებ! მერმე მე ვიცი და მისს იმპერატორების დიდებულებამ“ (იქვე, 197). ამ ნიმუშებში ნ. ბარათაშვილს კომიკურ ობიექტად თავისი თავი ჰყავს გამოყვანილი. გრიგოლ კიკნაძე წერს: „...როდესაც ადამიანი ახერხებს ერთგვარი დამცინავი ტონით თავისი საქციელის შეფასებას – ასეთი ადამიანი უკვე ქმნის საფუძველს თავის თავზე ამაღლებისათვის“ (კიკნაძე, 1972, 19).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში დასტურდება ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც ჭირს გარკვევა – სატირის სახეა, თუ იუმორის. ეს ეხება ნაკლებ მწვავე სატირისა და მძაფრი იუმორის ნიმუშებს. მაგალითისთვის მოვიყვანთ ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ გრიგოლ ორბელიანისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის 1841 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებულ წერილს. პოეტი დასცინის მათ, ვინც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1841 წლის გურიაში მომხდარი აჯანყების ჩახშობაში თავი ისახელეს და ჯილდოებიც მიიღეს.

ესენი იყვნენ: გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, რომელმაც გურიის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო; მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვი, რომელიც გურიის აჯანყების ჩახშობ ექსპედიციას მეთაურობდა; ოფიცერი, დადესტნის ომების მონაწილე, ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილი ალექსანდრე საგინაშვილი; პოდპოლკოვნიკი ივანე გურამიშვილი, რომელიც 1841 წელს დააჯილდოვეს წმინდა გიორგის ორდენით. პოეტი დამცინავი ტონით „ შეახსენებს ბიძას იმ ფაქტს. რომ ათიოდე წლის წინ ის თავად იდგა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებულთა რიგებში“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, 253). იგი სწერს გრ. ორბელიანს: „მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას; შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა“ (ბარათაშვილი, 1968, 175).

მსუბუქი სატირისა და მძაფრი იუმორის ნიმუშს ვხვდებით გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ 1841 წლის 28 მაისით დათარიღებულ ნ. ბარათაშვილის წერილში. პოეტი დამცინავი კილოთი სწერს ადრესატს: „შევიტყეთ, რომ თურმე ფრანციცულს სწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“ (იქვე, 174).

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ერთადაა წარმოდგენილი დაცინვის რამდენიმე სახე. ჩვენ მიერ გადმოცემული ნიმუშების მიხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში პოეტის მიერ ობიექტის აღწერა-დახასიათებისას მისი მღელვარება კი არ იგრძნობა, არამედ მგოსანი იცავს სიდინჯესა და აუღელვებელ ტონს. არა გვაქვს საქმე იმ ზიზღთან და აღშფოთებასთან, რომელიც სატირისთვისაა დამახასიათებელი. პოეტის სატირა არ არის ობიექტის სალანძღავი, არც მრისხანე, არამედ რბილია. მგოსანი ბუნებით იყო კეთილმოსურნე ადამიანი და არა კრიტიკული. იმიტომ, რომ არ გააბოროტოს თავისი დაცინვის ობიექტი, ნიკოლოზ ბარათაშვილი ცდილობს თავისი სატირა გახადოს ნათელი და იგი გააზავოს იუმორით, რომელიც პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მოედინება მისი ინდივიდუალურობიდან, გარემო სინამდვილისადმი ავტორის დამოკიდებულებიდან, მგოსნის ინტელექტუალური

დონიდან. სოსო სიგუას აზრით, იუმორის გამოვლენა და კომიზმის გათავისება უძნელდება ნაკლებად ცივილიზებულ ადამიანს. რაც უფრო განვითარებულია ინდივიდი, მით უფრო რთულია და მრავალფეროვანი მისი ინტერესების სფერო და შესაბამისად – კომიზმის ფორმებიც (სიგუა, 2007, 49). ამა თუ იმ თემასთან ნ. ბარათაშვილის მიერ იუმორის მისადაგება პოეტის ინტელექტის დონის განმსაზღვრელიცაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის სატირა და იუმორი ირონიის ორი საფეხურია. თუმცა პოეტის ხუმრობისთვის, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია რბილი სტილი, არავის გულისტკენას არ აყენებს. შეიძლება, მგოსანს აქვს ოდნავ გასაბრაზებელი რეპლიკები, მაგრამ ესენი არ არის არც საკუთარი და არც სხვისი ღირსების გრძნობისთვის ზიანის მიმყენებელნი. მართალია, პოეტის ეპისტოლური ნაწერების სტრიქონებში არის წარმოდგენილი ობიექტებისადმი დამცინავი კილო, მაგრამ – არააგდებული დამოკიდებულება.

ჩვენ შევეცადეთ, მოგვეცა სრული წარმოდგენა ნიკოლოზ ბარათაშვილის სატირასა და იუმორზე და გამოგვევლინა მათი მხატვრული თავისებურებანი.

იუმორი არის ერთ-ერთი საშუალება, რომ ადამიანმა მოახერხოს თავისი მწუხარების შემსუბუქება. მასზე გრ. კიკნაძე წერს: „მისი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მძიმე წუთებშიც მოხერხდეს ყურადღების გადატანა სხვა მომენტებზე. ეს იწვევს ადამიანის ერთგვარ განთავისუფლებას მძიმე სულიერი ტვირთისაგან, მისი პიროვნების ერთგვარ გათავისუფლებას მწვავე და მტკივნეული განცდებისაგან. ამ აზრით, ამბობენ, რომ იუმორის გრძნობა იწვევს „სიცოცხლის გაადვილებას“, იგი ხელს უწყობს „მძიმე წუთების“ გადატანას“ (კიკნაძე, 1972, 18). „იუმორი და კომიზმი არის შინაგანი დამაბულობისაგან განტვირთვა, დრამატიზმისაგან გათავისუფლება....“ (სიგუა, 2007, 48).

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის რას წარმოადგენდა იუმორი? ტრადიციული შეხედულებით „ღირს ამ წერილებში ჩაწვდენა, რათა ნათლად აღვადგინოთ ჩვენი პოეტის ზნეობრივი მდგომარეობა. პირველ შეხედვით, თითქოს მეტად დამშვიდებული ადამიანი იწერება საკუთარ გუნებ-განწყობილების შესახებ აქა-იქ, გაკვრით თუ მოიხსენიებს რაიმეს, მეტწილად კი ოხუნჯობს.....მაგრამ ვინც მას იქით ვერას დაინახავს, მიუტევებელ

ზერელობას გამოიჩინს. სტრიქონსა და სტრიქონს შორის ზოგჯერ პოეტი ისეთსა დაიკვნესებს, რომ მხოლოდ გახევებული კაცი ვერ იგრძნობს „სულის ობლობით“ დატანჯულ პოეტის „ვაებას“....(კოტეტიშვილი, 1959, 115). პოეტი არ იმჩნევს არავითარ მდელვარებას, „მაგრამ ძლიერი შუქი არ არის საჭირო იმ ბობოქრობის დასანახად, რომელიც მის სულსა ლეწავდა. გარეგნულად მშვიდი და მოცინარი შეხედულება ჰფარავდა შიგნით ატეხილ ქარიშხალს, იდეათა კორიანტელს, სურვილების ამხედრებას“ (იქვე, 117). ასეთი აზრი გააჩნიათ მკვლევართა უმრავლესობას (გაწერელია, 1978, 132-139; ნადირაძე, 1961, 36; შავლაძე, 1987, 326; და სხვანი). ასეთია თანამედროვე შეხედულებაც. ნიკოლოზ ბარათაშვილზე თ. შარაბიძე წერს: „...სულით ობლობის“ ნიღაბს იფარებს. იგი დარდიანი და უიმედო სულაც არა ჩანს. ბავშვობაში ცელქია, შემდგომ კი იმდენად აქტიური, რომ მუდამ საზოგადოების ცენტრშია, ყველას იცნობს, ყველას უყვარს; ნათესავებიც ჰყავს, მეგობრებიც, მაგრამ სულით მაინც ობოლია“ (შარაბიძე, 2009, 198, 200). რა თქმა უნდა, ნ. ბარათაშვილისთვის ქეიფი, დროსტარება, ოხუნჯობა, ხუმრობა, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალებაა, მაგრამ არა მხოლოდ „სამოსელი“. იგი ბუნებით იყო ასეთი. უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ იგი გიმნაზიაშივე ყოფილა განსხვავებული „თავისი მხიარულის ხასიათით“, „ცოტა დამცინავის კილოთი“, მაშინვე ხუმრობდა და იყო სატირული ნაწარმოებების ავტორი. დაუჯერებელია, რომ გიმნაზიაში სწავლის დროს, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ასეთი მოქმედებებით „ირგებდა სამოსელს“. ვეთანხმებით გურამ ასათიანის მოსაზრებას, რომ „ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა აბსოლუტურად მოკლებულია ირონიას, რომელიც მისი პიროვნების განუყოფელი თვისება იყო“ (ასათიანი, 1983, 34).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ეკუთვნის ისეთ ეპოქას, როცა უმიზნო დროსტარებას ქეიფებსა და ღამისთევებთან ერთად, ახალ-ახალი ამბებით დაინტერესება წარმოადგენდა. მოწყენილობას რომ თავი დააღწიოს, პოეტი ოხუნჯობასა და ხუმრობასთან ერთად, სხვებსაც ართობს “ჭორა-ჭურაებით” და თავადაც ითხოვს მათგან ახალი ამბებით „გატენილ“ წერილებს. ნ. ბარათაშვილზე ი. მეუნარგია წერს: „სადამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწვევოდა ის. ამბები და ჭორები არ მიეტანა იქ, არ

გამოეტანა...“(მეუნარგია, 2004, 248). „იმან ყველაზე წინ იცოდა, ვინ ვის ეარშიყებოდა, ვის-  
ვინ მოსწონდა, ვის ვინ უნდა შეერთო...“ (იქვე, 250). იმდროინდელ თბილისზე პოეტი  
სწერს გრიგოლ ორბელიანს: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა  
და ჭირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი...“  
(ბარათაშვილი, 1968, 174). ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს,  
რომ იგი ჩართული ყოფილა ამ „ჭორაობაში“. 1842 წლის 31 ოქტომბერს პოეტი მაიკო  
ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში მეგობარს ევედრება: „გემუდარები, რომ წიგნს არა  
მწერ, ხომ იცი, მიამება, თუ მეტადრე ბევრ ამბებსაც მამწერ“ (იქვე, 180). 1845 წლის 23  
აგვისტოს პოეტი სწერს მურუტიდან ბაბალე საგინაშვილს: „ მე მაგისთანა მოკლე წიგნებისა  
არა ვიცი რა; თუ მწერ, რაც იცი და არ იცი, სულ მამწერე; ხომ იცი, აქ ძნელად შევიტყობ  
მანდაურს ჭორებს. – თუმცა შენ ჭორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ  
გაიგონებ განგებ და მასიამოვნებ ამ უდაბურს ადგილს“ (იქვე, 197). ამავე წერლში ნ.  
ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის სამარაგდონ ორბელიანის მეუღლეს, ბაბალეს დედას და  
თან მოითხოვს მისგან ახალ-ახალ ამბებს. იგი სწერს ადრესატს: „ბატონ ძალუას ელისაბედს  
მოკითხვას მოვახსენებ; შენმა მზემ, ბევრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ ერთს სიტყვასაც არ  
მოვწერ, მანამ საკუთრად წიგნი არ მამივა ჭორაჭურაებით სავსე“. ამავე ფურცელზე პოეტი  
სწერს თავის მამიდაშვილს, ბაბალეს მეუღლეს, ალექსანდრე საგინაშვილს: „ძმაო  
ალექსანდრე! რომ მეძღური, არ ვიცი კი, აქ რა არის, რა მოგწერო; შენ უნდა მომწერო წიგნი,  
რომ ტფილისი გატენილია ამბებით“. 1845 წლის 9 თებერვალს ნახჩევანიდან ნ.  
ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი გამოგზავნილ წერილიდან ჩანს, რომ  
დადიოდა ადრესატის შესახებ ჭორები იმ ტრაგიკული ფაქტის გამო, რაც მოჰყვა 1837 წელს  
თბილისში იმპერატორ ნიკოლოზ I - ის სტუმრად ჩამოსვლას. პოეტი სწერს მეგობარს:  
„მაიკო, ეს რისაგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჭორაობა  
უნდა გაჩნდეს?“ (იქვე, 194).

ნ. ბარათაშვილი თავის ადრესატებს ყველა წვრილმან ამბავს ატყობინებს. მაგალითად,  
1842 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში მაიკო ორბელიანს უყვება, თუ როგორ  
მოიწყინეს მეგობარმა ქალებმა კავკასიის მთავარმართებლის ევგენი გოლოვინის მეუღლის,

ელისაბედ ფონ-ვიზინ-გოლოვინის წასვლის გამო. პოეტი სწერს მეგობარს: „გალავინის ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს...(იქვე, 179).

1844 წლის 15 აგვისტოს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრესატს რამდენიმე ამბავს ატყობინებს: თავისი მეგობრების ჩეჩნეთში ყოფნას; კავკასიის მთავარმართებლის ალექსანდრე ნეიდგარდტის სტუმრობის მოლოდინს და მაიორ ლუარსაბ ორბელიანის მეუღლის, ანას ავადმყოფობას. პოეტი სწერს ზაქარიას: „ილიას წიგნი მოვიდა. ჩერვლონში არიან სულ ყველანი და ამ თთვის გასვლამდინ მგონია მოვიდენ. – მთავარმმართველსაც ამ სამ დღეზედ მოელიან! ლუა[რ]საბის ცოლი ანნა ძალიან ავად არის, საწყალი! სხვა ამბავი აქ ახალი და საშენო არა არის რა“ (იქვე, 192). ამავე წერილში ნ. ბარათაშვილი სწერს ზაქარიას ორბელიანს საექიმო სამმართველოს მკურნალის გარდაცვალების შესახებ. ასევე, გადასცემს მას მოკითხვას დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ვაჟის და ადრესატის მეუღლის, ქეთევანის ძმისაგან – იაკინთესაგან და ატყობინებს მის სამსახურებრივ თანამდებობას. პოეტი სწერს ზაქარიას ორბელიანს: „დამავიწყდა. – ივან კარლიჩი გარდაიცვალა. – სალომე კარგი ქვრივი დარჩა. – სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უანდერძა *законным актом*“..... „იაკი[ნ]ტემ, ამ წიგნის წერაში, ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერეო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისათვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული“. ამ წერილში ნ. ბარათაშვილი ზაქარიას აღუწერს კატოს ქორწილსა და ქსნის ხეობაში, სოფელ ალევში „მარიამობის“ დღესასწაულს, რომელსაც თავადაც ესწრებოდა.

პოეტი ყველაზე მეტად ახალ-ახალი ამბებით ართობს გრიგოლ ორბელიანს. მასაც ძალიან ჰყვარებია ჭორები. ეს ეტყობა კიდევ მის ეპისტოლურ მემკვიდრეობას. 1844 წლის 23 მაისს ნ. ბარათაშვილი სწერს ბიძას: „ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს.....სხვებზე ვეცდები, რომ საკვლავად კარგი გატენილი წიგნი გამოგიგზავნო“ (იქვე, 190). ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს ართობს ახალ-ახალი წვრილმანებით. 1841 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული ბარათით პოეტი ბიძას ატყობინებს რამდენიმე



ამბავს: საიმპერატორო კარის მინისტრ, გენერალ-ადიუდანტ ადელბერგის შვილების – გენერალ-ადიუტანტების, ალექსანდრესა და ნიკოლოზის თბილისში სტუმრობას; ბორის ჭილაშვილის გრენადერთა ქართული პოლკის მეთაურის თანამდებობიდან გადაყვანის ამბავს (მაგრამ წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ მან ეტყობა, თავისი სიმართლე დაამტკიცა); და ასევე ატყობინებს პოეტის დედის, ეფემიას ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის ვაჟის შეძენას. ნ. ბარათაშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მაგთენი არაფერია. ცოტას ხანს დაყვეს აქ ადლერბერდის შვილებმა და, რაღა განგიმარტო, შენ მიხვდები, რაც ადლერბერდის შვილები აქ იქნებოდნენ. – პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე გამოიძიებდნენ ჩილაშვილის სიმართლეს, რომელიც ვპკონებ არ დადუმდეს. – ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს...“ (იქვე, 175). 1842 წლის 2 მაისს გაგზავნილ წერილში პოეტი ბიძას ატყობინებს ზაქარია ორბელიანის მიერ სნაქსარევის ნაცვლად სამურის ოლქის უფროსის თანამდებობის დაკავების ამბავს და იასე ანდრონიკაშვილის იქ ყოფნასაც, რომელსაც ახლდა ზაქათალის ოლქში შემავალი სახანო რეზიდენციის – ელისოს მილიცია. ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს; იასეც იქ არის ელისოს მილიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას“ (იქვე, 178). ამავე წერილში პოეტი ატყობინებს ბიძას მთავრობის მიერ 1842 წელს სახელმწიფო მდივნის, მიხეილ პოზინის, ამიერკავკასიაში გამოგზავნისა და სამხედრო მინისტრის, ჩერნიშოვის, სტუმრობის მოლოდინის ამბავს. ნ. ბარათაშვილი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას. მინისტრს შვიდს მაისს მოველით ერევანზედ“ (იქვე, 178). ამ ბარათში პოეტი უყვება ბიძას 1842 წლის 20 მარტს ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის – შამილის – მეომრების მიერ ყაზიყუმუხში ილია ორბელიანის დატყვევებისა და ტყვეობაში მისი მდგომარეობის ამბავს. ახალ-ახალი ამბებით ყველაზე მეტად დატვირთულია 1843 წლის 21 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გაგზავნილი წერილი. იგი ადრესატს უყვება ირანის მეფის ფეტ-ალი-შაჰის მემკვიდრის, აბას-მირზას მდივნის, მირზა-სალის ქალაქში შემოსვლისა და კავკასიის მთავარმართებლის,

ალექსანდრე ნეიდგარდტის მიერ დიდი მეჯლისის გადახდის ამბავს. პოეტი სწერს გრ. ორბელიანს: „გუშინ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსობს მირზა-სალი, ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. – მაზეგ, რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართველი“ (იქვე, 182). ამავე წერილში ნ. ბარათაშვილი ახალ ამბებს ატყობინებს ბიძას ლევან მელიქიშვილზე, ოფიცერ ალექსანდრე (ბაკლანა) ორბელიანსა და პოლკოვნიკ გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელზე. იგი სწერს ადრესატს: „ჩვენი ლევან ქუთაისში გააგდეს პორუჩენით, – მე და შენში დარჩეს ( ისე კი არა, ბაკლანას რომ ხომალდი დაეღუპა). გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება, და მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ხარჯით, და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. რასაკვირველია, რომ უარი აღარა სთქვა. დახე, ქვეყნის ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გავხსენ და წავიკითხე. ბევრი ვიცინე“ (იქვე, 183). პოეტი იმდენად დაწვრილებით აღწერს ახალ ამბებს (თავადაც აღნიშნავს ამას), რომ იმასაც კი ატყობინებს გრ. ორბელიანს, მარტყოფში „ღვთაების“ დღეობაში ჩასული სტუმრები უკან დაბრუნებისას ეტლში ვინ ვის გვერდით იჯდა. ნ. ბარათაშვილი სწერს ბიძას: „იქიდგან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ, და კნეინა და სავარსამიძის ცოლი ერთად უკან. Довольно подробно!“ (იქვე, 183).

პოეტისთვის თავშესაქცევი მასალა (ჭორები), ასევე იძლევა მდიდარ საინფორმაციო მასალას იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რითაც მას მნიშვნელოვანი ისტორიულ-დოკუმენტალური მნიშვნელობა ენიჭება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჰპირდება ბიძას, რომ შემდგომში უფრო ბევრ ამბებს შეატყობინებს. პოეტი სწერს გრ. ორბელიანს: „ამით გავათავოთ ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს, და შემდეგ ბევრს მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ, და რაც ვიცი, და არ ვიცი, სულ გავაჭრელებ. ახლა ფაცაფუცით არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც შენ მოიწერები“ (იქვე, 183).

ბარათაშვილისდროინდელი თბილისის მაღალი საზოგადოების ოჯახების პოეტის ხშირი სტუმრობა; ქორწილების, დღეობებისა და სხვადასხვა შეკრებების მისი მუდმივი წევრობა; მოლხენა, ოხუნჯობა, ხუმრობა, ენაკვიმატობა, ახალ-ახალი ამბებით, ჭორებით

გართობა, მხოლოდ გარეგნული მხარე არ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების დასახასიათებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტი ასეთი იყო. ეს ყველაფერი მისი ხასიათითა და ტემპერამენტით იყო განპირობებული. თუმცა სევდის დაუფლებისა და მწუხარების ჟამს, ისინი პოეტისთვის „სამოსელის“, „ნიღბის“ საშუალებანიც იყვნენ. ასევეა მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. პირადი წერილების განწყობილება მართალია, მწუხარებითა და კაემნით არის მოცული, მაგრამ მათ კილოს ძალიან ხშირად იუმორიც ახლავს და ახალი ამბებით, ჭორებით გართობაც, და არც მთლად უნუგეშოა.

ამბობენ, ნამდვილი ბარათაშვილი „ ამ ხუმრობათა, შექცევათა და დროსტარების იქით იმალებაო“.... ნამდვილი ბარათაშვილი „მისი სულის დღიურში – ლექსებში“ – ჩანსო.

ჩვენი თემის მიზანს არ შეადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და მისი პოეტური შემოქმედების ურთიერთშედარება, მაგრამ აუცილებელია, აღინიშნოს მცირე რამ ლიტერატურისმცოდნეთა ასეთ შეხედულებაზე.

რა თქმა უნდა, მგოსნის ტრაგიკული გრძნობები ყველაზე ნათლად მის ლექსებშია გამოხატული, „კაცთა სიავით“, „ბედის ბრუნვით“, „ცრუ და მუხთალი სოფლის“ გამო, იგი საკუთარ თავს უწოდებს „ობოლს“, „მწირს“, „უნუგეშოს“, მაგრამ თავის სევდიან ფიქრებს პოეტი ოპტიმისტური განწყობითაც ამთავრებს ხოლმე. „ბარათაშვილს ხშირად სწვევია შავი ნაღველი, ხშირად ჩაფიქრებულა კიდევ ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე, მაგრამ ნათელ გონებას და ცხოვრების შეუმცდარ ალღოს ის ყოველთვის მიუყვანია მის წინაშე აღმართული ამოცანის ოპტიმისტურ გადაწყვეტასთან“ (ნადირაძე, 1961, 83).

ნიკოლოზ ბარათაშვილი უპირველესად ადამიანი იყო. მას მწუხარების გამოხატვაც შეეძლო და წრეგადასული ხუმრობაც.

## თავი IV

### ნიკოლოზ ბარათაშვილი – სხვათა და თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის თვალთ

„მე“, რომელიც უპირველესად გულისხმობს საკუთარი პიროვნების შესახებ ცოდნას ანუ „მე – კონცეფციას“ და საკუთარი პიროვნების თვითშეფასებას – პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი ფსიქოლოგიური თავისებურებაა.

ადამიანს პიროვნებად აყალიბებს ცხოვრებისეული გამოცდილება. სოციალიზაციის დროს ფართოვდება და ღრმავდება ინდივიდის ურთიერთობა ხალხთან, ჯგუფებთან, საერთოდ საზოგადოებასთან და ადამიანში ყალიბდება „მე“-ს სახე ანუ „თვითშემეცნება“. თვითშემეცნების ძირითადი კომპონენტია თვითშეფასება, რომელიც გულისხმობს წარმოდგენებს საკუთარ თავზე, ანუ „მე“-კონცეფციას, რომელსაც თვითონ აყალიბებს ადამიანი და ქმნის საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებას. პიროვნება საკუთარ თავს თვითონ აძლევს შეფასებას, თუ რას წარმოადგენს იგი და როგორ აფასებს საკუთარ თავისებებს. თვითშეფასება გულისხმობს პიროვნების მიერ დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას ობიექტისადმი („მე“-სადმი) (როზენბერგი, 1965). საკუთარი თავის შეფასება ხდება სხვადასხვა სფეროში: „მე“ კონცეფცია არის ის, რასაც ინდივიდი ამჩნევს საკუთარ თავს გარეგნული, პიროვნული თვისებების, ხასიათის, როლების და სოციალური სტატუსის მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ „მე“ კონცეფცია არის – საკუთარი თავის მიმართ დადგენილი წესების სისტემა. „მე“ კონცეფცია წარმოადგენს იმის გაცნობიერებას, რომ ადამიანი არის ცალკე, სხვებისაგან გამოყოფილი ინდივიდი.

ადამიანებს შორის რომ დამყარდეს ინტერპერსონალური ურთიერთობები, საჭიროა, რომ მათ ერთმანეთზე ჰქონდეთ დიდი ინფორმაცია, დიდი ცოდნა პიროვნულ თვისებებზე, რაზედაცაა დამოკიდებული როგორც თვით-აღქმა, ასევე ინდივიდის მიერ მეორე ინდივიდის აღქმა.

პიროვნების თვითშეფასებისას საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების აღიარებასთან ერთად დიდ როლს ასრულებს სოციალური გარემო, რომელშიც ჩვენ გვიწევს ყოფნა, რამდენადაც ის წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს ჩვენი საკუთარი თვისებების შესახებ. ასე რომ, თვითშეფასებისას მნიშვნელოვანია სხვების შეხედულებების მხედველობაში მიღება, იცოდეს, თუ როგორ აღიქვამს მას სხვა, აღიქვამს პიროვნება საკუთარ თავს ისე, როგორც აღიქვამენ მას სხვები? „თუ ჩვენ გვსურს რაიმე კონტროლით მიზნის მიღწევა და ეს სხვა ადამიანებზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ აღვიქვამს ჩვენ სხვა და რამდენად შეესატყვისება ეს ჩვენ წარმოდგენებს საკუთარ თავზე“ (ფირცხალავა, 2008, 49).

ამგვარად, როცა ინდივიდის მიერ საკუთარი თავის ან ინდივიდის მიერ მეორე ინდივიდის აღქმაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, საკუთარი თავისა და სხვის მიერ ამ ინდივიდის შეფასება, როგორც ფიზიკური, ასევე პიროვნული თვისებებების მიხედვით. შეფასებისას აქცენტი კეთდება ინდივიდუალურობაზე, ანუ იმაზე, როგორ შეიძლება ადამიანი გამოიყოს სხვა ადამიანებისაგან.

შოთა ნადირაშვილის აზრით, ერთი მხრივ, ადამიანის წარმოდგენები საკუთარი პიროვნების შესახებ, ანუ საკუთარი თავისა და საკუთარი ქცევების აღქმა, და, მეორე მხრივ, სოციალური ურთიერთობები, სხვა ადამიანების რეაქციები მასზე, ქმნის საკუთარი „მე“-ს შესახებ შეხედულებებს, რომელსაც მეცნიერი უწოდებს ფსიქიკურ ავტოპორტრეტს (ნადირაშვილი, 1975, 307-312).

სოციალიზაციის პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდები სწავლობენ ფუნქციონირებას როგორც სოციალური ჯგუფების წევრები, გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენს – ოჯახები, მეგობრები და სხვა დაჯგუფებები. საკუთარი თავის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზაციას – მშობლებთან, მასწავლებლებთან, მეგობრებთან და სხვა ურთიერთობებს. ოჯახი, მეგობრები, სამსახური და სხვადასხვა ჯგუფები განსაზღვრავენ და აძლიერებენ პიროვნების „მე“-ს მნიშვნელოვან განვითარებას. ადამიანი იზადება განსაზღვრულ ოჯახში, მაგრამ ზრდასთან ერთად ის ირჩევს იმ ჯგუფებს, რომლებიც აძლიერებენ მის

ღირებულებებს, ანუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს „მე“ კონცეფციისა და სოციალურ იდენტურობას.

ადამიანისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა გავლენას ახდენს ის საზოგადოებაზე და როგორ აღიქვამენ ირგვლივმყოფნი მას. ოჯახში, მეგობრების წრეში, ახლობლებთან ურთიერთობებისას ხდება როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიერ ინდივიდის აღქმა-შეფასება.

ჩვენ შევეცდებით, წარმოვადგინოთ, რამდენად შეესაბამება ნიკოლოზ ბარათაშვილის თვითშეფასება მის თვისებებს და ოჯახის წევრების, მეგობრების, ახლობლების მიერ მის შეფასებას, ანუ, რამდენად ზუსტია პოეტის თვით-აღქმა და სხვების მიერ მისი აღქმა.

## **§1. ნიკოლოზ ბარათაშვილის შეფასება სხვების მიერ**

ჩვენამდე მოღწეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახის წევრის, პოეტის დის, ბარბალე ვეზირიშვილის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარეგნობის შეფასება. მისი სიტყვებით ნიკო „...იყო მიმზიდველი სახისა. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც მსუქანი; წაბლისფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებული; წვერ-ულვამს იპარსავდა, იცვამდა ევროპიულს სამოქალაქო ტანისამოსს“ (მასალები... 1922, 241).

განვითარებადი ადამიანის გარემო დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებებს. მოზარდის ასაკის დადგომისას ის გარკვეული სახით გადაინაცვლებს ოჯახიდან ქუჩაში, სკოლაში, სამსახურში, რასაც ერთვის მეგობრებისა და ნაცნობების შექმნა, რომლებიც აღსაქმელის შესახებ ოჯახის წევრებზე არანაკლებ ინფორმაციას ფლობენ.

ჩვენ მოვიყვანთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავეების, მეგობარ-ნაცნობებისა და მისი პირველი ბიოგრაფების მიერ პოეტის გარეგნობის აღწერილობებს. ლუკა ისარლიშვილის შეფასებით „ბარათაშვილი მოთეთრო სახისა იყო. პირხმელი, შავი ცოცხალის თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირი წარბები

ერთმანეთთან გადაღობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისაკენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც უღვაშსაც. სახე შორიდან შნოიანი, ახლოდან ცოტა დაღმეჭილსა ჰგვანდა. იცვამდა ბუზმენტთან ქულაჯას. უფრო ხშირად სერთუკი ეცვა. საგრძნობლად კოჭლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა“ . „ზემოთ ნათქვამს თუ ისიც დავუმატეთ, რომ ბარათაშვილი კოჭლი იყო, თქვენ სრულიად დარწმუნდებით, რომ პოეტს არ ჰქონდა აპოლონის მშვენიერება“ (მეუნარგია, 1968, 249).

დიმიტრი ყიფიანის აღწერით ნ. ბარათაშვილი იყო: „დაბალ-დაბალი, ჩამკვრივებული, ნოღა..“ ხოლო მისი მეუღლე, ნინო ასე აფასებს პოეტს: „დაბალი ტანისა იყო, წმინდა სახე და პატარა შავი უღვაშები...“

კონსტანტინე მამაცაშვილი შემდეგნაირად აფასებს პოეტის გარეგნობას: „ნიკ. ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირხმელი, ცოცხალი შავი თვალებით, წაბლისფერი თმით, სახე საგანგებოდ მიმზიდველი (ქართულად რომ იტყვიან, მარილიანი)“ .

ალექსანდრე ორბელიანი კი წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილზე: „ეხლა მის პატარასა, ლამაზსა თავზედ მამულისა პოეტობის ბრწყინვალეობას გვირგვინს დაადგამდნენ“ .

ზ. ჭიჭინაძის მიერ პოეტის თანამედროვეებში შეგროვილი ცნობებით პოეტი „მოთეთრო სახის კაცი ყოფილა, სახით გრძელი, შავი თვალებით, წაბლისფერი თმით, ტანით შუათანა, სამუალო სისქისა“ (ნ. ბარათაშვილის გარეგნობის მოყვანილი შეფასებებისთვის გამოვიყენეთ იაკობ ბალახაშვილის წიგნი „ბარათაშვილის ცხოვრება“ 1967, 27-28).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ შეფასებებში პოეტის გარეგნობის არსებითი თავისებურებანი თითქმის ერთნაირია. თუ გვექნებოდა მგოსნის გარეგნობის თვითშეფასება, გამოვლინდებოდა – რამდენად ადექვატური იქნებოდა ის სხვების მიერ ნ. ბარათაშვილის გარეგნობის შეფასებისა.

ვეთანხმებით მანანა კაკაბაძის აზრს – პოეტი მიმზიდველი და სანდომიანი გარეგნობის რომ არ ყოფილიყო, ნიკოლოზ პირველი თბილისში სტუმრობისას არ

გამოარჩევდა სილამაზით, ახოვნებითა და ვაჟკაცობით განთქმულ ქართველ თავადიშვილებში (კაკაბაძე, 2009, 46).

ჩვენ არ შემოგვრჩენია ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი, რომლის აღდგენაც სცადეს მხატვრებმა: მ. თოიძემ, ა. მრევლიშვილმა, ი. ქოქიაშვილმა, ლ. გუდიაშვილმა. ბოლო დროს, ლევან თაქთაქიშვილმა შექმნა ნ. ბარათაშვილის კომპიუტერული პორტრეტი, რომლის „ბაზად მიჩნეულ იქნა სოფიოს სახე“ (თაქთაქიშვილი, 2005, 243). ამ პორტრეტზე დაყრდნობით მხატვარმა ლევან ჭოდოშვილმა შექმნა პოეტის პორტრეტის ახალი ვარიანტი. ლ. თაქთაქიშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოებისათვის ძნელად შესაგუებელი იქმნება პოეტის გარეგნობის ახალი ვარიანტი, რადგან იგი არ არის გუდიაშვილისეული პორტრეტის მსგავსად მომხიბვლელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარეგნობის წარმოსადგენად ჩვენც ვფიქრობთ, რომ უპირატესობა აქვს ლადო გუდიაშვილის მიერ 1955 წელს შესრულებულ პორტრეტს, რომელსაც ასევე საფუძვლად დაედო პოეტის დის – სოფიოს სახე და „თუმანიშვილისეული ესკიზი“. „სადღესოდ იგი საყოველთაოდ აღიარებული, პირობითი გამოხატულებაა ჩვენი პოეტისა“ (ჩაჩანიძე, 1974, 21).

ნებისმიერი ადამიანისათვის საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ სხვები მასზე. „სხვების აზრი ინფორმაციის სასარგებლო წყაროა. საკუთარ თავზე არსებული ინფორმაცია, რომელიც კომპენტენტური პირისაგან არის მიღებული, ეხმარება ადამიანს გარკვეული თვისების არსებობის აღმოჩენაში“ (ფირცხალავა, 2008,9). თვითშეფასება იზრდება ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში პატარ-პატარა მიღწევების, შექებისა და წარმამატებების შედეგად, ანუ „მე“ ზოგიერთებისთვის ხდება მნიშვნელოვანი, რაც ადამიანს ანიჭებს საკუთარი ღირსებისა და პატივისცემის გრძნობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სამუშაოს შესრულებისთვის სხვებისგან იღებდა დადებით შეფასებას. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, მისი სურვილი არ იყო კანცელარიის მოხელეობა. პოეტის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდანაც ნათელია მისი უკმაყოფილება ჩინოვნიკური საქმიანობის გამო. მიუხედავად ამისა, იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ საქმეს. ლევან მელიქიშვილის



ცნობით, ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოირჩეოდა იშვიათი ბეჯითობით. ამიტომაც დაიმსახურა მან პეტერბუგიდან მოვლენილი სტატუს-სეკრეტარის, პოზენის შექება მისი საქმის წარმოების გამო და ბრძანებაც გაუცია, რომ ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში.

იონა მეუნარგიას კი ჩაწერილი აქვს გრიგოლ ორბელიანის ნაამბობი, თუ როგორი ეჭვის თვალთ უყურებდა პალატის უფროსი ილინსკი „დარდიმანდ“ ნიკოლოზ ბარათაშვილს. რევიზიის შემდეგ კი, როცა დარწმუნებულა ის, რომ პოეტს ყველაფერი უშეცდომოდ და დიდი გულმოდგინებით ჰქონდა გაკეთებული, აღფრთოვანებულს უთქვამს: „В таком роде продолжайте бегать, сколько вашей душе угодно...“. „Баратов на моем месте будет сидеть...“ (ინგოროყვა: პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნარკვევი, გვ. 41, 1968).

როგორც ჩანს, პლატონ იოსელიანიც დადებითად აფასებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიბეჯითესა და საქმისადმი მის პასუხისმგებლობას. გრიგოლ ორბელიანისგანაა ასევე გაგონილი მისი სიტყვები ნიკოლოზ ბარათაშვილზე: „ეს კარგი გამოვაო“ (იქვე, 42).

თავისებურ შეფასებას აძლევს ნიკოლოზ ბარათაშვილს ლევან მელიქიშვილი პოეტის მიერ 1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილის მინაწერში, რომელიც ეხება გონჩა-ბეგუმსა და მის მეუღლეს. მაია ნინიძის ვარაუდით კი – მაზრის უფროსის ცოლს – ეკატერინე ტიხონის ასულ მოსკალევასა და მის მეუღლეს, რომელიც ქმარზე 20 წლით უმცროსი იყო (XIX-XX სს., 2011, 272). ლევან მელიქიშვილი სწერს მაიკოს: „ტატო დღე და ღამე იხვეწება, – თუ ღმერთი გწამს, გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არ ვშვრები“.

ჩვენ განვიხილეთ სხვების მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხასიათის შეფასების ერთი მხარე – ბეჯითობა, დაუზარელობა. პოეტის თანამედროვეთა და მისი ბიოგრაფების ცნობებზე დაყრდნობით განვიხილავთ სხვების მიერ მგოსნის შეფასების სხვა ასპექტებსაც.

ოჯახის წევრების აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მიერ საკუთარი თავის შეფასებისათვის. საინტერესოა ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის სიტყვები პოეტის

სიკვდილის შემდეგ მის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდან: „მე უბედური, უბედურად ქმნილი, მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს, და რა შვილს?“ (მეუნარგია, 2004, 258). დედის წერილიდან ამ ამონარიდის ბოლო სიტყვები შვილის იდეალური შეფასებაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის, დის ბარბაღე ვეზირიშვილის შეფასებით „ნიკო ძალიან მალხაზი, მარდი იყო“ (მასალები... 1922, 241).

მოწაფეობის მეგობრის, კონსტანტინე მამაცაშვილის შეფასებით „ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარული ხასიათით, სიმარდით. პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრად ლეკურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი“.....„ფხიზელი, ცნობისმოყვარე, მიმღები ყოველივე კარგი შთაბეჭდილებისა“... „ნიკოლოზს სიკვდილამდე ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც“ (ინგოროყვა, 1968, 26).

პოეტის ახლო ადამიანი, დიმიტრი ყიფიანი შემდეგნაირად აფასებს ნიკოლოზ ბარათაშვილს: „მეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული, ამავე დროს ყოვლად უანგარო. მიუხედავად დიდად შევიწროებული მდგომარეობისა, იგი მუდამ მზად იყო დახმარებოდა გაჭირვებულს ყველაფრით, რითაც კი საჭირო იყო... მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუკეთესო ამხანაგს“ (ინგოროყვა, 1968, 26). პოეტი „...ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, ენამახვილობდა, ერთობოდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებით“ (იქვე, 43).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ, პოეტის უახლოესი მეგობარი ლევან მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში შემდეგნაირად აფასებს მას: „მე მასში დავკარგე არა მხოლოდ სკოლის ამხანაგი, არამედ მეგობარი, რომელსაც ბავშობიდანვე ვუშლიდი ჩემი გულის ყველა ხვეულებს, და რომლის მეგობრული თანაგრძნობის მე ღირსი გავხდი. ძნელია დაჰკარგო ადამიანი, რომელიც თბილის გულითა და თბილის სულით შერიგების გრძნობას გვიღვიძებდა ადამიანებისადმი... ძნელია სულით დაობლება! და არა მხოლოდ მე დამატყდა თავს ეს საშინელი დანაკლისი! საქართველომ მასში დაჰკარგა კაცი, რომელსაც იგი სიყვარულს

ყოველ თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ყმაწვილი კაცი მშვენიერის და ბრწყინვალე ნიჭისა, რომლის ყველაზე მეტი იმედი ჰქონდა, ვიდრე სხვა ეხლანდელ თავის ჭაბუკ შვილებისაგან“ (ციტირებულია ინგოროყვას გამოკვლევაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1968, 26).

მეუნარგია წერს „...უნდა დავუმატოთ: იყო დიდი ცელქი, დამცინავი (railleur), ჩქარი, მაგრამ კეთილი, ჭკვიანი, ამხანაგებისა და თავის მოყვარე“ (მეუნარგია, 2004, 237)... „მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენამახვილი ბარათაშვილი იყო სული და გული ტოლ-ამხანაგებისა. ყველას უყვარდა იგი და ყველა ერიდებოდა მის მახვილ ენას, მის ეპიგრამებს“ (მეუნარგია, 2004, 239) „...როგორც სკოლაში, ისე ცხოვრებაში ბარათაშვილი დარჩა მოუსვენარი, ცელქი, დამცინველი“ (მეუნარგია, 2004, 251). „ის იყო მუდამ ოცნებით გატაცებული, მუდამ მთვარისა და ვარსკვლავების არშიყი, მუდამ სიკვდილსა და უარისყოფაში მძებნელი საცოცხლისა და ცხოვრების...“ (მეუნარგია, 2004, 274). „...მაშინ, როდესაც ქვეყანა ლხინობს, ეს ერთი კაცი გაბუტულია და მარტო ზის, ქვეყნის მგლოვიარე. ეს არის მიზეზი, რომ ბარათაშვილი ყოველთვის ნაღვლიანია და მჭმუნვარებით სავსე...“ (მეუნარგია, 2004, 276).

იონა მეუნარგია ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიჭს შემდეგნაირად აფასებს: „...გაფურჩქვნა ნიჭისა არ დასცალდა და ის დარჩა საშუალი ტანის პოეტად, ყმაწვილ კაცად, რომლის პირიდან ვაჟკაცის ხმა თუმცა მოისმის, მაგრამ მის ყოველ თხზულებას პირველიდან უკანასკნელამდე ჯერ კიდევ ზედ ამჩნევია მოზარდი კაცის გამოუცდელი მარჯვენა“ (მეუნარგია, 2004, 274).

## §2. ავტობიოგრაფიული

ყოველი ოჯახი უნიკალურია. თავისებურია ასევე ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობები. ოჯახიდან იწყება ადამიანის თვითაღქმა, რადგანაც აქ „... შექმნილია ისეთი უსაფრთხო გარემო, რომელიც იძლევა საკუთარი აღქმის სიზუსტის, შემოწმების, მიღების, ახალი ქცევების მოსინჯვის შესაძლებლობას“ (ფირცხალავა, 2008, 49).

სოციალიზაციის პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების გავლენას.

ერთი და იმავე ოჯახის შვილები ხშირად იძენენ საერთო განცდებსა და გამოცდილებას, მაგალითად, მშობლების გადაჭარბებულ სიმკაცრესა და ფასეულებებს. ამასთანავე, თითოეულ მათგანს გააჩნია განცდებისა და ურთიერთობების დამოუკიდებელი თვისებები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახი იმდენად სტუმრიანი იყო, რომ პოეტს განუვითარდა ადამიანებთან ურთიერთობის ჩვევები.

ადამიანის ფარულ თვისებებთან შედარებით, რა თქმა უნდა, ხილული თავისებურებანი უფრო ადვილი აღსაქმელია. საერთოდ, ადამიანები ნაკლებად მიმართავენ საკუთარი გარეგნობის შეფასებას. პირად წერილებში არც ნიკოლოზ ბარათაშვილი აფასებს თავის გარეგნობას. მხოლოდ ერთხელ, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში, როცა ის მშობლების აზრს გამოთქვამს თავის კოჭლობაზე, წერს: „ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო“. მშობლების ამ სიტყვების საპასუხოდ პოეტი წერს: „მაშინ, როდესაც ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვბტი და კიდევ ვტანცაობ“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს სიტყვები შეიძლება ჩავთვალოთ მის მიერ საკუთარი ფიზიკური მდგომარეობის თვითშეფასებად. ამ შემთხვევაში შვილის თვით-აღქმა და მშობლების მიერ მისი აღქმა თითქმის არ შეესაბამება ერთმანეთს. თუმცა, ჩვენ ვფიქროთ, რომ პოეტს თავისი ფიზიკური ნაკლის – კოჭლობის გამო, ყოველთვის ჰქონდა უსიამოვნო შეგრძნება, ანუ თავისი კოჭლობა მოქმედებდა მისი სხეულის თვითგანცდაზე – საკუთარი სხეულის შეფასებაზე. ასე რომ არ იყოს, ის წერილში არც გაამახვილებდა ყურადღებას თავისი სხეულის ნაკლზე. გრეგორი ლერშის შრეთა თეორიის თანახმად, თვითშეფასებას განსაზღვრავს პიროვნების რამდენიმე დონე. ესენია: სხეულებრივი თვითგანცდა, განწყობილებები და სიძლიერეში დარწმუნებულობის თვითგანცდა. პირველ დონეზე შეიძლება ითქვას, რომ „...ჩვენი სხეულებრივი-ფიზიკური მდგომარეობა ამოდის ცნობიერებაში, როგორც შინაგანი მდგომარეობა. აქ ხდება სულიერისა და სხეულებრივის დაკავშირება, რაც ვლინდება ფსიქოსომატურ განწყობილებებში“ (ყვანია, 2008, 43). ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიზიკურმა ნაკლმა

დიდად განაპირობა პოეტის ცხოვრებისეული განცდები. მის ოცნებას – გამხდარიყო გენერალი და თავისი ბიძებისა და ახლობლების მსგავსად მტრებთან ბრძოლით მოეხვეჭა სახელი, კოჭლობის გამო გზა მოეჭრა. სხეულის ამ ნაკლის გამო მგოსანს სიყვარულშიც არ გაუმართლა.

სხვების მიერ პოეტის ხასიათის თვისების დადებითად შეფასებამ ჩამოუყალიბა მას მაღალი თვითშეფასება. ის ეპისტოლურ ნაწერებში ხაზს უსვამს თავის სიბეჯითეს, დაუზარელობას. 13 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი, თავის წარმატებებში დარწმუნებული, 1831 წლის 3 სექტემბერს სწერს გრიგოლ ორბელიანს: „...ჩემს წარმატებებზე რაღა მოგწეროთ, რომელიც თქვენც იცით“. (XIX-XX სუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011, 130). 1844 წლის 15 აპრილით დათარიღებულ ზაქარია ორბელიანისადმი მიძღვნილ ბარათში კი ვკითხულობთ: „საყვარელო ძმაო ზაქარია! რატომ არა ვწერთ ერთმანეთს წერილებს? გამოგიტყდები, ამ საკითხმა ჩამაფიქრა. მე რომ შენ მიყვარხარ – ეს აქსიომაა; წერა რომ არ მეზარება – ამას ადასტურებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა“ (ბარათაშვილი, 1968, 186). 1837 წლის თებერვალში კი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ეპისტოლეში ნიკოლოზ ბარათაშვილი თვითშეფასებით უსაბუთებს ადრესატს, თუ როგორ არ უყვარს ადამიანში სიზარმაცე. ის სწერს: „ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ..... (იქვე, 170). ნიკოლოზ ბარათაშვილი საკუთარი თავის სიბეჯითეს ყველაზე მეტად აფასებს 1844 წლის 23 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ პირად ბარათში. იგი წერს: „საყვარელო ძმაო, გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას. – დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო? კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ; ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. – ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? (იქვე, 190).

თვითცნობიერებისა და თვითშეფასების შედეგად ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის ნათელი ხდება მისი პიროვნული თვისება – დაუზარელობა, სიბეჯითე.

თვითშეფასება არის ინფორმაციის შეგროვება საკუთარ თავზე და ადამიანის მიერ საკუთარი ძლიერი და სუსტი, დადებითი და უარყოფითი მხარეების უკეთ შეცნობის საშუალება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თვითშეფასება ახლოსაა რეალობასთან. ვერ ვიტყვით, რომ იგი სათანადოდ ვერ აფასებდეს საკუთარ შესაძლებლობებს და ღირსებებს. ნიკოლოზ ბარათაშვილი ახდენს თვითპრეზენტაციას – საკუთარ თავს გამოავლენს ისე, რომ მოახდინოს შთაბეჭდილება, მაგრამ ეს წარმოჩენა ობიექტურია. ის განსაკუთრებულ თვისებებს არ მიაწერს საკუთარ თავს. პოეტმა მართლაც რომ თავისზე „ჭიანჭველასავით მეტი და დიდი აიკიდა“ – ოჯახის გადასარჩენად მთელი ტვირთის ტარება მან აიღო თავის თავზე. „სამსახურში კი ზედგამოჭრილი გერმანელი იყო“ (მეუნარგია).

მართალია, პიროვნების ფარული თვისებები უფრო რთულად აღსაქმელია, ვიდრე ხილული, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხასიათის დასახელებულ შემფასებლებს იმდენად დიდი ინფორმაცია აქვთ პოეტზე, რომ მათ მიერ მისი შეფასება და მგოსნის თვითშეფასება ზუსტად შეესატყვისება ერთმანეთს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ი. მეუნარგიას შეფასებით ნ. ბარათაშვილს „წრეს გადასული მოწყენილობაც“ სცოდნია. 1842 წლის 31 ოქტომბერს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი გულს უხსნის მეგობარს ასეთი თვითშეფასებით. „ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცის წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. \_ მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსრულნი და მაშინ შემიბრალებ“ (ბარათაშვილი, 1968, 179).

პოეტის თვითშეფასება არც გადაჭარბებულია. იგი გაზვიადებულად არ შეიცნობს (არ აღიქვამს) საკუთარ შესაძლებლობებსა და პიროვნულ თვისებებს. პოეტის აზრი თავის თავზე სინამდვილეს შეეფერება და ემთხვევა სხვების წარმოდგენას მასზე, ანუ მისი თვითშეფასება სწორია, ადექვატურია, რადგანაც ის არც შემცირებულია და არც გადაჭარბებული. მისთვის არ არის დამახასიათებელი სხვისი აზრისა და შეფასების მიუღებლობა, რაც ამ სახის თვითშეფასებისთვისაა ნიშანდობლივი. პირიქით, პოეტი

ხშირად ეკითხება სხვებს აზრს თავის ნაწარმოებების შესახებ, განსაკუთრებით კი, გრიგოლ ორბელიანს, როგორც ბიძასა და ლიტერატურის სფეროში მყოფ ადამიანს.

თვითშეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს. რადგანაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახის წევრები, მეგობარ-ნათესავეები და ბიოგრაფები პოეტის პიროვნებისა და მისი ქცევის მდიდარ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ, ამიტომ ისინი პოზიტიურად აფასებენ ნ. ბარათაშვილს, ისევე როგორც თვითონ პოეტი საკუთარ თავს და სხვაობებიც არ აღინიშნება პოეტის თვითშეფასებასა და მათ მიერ მგოსნის შეფასებას შორის. ინტერპერსონალური აღქმისთვის დამახასიათებელია როგორც საკუთარი თავისათვის, ისე სხვა ადამიანებისთვის უფრო მეტად დადებითი თვისებების მიწერა (ფირცხალავა 2008,94). თუმცა 1844 წლის 23 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში პოეტი ცოტა ნეგატიურ, თავისი თავით უკმაყოფილების განწყობას გამოხატავს. ის **გულმავიწყად** აფასებს საკუთარ თავს. ნ. ბარათაშვილი წერს: „ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია, რიცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულმავიწყობა; ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა“ (ბარათაშვილი, 1968, 190).

ადამიანის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარ თავზე – ნიჭზე, შესაძლებლობებზე დადებით წარმოდგენას, რასაც აღწევენ ისინი სხვა ადამიანებთან შედარებისას. ფესტინგერის სოციალური შედარების თეორია მნიშვნელოვანია ინდივიდის მიერ საკუთარი უნარების შეფასებისა და „მე“- კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის (Leon Festinger, 1954). ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ საკუთარი თავისადმი პოზიტიური განწყობა, ანუ თვითკმაყოფილების განცდა ყველაზე მეტად გამოხატულია პოეტის მიერ 1843 წლის 21 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში. იგი სწერს ბიძამისს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს...“ (ბარათაშვილი, 1968, 182). ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს სიტყვები ჩვენ არ მიგვაჩნია პოეტის მიერ გაზვიადებულ

თვითშეფასებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი საკუთარ თავს განსაკუთრებულ თვისებებს არ მიაწერს. ამ უნარით პოეტი ისედაც გამოირჩეოდა სხვებისგან და ობიექტურად გრძნობდა კიდევ საკუთარი თავის უპირატესობას, მაგრამ, არა იმდენად, როგორსაც წარმოადგენდა, თორემ უფრო მეტად შეაფასებდა თავის თავს. ეტყობა, „...თვითონ არ იცოდა, ამდენი თუ შეეძლო. არც მისმა ახლობლებმა იცოდნენ. არავინ იცოდა“ (ჭილაძე, 2003, 3). „ასე და ამგვარად მიმდინარეობდა ბარათაშვილის ყოველდღიური ცხოვრება. ის ყელამდის ჩაფლული იყო ასეთ სფეროში, რომელსაც არ შეეძლო მისი განსხვავება არც ზნეობრივად, არც გონებრივად, მაგრამ ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომლითაც ის დაჯილდოებული იყო ზეგარდმო, მაინც არ გაჰქრობოდა მას სრულებით. მაინც ცოცხლად გრძნობდა, რომ სულ სხვა ცხოვრებისათვის იყო შექმნილი, სულ სხვა საზოგადოების ღირსი, და სწერდა თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, ხელი მიეცა მისთვის, გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან. ეს სურვილი იმდენად დიდი იყო პოეტში, რომ ის არ დაერიდა თავის ბიძას, რომელიც უყვარდა, კრძალვით მიეწერა საყვედურით სავსე წიგნი“ (მეუნარგია, 2004, 254-255). საკუთარი თავის რწმენის ასეთი შეფასებით ნიკოლოზ ბარათაშვილი ეწინააღმდეგებოდა ცხოვრებისეულ სიძნელეებს.

პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დასტურდება რამდენიმე ნიმუში მის მიერ სხვების შეფასებისა, რაც ავსებს ჩვენს წარმოდგენას ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნული ღირსებების შესახებ. 1843 წლის 21 აგვისტოს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს ატყობინებს ეგნატე იოსელიანის გარდაცვალებას და გვაძლევს მის ორიგინალურ დახასიათებას: „მამა ეგნატემ თავი დაგიკრა იმიერ-სოფლითგან. - ერთი თთვეა, რაც გარდაიცვალა. - საწყალი! – Вот человек, который, по своему положению в свете, более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось, как море-океан“ (ბარათაშვილი, 1968, 183). 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი დადებითად აფასებს თავის სიძეს, ეკატერინეს დანიშნულს – რევაზ ერისთავს. პოეტი სწერს ზაქარიას: „კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას რევაზ ერისთავზედ და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარია. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს“ (იქვე, 186). 1844 წლის 10 მაისს პოეტი ზაქარია



ორბელიანს ულოცავს წარმატებას და იძლევა მის ასეთ შეფასებას: „Я часто сказывал тебе, что я вижу на челе твоём печать величия и славы“ (იქვე, 188). ნიკოლოზ ბარათაშვილი ირანელი მომღერლების სათარასა და ჯაფარას შედარებით გვაძლევს მათ შეფასებას და უპირატესობას აძლევს პირველს. მათი შეფასებებით პოეტი გამოხატავს მუსიკისადმი თავის დამოკიდებულებასაც. იგი 1845 წლის 9 თებერვალს ნახჩევანიდან სწერს მაიკო ორბელიანს: „ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. – ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიჟდებით? – მაგის ამბავი ჩვენა გვკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია. - მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო! ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯობეთის მაშხალა“. ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი აფასებს გონჩა- ბეგუმის. იგი სწერს მეგობარს: „...ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს“ (იქვე, 193-194).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ვხვდებით ადამიანთა შეფასების სხვა ნიმუშებსაც, მაგრამ ესენი უფრო იუმორისტულ-ირონიულ ხასიათისაა, რომლებიც უკვე განხილული გვაქვს.

ამგვარად, სხვა ადამიანების მიერ ინდივიდის აღიარება, განსაკუთრებით ახლო მეგობრების მიერ, ანუ სოციალური მე – დამოკიდებულია თვითშეფასების დონეზე. ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰქონდა სრული გამორჩეულობის ტენდენცია საზოგადოებაში. ის აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, მას შეეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა მისთვის ამაღელვებელ საკითხებზე. საზოგადოებაში ის არ განიცდიდა უხერხულობასა და დამაბულობას, რაც ართულებს ურთიერთობებს გარშემომყოფებთან. ის იყო ინიციატივანი, დარწმუნებული საკუთარ თავში და ამიტომაც იყო მიღებული და აღიარებული თავისი გარემოცვისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლერშის თანახმად, თვითშეფასებისას პიროვნების ერთ-ერთი დონეა – სიძლიერეში დარწმუნებულობის

თვითგანცდა და ასეთი პიროვნებები ასტენიკურების საწინააღმდეგოდ, სტენიკურ ადამინთა ჯგუფს მიეკუთვნებიან. ასეთ ჯგუფს განასახიერებს ნიკოლოზ ბარათაშვილი. მაგრამ პოეტს იმაზე მეტად არ წარმოედგინა თავი, ვიდრე იყო და ამიტომ არც ჰქონდა დაბრკოლებები იმ ჯგუფშიც კი, რომლის წევრადაც მას თავი მიაჩნდა.

### **§3. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ საკუთარი ლექსების შეფასება**

პიროვნების მიერ საკუთარი ლექსების შეფასება თავისი შემოქმედების თვითშეფასებაა. ამ შემთხვევაში შეფასების უშუალო ობიექტი სუბიექტის ლექსებია. როდესაც ადამიანი საკუთარ შემოქმედებას ახასიათებს, ის თავისი ნაწარმოებების მიმართ გამოხატავს საკუთარ განწყობას (პოზიტიურს ან ნეგატიურს). რამდენადაც საკუთარი შემოქმედების შეფასებაში ვლინდება პიროვნების უნარი, ამიტომ სუბიექტის მიერ საკუთარი შემოქმედების შეფასება „მე“-კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

ნიკოლოზ ბარათაშვილს გააჩნია საკუთარი ლექსის დადებითად გამოვლენის ტენდენცია. მართლია, პოეტი თავის ლექსებს აფასებს პოზიტიურად, მაგრამ ეს შეფასება არ არის არარეალისტურად პოზიტიური. იგი საკუთარ ლექსებს აფასებს ობიექტურად და, რა თქმა უნდა, შესაბამისად – თავის პოეტურ უნარსაც, რითაც იგი ხაზს უსვამს ამ ნიშნით სხვებისაგან საკუთარი თავისა და საკუთარი ლექსების დისტანცირების ტენდენციას.

თავისი შემოქმედების შეფასებით ნ. ბარათაშვილი აფასებს საკუთარი თავის უნარსა და მიღწევებს ამ სფეროში. თავისი ლექსების დადებითად შესაფასებლად და მათდამი საკუთარი პოზიციის გასამართლებლად ნიკოლოზ ბარათაშვილს სჭირდება სოციალური მხარდაჭერა – ეთანხმებიან თუ არა სხვები მის შეხედულებებს, რაც პოეტის მიერ საკუთარი თავისადმი დადებითად განწყობის ანუ დადებითად თვითშეფასების პირობაცაა. მგოსანს თავის ლექსებზე უპირატესად აინტერესებს ბიძის, გრიგოლ ორბელიანის, როგორც ახლობლისა და პოეტის, აზრი.

1837 წლის თებერვალში ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოლონეთში, ვილნოს გუბერნიაში გადასახლებულ გრიგოლ ორბელიანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩართულია პოეტის ლექსი „დამე ყაბახხედ“. პოეტი პირად ბარათში არ გვთავაზობს ამ ლექსის შეფასებას.

1841 წლის 28 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილმა წერილი გაუგზავნა გრიგოლ ორბელიანს გორში, გრენადერთა პოლკში, სადაც ის მუშაობდა. თავის ეპისტოლურ ნაწერში ნიკოლოზ ბარათაშვილი აფასებს დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილ შექსპირის ტრაგედიას „რომეო და ჯულიეტა“-სა და თავის თარგმნილ გერმანელი დრამატურგის იოჰან ანტონ ლაიხევიცის თხზულებას „იულიუს ტარენტელს“. პოეტი მათ მიერ თარგმნილ ნაწარმოებების შესახებ სწერს ადრესატს „...მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“(ბარათაშვილი, 1968, 174). მწერლობის სფეროში წარმატებული ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეზიაში თავისი მიღწევებით არ იყო უკმაყოფილო და ბუნებრივია, რომ საკუთარ შემოქმედებაზე ჰქონდა მაღალი თვითშეფასება, მაგრამ – არაგაზვიადებული. პოეზიაში პოეტის რეალური შესაძლობებების თვითშეფასება ეხმარებოდა მას შემოქმედებით საქმიანობაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი მეგობრისა და თავის თარგმნილ თხზულებებს აფასებს პოზიტიურად და გამოხატავს ასევე იმდროინდელი განათლებული ქალების დადებით ემოციებს თარგმანების შესახებ.

სხვების მიერ სუბიექტის ლექსების დადებითად შეფასება ანიჭებს მას მაღალ წარმოდგენას საკუთარ ნიჭზე, შესაძლებლობებზე, უნარზე. 1841 წლის 18 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილთან ერთად გრიგოლ ორბელიანს უგზავნის თავის ლექსს „ვპოვე ტადარი“. ბარათში პოეტი თვითონ არ აფასებს ამ ლექსს. შეფასებას ბიძისგან მოეღოს. იგი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ამ მცირე ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი აზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა“ (ბარათაშვილი, 1968, 175 ).

1842 წლის 2 მაისით დათარიღებულ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრესატს უგზავნის დალესტანში ბრძოლების დროს, 1842 წელს, ყაზიყუმუხში ჩეჩნეთ-დალესტანის ცნობილი იმამის – შამილის მიერ

ტყვედ ჩავარდნილ ილია ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექს – „მერანს“. „...ლექსის შექმნის ისტორიიდან გამომდინარე, მერანის მხედარი ილიკო ორბელიანს გულისხმობს“ (შარაბიძე, 2009, 195). „ილიას ბედი ტყვეობაში გაურკვეველი და ორაზროვანია. მისი ამბავი გაიგო მრავალმა თბილისელმა, ყველამ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ სამწუხარო მოვლენის მიმართ. პოეტმა კი, რომელიც ამ ამბავს განიცდიდა უთუოდ ღრმა შემფოთებით (ილია მისი ბიძა და მეგობარი იყო), თავისი შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით თავისებურად გადაამუშავა იგი..... ილია ორბელიანის დატყვევებამ მას აგრძნობინა არა მარტო მწუხარება, არამედ ეს ცნობა გახდა წყარო, საბაზი შთაგონებისა. შთაგონების პროცესი, რომელიც სამი დღე გრძელდებოდა და დამთავრდა მსოფლიო პოეზიის შედეგის – „მერანის“ შექმნით, რომელშიც პოეტმა გამოაქანდაკა საკუთარი შინაგანი სამყაროს მონუმენტური ავტოპორტრეტი“ (ნორაკიძე, „ლიტერატურული საქართველო“, №11, 15 მარტი, 1968). პოეტმა არ იცის, ბიძას მოეწონება თუ არა ლექსი. იგი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე“. ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვებში ნიკოლოზ ბარათაშვილი გულისხმობს იმას, რომ ცრემლი დაიღვარა არა ლექსის, არამედ ილიას ტყვეობის გამო. თუმცა თავად პოეტი შეფარვით ლექსს აფასებს დადებითად. იგი სწერს ადრესატს: „ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“ (ბარათაშვილი, 1968, 177).

1842 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ფრაგმენტული სახის წერილს თან ახლავს პოეტის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“. არ გვაქვს ამ ლექსის პოეტისეული შეფასება.

1843 წლის 21 აგვისტოს ნ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს წერილთან ერთად უგზავნის თავის ლექსს – „სულო ბოროტოს“. პოეტი სწერს ბიძას: „ჩემი ახალი ლექსი ეს არის“ და მოყვანილია მთელი ლექსი (ბარათაშვილი, 1968, 181). ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილში არც ამ ლექსს აფასებს.

1845 წლის 9 თებერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილი ნახეჩევანიდან წერილთან ერთად მაიკო ორბელიანსაც უგზავნის ლექსს – „დამქროლა ქარმან სასტიკმან“. ნ. ბარათაშვილის შეფასებით პოეტმა ლექსი დაწერა ქართული ხალხური სიმღერის – „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ – მოტივზე. იგი სწერს მეგობარს: „აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა. – მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ“ (ბარათაშვილი, 1968, 194). 1842 წლის 31 ოქტომბერს პოეტი კვლავ მაიკო ორბელიანს უძღვნის ეპისტოლეს, რომელშიც ჩართულია ნ. ბარათაშვილის ლექსის – „სული ობოლი“ – ერთი სტროფი („ძნელი არის მარტოობა სულის...“) (ბარათაშვილი, 1968, 180).

1838 წლის 6 აგვისტოს ნიკოლოზ ბარათაშვილი მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილ წერილში შემდეგნაირად აფასებს თავის ლექსს – „ასტრას“ და ამავე დროს საკუთარ თავსაც: „...შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოა. იგი არც შენთვის წერდა და არც ქვეყნისათვის, წერდა მხოლოდ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, ერთადერთისათვის. მას ესმის დამწერისა და დამწერი ამით კმაყოფილია. სხვა რაღა უნდა? შენ გაუგე თუ არა მას, ეს არც არის საჭირო. ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსს ამშვენებს“ (ბარათაშვილი, 1968, 172). ნიკოლოზ ბარათაშვილის შეფასებით ლექსში „ასტრა“ ამოუცნობია პოეტის ტრფობის საგანი, „ეს აიხსნება იმ ლამაზი, ვაჟკაცური თავდაჭერილობითა და შინაგანი სიამაყით, იმ კდემით და სულიერი სიფაქიზით, რომელიც ნებას არ აძლევს ადამიანს, თვით უახლოეს მეგობარსაც კი გაუმხილოს ყველა საიდუმლო თავისი სიყვარულისა“ (ნატროშვილი, 1968, 38-39). საყურადღებოა, რომ მიხეილ თუმანიშვილს მიუწერია ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის იუმორისტული გამოხმაურება-შეფასება ამ ლექსზე მსაგავსი სათაურით – „ასტრას“, სადაც ყურადღება ექცევა ლექსის უცნობ ადრესატს:

„ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,

სადური სად მოსულხარ, ან რისთვის?

უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის,

ეს სახელი არ სმენია არავის...“ (ბალახაშვილი, 1967, 194).

ხსენებულ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი მეგობარს მადლობას მოახსენებს: „მადლობთ, ძმაო, წერილებისათვის, სიამოვნებისათვის. ბოლო წერილი მე და ზაქარია ორბელიანმა ერთად წავიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა, ანუ უკეთ ეპისტოლე, „ასტრას“ ავტორისადმი“ (ბარათაშვილი, 1968, 172).

როგორც ვნახეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრესატებისადმი გაგზავნილ თავის ზოგ ლექსს აფასებს, ზოგს კი – არა. პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს, რომ ის დარწმუნებული იყო საკუთარი ლექსების სიკარგეში, მაგრამ სხვების აზრიც აინტერესებდა, განსაკუთრებით კი, ბიძის, გრიგოლ ორბელიანის და უფრო მას უგზავნიდა თავის ლექსებს შესაფასებლად. „მაგრამ, ეტყობა, გენერალს არ მოსწონდა დისშვილის ლექსები და „მერანზე“ კი არ დასცდენია კეთილი სიტყვა“ (სიგუა, 2007, 100).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ მის შემოქმედებას მრავალი შემფასებელი გამოუჩნდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო იყო მხოლოდ პოეტის თანამედროვეთა რეალური შეფასებები, როგორც მის მიერ საკუთარ თავში თავდაჯერულობისა და შემოქმედებითი წარმატებების მიღწევის სასარგებლო პირობა. თუმცა პოეტის თანამედროვეთა მიერ მისი შემოქმედების შეფასებები არ დასტურდება.

## თავი V

### ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ეტიკეტური ასპექტი

**დასაწყისი:** წერილის ყველა სახეობას გააჩნია დაწყების დამახასიათებელი წესი, რომელიც განისაზღვრება მისი სტანდარტულობის ხარისხით. ბუნებრივია, საქმიან წერილში სტანდარტულობა ყველაზე მაღალია, მეგობრულში კი ყველაზე დაბალი. ასე მაგალითად, არაოფიციალური ბარათის დასაწყისში მისი დაწერის ადგილი და თარიღი შეიძლება არც კი იყოს მითითებული.

წერილის დაწყებას მიეკუთვნება ასევე მიმართვები, მისალმებები. ეტიკეტურ ნაწილებში მჟღავნდება სხვადასხვა ფორმით ინფორმაცია ავტორისა და ადრესატის ურთიერთდამოკიდებულების განვითარებაზე (მაგალითად, დაახლოების ტენდენცია, ოფიციალური ტონის შერბილება, გულწრფელობის ხარისხის მატება და სხვ.).

არაოფიციალურ წერილში მისი დაწყების თანმიმდევრობა ასეთია:

- \* წერილის დაწერის ადგილი და თარიღი;
- \* მისალმება;
- \* მიმართვა.

**ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების დაწერის ადგილი და დათარიღება:** პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დასტურდება რამდენიმე უთარილო წერილი. მის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი ნოვგოროდში გაგზავნილი პირადი ბარათი უთარილოა.

წერილი აკაკი გაწერელიამ 1831 წლის 3 სექტემბრით დაათარიღა „იმის საფუძველზე, რომ იგი მოთავსებულია 1831 წლის 3 სექტემბერს პოეტის მამის, მელიტონ ბარათაშვილის, მიერ გრიგოლ ორბელიანისათვის ნოვგოროდში გაგზავნილ სხვა წერილთან ერთად, სადაც ნახსენებია თან დართული ტატოს წერილი: „ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე თვითონ დასწერა, არავის უსწავლებია“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2011, 245).

აღნიშნულ წერილს არც დაწერის ადგილი უწერია.

დაწერის ადგილი არ არის აღნიშნული და უთარილოცაა ნ. ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი სხვა წერილიც.

ბარათის დათარიღება მოხდა მასში ჩართული პოეტის ლექსის – „საფლავი ივერიისა“ – დაწერის დროის მიხედვით, 1842 წლით (იქვე, 260).

არც ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილია თარიღიანი.

მისი დათარიღება მოხდა ბარათში პოეტის დის, კატოს, ქორწილის თარიღისა (29 ივნისი) და ალევობის დღესასწაულის ხსენებით (მველი სტილით 15 აგვისტო), რომელსაც დასწრებია ნ. ბარათაშვილი მამასთან ერთად. ამდენად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ (იქვე, 268).

ამ წერილს არც დაწერის ადგილი უწერია.

თარიღი და დაწერის ადგილი არ არის აღნიშნული ასევე მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ პოეტის ერთ-ერთ ბარათში.

წერილის დათარიღება მოხერხდა 1845 წლის 9 თებერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილისა და ამ ბარათის შედარებით, რომელშიც გრძელდება წინა წერილში წამოჭრილი „კრიალოსნების“ თემა. ამდენად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1845 წლის 9 თებერვლის შემდეგ, უფრო სწორად კი 20

თებერვლის შემდეგ, რადგან წინა წერილის დაწერიდან ამ უკანასკნელი ბარათის დაწერამდე, შუალედში, ბარათაშვილს მაიკოს პასუხის მიღებაც უნდა მოესწრო. წერილის ბოლო ზღვარი კი დადგენილია 1845 წლის მარტის დამლევს ნ. ბარათაშვილის თბილისში დაბრუნებით. ამიტომ წერილი დათარიღებულია ასე: [1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე] (იქვე, 273).

პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში არის პირადი ბარათის (გრ. ორბელიანისადმი) დასაწყისის ისეთი ნიმუშიც, როცა აღნიშნულია წერილის დაწერის ადგილი, წელი და თვე, მაგრამ გამოტოვებულია რიცხვი. წერილის დაწერის ადგილი და თარიღი ასეთი სახისაა: „ტფილისი, გარეთუბანი, 1837-სა წელსა, თებერვლის...“ (იქვე, 131).

ერთ წერილს კი, რომელიც ბაბაღე საგინაშვილისადმი მიძღვნილი, აწერია რიცხვი, თვე და დაწერის ადგილი, ხოლო გამოტოვებულია წელი. ბარათთან აღნიშნულია თარიღი – „23 აგვისტოს“.

წერილში ნახსენებია პრინცი ალექსანდრე ჰესენელის ყოფნა კავკასიაში, სადაც იგი 1845 წლის 20 აპრილს გაგზავნეს საბრძოლველად. ამდენად, 23 აგვისტო 1845 წელს ეკუთვნის (იქვე, 275).

პოეტის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ერთ წერილში კი არ არის მითითებული მისი დაწერის ადგილი. წერილის დაწერის თარიღი და ადგილი ასეა მინიშნებული: „მაისის 2-სა დღესა, 1842 წელსა“.

აღნიშნული წერილების გარდა, ნ. ბარათაშვილის პირად ბარათებს დაწერის ადგილი და თარიღი სრული სახით აქვს მიწერილი, ე. ი. თარიღი შეიცავს რიცხვს, თვესა და წელიწადს.

ზოგ წერილს თარიღი და დაწერის ადგილი დასაყისში უწერია, ზოგს კი ბარათის ბოლოს.

ბარათის დაწერის თარიღი და ადგილი დასაწყისში უწერია წერილებს – მიწერილს: გრიგოლ ორბელიანისადმი – „ტფილისი, გარეთუბანი, 1837-სა წელსა, თებერვალს...“

მიხეილ თუმანიშვილისადმი – „6-го августа, 1838, г. Тифлисъ“

მაიკო ორბელიანისადმი – „წელსა 1842-სა, ოკტომბრის 31-სა, ქ. ტფილისით“.

„9-ს თებერვალს, 1845, ქ. ნახეჩევანით“.

„10-სა აგვისტოს, 1845, მურუტს“.

ბაბაღე საგინაშვილისადმი – „23 აგვისტოს, მურუტი [1845]“

წერილის ბოლოს მისი დაწერის თარიღი და ადგილი უწერია წერილებს – მიწერილს:

გრიგოლ ორბელიანისადმი – „წელსა 1841-სა, მაისის 28-სა დღესა, ქ. ტფილისი“.

„წელსა 1841, ოკტონბრის 18-ს, ქ. ტფილისით“.

„მაისის 2-სა დღესა, 1842 წელსა“.



„21 августа, 1843 г., Тифлисъ“.

„წელსა 1844, მაისის 23-სა, ქ. ტფილისით“.

ზაქარია ორბელიანისადმი – „წელსა 1844-სა, აპრილის 15-სა, ქ. ტფილისით“.

„წელსა 1844-სა, მაისის 10-სა, ქ. ტფილისით“.

როგორც წარმოდგენილი ნიმუშებიდან ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილის დაწერის თარიღის ელემენტებს – რიცხვს, თვესა და წელიწადს – აფორმებს სხვადასხვანაირად: სიტყვა „წელი“ ქართულად ყველა წერილში სრული სახით წერია, ხოლო რუსულად – შემოკლებით; რიცხვი ხან თავშია მოქცეული, ხან – შუაში. ასევე, თვე და წელიც. წერილის დაწერის ადგილის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელს კი წერს ბოლოში. გამონაკლისია 1837 წლის თებერვალს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილი.

**პოეტის წერილების მიმართვის ფორმები:** წერილის მიმართვაში ჩანს სიახლოვის ხარისხი ან ამ სიახლოვის ევოლუცია, ენობრივად გაფორმებული ავტორისა და ადრესატის ურთიერთობის გათვალისწინებით.

ამ მხრივ ყურადღებამისაქცევია ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები. 1831 წელს (როცა პოეტი 14 წლისაც არ იყო) გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ადრესატისადმი მიმართვის ფორმა ასეთია: „Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Орбельнову; Дражайший дядя!“

სიტყვა „ძვირფასო“ ატარებს უფრო ნეიტრალურ ხასიათს. წერილშიც ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს თქვენობით ესაუბრება და ამით იგი გამოხატავს ბიძისადმი პატივისცემასა და მოწიწებას.

1837 წელს (19 წლის ასაკში) გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტის მიერ არჩეულ მიმართვის ფორმას – „საყვარელო ძიავ!“ – სიტყვა „საყვარელომ“ შესძინა შედარებით ინტიმური ხასიათი. პოეტი ამ წერილშიც გამოხატავს ბიძისადმი მორიდებას, მაგრამ აქ საუბრისას უკვე ნ. ბარათაშვილი „თქვენობითთან“ ერთად მიმართავს „შენობით“ ფორმასაც. მაგალითად, „ასე, ძიავ, ვიცი, მომიტევებ“; „შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი და ამისთვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის“.

1841 წლიდან კი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში პოეტის მიმართვები გრ. ორბელიანისადმი ერთი ფორმისაა – „საყვარელო ძმაო გრიგოლ!“. აქ უკვე „საყვარელოს“ ახლავს სიტყვა „ძმაო“ და ამიტომ მიმართვა ატარებს უფრო მეტად შინაურულ და მეგობრულ ხასიათს. ეს აისახება წერილებშიც. პოეტი უკვე ბიძას ესაუბრება შენობით, უთამამდება, ეხუმრება, ბიძისადმი საყვედურებსაც გამოთქვამს და აფასებს კიდევ მის პიროვნებას. „ასეთი შეფასებები ხშირად განზოგადებულია მთელ ქართველ ხალხზე. მაგ., 1943 წელს გაგზავნილ წერილში სწერს: „ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია.“

ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება...“ (იქვე, 342).

მართალია, გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ ბოლო წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძასთან უფრო ლაღია, უთამამდება მას, მაგრამ პოეტი მის მიმართ მუდამ თავაზიანი და მოკრძალებულია. გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილების შინაარსაც თავად მისი პიროვნება განსაზღვრავს. ლიტერატურაზე მსჯელობით სწორედ ნ. ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი ბარათები გამოირჩევა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ყველა წერილში მიმართვის ფორმა – „საყვარელო დაო მაიკო!“ – გამომხატველია პოეტისა და ადრესატის ინტიმური, ახლობლური, გულითადი დამოკიდებულებისა. შესაბამისად, მაიკოსადმი მიძღვნილ წერილებში ჩანს მგოსნის გრძნობები, მისი სულიერი მდგომარეობა.

ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების მიმართვებით – „Любезный братъ Захарий!“ და „უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ!“ – განისაზღვრება პოეტისა და ადრესატის ურთიერთდამოკიდებულება და მათი სიახლოვის ხარისხი. ბიძა-დისშვილის ურთიერთობის მაჩვენებელია ასევე წერილების შინაარსი. პოეტი ზაქარიასადმი გაგზავნილ წერილებში ყოველდღიურ-საყოფაცხოვრებო თემებზეც საუბრობს და ფილოსოფიურ შეხედულებებსაც გამოხატავს.

მიმართვის განსხვავებულ ფორმას – „Милый друг!“ – ირჩევს ნ. ბარათაშვილი მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილ წერილში. აქ უკვე პოეტი იყენებს სიტყვა „მეგობარს“ და ამით უფრო მეტ ინტიმურობას ანიჭებს მიმართვასაც და წერილის შინაარსსაც. მართალია, ბარათში პოეტი ბოლომდე არ იხსნება უახლოეს მეგობართან და ლექსი „ასტრას“ ადრესატის ვინაობას მალავს, მაგრამ მგოსანი ნაწილობრივ მაინც ამხელს თავისი სიყვარულის საიდუმლოებას. მ. თუმანიშვილისადმი მიმართული წერილი გამოირჩევა ასევე ფილოსოფიური შეხედულებებით.

„საყვარელო დაო ბაბაღე!“, „ძმაო ალექსანდრე“ – მიმართვის ფორმები – ახლობლურ, მეგობრულ ხასიათს ატარებს ასევე ბაბაღე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი გაგზავნილ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად ბარათებში. ეპისტოლეს ადრესატებისადმი მიძღვნილ წერილების შინაარსში გამოხატული პოეტის უშუალოება, საუბრის მსუბუქი თემები მაჩვენებელია მათი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების.

**მისაღმება:** წერილის დასაწყისის ტიპიურ ელემენტს წარმოადგენს მისაღმება. ის შეიძლება ცალკეც იდგეს, ახლდეს მიმართვასაც და წარმოადგენილი იყოს როგორც მიმართვის წინ, ასევე მის შემდეგ. მისაღმება შეიძლება შეიცავდეს წერილის დაწერის ადგილს, მილოცვებსა და სურვილებსაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლეებში მისალმების ფორმულები არ გვხვდება. მხოლოდ, პოეტის მიერ 1831 წლის 3 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში მიმართვას მოსდევს ბიძისადმი გამოხატული კეთილი სურვილები. ასევე, ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის 10 მაისსა და ამავე წლის აგვისტოში გაგზავნილ ბარათებში მილოცვები მიმართვის შემდეგაა. ავტორი სწერს ადრესატებს: „Дражайший дядя! Я получил ваше пис[ь]мо, съ которымъ я очень обрадовался, и желаю вамъ всякаго благополучия, что васъ видеть здоровымъ“. „Любезный брат Захарий! С восторгом поздравляю тебя с победою, совершением дела блистательного“. „უსაყვარლესო ძმაო ზაქარიაჲ! მომილოცავს პოლკოვნიკობა!“.

**დასასრული:** წერილის დასასრულს, როგორც მის დასაწყისს, აქვს ნაწილების ნორმირებული თანმიმდევრობა. ესენია: ა). შემაჯამებელი ფრაზები, ბ). ავტორის თხოვნა ადრესატთან წერილის მიწერაზე, გ). იმედის გამოთქმა, რომ მიმოწერა გაგრძელდება და იქნება რეგულარული დ). ბოდიშების, მილოცვების, სურვილების გამეორება, ე). მადლობის გამოხატვა, ვ). მოკითხვები და თხოვნა სხვებისთვის მისი გადაცემის, ზ). დამშვიდობები და გამოთქმები, რომლებიც მას ახლავს, თ). ავტორის მიერ ადრესატის დარწმუნება პატივისცემას, მეგობრობასა და სიყვარულში, ი). ხელის მოწერა, კ). მინაწერები.

რა თქმა უნდა, ყველა ეს ელემენტი არ არის აუცილებელი წარმოდგენილი იყოს წერილში.

შევეცდებით, წარმოვადგინოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათების დასასრულის შემადგენელი ნაწილები.

ა). თხოვნა წერილის (პასუხის) დაბრუნებაზე:

„სხვებრ, გთხოვთ თქვენის წიგნით მასიამოვნოთ რაიმე; იგი ჩემთვის ძვირფასია“ (გრ. ორბელიანისადმი, ბარათაშვილი, 1968, 170).

„გემდურები, რომ წიგნს არა მწერ, ხომ იცი, მიამება...(მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 180).

„ახლა შენ იცი, როგორც წიგნებს და ამბებს არ დამაკლებ“ (ბაბალე საგინაშვილისადმი, იქვე, 197).

ბ). იმედი მიმოწერის გაგრძელებაზე:

„სხვა? სხვა ამ ხელად ეს იყოს. – ნუ კი შემომწერები“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 174).

„სხვებრ ვეცდები, რომ საკვლად კარგი გატენილი წიგნი გამოგიგზავნო“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 190).

გ). სურვილების გამეორება:

„Чтожь дал[ь]ше писать, дражайший дядя, только что желать вась благополучнымь съ частливымь и прочь“ (გრ. ორბელიანისადმი, XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2011, 130).

„სხვებრ ღმერთსა ვთხოვ შენს მარად და მარად მშვიდობას და გამარჯვებას“ (ზაქარია ორბელიანისადმი, ბარათაშვილი, 1968, 188).

დ). მოკითხვები და თხოვნა სხვებისთვის მისი გადაცემის:

„გიორგი მომიკითხე, ვასილ და სხვანი ჩვენნი ნაცნობნი. – მამა ეგნატიმ შემოგიტვალა: „ქრისტემ გა- კურ-თხოს“. ჩვენიანებმა ყველამ მოგიკითხეს“ ( გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 175).

„თუ ნინუცას, ანუ (რადგან ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე... (მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 180).

„ვისაც ვახსოვდე, მომიკითხე...“ (მაიკო ორბელიანისადმი, 195).

„გიორგი თუ მანდ იყოს, კარგის სიყვარულით მომიკითხე“ (ზაქარია ორბელიანისადმი, იქვე, 188).

„ბატონ ძალუას ელისაბედს მოკითხვას მოვახსენებ“; „შენს გაზდას, ბაბალე! ნინა ალექსანდროვნა ჩემ მაგიერ მოიკითხე...“ (იქვე, 197).

ე). დამშვიდობები და გამოთქმები, რომლებიც მას თან ახლავს:

„მეტი რაღა მოგწეროთ, ძვირფასო ძია!“ (გრ. ორბელიანისადმი, XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2011, 130).

„მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კვალად მამულში გიხილოთ“ (გრ. ორბელიანისადმი, ბარათაშვილი, 1968, 170).

„მშვიდობით, ძალიან მინდა შენი ნახვა“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 175).

„სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები...“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 183).

„Прощай, пустынный Алазанской долины!“ (მიხეილ თუმანიშვილისადმი, იქვე, 171).

„სხვებრ ღმერთსა ვთხოვ შენს შენს ბედნიერებას. – ნუ დამივიწყებ“ (მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 194).

„კარგი, დავიღალე ამდენი ლაპარაკით. არა მცალიან“ ( მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 196).

„სხვა ამ ხელად არა ვიცი რა და საქმეებიც ბევრი მაქვს, სასამართლოში ვწერ ამ წიგნსა“ (ზაქარია ორბელიანისადმი, იქვე, 186).

„მშვიდობით, ღმერთსა ვთხოვ შენს კვალად და კვალად ბედნიერებას“ (ზაქარია ორბელიანისადმი, იქვე, 192).

ვ). ავტორის ხელის მოწერა:

ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი წერილების ადრესატები იყვნენ ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და, შესაბამისად, ბუნებრივია, ერთმანეთს მიმართავდნენ

სახელით ან ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვებით. პოეტის პირად ბარათებში მისი ხელის მოწერაც მიესადაგება მათდამი მიმართვის ფორმებს, რომლებითაც ნათლად ჩანს ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულება თავისი წერილების ადრესატებისადმი. მგოსნის ხელის მოწერა შეესაბამება ასევე, მიმართვებს წერილების დასასწყისში, მაგალითად, გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ პირველი ორი წერილის ხელის მოწერაში პოეტი მიმართავს „თქვენობით“ ფორმას, ხოლო შემდგომ – „შენობით“. მგოსნისა და მისი ადრესატების უფრო მეტი სიახლოვის მაჩვენებელია ზოგჯერ ბარათის ბოლოს, ხელის მოწერაში, პოეტის მიერ თავისი მოფერებითი სახელის (ტატო) გამოყენება. წარმოვადგენთ მწერლის ყველა წერილის ხელის მოწერას:

„Имею честь прибыть любящий вась племянникъ И Баратов“ (გრ. ორბელიანისადმი, XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2011, 130). „რუსული ფრაზები ხშირადაა ჩართული ბიძისადმი გაგზავნილ წერილებში..., რაც ამ პერიოდის სასაუბრო მეტყველებებისთვის იყო დამახასიათებელი“ (ქეთევან გიგაშვილი, ტომი I, გვ. 340).

„თქვენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი“ (გრ. ორბელიანისადმი, ბარათაშვილი 1968, 170).

„შენი მარად და მარად და მარადის იქითაც ნიკოლაი“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 174).

„შენი ნ. ბარათაშვილი“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 175).

„მარად შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 178).

„შენი მარადის ნ. ბარათაშვილი“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 184).

„შენი მარად ნ. ბარათაშვილი“ (გრ. ორბელიანისადმი, იქვე, 190).

„შენი ნ. ბარათაშვილი“ (გრ. ორბელიანი, იქვე, 172).

„შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 180).

„შენი მარადის ერთგული: თ. ნ. ბარათაშვილი“ (მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 194).

„შენი მარადის უცვალებელი ძმა ტატო“ (მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 195).

„შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ“ (მაიკო ორბელიანისადმი, იქვე, 196).

„შენი მარად და მარად ნ. ბარათაშვილი“ (ზაქარია ორბელიანისადმი, იქვე, 186).

„შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი“ (ზაქარია ორბელიანისადმი, იქვე, 188).

„შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი“ (ზაქარია ორბელიანისადმი, იქვე, 192).

„შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი“ (ბაბალე საგინაშვილისადმი, იქვე, 197).

„შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი“ (ალექსანდრე საგინაშვილისადმი, იქვე, 198).

ზ). მინაწერები:

მინაწერი არის წერილში შემთხვევით გამოტოვებული ტექსტი, რომელიც თავსდება ხელის მოწერის შემდეგ – P.S. – post scriptum – დაწერილის შემდეგ.

პირველი მინაწერი შეიძლება შეტანილი იყოს წერილში P.S. ნიშნით (პოსტსკრიპტუმი), მეორე მინაწერი კი – P.S.S. – ით (პოსტპოსტსკრიპტუმი). პირად წერილებში მინაწერები შეიძლება იყოს ამ ნიშნების გარეშედაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მხოლოდ ორ წერილში – მიხეილ თუმანიშვილისა და 1844 წლის აგვისტოში ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილებში – გვხვდება მინაწერები P.S. ნიშნით.

როგორც წესი, პოეტი თავის პირად ბარათებში მინაწერებს ათავსებს ხელის მოწერის შემდეგ, გაგზავნილს: მიხეილ თუმანიშვილისადმი, გრიგოლ ორბელიანისადმი (1842 წ. 2 მაისი; 1844 წ. 23 მაისი), ზაქარია ორბელიანისადმი (1844 წ. 10 მაისი; 1844 წ. 15 აგვისტოს შემდეგ).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ზოგჯერ წერილების მინაწერებს ათავსებს ქალაქის არშიებზე. ასეთი ბარათებია მიწერილი: გრ. ორბელიანისადმი (1843 წ. 21 აგვისტო), ზაქარია ორბელიანისადმი (1844 წ. 15 აპრილი), მაიკო ორბელიანისადმი (1842 წ. 31 ოქტომბერი). 1845 წლის 9 თებერვალს მაიკოსადმი გაგზავნილ წერილში კი ორი მინაწერია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით, ორიც – ლევან მელიქიშვილის.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ეტიკეტურ ნაწილებს – დასაწყისსა და დასარულს – გააჩნია სპეციფიკური ყველა ელემენტი. მართალია, პოეტის ეპისტოლეები, როგორც არაოფიციალური პირადი ბარათები, არ არის სტანდარტული, მაგრამ მის წერილებს, როგორც ამ სახის ბარათებს აქვს არამკაცრი მყარი სტრუქტურა.

ნ. ბარათაშვილი წერილის ეტიკეტის – დასაწყისისა და დასარულის – მიხედვით იცავს შემდეგ პუნქტებს: დიდი ხნის მიუწერლობის მობოდიშება; მადლობა გამოგზავნილი წერილისათვის; საბოლოო მოკითხვა – ჯანმრთელობის სურვილი, ნაცნობებისთვის მოკითხვის გადაცემის სურვილი; დამამთავრებელი სიტყვები (შენი მარად და მარად და სხვ); პოეტისა და ადრესატის სახელების, თარიღისა და წერილის დაწერის ადგილის სწორედ გაფორმება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი წერილების დასაწყისსა და დასასრულს, იცავს თავაზიანობას და ადრესატებისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას. შესაბამისად, იგი, ადრესატის ვინაობის გათვალისწინებით, არჩევს მიმართვისა და დამშვიდობების ადექვატურ ფორმულებს.

პოეტის მოკრძალება უფრო მეტად ჩანს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ადრეული წერილების მიმართვისა და დამშვიდობების ფორმებში, რაც გამოწვეული უნდა იყოს ბიძამისის სტატუსისა და წლოვანების გათვალისწინებით. ხოლო, ნიკოლოზ ბარათაშვილის ასაკის მომატებით და საკუთარ შესაძლებლობებში მისი დარწმუნებით

იცვლება გრ. ორბელიანისადმი მგოსნის დამოკიდებულება. შესაბამისად ევოლუციას განიცდის მიმართვისა და დამშვიდობების ფორმები და პოეტი ბიძას უკვე მიმართავს როგორც თანასწორს.

## დასკვნა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანმოკლე სიცოცხლისა და მისი მცირე შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიუხედავად, მის პოეზიას გამორჩეული ადგილი უკავია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამასთანავე, უაღრესად მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა. ერთი შეხედვით, მგოსნის პირადი ბარათები რაოდენობრივად უფერულად გამოიყურება მე-19 საუკუნის სხვა მწერლების მრავალფეროვან ეპისტოლურ მემკვიდრეობასთან შედარებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი არ კარგავენ დიდ მნიშვნელობას პოეტის ცხოვრებისა და მისი პიროვნების შესასწავლად. კლასიკოსის პირადი წერილები ასევე შეიცავს ცნობებს მისი ზოგი ნაწარმოების შექმნის გარემოებაზე.

ეპისტოლური ჟანრი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში. მისი პირადი ბარათები არც თუ შორსაა მწერლის პოეტური საგანძურისაგან.

პოეტი ეპისტოლურ დიალოგს აგებს თავისი ადრესატების მოსალოდნელი რეაქციის გათვალისწინებით.

ნ. ბარათაშვილი თითქმის არ არღვევს წერილის ეტიკეტს.

პირადი ბარათები წარმოაჩენენ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ჟანრობრივ ნიუანსებს.

პოეტის ეპისტოლეებში გვხვდება როგორც ოსტატურად დაწერილი დრამატული სცენები, ასევე იუმორისტული ხასიათის ეპიზოდები.

ზოგჯერ მგოსნის პირად ბარათებში დასტურდება პეიზაჟური ჩანახატები და პორტრეტული აღწერები.

ვფიქრობთ, ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის თავის პოეტურ შემოქმედებასთან ერთად წერილიც იყო იმის საშუალება, რომ ნათლად და გასაგებად გადმოეცა თავისი გრძნობები და განცდები.

ჩვენი მიზანი იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური ნაწერების მიხედვით პოეტის ბუნების გასაგებად შეგვესწავლა ის, თუ როგორი გავლენა მოახდინა პოეტის ხასიათსა და ემოციებზე მისმა გარემო პირობებმა, რა სახის ემოციების ფონზე მიმდინარეობდა პოეტის მიზნებისათვის ბრძოლა. შეგვესწავლა ტემპერამენტისა და ემოციის შინაარსი, მისი მთლიანი პიროვნების ცალკეული კომპონენტები, ე. ი. მისი პიროვნების სტრუქტურა.

აღნიშნული პრობლემებისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეების უკეთ წარმოჩენისთვის აუცილებლობად მივიჩნიეთ მსჯელობა ეპისტოლური ჟანრის თავისებურების შესახებ.

უხსოვარი დროიდან, მრავალი საუკუნის განმავლობაში, მიმოწერის გზით ხდებოდა ავტორისა და ადრესატის ურთიერთობა დროსა და სივრცეში. წერილი არის წერილობითი საუბარი ავტორსა და ადრესატს შორის.

ეპისტოლურ ჟანრს აქვს მკაფიოდ გამოხატული სფეციფიკა. ესენია: წერილში ავტორისა და ადრესატის არსებობა, საკმაოდ თავისუფალი კომპოზიციისა და მყარი საკომპოზიციო ელემენტების არსებობა (თარიღი, წერილის დაწერის ადგილი, მის დასაწყისსა და ტექსტში ადრესატისადმი მიმართვა და ავტორის მიერ მისი დარწმუნება მეგობრობაში, წერილის ბოლოს პატივისცემის გამოხატვა) – ოფიციალურში უფრო მკაცრი და შედარებით თავისუფალი პირად წერილებში. სტილური და თემატური განსხვავებანი, წერილის ავტორისა და ადრესატის ზუსტი აღნიშვნა, უკანასკნელისადმი მიმართვა და ავტორის ხელის მოწერა, ადრესატის გათვალისწინებით სამეტყველო ეტიკეტის დაცვა.



წერილების დაყოფა ურთიერთობის სფეროების მიხედვით, განსაზღვრავს მათში ენობრივი საშუალებების გამოყენებას.

არაოფიციალურ – პირად (კერძო) წერილებს მიაკუთვნებენ მეგობრულ, შინაურულ წერილობით ჟანრს. ამ სახის ბარათებისთვის დამახასიათებელია ავტორის თხრობის ბუნებრიობა და სიცხადე, საუბრის საშუალებების არჩევის თავისუფლება, ავტორის ინდივიდუალობა, უპირველესად კი, ეპისტოლური ტრადიციების გათვალისწინება, რაც ნიშნავს სამეტყველო ეტიკეტის – თავაზიანობის, ადრესატისადმი კეთილი განწყობის გამოხატვას. პირად წერილებში საუბრის ტონი მორიდებულია, სახუმარო კილო დასაშვებია მხოლოდ მეგობრულ მიმოწერაში.

წერილი იწყება დასაწყისით. შემდეგ თავსდება ძირითადი, საინფორმაციო ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია ცნობები და წერილის დაწერის მიზეზი. დამთავრებული აზრობრივი მონაკვეთები უნდა გამოიყოს აზრაცებით. წერილის დასასრულისთვის გამოიყენება დამშვიდობების ფორმულები. ბარათის ბოლო მოიცავს მინაწერს.

პირადი წერილის კომპონენტებია: ინფორმაციის გამგზავნელი – ადრესანტი, ინფორმაციის მიმღები – ადრესატი, შეტყობინება – წერილობითი ფორმის ტექსტი.

პირადი წერილის ფუნქციებიდან მნიშვნელოვანია კომუნიკაციური. ახლობლებისადმი მიწერილი ბარათების დამახასიათებელი თემატიკაა: თხოვნა, მილოცვა, ახალი ამბების შეტყობინება სურვილების გამოთქმა და სხვ.

ეპისტოლური ფორმით დაწერილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში წერილის ავტორი და მისი ადრესატიც პერსონაჟები არიან. ეპისტოლეები გმირებს აძლევს საშუალებას უშუალო, მინმდობ საუბარში გახსნან თავიანთი შინაგანი სამყარო.

თანამედროვე მეცნიერებაში ეპისტოლურ ლიტერატურას მიაკუთვნებენ გამოჩენილ ადამიანთა მიმოწერას. მათ აქვთ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა. ისინი წარმოადგენენ წარსულის თავისებურ დოკუმენტებს, და ამდენად, ხდებიან მნიშვნელოვან წყაროდ კონკრეტული ეპოქის გასაცნობად. რომ არა წერილები, დაიკარგებოდა მათი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები. ეპისტოლური ნაწერები

წარმოადგენს ავტორის ბიოგრაფიისა და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის უტყუარ მასალას.

როგორც ცნობილია, წერილის ჟანრი ლიტერატურაში არსებობს ორი ათას წელზე მეტხანს, მაგრამ მე-19 საუკუნე მაინც სამართლიანად ითვლება მაღალი ეპისტოლური კულტურისა და მწერალთა წერილების საუკუნედ. ამ ეპოქის წარმომადგენლის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – პირადი წერილებიც მის პოეტურ შემოქმედებასთან ერთად გახდა ისტორიის მონაპოვარი.

მონოგრაფიაში მიმოხილულია ის ოჯახური გარემო, რომელშიც აღიზარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გარემოში იზრდება ბავშვი და როგორ ადამიანებთან აქვს მას ურთიერობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოცნებები – უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება და სამხედრო სამსახურში შესვლა – აღმოჩნდა მიუწვდომელი. მისი გატაცებების არარეალიზაცია გამოწვეული იყო მამის მატერიალური უქონლობითა და უპასუხისმგებლობით. პოეტისთვის ფსიქოტრავმატული იყო ის სოციალური როლი, იძულებით რომ დაეკისრა ოჯახის სარჩენად. ამას მოწმობს პოეტის წერილები გრიგოლ ორბელიანის მიმართ. თუმცა იგი პირად ბარათებში არასოდეს ახსენებს მამის აგრესიულ, დაუდევარ და უდარდელ ბუნებას. ვფიქრობთ, ამით ნიკოლოზ ბარათაშვილი უფრო თხილდება მამის ავტორიტეტს.

მშობლების ოჯახმა უარყოფითთან ერთად უდიდესი სასიკეთო გავლენა იქონია პოეტზე. მგოსნის დედა და ოჯახის სტუმრების მაღალი ზნეობრივი დონე ქმნიდნენ ხელსაყრელ აღმზრდელობით გარემოს, რომელმაც მას განუვითარა ისეთი საურთიერთო თვისებები, როგორცაა მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, ადამიანებისადმი თანაგრძნობა, მაღალი იდეების – სამშობლოს სიყვარულის – ჩანერგვა და სხვ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი თავისი ქვეყნის გულშემატკივარია. საკუთარი ნიჭისა და მისწრაფებების შეუფერებელ გარემოს პოეტი აღწერს თავის პირად ბარათებში – მიხეილ თუმანიშვილისა და გრიგოლ ორბელიანისადმი მიმართულ წერილებში.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილს განუვითარდა სასკოლო გარემოსადმი შესაფერი ქცევის თვისებები. ამ გარემოებას ხელი შეუწყო მასში გაღვივებულმა საზოგადოებრივმა, ეროვნულმა ინტერესებმა, სამყაროს ესთეტიკური, პოეტური განცდის გაძლიერებამ. ნიკოლოზ ბარათაშვილს ყმაწვილობისსავე განუვითარდა მაღალი იდეებისადმი – მშობლიური ლიტერატურისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობა. პოეტმა შემოიკრიბა ერთი ინტერესებისა და მისწრაფებების მოწინავე თანატოლები, რომლებიც ასევე ჩართულნი იყვნენ შემოქმედებით საქმიანობაში. ამას მოწმობს მათ მიერ ხელნაწერი კრებულის, ჟურნალის გამოცემა და მათში მოთავსებული ნ. ბარათაშვილისა და მისი მეგობრების შემოქმედების ნიმუშები. ამ ნიჭიერმა მოწინავე ახალგაზრდებმა დიდი გავლენა მოახდინეს პოეტის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში, მასში ლიტერატურისა და მისი სიყვარულის, სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობის განვითარებაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ინტელექტუალური მეგობრები იყვნენ მისი თანამოაზრენი და მისი შემოქმედების შემფასებელნი.

მშობლიური ლიტერატურისადმი ერთგულებასა და სიხარულს ახალი ნაწარმოებების შექმნის გამო, მგოსანი გამოხატავს თავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში – გრიგოლ ორბელიანისადმი მიმართულ წერილებში. პოეტის პირად ბარათებში მის მიერ გამოყენებული ფრაზები და სიტყვები რუს შემოქმედთა ნაწარმოებებიდან, მოწმობს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგად იცნობდა რუსულ მწერლობას.

პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში არ გვხვდება სოლომონ დოდაშვილის სახელი. თუმცა ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილზე მასწავლებლის გავლენა, რომლის მოღვაწეობამაც გიმნაზიაში მნიშვნელოვნად განსაზღვრა პოეტის ლიტერატურულ-პატრიოტული, ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები, რამაც გამოხატულება პოვა პოემაში „ბედი ქართლისა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მის მიერ საერთო საკაცობრიო პრობლემების ფილოსოფიურად მსჯელობაზე უდიდესი გავლენა იქონია სოლომონ დოდაშვილმა.

გრიგოლ ორბელიანის გამოქვეყნებულ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში არ ვხვდებით ერთ წერილსაც კი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიმართულს. მათ შორის არსებული ურთიერთობის შესაფასებლად მიმოვიხილეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი და ბიძის ეპისტოლეები გაგზავნილი ახლობლებისადმი, რომლებიც ნათელს ხდის მის თბილ და მზუნველ დამოკიდებულებას თავისი დის ოჯახისა და, განსაკუთრებით, პოეტის მიმართ.

ქართველ კრიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გრ. ორბელიანი არ დაეხმარა თავის დისშვილს, რომ მას სწავლა გაეგრძელებინა უნივერსიტეტში, ან შესულიყო სამხედრო სამსახურში. ქართული ლიტერატურის ზოგი მკვლევარი კი უარყოფს ამ მოსაზრებას.

ვფიქრობთ, რუსეთის ტახტის ერთგული გრიგოლ ორბელიანი გამსჭვალული იყო დიდების დაკარგვის შიშით. იგი ვეღარ მოიპოვებდა აღიარებას, თუ დაეხმარებოდა თავის პატრიოტული და თავისუფლებისმოყვარე იდეებით შეპყრობილ დისშვილს.

ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბიძა ბარათაშვილის ნიჭსაც არ აფასებდა. ფიქრობენ საპირისპიროდაც. ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი შესაფასებლად თავის ლექსებს უგზავნის გრიგოლ ორბელიანს, რაც კარგად ჩანს მისი ეპისტოლური მემკვიდრეობიდან და ბიძის მდიდარ პირად ბარათებში არსად ჩანს მისი დამოკიდებულება დისშვილის შემოქმედებისადმი, გვამლევს საფუძველს, დავეთანხმოთ პირველ მოსაზრებას.

გრიგოლ ორბელიანის ასეთი გულგრილი დამოკიდებულება გახდა ერთ-ერთი განმსაღვრელი ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი მდგომარეობისა, რაც ნათლად გამოხატა პოეტმა თავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პოეტის პირველი სიყვარული იყო ნინო ორბელიანი. ამას ადასტურებს 1837 წლის თებერვალში გრიგოლ ორბელიანისადმი მიმართული ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილის შინაარსი.

1838 წლის 6 აგვისტოს მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილი პირადი ბარათი გვაწვდის ცნობას, რომ პოეტი ამ დროს გატაცებული ყოფილა ფრანგი დელფინა

ლაბიელით. მადამ ლაბიელს თავისი ქალიშვილი გაუთხოვებია სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეზე.

მონოგრაფიაში მიმოხილულია მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი, რომელიც გვამცნობს გონჩა-ბეგუმისადმი პოეტის გატაცების პატარა ეპიზოდს.

იმიტაცაა უდიდესი ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათების მნიშვნელობა, რომ მათ შემოგვინახეს ამ ქალთა სახეები და მათთან დაკავშირებული პოეტის სასიყვარულო ისტორიის ეპიზოდები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში არ გვაქვს მასალა ქეთევან ერისთავის, მარიამ ფალავანდიშვილისა და თვით ეკატერინე ჭავჭავაძის სიყვარულის შესახებაც კი, რომელიც პოეტის ყველაზე ღრმა სიყვარული ყოფილა. ვფიქრობთ, რომ ეს მშვენიერი არსება პოეტისთვის ყველაზე ძვირფასი იყო და ერიდებოდა მისი სახელის ხშირ-ხშირად ხსენებას. როგორც აღნიშნული გვაქვს, მგოსანი მასზე მხოლოდ პოეზიის ენით საუბრობდა.

სიყვარულში წარუმატებლობა შეიქმნა პოეტის სულიერი სამყაროს ერთ-ერთი გამღიზიანებელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით მისი მოთხოვნილებები განვიხილეთ ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მიხედვით, სადაც ისინი დალაგებულია მარტივიდან უმაღლესისკენ. თუმცა იერარქიაში ეს თანმიმდევრობა შეიძლება დაირღვეს.

პოეტს ჰქონდა კომფორტის, თანაზიარობის, სიყვარულის, პატივისცემის, ინტელექტუალური და სხვა მოთხოვნილებები.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ვერ გადალახა იერარქიის ვერც ერთი დონე – ვერ აუსრულდა ვერც ერთი მოთხოვნილება.

მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობამ ნიკოლოზ ბარათაშვილის სულში წარმოშვა მწუხარების გრძნობა – სულიერი დისკომფორტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და მისი თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, ჰიპოკრატეს ტემპერამენტის ტიპებისა და „ხუთფაქტორიანი მოდელის“ მიხედვით განვსაზღვრეთ პოეტის თვისებები.

როგორც ადამიანების უმრავლესობას, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, გააჩნია სხვადასხვა ტემპერამენტისათვის დამახასიათებელი თვისებები, ანუ ისიც „ნარეკ“ ტიპს წარმოადგენს. თუმცა როგორც ყველა, ისიც უფრო მეტად გადახრილია ერთი ტემპერამენტისაკენ.

როგორც ცნობილია, კრიტიკოსთა უმრავლესობა ნიკოლოზ ბარათაშვილს მიაკუთვნებს მელანქოლიურ ტიპს.

ხალისიანობით, მიზანმიმართულობით, ინტელექტუალურობით და სხვა თვისებებით, ვფიქრობთ, რომ პოეტი იხრება სანგვინიკური ტემპერამენტისაკენ. მაგრამ, თუ მას შეეპარა მელანქოლიური ადამიანისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ეს იმ არახელმძღვანელობი გარემო პირობების ბრალია, რომელმაც პოეტს ვერ აუსრულა ელემენტარული სურვილებიც კი.

დიდი ხუთეულის შემადგენელ ფაქტორებზე დაყრდნობითაც, ვფიქრობთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი ხასიათდება მელანქოლიკის საპირისპირო პიროვნებად.

პოეტის ბიოგრაფების გადმოცემით, ბავშვობაში მხიარულ პოეტს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყოლია იუმორით აღსავსე ბუნება. ნიკოლოზ ბარათაშვილი ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც ხშირად ეხუმრება როგორც თავისი წერილების ადრესატებს, ასევე ხუმრობს ბარათებში მოხსენებულ პირებზე. მას ზოგჯერ ერთგვარი დამცინავი ტონი აქვს თავისი საქციელის შეფასების დროსაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში პოეტის სატირასა და იუმორს არა აქვს გამაღიზიანებელი ტონი, არც მრისხანეა. იგი ცდილობს თავის სატირას შეურიოს იუმორი. იუმორს კი – ირონია.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ახალი ამბებითაც უყვარს თავისი და სხვების გართობაც. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, პოეტისთვის ქეიფი, დროსტარება, ოხუნჯობა, ხუმრობა, ახალი ამბებით დაინტერესება, „ნიღაბია“, „სამოსელი“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, მართალია, ეს ყველაფერი „სულით ობლობიდან“ თავის დაღწევის საშუალებაა, მაგრამ არა მხოლოდ „სამოსელი“. იგი ბუნებით იყო ასეთი, მისი ხასიათითა და ტემპერამენტით განპირობებული. თუმცა, როგორც აღნიშნული გვაქვს, სევდის დაუფლების დროს, ისინი ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის „სამოსელის“, „ნიღბის“ საშუალებებსაც წარმოადგენდნენ.

ნ. ბარათაშვილი ეპისტოლურ მემკვიდრეობაში თითქმის არ აფასებს საკუთარ გარეგნობას.

სხვების მიერ პოეტის ხასიათის დადებითმა შეფასებამ მას ჩამოუყალიბა მაღალი თვითშეფასება, რაც ვფიქრობთ, არ არის გადაჭარბებული და ემთხვევა სხვების წარმოდგენას მასზე.

მონოგრაფიაში განხილულია პოეტის პირადი წერილების დასაწყისისა და დასასრულის შემადგენელი ნაწილები და მათი გამოყენების თავისებურებანი. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები, როგორც არაოფიციალური წერილები, არ არის სტანდარტული, თუმცა აქვთ არამკაცრი მყარი სტრუქტურა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა არ იფარგლება მხოლოდ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომით.

ნაყოფიერად წარმოგვიდგება პოეტის მხატვრული შემოქმედებისა და მისი ეპისტოლური მემკვიდრეობის ურთიერთშეჯერების შესწავლის შემდგომი გზა.

სასურველია, მგოსნის პირადი წერილები შედარებულ იქნეს სხვა შემოქმედთა წერილებთან.

## ლიტერატურა

1. აბაშიძე, 1970: კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბ.: 1970.

2. აბზიანიძე, 1969: გ. აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი. წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ექვს ტომად, ტომი მესამე. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1969.
3. აბზიანიძე, 1996: ზ. აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996.
4. ასათიანი, 1982: გ. ასათიანი, სათავეებთან. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1982.
5. ასათიანი, 1983: გ. ასათიანი, თანამდევნი სულები. თბ.: „მერანი“, 1983.
6. ბალანჩივაძე, 1977: რ. ბალანჩივაძე, ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. თბ.: „მეცნიერება“, 1977.
7. ბალახაშვილი, 1967: ი. ბალახაშვილი, ბარათაშვილის ცხოვრება. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.
8. ბარათაშვილი, 1968: ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი. პ. ინგოროყვას რედაქციით, კომენტარებით, შენიშვნებით, შესავალი წერილით. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1968.
9. ბარათაშვილი, 2005: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული. მოგონებანი, პორტრეტის ისტორია, გენეალოგია, ლევან თაქთაქიშვილის საერთო რედაქციით. თბ.: „პეგ“, 2005.
10. გაბრიელ ეპისკოპოსი, 1993: გაბრიელ ეპისკოპოსი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამოცემა, 1993.
11. გამსახურდია, 1963: კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ. VI, თბ.: 1963.
12. გაწერელია, 1936: ა. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანის წერილები, ტ. I, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ.: 1936.
13. გაწერელია, 1978: ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტ. II, თბ.: „მერანი“, 1978.
14. გერიგი, 2009: რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.



15. გოგიჩაიშვილი, 2006: თ. გოგიჩაიშვილი, ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი. თბ.: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006.
16. გომართელი, 1905: გომართელი: <http://burusi.wordpress.com/2009/09/11/nikoloz-baratashvili-2/>
17. გოცაძე, 1955: მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, სახელგამი, თბ; 1955.
18. გრანოვსკი, 2009: ტ. გრანოვსკი, სიტყვები კ. კინწურაშვილის შედგენილ „შეგონებანში“, თბ.: 2009.
19. გრიგალაშვილი, 2011: ნ. გრიგალაშვილი, თანამდევნი სული, 2 წიგნად, ტომი I, გამომცემლობა „ახალი საქართველო“, თბ.: 2011.
20. დევდარიანი, 2002: რ. დევდარიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
21. დოდაშვილი, 1961: ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ.: 1961.
22. ებანოძე, 1969: ლ. ებანოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. თბ.: „ნაკადული“, 1969.
23. ევგენიძე, 1995: ი. ევგენიძე, გრიგოლ ორბელიანი. თბ.: 1995.
24. Елистратова, 1973: Елистратова А. Европейский романтизм. М, 1973.
25. Эпистолярный жанр, как средство межличностного общения. otherreferats.allbest.ru/languages/00043954\_0.html,2010
26. ერქომაიშვილი: ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბილისი.
27. ვასაძე, 1988: თ. ვასაძე, „ლიტერატურული საქართველო“, № 10, 1988.
28. ზანდუკელი, 1956: მ. ზანდუკელი თხზულებანი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბ.: სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1956.
29. თაქთაქიშვილი, 2005: ლ. თაქთაქიშვილი <http://www.nplg.gov.ge/index.php>
30. თეუელიშვილი, 2007: ს. თეუელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007.
31. ინგოროყვა 1968: პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნარკვევი წიგნში ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.

32. კაკაბაძე, 2009: მ. კაკაბაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლიტერატურული ძიებანი, XXX, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
33. კალანდაძე, 1986: ა. კალანდაძე, გვაქვს საგანძური... XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986.
34. კიკნაძე, 1972: გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972.
35. კიკნაძე, 2006: ზ. კიკნაძე, „მერანის“ გენეალოგია. ლიტერატურული ძიებანი, XVII, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2006.
36. Кнабе, 2006: Кнабе Античное письмо, es-dejavu. ru /l/ Letter. Html, 2006.
37. კოტეტიშვილი, 1959: ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.
38. ლეონიძე, 1935: გ. ლეონიძე, ორი შენიშვნა ბარათაშვილზე. ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935.
39. ლეონიძე, 1968: გ. ლეონიძე, კომენტარები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1968.
40. ლოლაშვილი, 1968: ი. ლოლაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა. თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.
41. მაკარაძე, ე: „ოჯახის როლი მომავალი თაობის აღზრდაში და ფეთქულაჰ გიულენის შეხედულებები“. WWW.islam.ge.
42. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ნახული და გაგონილი. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000213/manswetashwili%20Sesworebuli.doc.pdf>
43. მალრაძე, 1967: ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი. თბ.: „ნაკადული“, 1967.
44. მახარაძე, 1952: აპ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ.: 1952.

45. მეუნარგია, 1957: ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. ტ. II, თბ.: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
46. მეუნარგია, 2004: ი. მეუნარგია, „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ წიგნში „ქართული მწერლობა“, 22, თბ.: „ნაკადული“, 2004.
47. მთაწმინდელი, 1885: ზ. მთაწმინდელი (ზაქარია ჭიჭინაძე), ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1816-1845. ზ. მთაწმინდელისა. ტფ.: 1885.
48. ნადირაშვილი, 1975: შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბ.: 1975.
49. ნადირაძე, 1961: გ. ნადირაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.
50. ნათაძე, 1977: რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.
51. ნატროშვილი, 1968: გ. ნატროშვილი, შემოთენება მთაწმინდაზე. თბ.: გამომცემლობა „განათლება“, 1968.
52. ნორაკიძე, 1972: ვლ. ნორაკიძე, ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1972.
53. ნორაკიძე, 1968: ვლ. ნორაკიძე, ლექსის დაბადება. ლიტერატურული საქართველო, #11, 15 მარტი, 1968.
54. ჟვანია, 2008: ი. ჟვანია, „მცდარი უნიკალურობისა“ და „მცდარი კონსენსუსის“ ეფექტების კვლევა და მათზე მოქმედი ფაქტორები“, დისერტაცია, 2008.
55. ჟურნალი „მნათობი“, 1938 წ. № 9.
56. ჟურნალი „მნათობი“, 1938 წ. № 12.
57. Розанова 1965: Розанова. Толстой, Л. Н. Сборник сочинений, Письма, т, 17, Составитель, вступительная статья и примечания Розановой, 1965.

58. Рубинштейн 2002: Рубинштейн, Основы общей психологии, Серия „мастера психологии“, Санкт-Петербург, 2002.
59. სიგუა, 2007: ს. სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა. თბ.: „მწერლის გაზეთი“, 2007.
60. უზნაძე, 1940: დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1940.
61. ფირცხალავა, 2008: ე. ფირცხალავა, ოჯახის წევრთა ურთიერთაქმის თავისებურებანი, დისერტაცია, 2008.
62. ქუთელია, 1945: ა. ქუთელია, ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1945.
63. ღარიბაშვილი, 2008: ი. ღარიბაშვილი, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. დისერტაცია, 2008.
64. შავლაძე, 1987: თ. შავლაძე, „რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი“... , სათავე, თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.
65. შარაბიძე, 2009: თ. შარაბიძე, „საუკუნის ნიღბები“, ლიტერატურული ძიებანი, XXX, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
66. შტირნერი, 2008: მ. შტირნერი, წიგნში ქართული 12, მოსწავლის წიგნი, თბ.: დიოგენე, 2008.
67. ჩაჩანიძე, 1974: ვ. ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო, თბ.: „ნაკადული“, 1974.
68. ცაიშვილი, 1954: სოლ. ცაიშვილი, შენიშვნები და კომენტარები ი. მეუნარგიას გამოკვლევაზე ბარათაშვილის შესახებ. წიგნში: ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. ტ I, თბ.: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1954.
69. ცხვილოელი, 1893: პ. ცხვილოელი (პოლიექტორ კარბელაშვილი), ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის IV კლასში. გაზ. „ივერია“, № 79, 1893.

70. წერეთელი, 1989: აკ. წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“. რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. III, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1989.
71. ჭილაია, 1971: ა. ჭილაია, ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.
72. ჭილაძე, 1968: ო. ჭილაძე, „ახალი ცა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი), <http://burusi.wordpress.com/2009/08/06/chiladze/>
73. ხაჯალია, 2006: ი. ხაჯალია, ზმნა-პრედიკატის სუბიექტურ-ობიექტური ორიენტაცია და მისი როლი ტექსტის კოჰეზიურ და ინფორმაციულ სტრუქტურაში, დისერტაცია, 2006.
74. ხეჩუაშვილი: ლ. ხეჩუაშვილი, პიროვნების ფსიქოლოგია, შესავალი, [socpoli.files.wordpress.com/](http://socpoli.files.wordpress.com/)
75. Холл, 1997: Ж Холл Кю С., Линдсей Г., 1997.
76. XIX-XX სს., 2011: XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტომი I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბ.: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.

# შინაარსი

## შესავალი

.....

### თავი I. ეპისტოლური ჟანრი და მისი სპეციფიკა

- §1. ეპისტოლურ ჟანრთა სახეობები. პირადი წერილის თავისებურებანი.....
- §2. მხატვრულ-ეპისტოლური ჟანრი.....
- §3. გამოჩენილ ადამიანთა წერილები, როგორც ზოგადსაკაცობრიო მემკვიდრეობა.....

### თავი II. ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელობა ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების ჩამოყალიბების ასპექტების კვლევაში

- §1. ოჯახის გავლენა.....
- §2. საერთო ატმოსფერო.....
- §3. მეგობრების გავლენა.....
- §4. სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.....
- §5. ბიძა-დისშვილი.....
- §6. სიყვარული.....
- §7. „მოთხოვნილებათა იერარქია“ - სულიერი დისკომფორტი.....

### თავი III. ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნული თვისებები მისი ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით

- §1. ტემპერამენტი და ხასიათი.....
- §2. სატირა და იუმორი.....

### თავი IV. ნიკოლოზ ბარათაშვილი – სხვათა და თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის თვალთ ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით.....

- §1. ნიკოლოზ ბარათაშვილის შეფასება სხვების მიერ.....
- §2. ავტოპორტრეტი.....

§3. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ საკუთარი ლექსების შეფასება.....

თავი V. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების

ეთიკეტური ასპექტი.....

ძირითადი დასკვნები .....

ლიტერატურა.....

შინაარსი.....177